PRIME Time

N10 (260) ორშაბათი, 17 მარტი, 2014 წ.

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი

www.ptpress.ge

# ექსკლუზიური ინტერვიუ ლევან იზორიასთან



EXCLUSIVE

გახდება თუ არა საჯარო შს მინისტრის #0014 საიდუმლო ბრძანება?



პირველად „პრაიმტაიმში“

EXCLUSIVE

# გეგა ფალავანდიშვილი „X Factor“-ს წაიყვანს



# რას ყვება ირაკლი ოქრუაშვილი ბუტა რობაქიძის საქმეზე

პირველად „პრაიმტაიმში“

„მოდი, პირდაპირ გეტყვი და ჩათვალე, რომ ექსკლუზივია, რადგან აქამდე არსად გაჟღერებულა“

EXCLUSIVE

# რა ინფორმაცია მიაწოდა გურამ დონაძემ პროკურატურას?



„უკეთესი იქნებოდა, დათა ახალაიას თავის დროზე გამოეძიებინა, როგორ აღმოჩნდა კუდ-იდან შავი კადრები ლეჟავას ხელში...“

SCANDAL

# ყიდდა თუ არა ალასანია იარაღს ტერორისტებზე, მათ შორის „ალ-ქაიდაზე“?



EXCLUSIVE EXCLUSIVE EXCLUSIVE

„საბჭოთა პერიოდში „კაგებეს“ ჰქონდა ხსნარები, რომელიც გარკვეული კონტაქტის, თუნდაც ხელის ჩამორთმევის შედეგად, კონკრეტულ ვადაში მოქმედებს და იწვევს ადამიანის სიკვდილს. გამოიყენეს თუ არა ეს ხსნარი ჟვანიასა და უსუპოვის შემთხვევაში, ამას, ალბათ, გამოძიება დაადგენს“

# რა კავშირშია სააკაშვილის ბიძა ზურაბ ჟვანიას მკვლელობასთან?

## რა კავშირი აქვს სეპარატისტულ ორგანიზაცია „ჯავახკს“ კახა კუკავასთან



## როგორ მოძრაობდა რუსული სპეცსამსახურების ფინანსები ხომერიკი-ებრალიძიდან კუკავამდე

EXCLUSIVE

„დავესწარი მოლაპარაკებებს, რომელშიც რამდენიმე პოლიტიკური პარტია მონაწილეობდა, მოლაპარაკებებს ესწრებოდა ნინო ბურჯანაძეც“



EXCLUSIVE

## ვინ გახდება თბილისის „მესამე მერი“



EXCLUSIVE

EXCLUSIVE



## ID ბარათების სკანდალი გრძელდება

მამა ბასილი ახვლედიანი: „თუ წინა წლის 17 მაისის მაგალითი ვინმესთვის საკმარისი არ იყო და არ ეყო, მაშინ წელს ბევრად უფრო მკაცრ შედეგებზე შეიძლება გავიდეს“



EXCLUSIVE

## რა ავანტიურა წამოიწყეს უგულავამ და ადეიშვილმა?

## რესპუბლიკურ საავადმყოფოში დიალიზის გაკეთება სახიფათოა!



„დღეს, ერთ ოთახში, იმ დროს, როდესაც პაციენტს დიალიზს უტარებდნენ, ჩამოინგრა ბათქაში, საკმაოდ მსხვილი ქვები იყო...“

EXCLUSIVE

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ვინ და რატომ იცავდა ქ

მარიამ ნადირაძე

**თემურ ალასანია ჩრდილიდან გამოვიდა... რა გახდა ამის საფუძველი და რატომ გადაწყვიტა სწორედ ახლა, სააკაშვილის ხელისუფლების „რუხმა კარდინალმა“, ბოლო დროს მის მიმართ გაჟღერებული ბრალდებებისთვის ეპასუხა.**

**სანამ თემას მიმოვიხილავთ, ერთად გადავავლოთ თვალი, რა სახის ბრალდებების ადრესატი გახდა სააკაშვილის ბიძა...**

**მაშ ასე, „პრაიმტაიმი“ აპირებს, ექსპერტებთან ერთად, შეეცადოს, პასუხი გასცეს შემდეგ კითხვებს:**

**რჩება თუ არა თემურ ალასანია რუსული სპეცსამსახურების ინტერესების გამტარებლად?**

**ყიდდა თუ არა ის იარაღს ტერორისტებზე – თუნდაც „ალ-ქაიდაზე“?**

**რა კავშირშია სააკაშვილის ბიძა ზურაბ ჟვანიას მკვლელობასთან?**

**რა სტატუსით ჩავიდა ის გორში აგვისტოს ომის დროს?..**

თემურ ალასანიას მზის სინათლეზე გამოსვლის მაპროვოცირებელი პრემიერ-მინისტრის განცხადება გახდა, რომელმაც ეჭვქვეშ დააყენა თემურ ალასანიას კეთილი მიზნები უკრაინელების დასახმარებლად: „მე დავინახე, რომ სააკაშვილი მარტო არ არის იქ ჩასული. მე მეუბნებიან, რომ მას ჩაყვანილი ჰყავს საკუთარი ბიძა, რომელსაც, სხვათა შორის, საინტერესო წარსული აქვს რუსეთის სპეცსამსახურებთან ურთიერთობის კუთხით. ჩემი ინფორმაციით, ის „კაგებეს“ ყოფილი პოლკოვნიკია. ყოფილები ხომ იცით, არ არსებობენ ამ სფეროში“, – აცხადებს ირაკლი ღარიბაშვილი.

თუ თემურ ალასანია აქამდე არ რეაგირებდა არც ერთ ბრალდებაზე, რომელიც მის მიმართ ისმოდა, თუმცა ამჯერად თავს ვერ იკავებს, საზოგადოების წინაშე პირდაპირ ეთერში ერთვება და აცხადებს: „ვაპირებ, შევიტანო სარჩელი ჩემი კეთილი სახელის აღდგენისთვის. ბოლო ერთი წლის განმავლობაში მიმდინარეობს გამიზნული კამპანია ჩემი სახელის შებღალვისთვის. ამ ცილისწამებაში ჩაბმული იყვნენ ნახევრად ჩამოყალიბებული და ინფანტილური პიროვნებები, შეიძლებოდა ყურადღება არ მიმექცია. თუმცა, როდესაც კამპანიაში ებმევა პრემიერი და ის აკეთებს ასეთ განცხადებას, რჩება ორი გამოსავალი, ან დაასაბუთოს თავისი განცხადება, ან უნდა მივაწეროთ ის ინფანტილური მოქალაქეების ჯგუფს. პრემიერ-მინისტრის ჩარევას ხარისხობრივად სხვა სიბრტყეში გადაჰყავს ბრალდებები“. ალასანია ღარიბაშვილისგან საჯარო ბოდიშს მოითხოვს, ხოლო სხვა მოპასუხეების – დასჯას, თუმცა ამ ეტაპზე არც მათ ვინაობას აკონკრეტებს და არც დასჯის ფორმას.

მაგრამ ამ მუქარის ადრესატების გამოცნობა რთული ნამდვილად არ არის, ვინაიდან ყველასთვის ნათელია, რომ თემურ ალასანიას წინააღმდეგ ზურაბ ჟვანიას საქმის ფარგლებში დაახლოებით 2 თვის წინ ოფიციალურად დაიკითხა ირაკლი კაკაბაძე, ხოლო სააკაშვილის ბიძის შესაძლო კავშირს კონტრაბანდული იარაღის ბიზნესთან, ამის შესახებ მასალები პროკურატურას პოლკოვნიკმა წითელაშვილმა და მისმა თანამოაზრეებმა გადასცეს. სწორედ ამიტომაც „პრაიმტაიმი“ მასთან ინტერვიუს შესთავაზებს თავის მკითხველს, თუმცა მანამდე მცირე მიმოხილვა:

**თემურ ალასანია ქართველმა სამართალდამცველებმა სამ საქმეზე შეიძლება დაკითხონ.**

1. ზურაბ ჟვანიას საქმე – ირაკლი კაკაბაძის მტკიცებით, სააკაშვილის ბიძას ჟვანია უშლიდა ხელს აეროპორტის პირდაპირი წესით ყიდვაში. აეროპორტი კი მას იარაღის ბიზნესისთვის სჭირდებოდა: „ვიცი, რომ არსებობდა და არსებობს კონკრეტული მაფია, რომლის ნათლიმამაც გახლავთ ბატონი თემურ ალასანია და ბატონი ერიკ გუდისი, რომელიც იარაღის გაყიდვით ძალიან დიდ ფულს აკეთებდა. ამ მაფიის წინააღმდეგ გამოვიდა ჩემი მეგობარი ზურაბ ჟვანია. 2005 წლის იანვარში იყო მუქარის ზარი ამ მაფიის ერთ-ერთი წევრისგან, კერძოდ, ერიკ გუდისისგან, რომელიც გახლავთ პუტინის დაახლოებული წრის წარმომადგენელი და მისი მუქარა ასე ჟღერდა, რომ მთავრობის ორი წევრი, ლაპარაკი იყო ზურაბ ჟვანიასა და კახა ბენდუქიძეზე, ერთი თვის მერე აღარ იქნებოდა იმ თანამდებობაზე, რომელზეც იყო“, – განმარტავდა ირაკლი კაკაბაძე.

2. უკრაინიდან შემოტანილი იარაღი, რომლის გადაყიდვაც ხდებოდა მესამე ქვეყანაზე – ეს თემაც ალასანიასა და გუდისს უკავშირდება და ასევე, მსოფლიოში ცნობილ იარაღით მოვაჭრეს, ბუტს. ეს თემა გამოიძია თადარიგის ოფიცრების ერთმა ჯგუფმა, რომელსაც პოლკოვნიკი წითელაშვილი წარმოადგენს. სწორედ ამ ჯგუფმა მოიპოვა მასალები იმის შესახებ, როგორ შეისყიდა ბიუჯეტის თანხებით საქართველომ საჰაერო თავდაცვის სისტემები უკრაინაში, რეალურად კი ეს სისტემები სირიაში აღმოჩნდა. ამაში კი მონაწილე მხარეებმა სერიოზული ფინანსური სიკეთე მიიღეს...

3. 2008 წლის აგვისტოს ომი – სამხედროები ირწმუნებოდნენ, რომ ამ დროს თემურ ალასანია გორში იმყოფებოდა და კონფლიქტის რეგიონში გენერალ ბორისოვის მანქანით გადაადგილდებოდა.

ჩვენს მკითხველს აქვე წარმოვუდგენთ თემურ ალასანიას არგუმენტებს იგივე რიგითობით:

1. „ირაკლი კაკაბაძეს ამის არავითარი საბუთი არ გააჩნია, გარდა საკუთარი ავადმყოფური ფანტაზიისა. რაც შეეხება შეკითხვას, რა ურთიერთობა მქონდა ზურასთან? – მქონდა ძალიან კარგი ურთიერთობა. ზურა, როგორც პოლიტიკოსი, როგორც პიროვნება, ჩამოყალიბდა ჩემს თვალწინ. ძალიან ბედნიერი და კმაყოფილი ვიყავი იმ პროგრესით, რომელიც მან გააკეთა. მე ზურა მახსოვს სულ ახალგაზრდა, სულ რაღაც 23-24 წლის, სხვათა შორის, ძალიან ნიჭიერი, ძალიან დიდი იმედების მომცემი, როდესაც პირველად იყო არჩეული უცხოურ კომისიაში. ამ კომისიას, თუ არ ვცდები, თამაზ გამყრელიძე ხელმძღვანელობდა. ზურაბი არჩეული იყო მწვანეების პარტიიდან. სხვათა შორის, მაშინვე მიიქცია ყურადღება – ძალიან სიმპათიური, ძალიან კარგი და ძალიან ნიჭიერი ახალგაზრდა იყო. ჩამოყალიბდა კიდეც უნიკალურ, თავისებურ პოლიტიკოსად. ამიტომ, ზურასთან მე მქონდა ძალიან კარგი ურთიერთობა, ძალიან ურთიერთპატივსაცემი ურთიერთობა. მე არ ვყოფილვარ მისი მეგობარი. ის არ ყოფილა ჩემი მეგობარი“.

2. „მე ვიყავი იარაღის სპეციალისტი და ახლა მაწერენ, რომ იარაღით ვვაჭრობდი... წლების განმავლობაში ვმუშაობდი განიარაღების საკითხებზე, განიარაღების ყველა საერთაშორისო მოლაპარაკებაში ვიღებდი მონაწილეობას, მათ შორის ჟენევის კონფერენციაში, სამი წლის განმავლობაში და გაეროში 24 წლის განმავლობაში ვხელმძღვანელობდი პირველ კომიტეტს. შეიქმნა რეესტრი. ეს არის იარაღის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვისა და გადაცემის რეესტრი, რომელშიც აღნუსხულია ყველა სახელმწიფოს მიერ გაყიდული, შეძენილი, ან გადაცემული იარაღი. ასევე, აღირიცხება ვინ იყო მონაწილე ამ ხელშეკრულების, ამ საქმიანობის, ვისი ხელშეწყობით მოხდა ყიდვა-გაყიდვა, თუ იყვნენ ჩარეული შუამავლები და ა.შ. ეს იყო, ასე ვთქვათ, ჩემი ხელმძღვანელობით შექმნილი რეესტრი. ასევე, ვხელმძღვანელობდი ისეთ საკითხებს, როგორიც იყო ბიოლოგიური, ბირთვული, ქიმიური იარაღის შეზღუდვის და მათი განადგურების საკითხები. ბოლო 5 წლის განმავლობაში მე ვიყავი კომიტეტის თავმჯდომარე, რომელსაც აბარია კონფლიქტების პრევენცია... სწორედ ჩემი და ჩემი კოლეგების ძალისხმევით მოხდა ის, რომ ბევრი კონფლიქტი იქნა თავიდან აცილებული...“

3. „მე მართალია, ვიყავი გორში და ვიყავი პირველი დღიდან. როგორც კი დაიწყო რუსეთის აგრესია, მე ჩავიცვი სამხედრო ფორმა, მეჭირა ხელში იარაღი, ვიყავი გორში პირველი დღიდან ბოლო დღემდე. არავითარი შეხება რუსებთან, გარდა იმისა, რომ ვუყურებდი „ბინოკლში“ და ვხედავდი სანგრებიდან სხვა ჯარისკაცებთან ერთად, არ მქონია. ამას ჰყავს ბევრი მოწმე. ამის მოწმეა ჩვენი გენერალიტეტიც, ჩვენი ჯარისკაცებიც, რომელთა გვერდითაც ვიყავი და სხვათა შორის, ამით ვამაყობ“.


ტრისტან წითელაშვილი

**რამდენად დამაჯერებელია თემურ ალასანიას ეს არგუმენტები, ამას თავად მკითხველი განსაზღვრავს, ხოლო რაც შეეხება პოლკოვნიკ ტრისტან წითელაშვილს, რომელიც ალასანიას სარჩელის ერთ-ერთ მოპასუხედ მოიაზრება, მისთვის სააკაშვილის ბიძის სააშკარაოზე გამოჩენა ახალი გამოძიების დაჩქარების საფუძველი ხდება. ამის შესახებ ის თავად უამბობს ჩვენს მკითხველს, რა თქმა უნდა, სხვა თემებთან ერთად:**

– თემურ ალასანიასთვის სჯობს, როგორმე გამოსავალი იპოვოს და თავი გადაირჩინოს... მე მაქვს ინფორმაცია, რომ თემურ ალასანიასა და ჟვანიას ურთიერთობა გაფუჭდა მაშინ, როდესაც მან მოინდომა თბილისის აეროპორტის მითვისება. ამის წინააღმდეგი იყო ზურაბ ჟვანია. ძალიან დაძაბული ურთიერთობა ჰქონდათ. ალასანია ახლა ჭაობიდან ამოძრომას ცდილობს, მაგრამ ის ამას ვერ მოახერხებს, ვინაიდან მას მიუძღვის დიდი წვლილი კონტრაბანდული იარაღის ბიზნესშიც და 2008 წლის ომთან დაკავშირებითაც...

**– ჟვანიას მოშორება რაში აწყობდა თემურ ალასანიას?**

– ზურაბ ჟვანია წინააღმდეგი იყო, მათთვის აეროპორტი გადაეცა, რადგან იცოდა, რომ მისი გამოყენება ალასანიასა და მის ჯგუფს შავბნელი საქმეებისთვის უნდოდა. პრემიერ-მინისტრს მათი სქემა გაშიფრული ჰქონდა... როცა თემურ ალასანიაზე ვსაუბრობ, მასთან ერთად იგულისხმება მიხეილ სააკაშვილიც.

**– გსმენიათ ვერსიის შესახებ, რომ თითქოს უსუპოვი და ჟვანია სპეცსამსახურებისგან აპრობირებული ქიმიური ხსნარის საშუალებით არიან გარდაცვლილები?**

– საბჭოთა პერიოდში „კაგებეს“ ჰქონდა ხსნარები, რომელიც გარკვეული კონტაქტის, თუნდაც ხელის ჩამორთმევის შედეგად, კონკრეტულ ვადაში მოქმედებს და იწვევს ადამიანის სიკვდილს. გამოიყენეს თუ არა ეს ხსნარი ჟვანიასა და უსუპოვის შემთხვევაში, ამას, ალბათ, გამოძიება დაადგენს. თუმცა ფაქტია, რომ ექსპერტიზა გაყალბდა. უფრო მეტიც, პრემიერის გარდაცვალებიდან რამდენიმე თვის განმავლობაში მის საფლავს სპეციალური დაცვა ჰყავდა მიჩენილი. ეშინოდათ, რომ ოჯახს დამოუკიდებლად არ ჩაეტარებინა მისთვის ექსპერტიზა. ეს დაცვა მე თავად მყავს ნანახი საფლავზე.

**– სამხედრო ფორმაში იყვნენ?**

– არა, სამოქალაქო ტანსაცმელში.

**– რამდენი კაცი იყო?**

– ორ კაცს ყოველთვის ვნახულობდი სასაფლაოსთან.

**– გინდათ თქვათ, რომ ამ ინტერესში ბიძასთან სააკაშვილი სოლიდარული იყო?**

– ისინი ყველგან ერთად მოქმედებდნენ. აქედან გამომდინარე, სააკაშვილის ინტერესებშიც შედიოდა ჟვანიას მოცილება, რადგან იარაღით ვაჭრობის საქმეში ისიც ჩართული იყო უკრაინის ნაწილში. ამ ბიზნესში თბილისის აეროპორტის გარდა, ფოთისა და ბათუმის პორტებიც გამოიყენებოდა და ასევე, თბილისში არსებული ტერმინალი „საჰაერო კარიბჭე“. ამ საკითხებთან დაკავშირებით სააკაშვილი ბიძამისის მარჯვენა





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ვანიას საფლავს 3 თვე?

- **რჩება თუ არა თემურ ალასანია რუსული სპეცსამსახურების ინტერესების გამტარებლად?**
- **ყიდდა თუ არა ის იარაღს ტერორისტებზე – თუნდაც „ალ-ქაიდაზე“?**
- **რა კავშირშია სააკაშვილის ბიძა ზურაბ ჟვანიას მკვლელობასთან?**
- **რა სტატუსით ჩავიდა ის გორში აგვისტოს ომის დროს?..**

ხელი იყო. არსებობს უამრავი მასალა, რომელსაც ამ ადამიანებისკენ მივყავართ. როდესაც ჩვენ ამ მასალებზე ვმუშაობდით, აღმოვაჩინეთ, რომ ამ საქმეში ჩართულები იყვნენ რუსული გადამზიდავი კომპანიები და რუსული გემები. „უკრსპეცექსპორტი“, რომელიც უკრაინაში აწარმოებს იარაღის გაყიდვის საკითხებს, ის „როსვაარუჟენიეს“ შვილობილი კომპანიაა, რომელიც ანალოგიურ საქმიანობას ახორციელებს რუსეთის ტერიტორიაზე. აქედან გამომდინარე, როდესაც ჩვენ ვამბობთ, რომ უკრაინიდან ხდებოდა იარაღის შესყიდვა, მისი გადაზიდვა ხდებოდა რუსული კომპანიებით, როგორ ფიქრობთ, ეს ქვეყანა თავისი თავის საწინააღმდეგოდ საქართველოს მისცემდა იარაღს?

**– თქვენი ლოგიკა მიდის იქით, რომ რუსეთის ინტერესს – ეს იარაღი ტერორისტულ ქვეყნებში მოხვედრილიყო – საქართველოზე ატარებდნენ სააკაშვილი და ალასანია?**

– რუსეთს სააკაშვილი და თემურ ალასანია აქ საყრდენად ჰყავდა. როგორ ფიქრობთ, სააკაშვილი, რომელიც ბიძას თავის დროზე გამწესებული ჰყავდა „კაგებეს“ ჯარებში და ზრდიდნენ, როგორც „კაგებეს“ თანამშრომელს, სხვანაირად მოიქცეოდა? თემურ ალასანიამ დაადასტურა, რომ ნამდვილად იყო 2008 წლის ომში გორში. რა უნდოდა რუსეთის მოქალაქეს, რუსეთის „კაგებეს“ ოფიცერს იქ? ჩვენ, რომლებიც ვებრძოდით რუსულ ჯარს, რუსეთის ტერიტორიაზე ფეხი რომ დავდგათ, მაშინვე დაგვაპატიმრებენ. თემურ ალასანია კი ერთ კვირაში წავიდა მოსკოვში. რატომ არ დააპატიმრეს, თუ ის რუსეთის წინააღმდეგ იბრძოდა?

**– რატომ არ დგება დღის წესრიგში მისი დაკითხვა?**

– ამ მხრივ, ინტენსიურად მიდის მუშაობა. ძალიან მალე დაკითხავენ თემურ ალასანიასაც და მიხეილ სააკაშვილსაც ყველა იმ დანაშაულზე, რომელიც მათ ჩაიდინეს 2004-დან 2012 წლამდე.

**– დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია ალასანიას გამოჩენამ უკრაინაში. რამდენად დამაჯერებლად მიგაჩნიათ მისი განმარტება, რომ მან მარტო არ გაუშვა თავისი დისშვილი და მისი ერთადერთი მოტივაცია მისი დაცვა იყო?**



– ალასანია არის რუსული სპეცსამსახურების თანამშრომელი. ის უკრაინაში თავისი მისიის შესასრულებლად ჩავიდა. მისია კი უკრაინის ხელისუფლების პროვოცირებაა და ამისთვის მშვენივრად გამოიყენებს ამ ხელისუფლების კავშირს მის დისშვილთან. მიზანი არის ის, რომ იგივე გამეორდეს, რაც 2008-ში საქართველოში მოხდა.

**– ამბობთ, რუსეთის სპეცსამსახურების თანამშრომელია, ალასანია კი ამბობს, რომ ის მთელი ცხოვრება გაეროში მუშაობდა განიარაღების კუთხით...**

– ეს ჩვეულებრივი შირმაა სპეცსამსახურებისთვის... რად გინდათ მეტი ახსნა-განმარტება, ალასანიას რომ შეხედავ, მაშინვე მიხვდები, რომ „ჩეკისტია“.

**– ფლობთ რამე ინფორმაციას იმის შესახებ, როდის შეიძლება მოხდეს ალასანიას დაკითხვა?**

– ჩვენ დღესვე ვიწყებთ მუშაობას სხვა მასალებზე, რომელიც საზოგადოებისთვის ჯერ არ არის ცნობილი. ასე რომ, ვინ დაისჯება, ამას კარგად დაინახავს ალასანია.

**ექსპერტების ერთი ნაწილისთვის თემურ ალასანიას გამოჩენა საზოგადოების წინაშე ერთგვარი პრევენცია იყოს იმისთვის, რომ დასავლეთში თავი იმართლოს. ამ პოზიციას ექსპერტი, მამუკა არეშიძეც იზიარებს:**

– უკრაინაში თემურ ალასანიას ჩასვლის უფრო დამაჯერებელი ვერსია იქნებოდა, თუ ვიფიქრებდით, რომ მისი მოტივაცია მისივე ბიზნესინტერესებია.

**– იარაღით ვაჭრობის თემას გულისხმობთ?**

– ამის შესახებ მსმენია, თუმცა დაზუსტებით მხოლოდ ის ვიცი, რომ ინტერესები ჰქონდა „ტავ“-ში, რომელმაც თბილისსა და ბათუმში აეროპორტი ააშენა. უკრაინაში მისი ვიზიტის სხვა მოტივაცია შესაძლებელია იყოს პასუხისმგებლობა „ამხანაგების“ მიმართ, რომლებსაც სურთ, რომ მან იქ სიტუაცია შეისწავლოს. ეს კაცი არ იყო ჩვეულებრივი ადამიანი და არც ჩვეულებრივ სამსახურში მუშაობდა. მას საკმაო გავლენები ჰქონდა საბჭოთა სივრცეშიც კი...

**– როცა მისი წარსული და ამჟამინდელი გავლენები არამარტო ღარიბაშვილისთვის არის ცნობილი, მისი ჩრდილიდან გამოსვლის მიზეზად პრემიერ-მინისტრის დასახელება, რამდენად რეალურად გეჩვენებათ? თუ ალასანიასთვის ეს ერთგვარი პრევენციაა?**

– კიევში ინტერესით აკვირდებიან იმ პროცესებს, რაც საქართველოში მიდის, რა განცხადებებს აკეთებს საქართველოს ხელისუფლება, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც საქართველოს ხელისუფლებისთვის ფართოდ გაიყო კარი ამერიკის პოლიტიკურ ისტებლიშმენტში. იმის გამო, რომ მას უპრობლემო მომავალი ჰქონდეს, არ გამოვრიცხავ, რომ ალასანიასთვის მომგებიანია თავის დაცვის ის ფორმა, რომელიც მან აირჩია. რასაკვირველია, ეს იყო პრევენციის ერთგვარი ფორმა. ალასანიას სჭირდება, რომ ის ძველებურად იყოს მიღებული დასავლეთში.

**„რუსეთს სააკაშვილი და თემურ ალასანია აქ საყრდენად ჰყავდა“**



თემურ ალასანია

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რას ყვება ირაკლი ოქრუაშვილი



**my View**
**მირიან ბოქოლიშვილი**

**2004 წელს, წერეთლის გამზირზე, სპეცოპერაციის შედეგად მოკლული ბუტა რობაქიძის ოჯახი ირაკლი ოქრუაშვილის დასჯას კატეგორიულად მოითხოვს. გარდაცვლილის მამა, სოსო რობაქიძე ირწმუნება, რომ შემთხვევის ადგილზე იარაღი პირადად ოქრუაშვილის ბრძანებით მიიტანეს.**

**„არსებობს მოწმე, რომელიც აცხადებს, რომ იარაღი ერთ-ერთი განყოფილებიდან შემთხვევის ადგილზე სწორედ ირაკლი ოქრუაშვილის დავალებით მიიტანეს. იმ კასეტის მონტაჟი კი, რომელიც დონაძემ წარმოადგინა, სწორედ ირაკლი ოქრუაშვილის დავალებით განხორციელდა. ამიტომაც მე არ მოვისვენებ, მანამ სანამ ირაკლი ოქრუაშვილი არ აგებს პასუხს“, – აცხადებს რობაქიძე და დასძენს, რომ სამართლიანობის აღსადგენად ის ბოლომდე იბრძოლებს.**

თავად ირაკლი ოქრუაშვილი კი პროკურატურამ ჯერ კიდევ 2013 წლის 16 იანვარს დაკითხა. „პრაიმტაიმს“ ხელში ჩაუვარდა ჩვენება, რომელიც ოქრუაშვილმა ბუტა რობაქიძის საქმეზე მისცა. დაკითხვის ოქმიდან ირკვევა, რომ ბუტა რობაქიძის მკვლელობის საქმეზე ოქრუაშვილი დაახლოებით ორი წლის წინათ პარიზში ესაუბრა ჯაბა ჯიშკარიანს, რომელიც ახალგაზრდა აქტივისტებთან ერთად აქტიურად აპროტესტებდა გახმაურებულ მკვლელობებს.

„ჯაბა ჯიშკარიანს ნამდვილად ვიცნობ. ის დაახლოებით ორი წლის წინათ ჩამოსული იყო ჩემთან პარიზში და მასთან მქონდა საუბარი ამირან (ბუტა) რობაქიძის საქმესთან დაკავშირებით. მასაც ვუთხარი იგივე, რასაც გამოძიების წინაშე ვამბობ. მასაც ვუთხარი, რომ ამ ფაქტზე დეტალური ინფორმაცია არ გამაჩნდა. როდესაც გავიგე მასმედიის საშუალებებით, რომ დაკავებულებისთვის ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალები იყო ჩადებული, დავინტერესდი საქმის გარემოებებით, თუმცა შს სამინისტროს მაღალჩინოსნებისგან მიღებული ინფორმაციით, ვიცოდი, რომ დაკავებულებს ნამდვილად ჰქონდათ საბრძოლო მასალები და ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი“, – ამბობს ირაკლი ოქრუაშვილი დაკითხვის დროს.

ოქრუაშვილი დეტალებს ვერ იხსენებს, თუმცა ვარაუდობს, რომ ამ საქმესთან დაკავშირებით კომუნიკაცია ჰქონდა შსს-ს პრესსამსახურის იმჟამინდელ უფროს გურამ დონაძესთან.

„სრულიად შესაძლებელია, გურამ დონაძესთან მქონოდა საუბარი ხსენებულ ფაქტთან დაკავშირებით, ვინაიდან დროდადრო ის მაწვდიდა ინფორმაციას საინფორმაციო გადაცემა „ვიდეოპატრულის“ შინაარსობრივ მხარეზე. მასთან, ამირან რობაქიძის მკვლელობასთან დაკავშირებით, რაიმე სახის დეტალურად განხილვის ფაქტს ვერ ვიხსენებ“, – უყვება საგამოძიებო ორგანოს შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი.

როგორც ცნობილია, ოქრუაშვილი 2004 წლის 15 დეკემბრამდე ჯერ კიდევ შს მინისტრი იყო. ეს ის პერიოდია, როდესაც წერეთლის გამზირზე ჩატარებული სპეცოპერაცია აქტიურად შუქდებოდა მასმედიის საშუალებით და ჟღერდა ვერსია, რომ დაკავებულ პირებს პოლიციის თანამშრომლებმა ჩაუდეს საბრძოლო მასალა. დაინტერესდა თუ არა ოქრუაშვილი ამ ინფორმაციით და როგორც შინაგან საქმეთა მინისტრმა, რა ზომები მიიღო? მის მიმართ ეს კითხვა გამომძიებელსაც გაუჩნდა, რაზეც ოქრუაშვილმა ასეთი განმარტება მისცა:

„მას შემდეგ, რაც საინფორმაციო საშუალებებით გაიჟღერა იმ ვერსიამ, რომ დაკავებულ პირებსა და გარდაცვლილ ამირან რობაქიძეს, შემთხვევის ადგილზე მყოფმა პოლიციელებმა ჩაუდეს საბრძოლო მასალები და ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, მე, როგორც შინაგან საქმეთა მინისტრი, აუცილებლად დავინტერესდებოდი საქმის დეტალებით. კონკრეტულად რომელ თანამდებობის პირს ვესაუბრე, ნამდვილად ვერ ვიხსენებ, თუმცა, ალბათ, მომახსენეს, რომ დაკავებულებს ნამდვილად ჰქონდათ ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალები. ეს იყო მაშინდელი ოფიციალური ვერსია და თან საქმის გამოძიებაში, როგორც მახსოვს, თავიდანვე ჩართული იყო პროკურატურა“, – ყვება ირაკლი ოქრუაშვილი.

უცნაურია, მაგრამ დაკითხვის ოქმში ოქრუაშვილი ვერ იხსენებს, ვინ იყვნენ მისი მოადგილეები შინაგან საქმეთა მინისტრობის დროს, თუმცა კარგად ახსოვს თბილისის მთავარი სამმართველოს, ვაკე-საბურთალოს სამმართველოსა და საპატრულო პოლიციის ხელმძღვანელობა.

„2004 წლის 7 ივნისიდან 2004 წლის 15 დეკემბრამდე მე ვიყავი საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე. ჩემი მინისტრობის პერიოდში მოხდა ამირან (ბუტა) რობაქიძის მკვლელობის ფაქტი. თუ კარგად მახსოვს, ნოემბერი იყო, გიორგობა, სავარაუდოდ 23-24 ნოემბერი. აღნიშნულის შესახებ მე გავიგე ყოველდღიური კრეპსებიდან და საინფორმაციო საშუალებებიდან. კონკრეტულად მკვლელობის ფაქტის შესახებ ვინმემ მომახსენა თუ არა, არ მახსოვს, შეიძლება რომელიმე მოადგილემ მომახსენა კიდეც, თუმცა ვერ ვიხსენებ. ეს ის პერიოდია, როდესაც უკვე საინფორმაციო საშუალებებითაც გავრცელებულია, რომ მე ვინიშნებოდი თავდაცვის მინისტრად და ვიყავი სხვა სამინისტროში გადაბარგების რეჟიმში. კონკრეტული დეტალები ამ ფაქტთან დაკავშირებით არაფერი ვიცი, გარდა იმისა, რაც შემდეგ მასმედიის საშუალებებით გაჟღერდა. სწორედ მასმედიის საშუალებებიდან გავიგე, რომ შემთხვევის ადგილზე მყოფი პოლიციელების მიერ მოხდა დაკავებული პირებისთვის და გარდაცვლილი ბუტა რობაქიძისთვის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის ჩადება. აღნიშნული ფაქტიდან, დაახლოებით 20 დღეში მე უკვე დავინიშნე საქართველოს თავდაცვის მინისტრად და მით უმეტეს, არანაირი შეხება ამ საქმესთან არ მქონია...

მითითებულ პერიოდში ვინ იყვნენ ჩემი მოადგილეები, არ მახსოვს. რაც შეეხება თბილისის შს მთავარ სამმართველოს, მისი უფროსი იყო ლევან გვაზავა, ვაკე-საბურთალოს სამმართველოს უფროსი – დავით იაშვილი, თბილისის საპატრულო პოლიციის უფროსი – ზურა მიქაძე. რაც შეეხება დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველოს უფროსსა და კრიმინალური პოლიციის უფროსს, არ მახსოვს“, – განაცხადა ოქრუაშვილმა პროკურატურაში დაკითხვისას.

დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველოს უფროსი, რომლის გვარსაც ოქრუაშვილი ვერ იხსენებს, ირაკლი ფირცხალავა გახლდათ. ფირცხალავა, სხვა რამდენიმე პირთან ერთად, ბუტა რობაქიძის საქმეში ბრალდებულად არის ცნობილი და წინასწარი პატიმრობიდან გირაოს სანაცვლოდაა განთავისუფლებული. „პრაიმტაიმთან“ საუბრისას შსს-ს ყოფილი მაღალჩინოსანი ვერ აკონკრეტებს, რა ინფორმაციას ფლობდა ოქრუაშვილი ამ საქმის ირგვლივ და როგორც მინიმუმ, ჰქონდა თუ არა მისი მხრიდან ადგილი სამსახურებრივ გულგრილობას. „პრაიმტაიმთან“ ინტერვიუში, ირაკლი ფირცხალავა რობაქიძის საქმის დღემდე უცნობ, საკმაოდ სკანდალურ ინფორმაციას აჟღერებს.

**ირაკლი ფირცხალავა, შსს-ს ყოფილი მაღალჩინოსანი:**

– ბუტა რობაქიძის საქმის გაიგივება, სხვა გახმაურებულ საქმეებთან, მით უმეტეს ვაზაგაშვილთან, არ შეიძლება. ის ბავშვი მართლა შემთხვევით აღმოჩნდა იმ მანქანაში. მას არც წინააღმდეგობა გაუწევია და არც არაფერი. მე მაშინ დიდუბე-ჩუღურეთის პოლიციის უფროსი ვიყავი, ოპერაცია კი საპატრულო პოლიციამ ჩაატარა. ჩვენ ადგილზე გამოვცხადდით დაახლოებით 40-45 წუთის მერე. პატრულის თანამშრომლებმა დაგვიხატეს სიტუაცია, რომ ეს იყო შეიარაღებული კონფლიქტი, რა დროსაც მოხდა ლიკვიდაცია. ჩვენ მხოლოდ 6 თვის შემდეგ გავიგეთ, რომ პოლიციელს იარაღი გაუვარდა, მას შემდეგ, რაც ბაშალეიშვილი დააკავეს. აქედან გამომდინარე, ადვილი შესაძლებელია ოქრუაშვილამდეც მისულიყო ის ინფორმაცია, რაც ჩვენ მოგვაწოდეს. მე თავს ვერ დავდებ და ნამდვილად არ ვიცი, რა ინფორმაციას ფლობდა მინისტრი, ან საერთოდ რა შემხებლობა ჰქონდა ამ საქმესთან, თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში კითხვები, რა თქმა უნდა, ჩნდება. თუ მან არ იცოდა, ცუდია, რადგან პატრული უშუალოდ მინისტრის დაქვემდებარებაში იყო. ფაქტია, რომ რეალობა იყო დამალული. ეს რეალობა კი არის ის, რომ პატრულის თანამშრომელს გაუვარდა იარაღი. რაც შეეხება, თვითონ რობაქიძესთან ერთად მყოფ პირებს, რეალურად ისინი, გარდა რობაქიძისა, მართლაც წარმოადგენდნენ დანაშაულებრივ დაჯგუფებას და ეს არის დადასტურებული ინფორმაცია.

**– რა გაძლევთ ამის თქმის საფუძველს?**

– მოდი, პირდაპირ გეტყვი და ჩათვალე, რომ ექსკლუზივია, რადგან აქამდე არსად გაჟღერებულა, თუმცა კონკრეტულ გვარს არ დავასახელებ. რობაქიძესთან ერთად მანქანაში მყოფი ოთხი პირიდან ერთ-ერთი არის პოლიციის აგენტი 12 წლის სტაჟით. ჩვენ ოდნავი დანაშაულიც რომ მიგვიძღოდეს ამ საქმეში, როგორ ფიქრობთ, ამ აგენტს ვერ ვალაპარაკებდით ჩვენს სასარგებლოდ? თანამშრომელმა, რომელსაც კავშირზე ჰყავდა ეს პიროვნება და სავარაუდოდ, დღესაც ჰყავს, ძალიან ბევრი საინტერესო დეტალი მოყვა იმ ამბებზე, რომელიც უკვე შემდგომ განვითარდა და რომელიც უშუალოდ ამ ინფორმატორისგან იცოდა. ეს ყველაფერი რომ მოვყვე, ძალიან ბევრს შერცხვება, როგორც ერთი, ისე მეორე მხრიდან. იმდენად შემაძრწუნებელი ფაქტები მოხდა, რომ, უბრალოდ, თავს უფლებას ვერ მივცემ, ამაზე ვილაპარაკო.

**– რას უკავშირდება, ის მაინც გვითხარით?**

– შემდგომში განვითარებულ მოვლენებს, როგორ ითითხნებოდა საქმე, როგორ ერეოდა როგორც ერთი, ისე მეორე მხარე, პროკურატურა და დაზარალებულები. მოკლედ, არ მინდა ამ საკითხებზე ხმამაღლა საუბარი, ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით.

**– თუკი თქვენ ამბობთ, რომ მანქანაში მყოფთაგან ერთ-ერთი პოლიციის ინფორმატორი იყო და ამავე დროს ამტკიცებთ, რომ იარაღი მანქანაში ნამდვილად იდო, რამდენად შესაძლებელია, რომ სამართალდამცველებს ამის შესახებ ინფორმაცია სწორედ ამ პიროვნებისგან სცოდნოდათ?**

– რეალურად, ეს მანქანა გადაცემული იყო დაკავებაზე. ამ ყველაფერს წინ უძღოდა ჩხუბი „დინამოსთან“ ორ დაჯგუფებას შორის. სწორედ ამის შემდეგ იქნა ეს მანქანა დაკავებაზე გადაცემული. ვერ გეტყვით, რომ მაინცდამაინც ამ აგენტის მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარდა ოპერაცია წერეთლის გამზირზე, რადგან ეს ოპერაცია ჩაატარა მთლიანად საპატრულო პოლიციამ, ეს პირი კი კავშირზე ჰყავდა კრიმინალური პოლიციის თანამშრომელს. თუმცა თავისუფლად შესაძლებელია, რომ თვითონ დინამოს ინციდენტისა და შემდგომში დაგეგმილი „რაზბორკის“ შესახებ ინფორმაცია მისგან ყოფილიყო მოწოდებული. ზოგადად, ამ ადამიანის მიერ არაერთი ინფორმაცია იქნებოდა მანამდეც მიწოდებული, ეს ჩვეულებრივი ამბავია, რომ სხვადასხვა დანაშაულებრივ ჯგუფ-




**„ის ბავშვი მართლა შემთხვევით აღმოჩნდა იმ მანქანაში. მას არც წინააღმდეგობა გაუწევია და არც არაფერი“**








© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ბუტა რობაქიძის საქმეზე?



**„ეს ყველაფერი რომ მოვყვე, ძალიან ბევრს შერცხვება, როგორც ერთი, ისე მეორე მხრიდან. იმდენად შემაძრწუნებელი ფაქტები მოხდა, რომ, უბრალოდ, თავს უფლებას ვერ მივცემ, ამაზე ვილაპარაკო“**

**შსს-ს ყოფილი მაღალჩინოსანი ირწმუნება, რომ ბუტა რობაქიძესთან ერთად მანქანაში მყოფი ერთ-ერთი პირი პოლიციის ინფორმატორი იყო**

## პირველად „პრაიმტაიმში“

# EXCLUSIVE

ებში პოლიციას ჰყავს თავისი ინფორმატორი. დღესაც ქუჩაში ძალიან ბევრი ადამიანი დადის, რომელსაც ასეთი ტიპის თანამშრომლობა აქვს სამართალდამცველებთან.

**– თქვენს საქმეზე სასამართლო პროცესი თუ ჩაინიშნა? როდის დაიწყება არსებითი განხილვა?**

– სამწუხაროდ, პროცესი არ იწყება და კაცმა არ იცის, როდის წაიღებს საქმეს სასამართლოში პროკურატურა. 2013 წლის 9 ივნისს დაიკითხნენ ბოლო მოწმეები, პატრულის 3 თანამშრომელი, რომლებმაც განაცხადეს, რომ შემთხვევის ადგილზე მივიდნენ 3-4 წუთის შემდეგ, რაც ადგილზე მყოფმა ეკიპაჟმა დახმარება ითხოვა. შემდეგ ისინი ადასტურებენ, რომ იარაღი ნახეს შემთხვევის ადგილზე, რომელიც თავმოყრილი იყო საბარგულზე. შემდეგ ეკითხებიან ჩემზე, როდის მივედი. ისინი ამბობენ, რომ დაახლოებით 20-25 წუთის შემდეგ. გარდა იმისა, რომ არსებობს ფირი, რომელიც ჩვენ გავასაჯაროეთ და რომლის ავთენტურობა და უწყვეტობა დაადასტურა არაერთი წამყვანი ქვეყნის ექსპერტიზამ, არსებობენ ცოცხალი მოწმეებიც, ხომ?! პროკურატურამ, ნაცვლიშვილ-კბილაშვილის თაოსნობით, ისე შეთითხნა ეს საქმე, რომ ახლა მთლიანად ჩიხში შევიდა პროცესი და სასამართლოშიც კი ველარ მიაქვთ. უშუალოდ მათი მითითებით, მოწმეებს დააწერინეს ცრუ ჩვენებები, 23 ასეთი ჩვენება დევს საქმეში. ხალხს ისეთი ჩვენებები მიაცემინეს, რომ საბოლოოდ ისინი აღმოჩნდნენ სისხლის სამართლებრივი დევნის ქვეშ. ეს დღევანდელი პროკურატურის ბრალი არ არის. ეს კბილაშვილ-ნაცვლიშვილის მონაჩმახია, რომლებიც დასხდნენ და რაღაც ქულების ჩაწერის მიზნით შეკერეს საქმე. მაგალითად, მათ მთავარ მოწმედ წარმოადგინეს შაკო მიქაბაძე, პროკურატურის ყოფილი გამომძიებელი, რომელმაც შემთხვევის ადგილიდან ბოლო სტადიამდე გამოიძია ეს საქმე. მისი ჩვენების საფუძველზე დააკავეს დავით იაშვილი, ვაკე-საბურთალოს სამმართველოს უფროსი, რომელმაც თითქოს ის შემთხვევის ადგილზე არ შეუშვა. სინამდვილეში მიქაბაძემ თავისი ცრუ-ჩვენებით საკუთარი თავიც გაჭედა და როგორ, ახლავე მოგახსენებ: კადრებში ჩანს, რომ ამოღებულ იარაღს შორის ერთ-ერთი არის ბარაბნიანი პისტოლეტი. როგორც ჩანს, ეს პისტოლეტი მიქაბაძეს მოეწონა. ყვარლის სამმართველოს უფროსი იყო მისი მეგობარი ნუგზარ გვაზავა, რომელსაც უკვე შემდგომ შეჰპირდა რომ მაგარ იარაღს გაჩუქებო. 2006 წელს, გიორგობის დღესასწაულზე ესტუმრა გვაზავას და აჩუქა ეს ბარაბნიანი პისტოლეტი, რომელიც იყო რობაქიძის საქმეზე ერთ-ერთი ნივთმტკიცება. ანუ პროკურატურის გამომძიებელმა მიქაბაძემ სისხლის სამართლის საქმის ნივთმტკიცება ჯერ მიისაკუთრა და შემდეგ თავის მეგობარს აჩუქა.

**– და ვისზე იყო რეგისტრირებული ეს იარაღი მანამდე?**

– ეს იარაღი 2000 წელს მოპარული იყო ანტონოვსკაიას ქუჩაზე, კაშიების ბინიდან. გამოძიების პროცესში, რა თქმა უნდა, მიქაბაძემ დაადგინა, ვისზე იყო რეგისტრირებული, დაიბარა ეს კაშია მომსახურების საააგენტოში და გვაზავას სახელზე გადააფორმებინა წლების წინათ მისი სახლიდან მოპარული და შემდგომ, რობაქიძის საქმეში, ნივთმტკიცებად ამოღებული ეს იარაღი. აი, ეს კაცი ჩასვა მთავარ მოწმედ კბილაშვილ-ნაცვლიშვილის პროკურატურამ. უკვე ჩვენი კატეგორიული მოთხოვნის შემდეგ აღძრეს საქმე და მიქაბაძეს წაუყენეს ბრალი ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შენახვა, გადაზიდვასა და გასაღებაში, თუმცა ყოველგვარი გირაოსა და თავდების გარეშე დასეირნობს. იგივე მუხლითაა საქმე აღძრული ნუგზარ გვილავაზე, რომელიც, ასევე, პროკურატურის მთავარი მოწმეა. ის ჩვენი ყოფილი თანამშრომელია, რომელიც თავის დროზე, შვილთან ერთად, სოდ-მა დააკავა განსაკუთრებით დიდი ოდენობით სუბუტექსის შენახვა-გასაღებისთვის. ციხიდან გამოსვლის შემდეგ, მან თითქოს გადაწყვიტა თანამშრომლობა და აძლევს ჩვენებას, რომ იმ ღამეს იმყოფებოდა მამუკა გვაზავასთან ერთად, რომელმაც ჰკითხა, იარაღის ვაზნები არ გაქვსო. მე ვუთხარი, მაქვს-მეთქი, ამის შემდეგ გლდანიდან წამოვიღე 40 ცალი ვაზნა და მოვიტანე შემთხვევის ადგილზე. ამის შემდეგ ისევ ჩვენი მოთხოვნით აღიძრა საქმე გვილავას მიმართ, რომელმაც ამ თავის ჩვენებაში პირადად აღიარა, რომ საბრძოლო მასალას ინახავდა. საქმე აღძრეს, მაგრამ, რა თქმა უნდა, არც ის მისცეს პასუხისგებაში. ამბობენ, გამოძიება მიდისო. ერთი წელი გამოძიება მიმდინარეობს 40 ვაზნაზე. მოკლედ, ისე შეთითხნეს ნაცვლიშვილმა და კბილაშვილმა ეს საქმე, რომ თავიანთი მოწმეებიც კი დასაჭერები გახადეს. ამის შემდეგ, თქვენ რომ პროკურატურა იყოთ, ამ საქმეს წაიღებდით სასამართლოში? ცხადია, არა, რადგან სრული კრახით დასრულდება. სწორედ ამით ვხსნი პროცესის გაჭიანურებას. დიდი ეჭვი მაქვს, რომ საერთოდ უარს იტყვიან ამ საქმის სასამართლოსთვის გადაცემაზე, თუმცა ჩვენ არ გავჩერდებით, კბილაშვილიდან დაწყებული, ნაცვლიშვილით დამთავრებული, ყველას მოვთხოვთ პასუხს სამოქალაქო სარჩელის სახით.



**P.S. „პრაიმტაიმი“ ირაკლი ფირცხალავას სკანდალურ განცხადებაზე კომენტარისთვის ბუტა რობაქიძის მამას დაუკავშირდა. სოსო რობაქიძე ამბობს, რომ, თუ მანქანაში მყოფთაგან ერთ-ერთი პოლიციის ინფორმატორი იყო, მაშინ ეს ირაკლი ფირცხალავამ ხმამაღლა უნდა დაასახელოს, თუმცა, მისივე თქმით, ასეც რომ იყოს, ბუტას გარდაცვალების საქმეში ეს დეტალი არაფერს ცვლის.**

**„ირაკლი ფირცხალავამ ჯერ რაღაც კასეტა გამოაგდო, რომელიც დადასტურდა, რომ გაყალბებულია, შემდეგ ათასი სიბინძურე მოიგონა, ახლა კი ეს „ნასედკობა“ მოიგონა. სინამდვილეში „ნასედკებიცა“ და მკვლელებიც ეგენი არიან, მისი განყოფილებიდანაა მიტანილი იარაღი შემთხვევის ადგილზე და ამაზე პასუხი უნდა აგოს. თუ ერთ-ერთი მართლა პოლიციის „ნასეკდა“ იყო, გამოვიდეს და თქვას, ან პირადად ჩემთან მოვიდეს და მითხრას, ვინ იყო. ასეც რომ იყოს, ეს ფაქტი არაფერს ცვლის ბუტას საქმეში“, – განუცხადა „პრაიმტაიმს“ სოსო რობაქიძემ.**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რა ინფორმაცია მიაწოდა გურამ დონაძემ პროკურატურას?




## „უკეთესი იქნებოდა, დათა ახალაიას თავის დროზე გამოეძიებინა, როგორ აღმოჩნდა კუდ-იდან შავი კადრები ლეჟავას ხელში... ახლა დათა ახალაიამ თავის თავს დააბრალოს ის, რომ ეს არ გააკეთა“



**my View**

**მირიან ბოქოლიშვილი**

**გასულ კვირას პროკურატურამ ნავთლუღის გახმაურებული სპეცოპერაცია გახსნილად გამოაცხადა. საგამოძიებო ორგანომ, დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობის, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისა და მტკიცებულებათა ფალსიფიკაციის ბრალდებით, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ყოფილი მაღალჩინოსნები – ლევან ქარდავა და გიორგი მაზმიშვილი დააკავა. ასევე, გამოტანილია დადგენილება კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ყოფილი დირექტორის დავით (დათა) ახალაიას ბრალდებულად ცნობის შესახებ. საქმე ეხება 2006 წლის 12 იანვარს, ნავთლუღის ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის მიერ ჩატარებულ ხმაურიან სპეცოპერაციას, რომლის დროსაც განსაკუთრებული სისასტიკით მოკლეს სამი ახალგაზრდა – მარად ართმელაძე, რომან სურმანიძე და მურად გორგაძე.**

**ამ საქმესთან დაკავშირებით პროკურატურაში 4 საათის განმავლობაში იკითხებოდა შსს–ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის იმჟამინდელი უფროსი, გურამ დონაძე, რომელიც მედიაში გავრცელებულ კადრებში დათა ახალაიასთან ერთად იმყოფება.**

**რა კითხვები ჰქონდა გამოძიებას გურამ დონაძესთან? როგორ გავრცელდა სპეცოპერაციის კადრები და რატომ იცინის დათა ახალაიასთან ერთად სპეცოპერაციის ამსახველ ვიდეომასალაში? „პრაიმტაიმი“ ამ თემებზე გურამ დონაძეს ესაუბრა.**

**– გურამ, თუ შეგიძლია, მითხრა, რა კითხვები ჰქონდა გამოძიებას შენთან?**

– სავარაუდოდ, გამოძიებას ვიღაცამ განუცხადა, რომ მე მოვახდინე გადაღების ინსცენირება. ეს გამოაცხადა 6 საათზე პროკურატურამ საგანგებო ბრიფინგზე. ზუსტად ამ პერიოდში მე ვიყავი დაკითხვაზე, თუმცა გამოძიებას არ დაუსვამს შეკითხვები რაიმე ინსცენირებასთან დაკავშირებით. მე მკითხეს, რატომ მივედი შემთხვევის ადგილზე და რას ვაკეთებდი იქ, რაზეც განვმარტე, რომ შსს-ს პრესსამსახურის ხელმძღვანელი ვალდებული იყო, თითოეულ ასეთ შეტყობინებაზე გასულიყო შემთხვევის ადგილზე, ოპერატორისა და ჟურნალისტის ჯგუფთან ერთად. როდესაც მივედი ნავთლუღის ტერიტორიაზე, სიტუაცია უკვე დასრულებული იყო. დავინახე პოლიციის ბევრი თანამშრომელი, იქვე იყო დათა ახალაია, რომელსაც ვკითხე, რა მოხდა. მან მიმიყვანა გარდაცვლილებთან და მითხრა, რომ ესენი იყვნენ პირები, რომლებიც რუსთავის ციხეზე თავდასხმას აპირებდნენ. მახსოვს მისი ნათქვამი, რომ ეს პირები აპირებდნენ სასწრაფო დახმარების ექიმების აყვანას, ციხეში ამ გზით შეღწევას და იქიდან პატიმრების გაქცევის ორგანიზებას. ადგილზე მართლაც მძიმე სურათი იყო, სისხლის გუბეები, გარდაცვლილი ადამიანები... იმ ადგილს მალევე მოვცილდით, ჩავიწიეთ მეტროს მხარეს. ვკითხე დათას, უნდა გადამეღო თუ არა ეს ყველაფერი. მან მითხრა, რომ არა, რადგან კუდ-ის ოპერატორს უკვე გადაღებული ჰქონდა. მაშინ კუდ-ს ჰყავდა სპეციალური ოპერატორი, რომელიც იღებდა ასეთ შემთხვევებს. შემიძლია მისი ამოცნობაც, უბრალოდ, სახელი და გვარი არ მახსოვს. მე ვკითხე, მომცემდა თუ არა ჩანაწერს კუდ-ის ოპერატორი, რაზეც დათამ მიპასუხა, რომ არ მეჩქარა. ნებისმიერ შემთხვევაში ეს მისი გადასაწყვეტი იყო. ძალიან ხშირად ხდებოდა, რომ პრესცენტრი ვერ იღებდა მასალას, ვერ ხერხდებოდა მასალის სწრაფად და ოპერატიულად გავრცელება იმიტომ, რომ გამოძიებისთვის ხელი არ შეეშალა, ან რამე არ გაეფუჭებინა ინფორმაციის ოპერატიულ გავრცელებას. რა თქმა უნდა, არ გამიწევია წინააღმდეგობა და ვერც გავუწევდი, რადგან დათა ახალაია ხელმძღვანელი პირი იყო და პრესცენტრი ხელმძღვანელ პირს ემორჩილებოდა.

**– ანუ ეს ჩანაწერი არ გადმოგცეს?**

– გეტყვი, რა ხდება უკვე მეორე დღეს. მე მომიტანეს უკვე გამზადებული სიდიჩანაწერი, თავის კრებსთან ერთად, რომელიც გავავრცელეთ. თუმცა მანამდე, მეორე კურიერს ვუყურებ, სადაც ვხედავ, ნანა ლეჟავას პირდაპირ ჩართვას ნავთლუღიდან. გამიკვირდა, რადგან ის აჩვენებდა ოპერატიულ კადრებს, დეტალურად ყვებოდა ოპერაციის შესახებ. ეს ხდება მაშინ, როდესაც მე ჯერ არც კი გამივრცელებია მასალა. დავურეკე ლეჟავას და ვკითხე, საიდან იცი ეს ინფორმაცია, რადგან ჩვენ ვაპირებთ დეტალურად გავრცელებას და რაიმე შეცდომა რომ არ დაუშვათ-თქო. ლეჟავამ მიპასუხა, მე მოდულიდან მომაწოდეს ინფორმაცია, მასალაც მაქვს სრულად და შენი დახმარება აღარ მჭირდებაო. მახსოვს მაშინ დამირეკეს სხვა ტელეკომპანიების პროდიუსერებმა და მისაყვედურეს, რატომ ხდებოდა ექსკლუზივის მიცემა „რუსთავის 2“-ისთვის. მე მათ ავუხსენი, რომ ეს „კურიერმა“ საკუთარი წყაროებით მოიპოვა. შემდეგ დავრეკე ხელმძღვანელობასთან და ვუთხარი, რომ დაუყოვნებლივ მოეწოდებინათ კადრები ტელევიზიებში გასავრცელებლად. ამის შემდეგ მომივიდა ეს კადრები შესაბამის ინფორმაციასთან ერთად და მე დავუგზავნე აბსოლუტურად ყველა ტელეკომპანიას. მოგვიანებით, ქალბატონმა ლეჟავამ გამოაცხო საგამოძიებო ფილმი და გამოიყენა შავი მასალა, რომელიც გადაღებულია კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის მიერ. ძალიან მაინტერესებს, ეს შავი მასალა ვინ და რა მიზნით მიუტანა ლეჟავას, რატომ გადამონტაჟდა ისე, რომ საზოგადოება მოეწამლათ დამახინჯებული ინფორმაციით.







## „ამ საქმეზე საგამოძიებო უწყება საკმაოდ კარგად არის მომზადებული და მათ დამისვეს ნამდვილად პროფესიონალური კითხვები“



**– რას გულისხმობ დამახინჯებულ ინფორმაციაში?**

– კადრებში ჩანს, რომ მე ვდგავარ დათა ახალაიას წინ და ვიცინით. ეს არის სულ სხვა ადგილი, სხვა დრო და სხვა ვითარება. იმ დროს ჩვენ მოცილებული ვიყავით შემთხვევის ადგილს, დათა ყვებოდა რაღაც ისტორიას, რომელზეც უბრალოდ არ გამეცინა, მან მითხრა, რატომ არ გაგეცინაო და ავტომატით გამეხუმრა, – ახლა შენ გესვრი ფეხებში, თუ არ გაგეცინებაო. ეს იყო ჩვეულებრივი ხუმრობა, რომელიც არ მწყენია და ამის შემდეგ გამეცინა. ნანა ლეჟავამ საზოგადოების მოწამვლის მიზნით ისე დაამონტაჟა ეს ყველაფერი, რომ პირდაპირ გვამების შემდეგ ჩასვა ეს სიცილის კადრები და ამ ყველაფერს დაარქვა, რომ დათა ახალაია და გურამ დონაძე კმაყოფილები არიან. ამაზე მე შემაქვს სარჩელი და მოუწევთ დადასტურება საკუთარი სიტყვების. მას მოუწევს დაამტკიცოს, რომ მე ვდგავარ გვამებზე და თან კმაყოფილი ვარ ამით. წინააღმდეგ შემთხვევაში აანაზღაურებს მორალურ ზიანს, რაც მე მომაყენა ამ ხნის განმავლობაში.

**– წელან აღნიშნე, რომ სპეცოპერაციის ჩანაწერი კუდ-იდან მეორე დღეს მოგაწოდეს... ეს უკვე დამონტაჟებული მასალა იყო?**

– რა თქმა უნდა, ეს იყო გამზადებული და დამონტაჟებული მასალა, რომელიც უცვლელად გავავრცელეთ. რაც შეეხება კადრებს, რომელიც ლეჟავამ ატრიალა, ეს იყო საიდუმლო ოპერატიული კადრები. უკეთესი იქნებოდა, დათა ახალაიას თავის დროზე გამოეძიებინა, როგორ აღმოჩნდა კუდ-იდან შავი კადრები ლეჟავას ხელში.. ახლა დათა ახალაიამ თავის თავს დააბრალოს ის, რომ ეს არ გააკეთა.

**– დაკითხვის შემდეგ აღნიშნე, რომ პროკურატურას აქვს სერიოზული მტკიცებულებები. რას გულისხმობ?**

– დიახ, დამრჩა შთაბეჭდილება, რომ პროკურატურას აქვს სავსებით მყარი მტკიცებულებები. მომეჩვენა, რომ ამ საქმეზე საგამოძიებო უწყება საკმაოდ კარგად არის მომზადებული და მათ დამისვეს ნამდვილად პროფესიონალური კითხვები. რაზეც ადეკვატური პასუხები გავეცი, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ პროკურატურა შეძლებს სასამართლოს დარწმუნებას თავის პოზიციაში. შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ქალაქის პროკურატურას აქვს სერიოზული მტკიცებულებები, რამდენად უტყუარია ეს მტკიცებულები, სასამართლოზე გამოჩნდება. მაგალითად, ზუსტად იციან, როდის მივედი და წამოვედი, როდის და სად გავიცინე, ჩანაწერი რომ არ გადმომცეს და ასეთი დეტალები მათთვის უკვე ცნობილი იყო. სწორედ ეს მაძლევს საფუძველს ვარაუდის, რომ პროკურატურას აქვს მტკიცებულებები.

**– ბოლოს, მოდი, პირდაპირ გკითხავ... შენი ინფორმაციით, იმ დღეს კუდ-ის მაღალჩინოსნების მხრიდან იყო თუ არა დანაშაული ჩადენილი?**

– მე რომ ამაზე პასუხი გაგცე, ანგარიშვალდებულება მიჩნდება არა მარტო პროკურატურის, არამედ კონკრეტული ადამიანების ბედის წინაშე. ამისთვის არსებობს საგამოძიებო უწყება და კიდევ ერთხელ ვიტყვი – ძალიან მიხარია, რომ ყველაფერს თავისი სახელი ერქმევა.

**P.S. „პრაიმტაიმი“ შეეცადა ამ თემაზე ნანა ლეჟავას მოსაზრებაც მოესმინა, თუმცა მასთან დაკავშირება ვერ მოხერხდა. „ტვ3“-ში კი, სადაც ის საინფორმაციო გადაცემის წამყვანია, განგვიმარტეს, რომ ჟურნალისტი ამ საკითხზე კომენტარს არ აკეთებს.**

## „დათა ყვებოდა რაღაც ისტორიას, რომელზეც უბრალოდ არ გამეცინა, მან მითხრა: ახლა შენ გესვრი ფეხებში, თუ არ გაგეცინებაო... ეს იყო ჩვეულებრივი ხუმრობა, რომელიც არ მწყენია და ამის შემდეგ გამეცინა“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# EXCLUSIVE ინტერვიუ

# გახდება თუ არა საჯარო შს მინისტრის #0014 საიდუმლო ბრძანება?

**my View**
**მირიან ბოქოლიშვილი**

**არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წამოწყებულმა კამპანიამ „ეს შენ გეხება, ისევ გვისმენენ!“, საზოგადოებაში გააჩინა კითხვები, რა შეიცვალა ქვეყანაში ფარული მიყურადების კუთხით? კანონიერად ხდება თუ არა მოსმენები და ე.წ. სატელეფონო „შიშინი“ ნიშნავს თუ არა, რომ გვისმენენ? სამოქალაქო სექტორი უფრო მეტ საკანონმდებლო გარანტიას ითხოვს და აცხადებს, რომ საგამოძიებო უწყებებს მხოლოდ სიტყვაზე არ უნდა ვენდოთ. შინაგან საქმეთა სამინისტრო „ენჯეოების“ მიერ გამოთქმულ შეშფოთებას არ იზიარებს და განმარტავს, რომ ცვლილებები, რომელსაც ზემოხსენებული კამპანიის ინიციატორები ითხოვენ, შესაძლოა, სახელმწიფო უსაფრთხოებისთვის იყოს საზიანო.**

**მოკლედ, გრძელდება თუ არა უკანონო მიყურადებისა და მოსმენის მანკიერი პრაქტიკა? ამის გარკვევას შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ლევან იზორიასთან შევეცადეთ.**

**– ბატონო ლევან, სანამ დღევანდელ სიტუაციას განვიხილავთ, მოდით, მოკლედ შევაფასოთ, წინა პერიოდში რა მეთოდებით ხდებოდა უკანონო მიყურადებები?**

– შემიძლია, გაჩვენოთ უკანონო მიყურადებისა და ფარული ჩანაწერების საკითხებზე მომუშავე დროებითი კომისიის ანგარიში, რომელიც 31 იანვარს გამოქვეყნდა. ამ კომისიის შექმნის ინიციატივა მოდიოდა უშუალოდ შს იმდროინდელი მინისტრისგან, ირაკლი ღარიბაშვილისგან. სამუშაო ჯგუფში ჩავრთეთ სამოქალაქო სექტორი. საუბარია 28 ათას 687 ათას ფაილზე. ოთხი თვის შემდეგ დაიდო საბოლოო ანგარიში. აღმოჩნდა, რომ ყველა ეს ფაილი, ერთი გამონაკლისის გარეშეც კი ყოველგვარი კანონიერი საფუძვლის გარეშე იყო განხორციელებული. მიყურადება ხდებოდა სახლებში, სასტუმროებში, ოფისებში და უკანონო თვალთვალის ქვეშ იყო თითქმის ყველა ცნობადი სახე. ის ფაილები, რომელიც ინტიმურ სცენებს შეიცავდა, როგორც მოგეხსენებათ, ორ ეტაპად განადგურდა, დანარჩენი ნაწილი კი გადაეცა პროკურატურას. რაც ყველაზე მთავარია, კომისიამ შეიმუშავა რეკომენდაციები, სადაც ჩაიწერა, რომ მნიშვნელოვანია შიდა და გარე კონტროლის მექანიზმების დახვეწა, რადგან შეიზღუდოს ხელისუფლების მოქმედებები, ბოროტად რომ არ გამოიყენოს პირადი ცხოვრების შეზღუდვის უფლება.

**– და რა გაკეთდა ამ მექანიზმების შეზღუდვის მიზნით?**

– მოგახსენებთ. ის სუბიექტები, ვინც ახლა ამბობენ, რომ „ისევ გვისმენენ“, მათ კარგად შეეძლოთ ამ განხილვების პროცესში, სადაც საათობით ვსაუბრობდით, გაეჟღერებინათ ეს პრეტენზია. ეთქვათ, რომ აქვთ საფუძვლიანი ვარაუდი, რომ ისევ უსმენენ. მათ ამ კომისიის ფარგლებში ეს საკითხი არ წამოუჭრიათ, არადა ამის საშუალება ჰქონდათ. ქალბატონი ეკა გიგაური ამბობს, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედებები უნდა ხდებოდეს მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის დროს და იქვე ირწმუნება, რომ ეს არის საერთაშორისო სტანდარტი. ჩვენ დიდ კატასტროფას ვერ ვხედავთ, რომ კონკრეტულად სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში გავწეროთ, რომელ დანაშაულებზე უნდა გავრცელდეს ფარული მოსმენა-მიყურადება. პირიქით, მივესალმებით ამ ინიციატივას, მაგრამ რეგულაციის მიღმა არ უნდა დარჩეს უსაფრთხოების სამსახურები, რომლებიც საერთოდ არ ახორციელებენ საგამოძიებო მოქმედებებს, მაგალითად, დაზვერვის სამსახური, უშიშროების დანაყოფები... თუ ჩვენ მთლიანად უარს ვიტყვით ფარულ მიყურადებაზე და მოსმენაზე ოპერატიული-სამძებრო სამუშაოების შესახებ კანონში და გადაგვაქვს მხოლოდ საგამოძიებო მოქმედებებისთვის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, არასწორია. მხოლოდ საგამოძიებო მოქმედებებისთვის ფარული მიყურადების გამოყენება სერიოზულ რისკებს შეიცავს.

**– ანუ გინდათ თქვათ, რომ ეს ინიციატივა უარყოფითად აისახება ქვეყნის უსაფრთხოებაზე?**

– რა თქმა უნდა, ამან შესაძლოა, უსაფრთხოების სამსახურების სრული პარალიზება გამოიწვიოს. არასწორია მიდგომა, რომ მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულების დროს არის დასაშვები ფარული მიყურადება. კი ბატონო, მთელ მსოფლიოში ეს გამოიყენება კრიმინალთან ბრძოლის თვალსაზრისით, მაგრამ როდესაც უსაფრთხოების სამსახურები მუშაობენ სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო მიზნებისთვის, არ შეიძლება მათ ეს შეზღუდვა დაუწესდეთ, ეს სერიოზულად აზარალებს სახელმწიფო უსაფრთხოებას. ამ შემთხვევაში საუბარია არა ჩადენილ დანაშაულზე, არამედ პრევენციულ ღონისძიებებზე, რათა საფრთხე არ შეექმნას სახელმწიფოს და მის ინტერესებს. შემიძლია, გაგაცნოთ სხვა ქვეყნების კანონმდებლობაც, მაგალითად, გერმანიაში არის სამი კანონი, რომელიც ფარულ მიყურადებას ეხება: პოლიციის კანონი, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი და მიმოწერის, საფოსტო გზავნილებისა და შეტყობინებების საიდუმლოების შეზღუდვის შესახებ კანონი. პირველი კანონი ეხება მხოლოდ პოლიციასა და მის პრევენციულ მოქმედებებს. ანუ ეს კანონი პოლიციას აძლევს შესაძლებლობას დანაშაულის ჩადენამდე, ანუ საფუძვლიანი ეჭვის შემთხვევაში განახორციელოს ფარული მიყურადება. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში კი უკვე კონკრეტული დანაშაულებია განსაზღვრული, რომლის არსებობის შემთხვევაშიც ხდება მიყურადება, მესამე კანონი კი ეხება სახელმწიფო უსაფრთხოების სექტორს. ამ შემთხვევაში, გერმანიის უსაფრთხოების სამსახურებს შესაძლებლობა აქვთ, თვითონ გადაწყვიტონ, ყოველგვარი ნებართვის გარეშე განახორციელონ თუ არა ფარული მიყურადება და მოსმენა პრევენციის მიზნით. ჩვენთან სტანდარტი სხვანაირია და ნებისმიერი მიყურადება ხდება სასამართლოს ნებართვის საფუძველზე. თუ ჩვენ აქცენტს გავაკეთებთ, მხოლოდ საგამოძიებო მოქმედებებზე, რეგულაციის გარეშე გვრჩება უსაფრთხოების საკითხები, რაც სერიოზულ პრობლემებს წარმოშობს. საქართველო გეოგრაფიული კუთხით სპეციფიკურ რეგიონში იმყოფება, მით უმეტეს ტერიტორიების 20 პროცენტი ოკუპირებულია და შესაბამისად, არსებობს ბევრი გამოწვევა. აქედან გამომდინარე, შესაბამისი სამსახურები ყველა კანონიერ საშუალებას უნდა ფლობდნენ, რომ ამ გამოწვევებს გაუმკლავდნენ.

**– გარდა საკანონმდებლო რეგულაციებისა, რა არის თქვენი მთავარი არგუმენტი პრაქტიკული თვალსაზრისით? რით გვარწმუნებთ, რომ უკანონოდ აღარ უსმენთ ადამიანებს?**

– სატელევიზიო განხილვის დროს საზოგადოებამაც, მე ვფიქრობ, ნათლად დაინახა, რომ ამ არასამთავრობოებს გართულება აქვთ არა იმდენად პრაქტიკაზე, არამედ იმაზე, რატომ არ ხდება დაუყოვნებლივ მათ მიერ ინიცირებული რეგულაციების განხილვა. ოპერატიული სამძებრო საქმიანობის შესახებ კანონში წერია, რომ შესაბამის ორგანოებს აქვთ მუდმივი მიბმა პროვაიდერებთან, მათ საზოგადოებას ისე მიაწოდეს ინფორმაცია, რომ ეს სერვერები არის ე.წ. შავი ყუთები და თურმე ავტომატურ რეჟიმში, ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლისა და მოსამართლის ბრძანების გარეშე ხდება წვდომა ამ შავ ყუთებთან. თუკი ეს წვდომა არ იქნება, მაშინ გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში როგორ მოხდება ინფორმაციის მიღება, თვითონ პროვაიდერი დაურეკავს ოპერატიულ ორგანოებს, ფოსტით მიაწვდის ინფორმაციას თუ როგორ? უბრალოდ, აბსურდია. გარდა ამისა, ვერც გავიზიარებთ მიდგომას, რომ კერძო სუბიექტს, ამ შემთხვევაში პროვაიდერს, ჰქონდეს დაშვება ინფორმაციაზე, რომელიც ხშირ შემთხვევაში საიდუმლო ინფორმაციაა. ცხადია, ესეც არასწორია. როდესაც ევროპულ პრაქტიკაზე საუბრობენ, იგივე გერმანიის კანონმდებლობა პროვაიდერებს ავალდებულებს, არათუ დაუშვან პირდაპირი წვდომა შესაბამისი ორგანოების, არამედ თავადვე უზრუნველყონ საჭირო ტექნიკური აღჭურვილობა, რათა ეს წვდომა შესაძლებელი იყოს ოპერატიული და საგამოძიებო ორგანოებისთვის. თუ კანონმდებლობიდან ამოვიღებთ „მუდმივი მიერთების“ რეგულაციას, მაშინ ჩნდება კითხვა – როგორ უნდა გადმოგვცენ ჩვენ ინფორმაცია, ფოსტით? „ესემესით“ თუ როგორ? ასე არსად არ ხდება.

**– რაც შეეხება ყბადაღებულ „შიშინს“... საზოგადოებას აინტერესებს ე.წ. სატელეფონო შიშინი ნიშნავს თუ არა, რომ უსმენენ?**

– ეს თემაც ცხადყოფს, რომ უკვე იუმორის დონემდე დავიდა განხილვები, ზოგადად, ფარულ მოსმენებთან დაკავშირებით. თუ ტელეფონი „შიშინებს“, ეს ხდება იმის ვარაუდის საფუძველი, რომ ვიღაც მესამე პირია ჩართული სატელეფონო კომუნიკაციაში? მინდა დავამშვიდო საზოგადოების ეს ნაწილი და ვუთხრა, რომ სატელეფონო შიშინი არავითარ კავშირში არ არის ფარულ მოსმენასთან. ასე რომ იყოს, როგორ ფიქრობთ, პოტენციურ დამნაშავეს, რომელსაც კანონიერად უსმენენ, ეს ინფორმაცია არ ექნება და მაინცდამაინც სატელეფონო კომუნიკაციას გამოიყენებს? მე მაგალითად, ასეთი არგუმენტების მოსმენის დროს მხოლოდ მეღიმება. მოკლედ, მთელმა ამ პროცესმა დამარწმუნა, რომ ამ ადამიანებმა კამპანია დაიწყეს არასწორი მესიჯით. მათი ილუზიებიდან გამომდინარე, საზოგადოებაში გააჩინეს მცდარი წარმოდგენა, რომ თითქოს ისევ გვისმენენ. ეს არის ისეთი მესიჯი, რომელიც ახდენს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიზანმიმართულ დისკრედიტაციას. ეს ადამიანები ყოველგვარ ფაქტებზე აპელაციის გარეშე ახდენენ რაღაცის დაბრალებას, პირდაპირი კვალიფიკაცია რომ მივცეთ ამ პროცესს, ეს არის ცილისწამება. ამიტომ ვამბობ, რომ, როდესაც ასეთ განცხადებებს აკეთებ, მეტი დამაჯერებლობისთვის საჭიროა მტკიცებულებები და დასაბუთებული არგუმენტები. როდესაც ეს ფაქტები არ გაქვს, ჩნდება დასკვნა, რომ მათი მთავარი წუხილი უკავშირდება მათი ინიციატივის განხილვის შეჩერებას საკანონმდებლო ორგანოში. რეალურად, პარლამენტში განხილვა შეჩერდა იმ მიზეზით, რომ საჭირო იყო კვალიფიციური და მაღალ ექსპერტულ დონეზე შედგენილი დასკვნა. ველოდებით უცხოელი ექსპერტების შეფასებას და წინასწარ ასეთი ფონის შექმნა და ასეთი დაპირისპირების გაჩენა, სრულიად უსაფუძვლოა.

**– როდესაც საუბრობენ, რომ ისევ გვისმენენ, კომპანია „ჯეოსელის“ მიერ გაკეთებულ განცხადებას იშველიებენ, რომელიც ადასტურებს, რომ ეს თემა კვლავ აქტუალურია...**

– მე გადავხედე „ჯეოსელის“ ყველა განცხადებას, თუმცა ვერსად ვერ აღმოვაჩინე კონკრეტული ბრალდების გაცხადება.

## „მინდა დავამშვიდო საზოგადოების ეს ნაწილი და ვუთხრა, რომ სატელეფონო შიშინი არავითარ კავშირში არ არის ფარულ მოსმენასთან“




© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ლევან იზორიასთან



## „ამან შესაძლოა, უსაფრთხოების სამსახურების სრული პარალიზება გამოიწვიოს“

**„ეს ადამიანები ყოველგვარ ფაქტზე აპელაციის გარეშე ახდენენ რაღაცის დაბრალებას, პირდაპირი კვალიფიკაცია რომ მივცეთ ამ პროცესს, ეს არის ცილისწამება“**

**ლევან იზორია სამოქალაქო კამპანიის ინიციატორებს შსს-ს მიზანმიმართულ დისკრედიტაციაში ადანაშაულებს**

ისინი ამბობენ, რომ ეს ყველგან მიღებული პრაქტიკაა და შესაბამისად, თანამშრომლობენ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან. „ჯეოსელი“ გამოთქვამს მზაობას, რომ, თუ მექანიზმები დაიხვეწება, ამ კუთხითაც ითანამშრომლებენ ჩვენს უწყებასთან. ეს არის და ეს. რაიმე ბრალდებისა და უკმაყოფილების ტონი მე ამ განცხადებაში ვერ შევამჩნიე.

**– წეღან შიდა კონტროლი ახსენეთ და იქნებ განგვიმარტოთ, რაში გამოიხატება ეს კონტროლი?**

– ყველა სუბიექტი და უფლებამოსილი პირი, ვინც კანონიერ საფუძველზე შეიძლება ახორციელებდეს უშუალოდ მოსმენას, შესაბამის დაცულ ტერიტორიაზე დაიშვება მხოლოდ ბიომეტრიული კონტროლის სისტემით, ანუ თითის ანაბეჭდების საშუალებით, რაც აქამდე არ არსებობდა. ფუნქციონირებს ელექტრონული ჟურნალი, სადაც დეტალურად იწერება, რა დროს რა მოქმედებები განახორციელა ამ პირმა. ზოგადად, ეს მოსმენა ხორციელდება სპეციალური ინსტრუქციებით, რომელიც დამტკიცებულია შინაგან საქმეთა მინისტრის საიდუმლო ბრძანებით. შემიძლია გითხრათ მხოლოდ ამ ბრძანების ნომერი, ეს არის # 0014 ბრძანება. ეს ინსტრუქცია დაახლოებით 150 გვერდია, სადაც დეტალურადაა გაწერილი პროცედურები. ჩვენ გვაქვს ჩვენი ხედვა და ინიციატივაც, რომლის თანახმადაც ეს რეგულაციები შესაძლოა, საკანონმდებლო დონეზე იყოს გამყარებული და ინსტრუქციების ნაწილი გახდეს საჯარო.

**– რაც შეეხება გარე კონტროლს, ეს როგორ წარმოგიდგენიათ?**

– მე წეღან აღვნიშნე, რომ კერძო სუბიექტის ჩართვა და საიდუმლოებასთან დაშვება გარკვეულ საფრთხეებთანაა დაკავშირებული. მაგალითად, რატომ უნდა იცოდეს კერძო პროვაიდერმა საიდუმლო ინფორმაცია, ხომ?! არსებობს გარე კონტროლის რამდენიმე მოდელი, მათ შორის საპარლამენტო კონტროლი, პერსონალური დაცვის ინსპექტორის მიერ კონტროლი და ა.შ. ამ შემთხვევაში პოლიტიკურად უნდა გადაწყდეს, ვინ განახორციელებს კონტროლს.

**– შესაძლებელია, ეს არასამთავრობო სექტორი იყოს?**

– არასამთავრობო სექტორი არ არის ის ინსტიტუცია, რომელმაც ამ ტიპის კონტროლი უნდა განახორციელოს. ეს არც ერთ ქვეყანაში არ ხდება.

**– ანუ ის, რომ უკანონოდ არ მოხდეს მიყურადება, მაინც კეთილ ნებაზეა დამოკიდებული?**

– რეგულაციები იმ ქვეყნებში, რომლებზეც იგივე არასამთავრობოები აპელირებენ, არ იძლევა იმის გარანტიას, რომ უკანონო მოსმენა არ განხორციელდეს, ახლო წარსულში ჩვენ ვნახეთ, რომ თურმე კანცლერსაც კი უსმენდნენ გერმანიაში. ანუ, ერთი მხრივ, აუცილებელია კარგი, გამართული კანონი და მეორე მხრივ, ჯანსაღი პრაქტიკა. დიახ, სწორედ კეთილი ნება უნდა იყოს განმსაზღვრელი კანონის აღსრულებისა. წინა ხელისუფლების დროსაც არსებობდა კანონი, რომელიც არასანქცირებულ მიყურადებასა და მოსმენას კრძალავდა, მაგრამ არ არსებობდა კეთილი ნება ამ კანონის აღსრულებისთვის. შედეგად კი მივიღეთ ის ათი ათასობით ფაილი, რომელზეც საუბრის დასაწყისში ვისაუბრეთ.

**– ოპერატიული საქმიანობის შესახებ კანონში ჩამოთვლილია იმ უწყებათა წრე, რომელთაც აქვთ ფარული მოსმენების უფლებამოსილება... ხომ არ ფიქრობთ, რომ ეს გარკვეულ რისკებს შეიცავს? იგეგმება თუ არა სხვადასხვა ძალოვანი უწყებებიდან ამ სამსახურების გამოყოფა და ერთ ცენტრალიზებულ სტრუქტურად გარდაქმნა?**

– საინტერესო კითხვაა. ახლა შეგნებულად თავს შევიკავებ კონკრეტული პასუხისგან, თუმცა ამ თემაზეც გვაქვს გარკვეული მოსაზრებები. გეთანხმები, რომ საკმაოდ საინტერესო მიდგომაა. აქვე მინდა განვმარტო, რომ, როდესაც ვსაუბრობ პოლიციის საგამოძიებო და უშიშროების ხაზით გამიჯვნაზე, ეს, ცხადია, არ გულისხმობს ინსტიტუციურ გამიჯვნას. საჯარო დისკუსიის დროს ზოგიერთმა ოპონენტმა ეს საკითხიც წამოჭრა, ამიტომ არ მინდა თქვენი მკითხველი შეცდომაში შევიყვანო. გერმანიაშიც, რომელსაც ხშირად იშველიებენ ხოლმე, როგორც მაგალითს, პოლიცია და უშიშროების სამსახური ერთი უწყების, შინაგან საქმეთა სამინისტროს ქოლგის ქვეშ ფუნქციონირებს. ერთადერთი დაზვერვაა შსს-ს გარეთ, ისევე როგორც ჩვენთან. ამიტომ როდესაც ვსაუბრობთ საკანონმდებლო გამიჯვნაზე, ცხადია, აქ არ იგულისხმება ინსტიტუციონალური გამიჯვნა.

**– თუმცა უშიშროებისა და პოლიციის გამიჯვნა იყო „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი დაპირება წინასაარჩევნოდ...**

– როდესაც საარჩევნოდ დაპირებას გასცემ, ეს არ გულისხმობს, რომ მაინცდამაინც მეორე დღესვე იქნება შესაძლებელი ამ დაპირების შესრულება. გარდა ამისა, ჩვენ ამას ვაკრიტიკებდით წინასაარჩევნო პერიოდში, იმიტომ რომ სახელმწიფო იყენებდა პოლიციასა და უშიშროების სამსახურებს პოლიტიკური მიზნებისთვის. ახლა, როდესაც მიღწეულია უწყების დეპოლიტიზება, ეს თემა ბუნებრივად არ არის აქტუალური. მთავარია, თვითონ უწყების ფარგლებში მოხდეს ფუნქციონალური გამიჯვნა, ანუ უშიშროების სამსახურებმა არ აიღონ პოლიციის ფუნქციები, ან პირიქით. როგორც გითხარით, მთელ რიგ ქვეყნებში უშიშროება და პოლიცია არის ერთი უწყების ქვეშ, ოღონდ ფუნქციონალური გამიჯვნისა და დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხის პირობებში. ამ მიმართულებით არავითარი გამოწვევა, დღეს არსებული ვითარებიდან გამომდინარე, არ არსებობს.



**„როდესაც საარჩევნოდ დაპირებას გასცემ, ეს არ გულისხმობს, რომ მაინცდამაინც მეორე დღესვე იქნება შესაძლებელი ამ დაპირების შესრულება“**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# OR BELI
ჯგუფი GROUP
# ორბელი







## ერისთავის ქ. N1
**ტელ: 2 14 75 75 / 595 60 90 13**

Ⓐ







OR BELI ჯგუფი GROUP ორბელი

**100 ლარიანი**
**ვაუჩერი ორბელისგან**

წარმოადგინეთ ორბელის მაღაზიაში და მიიღეთ 100 ლარის ფასდაკლება

**მის: ერისთავის ქ. N1 ტელ: 595 60 90 13**



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რა კავშირი აქვს სეპარატისტულ ორგანიზაცია „ჯავახკს“ კახა კუკავასთან

ქეთი ხატიაშვილი

**ის ქართულ პოლიტიკაში ერთ-ერთ ყველაზე ავანტიურისტ მოთამაშედ ითვლება. ავანტიურისტად იმიტომ, რომ ხშირად ამბობს იმას, რაც ჯერ მისმა პოლიტიკურმა პარტნიორებმაც არ იციან. მაგალითები ადრეც იყო და ახლაც არის.**

**ადრე კახა კუკავამ არ გამორიცხა, რომ ის, ეკა ბესელია და ლევან გაჩეჩილაძე ერთ პარტიას ჩამოაყალიბებდნენ.**

– არ გამოვრიცხავ, ასეც მოხდეს. არ მითქვამს, ეს კატეგორიულად გამორიცხულია-მეთქი. ამ ადამიანების ერთ პოლიტიკურ გუნდში გაერთიანება, ალბათ, ლოგიკურიც იქნება... იმიტომ, რომ ჩვენ ვართ ის რეალური ძალა, რომელსაც რადიკალურ ოპოზიციას უწოდებენ. არც „გარვიანებული“ ვართ და არც „გაექვსიანებული“, არც „ვასმიორკებით“ დავდივართ და არც ვინმეს „შესტიორკები“ ვართ. ბევრი საერთო გვაქვს, თუნდაც ის, რომ 26 მაისისა და 7 ნოემბრის დაზარალებულები ვართ და საერთო ბრძოლა გვაერთიანებს... – ეს 2011 წელს იყო.

თუმცა, ამის შესახებ არც გაჩეჩილაძემ იცოდა რამე და არც ბესელიამ. მიუხედავად იმისა, რომ კახა კუკავა ყოველთვის სარგებლობდა პოპულარობით, არც ერთი იყო თანახმა და არც მეორე – მზად.

ასეთივე ავანტიურა გაითამაშა კახამ ახლახან, როცა მოულოდნელად გამოვიდა და ექვსი პარტიის ერთობის შესახებ განაცხადა. ისიც თქვა, რომ მერობის კანდიდატი თავად იქნებოდა. მისმა განცხადებამ არასამთავრობოებში განსაკუთრებული მითქმა-მოთქმა გამოიწვია. აღმოჩნდა, რომ ასეთი ერთობა ჯერ ჰორიზონტზეც არ ჩანდა მიუხედავად იმისა, რომ ამ თემაზე კონსულტაციები მიმდინარეობდა.

როგორც ადრე, 2011 წელს, ახლაც კუკავამ ერთ კოალიციაში „მოათავსა“ ისეთი ფიგურები, როგორებიც არიან ნინო ბურჯანაძე და შალვა ნათელაშვილი.

მანამდე კახა კუკავა და ჯონდი ბაღათურია ამტკიცებდნენ, საპრეზიდენტო კანდიდატურა გვეყოლება პაატა ბურჭულაძის სახითო.

ასეთი ავანტიურები ყოველი არჩევნების წინ მხოლოდ ერთ რამეზე შეიძლება მიანიშნებდეს და მას ფინანსების მოზიდვა ჰქვია.

ვინ აფინანსებს კახა კუკავას არჩევნებიდან არჩევნებამდე?

თავად ყოველთვის კატეგორიულად უარყოფდა პრორუსულ ორბიტზე ყოფნას, თუმცა, ფაქტები მაინც სხვა რამეზე მეტყველებს. ვლადიმერ კირილის ძე ხომერიკის კავშირები კახა კუკავასთან შეუძლებელია, უბრალოდ, მეგობრული ყოფილიყო. მეტი ფინანსების მისაღებად კუკავას აქ საკუთარი განსაკუთრებული გავლენების დაფიქსირება დასჭირდებოდა. ამიტომაც სჭირდებოდა მაშინ მას გაჩეჩილაძე, ახლა ნათელაშვილი და ბურჯანაძე.

## როგორ მოძრაობდა რუსული სპეცსამსახურების ფინანსები ხომერიკი-ებრალიძიდან კუკავამდე



ვლადიმერ ხომერიკი

ვინ არის ხომერიკი? რუსეთში „ნაციონალური გაერთიანების კონგრესისა“ და „ქართველი და რუსი ხალხის ერთიანობის ფონდის“ პრეზიდენტია. ეს მისი ოფიციალური რეგალიებია. ცნობილია ისიც, რომ ის პუტინის ნდობით აღჭურვილი პირია. ვისაც ჩემი არ გჯერათ, შეგიძლიათ, თავად ხომერიკს მოუსმინოთ:

– მე ვარ ვლადიმერ პუტინის ნდობით აღჭურვილი პირი...

და იმედია, იმაში მაინც არ შეიტანთ ეჭვს, რა დავალებების შესრულება უწევთ პუტინის ნდობით აღჭურვილ პირებს საქართველოში. და საერთოდ, რა დავალებებსაც გასცემს პუტინი, ვლადიმერ ხომერიკი პირნათლად ასრულებს მას. მაშინაც შეასრულა, როცა კახა კუკავას სტუმრობდა და პრესკონფერენციაზე განაცხადა: საქართველო ანექსირებული არ არისო.

მოკლედ, რუსეთი თავისი დავალებებითა და სურვილებით ჩვენთვის ცნობილია.

ხომერიკთან ერთად კუკავა რამდენჯერმე დაფიქსირდა, მოსკოვშიც და თბილისშიც. ამბობენ, რომ სწორედ მას უნდა დაეფინანსებინა 2012 წლის აპრილის შუალედური არჩევნები. თანხაზე ვერსიები არსებობს. არასაპარლამენტო ოპოზიცია, სარჩევნო ბაზრის ფასების მიხედვით, მიიჩნევს, რომ კუკავას ეს ნახევარ მილიონზე ნაკლები არ დაუჯდებოდა. საპარლამენტო არჩევნები მილიონიდან იღებს სტარტს, შუალედური ამდენად ძვირი არ იქნებოდა, შესაბამისად, ნახევარი მილიონი დაჯდებოდა. ასეთია შავი ბაზრის „პოლიტიკური ბულალტერია“.

ასეა, შავ დაკვეთებს შავი ბულალტერია აფინანსებს.

რუსეთში ყველაფერს პუტინი აკონტროლებს. განსაკუთრებით ახლა, როცა მას საბჭოთა კავშირის აღდგენა სჭირდება. ამისთვის ათასგვარი ფონდი და ორგანიზაცია იქმნება, რომლებსაც რუსეთის სპეცსამსახურები აფინანსებენ. იქ ყველაფერში კრემლი ერევა. ეს სადავოც აღარ არის.

მათ შორისაა „მოსკოვის სახელმწიფო ურთიერთობების სახელმწიფო ინსტიტუტი“ („МГИМО“), რომელსაც საგანმანათლებლო, სამედიცინო და არასამთავრობო სექტორში იყენებენ. ანუ ფული რუსეთის სპეცსამსახურების მითითებით ხვდება „МГИМО“-ს ანგარიშებზე, ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, სხვადასხვა არასამთავრობოებსა და ფონდებს აფინანსებს, მათ შორის საქართველოში.





ამ კონტექსტში საინტერესოა, რომ შეიქმნა „გორჩაკოვის სახელობის სახალხო დიპლომატიის მხარდამჭერი ფონდი“, რომელთანაც დაკავშირებულია როგორც ხომერიკი, ისე ებრალიძე. ეს უკანასკნელი „საქართველოს ხალხთა მსოფლიო კონგრესის“ თავმჯდომარეა. ეს ფონდი არის სწორედ ის ბირთვი, რომელიც საქართველოში პრორუსული ორგანიზაციების შექმნა-ჩამოყალიბების პროცესს უწყობს ხელს. სწორედ ამ ფონთან აქვს ურთიერთობა კახა კუკავასაც. „თავისუფალი საქართველოს“ თავმჯდომარე ფონდის აღმასრულებელი დირექტორის სასტუმრო „პრიმავერეში“ შეხვედრასაც ესწრებოდა.

ფონდმა საქართველოში „რუსულ-ქართული საზოგადოებრივი ცენტრი“ ჩამოაყალიბა. მისი საბჭოს წევრად კუკავას თანაშემწე ნატალია წერეთელი დაინიშნა.

გასული წლიდან მოყოლებული „ა.მ. გორჩაკოვის სახელობის სახალხო დიპლომატიის მხარდამჭერი ფონდისა“ და „რუსულ-ქართული საზოგადოებრივი ცენტრის“ მიერ კონფერენციებიც ჩატარდა, რა თქმა უნდა, რუსული დაკვეთითა და დავალებებით. კონფერენციის ორგანიზების საკითხებშიც კუკავას თანაშემწე იყო ჩართული.

ეს ფაქტებია. თუმცა, კახა კუკავა ამბობს, რომ ფაქტი ერთია და მხოლოდ ის, რომ პარტიას არანაირი ფინანსები არ აქვს და რომ მას მოუწია ოფისების დახურვა. ყაზბეგის ქუჩაზე არსებული ოფისი კი უსასყიდლო სარგებლობაში აქვთ.

და კიდევ ერთი, არსებული ინფორმაციით, იკვეთება კახა კუკავასა და „ჯავახკს“ შორის კავშირიც. კახა კუკავა რუსეთში დაუკავშირდა ნაციონალ-სეპარატისტული ორგანიზაცია „ჯავახკის“ რუსეთის დიასპორის პრეზიდენტს აგასი არაბიანს და არჩევნებში დახმარება სთხოვა. სწორედ მისი დახმარებით უნდა გახსნილიყო ახალქალაქში „თავისუფალი საქართველოს“ წარმომადგენლობითი ოფისი“. ოფისის ხელმძღვანელის ვინაობაც უკვე ცნობილი იყო... კახა კუკავა ამ ინფორმაციას არ ადასტურებს.

რუსეთმა უკვე რამდენჯერმე დააფინანსა კუკავას კამპანია და მოლოდინებიც დიდი ჰქონდა, მაგრამ გაუცრუვდა.

**ალექსანდრე ებრალიძე არ მალავდა, რომ კახა კუკავას აფინანსებდა და მის გაპარლამენტარებასაც დიდი იმედით ელოდა:**

– ჩვენ მივიღეთ საერთო გადაწყვეტილება, რადგან მე პირადად და კონგრესის მრავალ წევრს არ გვაქვს საშუალება, პირადად მივიღოთ მონაწილეობა საქართველოს საპარლამენტო არჩევნებში, მხარს დავუჭერთ ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში „თავისუფალ საქართველოს“ და მის ლიდერს, ბატონ კახა კუკავას. ეს



მხარდაჭერა იქნება სრული, როგორც მორალური, ისე მატერიალური... „თავისუფალი საქართველო“ უნდა იყოს არჩევნების შედეგად საქართველოს პარლამენტში. ჩვენ მოხარული ვართ, რომ გვაქვს საშუალება, დავეხმაროთ და გვერდში დავუდგეთ იმ პარტიას, იმ პიროვნებებსა და პიროვნებას, რომლებიც ქართული ერის ეროვნულ ინტერესებს გამოხატავენ...

მაგრამ კახა კუკავა ვერ მოხვდა პარლამენტში. მეტიც, ის ახლა ადგილობრივ არჩევნებში ცდის ბედს და ისევ რუსული ფულით, ბურჯანაძესთან ერთად, ან უფულოდ და მარტო.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რა ავანტიურა წამოიწყეს

მარიამ ნადირაძე

**ადგილობრივ არჩევნებამდე 3 თვე რჩება...**

**გიგი უგულავა „ნაციონალური მოძრაობის“ სიის პირველი ნომერია იმ დროს, როცა ბრალი აქვს წარდგენილი. გამოძიება მას სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ორგანიზებული ჯგუფის მიერ, თბილისის განვითარების ფონდიდან, დედაქალაქის რეაბილიტაცია-განვითარებისთვის გამოყოფილი დიდი ოდენობით სახელმწიფო სახსრების გაფლანგვას ედავება. საუბარია, საერთო ჯამში, 48 მლნ ლარის გაფლანგვაზე, რომელიც არა თბილისის განვითარებას, არამედ „ნაციონალურ მოძრაობას“ მოხმარდა...**



**„არსებობდა ვერსია, რომ თბილისის განვითარების ფონდის ერთ-ერთ ანგარიშზე ირიცხებოდა საპროცესო გარიგებებით მიღებული თანხები“**

საქმე უკვე სასამართლოშია და სწორედ აქ იწყება ავანტიურა, რომლის გაშიფვრასაც „პრაიმტაიმი“ მკითხველთან ერთად შეეცდება:

უგულავას დაცვა ჩავიდა უნგრეთში, გამოკითხა ადეიშვილი და ამ ოქმის სასამართლოსგან დასაშვებ მტკიცებულებად მიღების მოთხოვნის პარალელურად მისი შინაარსი გაასაჯაროა კიდეც. ადეიშვილი გიგი უგულავას ბრალს მთლიანად საკუთარ თავზე იღებს: „2012 წლის საპარლამენტო არჩევნების მოახლოებასთან ერთად იზრდებოდა საარჩევნო კამპანიის დაფინანსების საკითხის აქტუალობა. დაფინანსების საკითხზე ზრუნვა დავიწყე 2011 წლის მეორე ნახევრიდან. რამდენადაც თბილისი წარმოადგენდა საარჩევნო თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვან რეგიონს, თბილისის პარტიული ორგანიზაციის დაფინანსება მიმაჩნდა პირველი რიგის ამოცანად. გადავწყვიტე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თბილისის ორგანიზაციის უბნის უფროსებისთვის და კოორდინატორების დაფინანსებისთვის ყოფილიყო გამოყენებული „თბილისის განვითარების ფონდის სახსრები“. 2011 წლის შემოდგომაზე (დიდი დროის გასვლის გამო ზუსტ თარიღს ვერ ვიხსენებ) შევხვდი „თბილისის განვითარების ფონდის“ თავმჯდომარე გიორგი საბანაძეს, რომელთანაც დიდი ხნის ნაცნობობა მაკავშირებს. მას ვუთხარი, რომ „თბილისის განვითარების ფონდის“ სახსრებიდან მოეხდინა „ნაციონალური მოძრაობის“ თბილისის ორგანიზაციის დაფინანსება. ამასთანავე, გავაფრთხილე, რომ ამის შესახებ არავისთვის ეთქვა. მე გიორგი საბანაძისგან მივიღე თანხმობა და მან გამოთქვა მზადყოფნა, ჩემი შეთავაზებისამებრ, განეხორციელებინა „ნაციონალური მოძრაობის“ თბილისის ორგანიზაციის დაფინანსება. ამავე დროს, მინდა აღვნიშნო, რომ ამ თემაზე მე გიგი უგულავასთან არასოდეს არ მქონია საუბარია“, – წერს ადეიშვილი.

ამ ერთგვარმა აღიარებამ წარმოშვა კითხვები – რატომ გადაწყვიტა ადეიშვილმა გიგი უგულავას „დანაშაულის“ საკუთარ თავზე აღება?

რატომ იძლევა განმარტებას მხოლოდ ამ თემაზე, როცა სამართალდამცველები მისგან სხვა კიდევ ბევრ საკითხზე ელიან განმარტებებს?..

პასუხი მარტივია – ნაციონალური გუნდის ინტერესებში დღეს გიგი უგულავას „გადარჩენაა“ ნომერი პირველი ამოცანა და მისი გამოკითხვაც უგულავას დაცვის ინიციატივით და არა პროკურატურის ძალისხმევით მოხდა. შესაბამისად, გარკვეული ჩანაფიქრი რომ არსებობს, უდავოა, თუმცა, რა ხერხებით აპირებს „ნაციონალური მოძრაობა“ მის მიღწევას, ამის ახსნას ამ წერტილიდან შევუდგებით.

აქვე შენიშვნის სახით შეგახსენებთ, რომ ადეიშვილს, რომელზე ძებნაც წითელი ცირკულარით არის გამოცხადებული, უნგრეთში პოლიტიკური თავშესაფარი აქვს მიღებული...

**„მე რომ ვიყო მოსამართლე, მცირედი ეჭვის გამოსარიცხადაც კი, ყველა შესაძლო ვერსიის გამოსარიცხად, დავთანხმდებოდი ჩვენების მიღებას ადეიშვილისგან. ამით ბრალდების მხარესაც მივცემდი ადეიშვილის დაკითხვის საშუალებას“**

სანამ იურიდიული ნიუანსების გაშიფვრას შევუდგებოდეთ, რომელშიც შეიძლება მთავარი ინტრიგა იმალებოდეს, გამოკითხვის ოქმის შინაარსთან დაკავშირებით **„პრაიმტაიმმა“ კომენტარი საკრებულოს დეპუტატს, ზაზა გაბუნიას სთხოვა, ვინაიდან ის უკვე რამდენიმე თვეა ითხოვს „თბილისის განვითარების ფონდის“ საქმეზე ადეიშვილის დაკითხვას:**

**„რა იყო რეალურად ეს ფონდი – მართლაც უწყინარი ინსტიტუცია, რომლის ფუნქციაა ქალაქის განვითარება, თუ იყო შირმა და მის მიღმა ვიღაც თავის ფინანსურ ამოცანებს იკმაყოფილებდა“**

– არსებობდა გარკვეული ინფორმაცია, რომელიც მე, როგორც საკრებულოს წევრმა მივიღე: არსებობდა ვერსია, რომ თბილისის განვითარების ფონდის ერთ-ერთ ანგარიშზე ირიცხებოდა საპროცესო გარიგებებით მიღებული თანხები. ეს არის მხოლოდ ინფორმაცია და საჭიროა ბოლომდე გაირკვეს, რა იყო რეალურად ეს ფონდი – მართლაც უწყინარი ინსტიტუცია, რომლის ფუნქციაა ქალაქის განვითარება (რომლის მხარდაჭერითაც ქალაქში განვითარებული არაფერი გვინახავს), თუ იყო შირმა და მის მიღმა ვიღაც თავის ფინანსურ ამოცანებს იკმაყოფილებდა ამ ფონდის საშუალებით. ეს არის ის, რაც მე, როგორც პოლიტიკოსმა, განცხადების სახით გავაკეთე, თუმცა ამას, რა თქმა უნდა, სჭირდება გამოძიება.

**– ფული რომ ფონდში შედიოდა, ამაში კრიმინალს ხედავთ?**

– ამ კვალიფიკაციას იძლევა სასამართლო. თუ დადასტურდება, რომ საპროცესო გარიგებებიდან შემოსული თანხა ისეთი ორგანიზაციის ანგარიშზე ირიცხებოდა, რომელსაც არავითარი შეხება არ აქვს საპროცესო გარიგებებთან და მისი ფუნქცია თბილისის განვითარებაზე ზრუნვაა, რა თქმა უნდა, ასეთი თანხა იქ არ უნდა ირიცხებოდეს. მოდით, მე არ გავუსწრებ მოვლენებს და ვნახოთ, რას იტყვის სასამართლო. რაც შეეხება იმას, რომ ზურაბ ადეიშვილი ყველაფერს საკუთარ თავზე იღებს, ეს ვერსია არადამაჯერებლად გამოიყურება. რამდენად მაღალი ჩინის მქონე პირსაც არ უნდა ეთქვა, ფონდის ხელმძღვანელისთვის პარტიის სასარგებლოდ თანხა გადაერიცხა, ყველა შემთხვევაში ეს უკანონობაა, ვინაიდან ფონდი იმართებოდა თბილისის ბიუჯეტიდან... მეეჭვება, რომ უგულავამ რამე არ იცოდა. ძალიან მიამიტი უნდა იყო, ეს რომ დაიჯერო. მაგრამ მთავარი ის არ არის, მე რისი მჯერა, მთავარია, რას გაიზიარებს სასამართლო. უგულავას გავლენა ცდებოდა მერიისა და „ნაციონალური მოძრაობის“ თბილისის ორგანიზაციის ფარგლებს. ამიტომ ვერაფრით დავიჯერებ, რომ მან რამე არ იცოდა, ეძინა და მის ზურგს უკან ხდებოდა ეს პროცესები.

გასაგებია, რომ უგულავას დაცვის მხარის მთავარი მიზანი ყოფილი მერის გამართლებაა. თუმცა მხოლოდ ადეიშვილის ვერსიის იმ-



ლევან ალაფიშვილი

**„უნგრეთის მხარე ადეიშვილს ვერ დააკავებს – იქ დანაშაული არ ჩაუდნია და იმ ქვეყნის სამართალდამცავი ორგანო მას არ დევნის...“**



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# უგულავამ და ადეიშვილმა?

ედზე ამის მიღწევა რეალურად მხოლოდ ჰიპოთეზაა. როცა ამას ვაცხადებთ, ამის არგუმენტები კოდექსებში მოვიძიეთ, რომლის დაწვრილებით გაშიფვრით მკითხველს თავს ვერ შევაწყენთ. ამიტომაც ჩნდება ეჭვი, რომ ახალი ავანტიურა სულ სხვა შედეგზე შეიძლება იყოს გათვლილი და თუ რატომ, – ექსპერტთან ინტერვიუმდე აგიხსნით, ვინაიდან ექსპერტის არგუმენტები უფრო გასაგები აღმოჩნდეს მკითხველისთვის.

დავიწყოთ იმით, რომ გამოკითხვა, რომელიც ნამდვილად არის საგამოძიებო ქმედება, ვერ გამოდგება მტკიცებულებად, ვინაიდან კოდექსში მტკიცებულებათა ჩამონათვალში მოინიშნება დაკითხვა და არა გამოკითხვა. დაკითხვის დროს ხდება მოწმის იდენტიფიკაცია, მისი შერაცხადობის დადგენა, გაფრთხილება ცრუ ჩვენებაზე და ა.შ. ასეთი რამ კი გამოკითხვის დროს არ მოითხოვება. ამდენად, როდესაც უგულავას დაცვა სასამართლოს წინაშე აყენებს შუამდგომლობას იმის თაობაზე, რომ გამოკითხვის ოქმი მიიღოს მან დასაშვებ მტკიცებულებად, მას თავშივე უნდა ჰქონდეს გათვლილი მოსალოდნელი უარი, მით უმეტეს, რომ გიგი უგულავას ინტერესებს დღეს გამოცდილი ყოფილი პროკურორი, გიზო უგულავა იცავს... რაკი პასუხი მისთვის წინასწარ უნდა იყოს ცნობილი, გამოდის, რომ ამ შემთხვევაში გათვლა მხოლოდ საქმის პოლიტიკურ შედეგზეა – მათ საშუალება მიეცემათ, კიდევ ერთხელ ახმაურდნენ, რომ ხელისუფლება მათ გუნდს პოლიტიკურად დევნის...

თუმცა, როგორც ჩანს, დაცვის სტრატეგია მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება: იქვე უგულავას დაცვამ სასამართლოსგან მოითხოვა ადეიშვილი მოწმედ მიიღოს და მისი დაკითხვა მოხდეს ტექნიკური საშუალების (ვთქვათ, სკაიპის) გამოყენებით, ასეთ ხერხს კანონი, ცხადია, ცნობს. თუმცა კოდექსში არის ასეთი პრინციპი – უშუალობის, რაც ამ შემთხვევაში გულისხმობს, რომ გამოძიების მწარმოებელმა სუბიექტმა უნდა დაადგინოს ადეიშვილის შერაცხადობა, გააფრთხილოს ცრუ ჩვენებაზე და ა.შ. ამას კი ძებნილი ადეიშვილის მიმართ გამოძიება ვერ ახერხებს. დაუშვებელი მტკიცებულების თავში კი წერია, რომ თუ დადგენილი წესით მტკიცებულებათა მოპოვების დროს არ იქნა დაცული კანონის მოთხოვნები, შესაბამისად, ეს მტკიცებულება ცხადდება იურიდიული ძალის არმქონედ და არ დაერთვის სისხლის სამართლის საქმეს. თუ ამ ლოგიკას გაჰყვება სასამართლო და უარს იტყვის ადეიშვილის დაკითხვაზე, ადვილი წარმოსადგენია, რა შეიძლება მოხდეს.

**ახლა კი საქმეში ექსპერტს ჩავრთავთ და „პრაიმტაიმი“ მკითხველს ლევან ალაფიშვილთან ინტერვიუს შესთავაზებს:**

– მე რომ ვიყო მოსამართლე, მცირედი ეჭვის გამოსარიცხადაც კი, ყველა შესაძლო ვერსიის გამოსარიცხად, დავთანხმდებოდი ჩვენების მიღებას ადეიშვილისგან. ამით ბრალდების მხარესაც მივცემდი ადეიშვილის დაკითხვის საშუალებას. მაგრამ ეს მხოლოდ ჩემი მოსაზრებაა.

**– ძებნილის სტატუსი არ შეუშლის ამას ხელს?**

– არავითარ შემთხვევაში. ის სხვა საქმეზე იძებნება...

**– როდესაც ცნობილია, რომ დაკითხვისას მან, ფაქტობრივად, უნდა აღიაროს დანაშაული, ამ დროს კი წითელი ცირკულარით იძებნება, შესაძლებელია მისი დაკავება?**

– უნგრეთის მხარე ადეიშვილს ვერ დააკავებს – იქ დანაშაული არ ჩაუდნია და იმ ქვეყნის სამართალდამცავი ორგანო მას არ დევნის...

**– რა გათვლა აქვს უგულავას დაცვას?**

– ის, რომ ადეიშვილი იბრალებს ყველაფერს, ახალი ვერსია, რომელიც საჯაროდ არ გაჟღერებულა. აქ გათვლა ტაქტიკურ თამაშზეა. ორი ვარიანტია, სასამართლო დაცვის შუამდგომლობას ან აკმაყოფილებს, ან – არა. თუ არ დააკმაყოფილებს, იარსებებს ეჭვი, რომელიც გამოძიების პროცესში არ გამორიცხულა. ამ შემთხვევაში კი კანონით ეჭვი ბრალდებულის სასარგებლოდ წყდება. თუ დააკმაყოფილებს და დაკითხვას გადაწყვეტს, მაშინ ბრალდებას წარმოეშვება ვალდებულება, რომ ხელახლა აწარმოოს გამოძიება ამ ვერსიის დასადასტურებლად, ან გამოსარიცხად.

ვფიქრობთ, მკითხველისთვის ახლა ნათელი უნდა იყოს, რაზე თვლის უგულავა და ადეიშვილი. ნებისმიერი შედეგი მათ წისქვილზე ასხამს წყალს. შესაბამისად, მთავარი ამოცანაც გადაჭრილია, რომლის შესახებაც სტატიის დასაწყისში ვსაუბრობდით – გიგი უგულავა ადგილობრივი არჩევნების დროს არც ერთ შემთხვევაში არ იქნება სასჯელდადებული. რაც შეეხება ადეიშვილს, მას ასეთი „აღიარებისთვის“ პასუხს მაინც არავინ მოსთხოვს...

**რა თქმა უნდა, წესი მოითხოვს, რომ არსებული ეჭვები გიზო უგულავასაც გავუზიაროთ, რომლისგანაც, რა თქმა უნდა, არ ველით გულწრფელ „აღიარებას“ და ტაქტიკური თამაშის გაშიფვრას, მაგრამ რაკი ობიექტურობის პრინციპი უნდა დავიცვათ, მკითხველს მის პოზიციასაც შევთავაზებთ:**

**– თქვენ ხომ კარგად იცით, რომ გამოკითხვის ოქმს დასაშვებ მტკიცებულებად ვერ მიიღებს სასამართლო. რატომ დააყენეთ ასეთი შუამდგომლობა?**

– ეს არის ინფორმაცია, რის თაობაზეც უნდა დაიკითხოს ზურაბ ადეიშვილი...

**– მაგრამ არა მტკიცებულება, ასე არ არის?**

– სასამართლოსთვის ცნობილი უნდა იყოს, რა თემასთან დაკავშირებით გამოიკითხება ადეიშვილი. სხვა დანიშნულება ამ ოქმს არ აქვს. თუ ადეიშვილი არ დაიკითხება, ოქმს ცალკე მტკიცებულების ძალა არ ექნება.

**– ძებნილი პირის დაკითხვისას, ბუნებრივია, ვერ იქნება დაცული უშუალობის პრინციპი...**

– სწორედ უშუალობის პრინციპია გათვალისწინებული, როცა სკაიპით ხდება დაკითხვა და მხარეებს ეძლევათ უფლება, მოუსმინონ მას და კითხვებიც დაუსვან, პროცესს დაესწრება ორი, ან რამდენიმე ადამიანი, რომელიც დაადასტურებს, რომ ეს ზურა ადეიშვილია, წარმოდგენილი იქნება მისი პასპორტი და ა.შ.

**– ბატონო გიზო, ეს ყველაფერი პროცესის გაჭიანურებას ხომ არ ემსახურება?**

– არა. ის ემსახურება ერთადერთ მიზანს – ხალხმა სიმართლე გაიგოს.

რა მიმართულებით განვითარდება მოვლენები, ამას დღეს გავიგებთ, ვინაიდან დღეს უნდა მიიღოს გადაწყვეტილება სასამართლომ. თუმცა, მანამდე „პრაიმტაიმმა“ სასამართლოშიც გადაამოწმა, რამდენად შესაძლებელია ადეიშვილის დაკითხვა ტექნიკური საშუალების გამოყენებით. მიღებულმა პასუხმა მიგვანიშნა, რომ დიდი ალბათობით, იუსტიციის ყოფილი მინისტრის დაკითხვა მაინც მოხდება. პასუხი ასეთი იყო: „ასეთი რამ შესაძლებელია. ის მივა უნგრეთის სასამართლოში და სწორედ იქიდან მოხდება ტექნიკური საშუალებებით ჩართვა“. როგორც ჩანს, სასამართლოს ამ საქმის ფარგლებში სისხლის სამართლის საქმეებზე ურთიერთდახმარების შესახებ ევროპის საერთაშორისო კონვენციის გამოყენებაზეც უფიქრია ...




## რატომ გამოჩნდა იუსტიციის ყოფილი მინისტრი არჩევნებამდე სამი თვით ადრე?

**„აქ გათვლა ტაქტიკურ თამაშზეა. ორი ვარიანტია, სასამართლო დაცვის შუამდგომლობას ან აკმაყოფილებს, ან – არა. თუ არ დააკმაყოფილებს, იარსებებს ეჭვი, რომელიც გამოძიების პროცესში არ გამორიცხულა. ამ შემთხვევაში კი კანონით ეჭვი ბრალდებულის სასარგებლოდ წყდება“**

**„როდესაც უგულავას დაცვა სასამართლოს წინაშე აყენებს შუამდგომლობას იმის თაობაზე, რომ გამოკითხვის ოქმი მიიღოს მან დასაშვებ მტკიცებულებად, მას თავშივე უნდა ჰქონდეს გათვლილი მოსალოდნელი უარი, მით უმეტეს, რომ გიგი უგულავას ინტერესებს დღეს გამოცდილი ყოფილი პროკურორი, გიზო უგულავა იცავს... რაკი პასუხი მისთვის წინასწარ უნდა იყოს ცნობილი, გამოდის, რომ ამ შემთხვევაში გათვლა მხოლოდ საქმის პოლიტიკურ შედეგზეა – მათ საშუალება მიეცემათ, კიდევ ერთხელ ახმაურდნენ, რომ ხელისუფლება მათ გუნდს პოლიტიკურად დევნის...“**

**„რაც შეეხება იმას, რომ ზურაბ ადეიშვილი ყველაფერს საკუთარ თავზე იღებს, ეს ვერსია არადამაჯერებლად გამოიყურება. რამდენად მაღალი ჩინის მქონე პირსაც არ უნდა ეთქვა, ფონდის ხელმძღვანელისთვის პარტიის სასარგებლოდ თანხა გადაერიცხა, ყველა შემთხვევაში ეს უკანონობაა, ვინაიდან ფონდი იმართებოდა თბილისის ბიუჯეტიდან...“**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# გეგა ფალავანდიშვილი

## my View
**თამარ გონგაძე**

12 მარტს გეგა ფალავანდიშვილი „თავის დაღუპვის“ დღედ აღიარებს. ამ დღეს შეატყობინეს, რომ „X Factor“-ის წამყვანი უნდა ყოფილიყო. ხუმრობს, რომ თავი დიდ შარში გაყო. მაგრამ შემართება აქვს. ემოციებს გულწრფელად გვიზიარებს. თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ მისი გულშემატკივართა არმია ერთიორად გაიზრდება. გეგა მეგაშოუს ერთადერთი წამყვანი არ არის. გეგას მეწყვილე ქალბატონი იქნება. მისი და ჟიურის წევრების ვინაობის შესახებ „პრაიმტაიმის“ შემდეგი ნომრიდან შეიტყობთ. ჩვენი გაზეთი „X Factor“-ის საინფორმაციო მხარდამჭერია. ამდენად, ექსკლუზიურად „პრაიმტაიმიდან“ და სააგენტო „პრაიმტაიმნიუსიდან“ შეიტყობთ პროექტის კონკურსანტების, ჟიურის წევრებისა და ნებისმიერი დეტალის შესახებ. 16 მარტს ფილარმონიაში შოუს პირველი კასტინგის ჩაწერა შედგა. მარტში ექვსი შესარჩევი ტური ჩაიწერება, აპრილის დასაწყისში შოუ ეთერში გავა, შემდეგ კი მას მოჰყვება ექვსი ცოცხალი ტური. „X Factor“-ი სამ თვეს გასტანს. პროექტს ოთხი ჟიურის წევრი, ორი წამყვანი და კონკურსანტების ოთხი სხვადასხვა კატეგორიის ჯგუფი ჰყავს: გოგონების, ბიჭების, ვოკალური ჯგუფების და 25 წელს ზევით მომღერლები. ჟიურის წევრები შესარჩევ ტურებზე თავიანთ კატეგორიას აკომპლექტებენ, შემდეგ უკვე მათი მიზანია მისი გუნდის წევრი გახდეს გამარჯვებული. გარდა მონაწილეებს შორის შეჯიბრისა, ჟიურის წევრთა ამბიციების კასკადი და მათ შორის კონკურენცია საინტერესო სანახაობას შექმნის. ამ ყველაფერთან ერთად თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ მეგაშოუს ისეთი პროდიუსერები აკეთებენ, ვის ხელშიც გაკეთებულა დაახლოებით ამ ტიპისვე შოუები, როგორიცაა „ჯეოსტარი“, „საქართველოს ვარსკვლავი“, „ნიჭიერი“, „ვარსკვლავების აკადემია“, მაშინ მშვიდად უნდა დაველოდოთ - უბრალოდ, მაგარ შოუს. გიორგი ხაბურზანია და დემნა ჯაფარიძე დიდი ხანია ამ პროექტზე მუშაობენ. ცოტა ხნის წინ ისინი ბრიტანეთში იყვნენ და კონსულტაცია გაიარეს „X Factor“-ის პროდიუსერებთან, მათ შორის კომპლიმენტიც კი მიიღეს ისეთი დონის ტელეპროდიუსერისგან, როგორიც საიმონ ქოუელია. „კომპლიმენტი გვითხრა, რომ ყველაზე რეიტინგული „ნიჭიერი“ საქართველოში კეთდება. „ნიჭიერის“ მეოთხე სეზონს ამხელა რეიტინგი მარტო საქართველოში აქვს. აქვთ იმის მოლოდინი, რომ „X Factor“-იც ასეთივე წარმატებით გამოგვივა. საიმონის საქართველოში ჩამოყვანა ძალიან გვინდა, თუმცა ეს ჯერ თეორიული ალბათობაა. თუ ის ჩამოვა, მხოლოდ ერთჯერადად. შეხვდება კონკურსანტებს და შესაძლოა ვორკშოფი ჩაატაროს. საიმონი მსოფლიოს შოუბიზნესში გავლენიანი პიროვნებაა“, - გვითხრა გიორგი ხაბურზანიამ. თუ მუსიკალური კონკურსების მოყვარული ხართ, პოპკორნით და ემოციებით სავსე გაზაფხული გელით.

## „პროდიუსერებს თავში ეს „გენიალური“ იდეა რომ მოუვიდათ, შუაღამე იყო, სახლში ვიყავი და დამირეკეს, მოდიო. გზაში ვფიქრობდი, ჟიურის წევრობას თუ შემომთავაზებენ, წყნარად, მტკიცე „არას“ ვეტყვი, სახლში მივბრუნდები და ბავშვს მივხედავ-მეთქი. ნეტავ ჟიურის წევრობა შემოეთავაზებინათ და არა წამყვანობა...“










„არც გამომივა და არც ვაპირებ, რომ ვითამაშო წამყვანი, ან ვიმსახიობო. წესების გათვალისწინებით ბუნებრივი ვიქნები. ვიცი, რომ ბლუყუნი არ უნდა დავიწყო, გაუგებარი სიტყვები არ უნდა ვთქვა, აქცენტები დავსვა, მოხრილმა არ ვიარო, კამერაში ვიყურო“

### „გამოწვევა ყოველთვის საინტერესოა“

**გეგა ფალავანდიშვილი:** - ეს იყო მძიმე ოთხშაბათი. პროდიუსერებს თავში ეს „გენიალური“ იდეა რომ მოუვიდათ, შუაღამე იყო, სახლში ვიყავი და დამირეკეს, მოდიო. ხომ მშვიდობაა? კიდევ რამე ხომ არ მოხდა „რუსთავი 2“-ში მეთქი, ვიფიქრე. მოვდიოდი და გზაში ვფიქრობდი, ჟიურის წევრობას თუ შემომთავაზებენ, წყნარად, მტკიცე „არას“ ვეტყვი, სახლში მივბრუნდები და ბავშვს მივხედავ-მეთქი. ნეტავ ჟიურის წევრობა შემოეთავაზებინათ და არა წამყვანობა... პროდიუსერებმა და არხის გენერალურმა დირექტორმა გამიმხილეს თავიანთი





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „X Factor“-ის წამყვანი



სურვილი და მე, რა თქმა უნდა, არ დავთანხმდი. იყო სინდისზე აგდება, ტელევიზიის ინეტერესების შეხსენება, „ჩვენ ერთი გუნდი ვართ“, ერთობლივ საქმეს ვაკეთებთ და ასე შემდეგ. როცა საჭიროა, ვაკეთებთ იმას, რაც საჭიროა. ამიტომაც დავთანხმდი. მოსაფიქრებელი დრო არ იყო. ოთხშაბათს მითხრეს და კვირას გადაღება დავიწყეთ. არასდროს მიფიქრია, რომ რაიმე წამეყვანა. ზედმეტად ეკრანზე გამოჩენის სურვილიც არ მაქვს. ასე უცებ დავჯექი „ნიჭიერის“ ჟიურიშიც, გამოუვალი სიტუაციიდან გამომდინარე. გამოწვევაა, რა. ვცადოთ. ივარგებს, ივარგებს, არ ივარგებს და მეტად არ წავიყვან და ეგ იქნება. მეუბნებიან, რომ კარგი გამოვა. მე შევეცდები, რომ რაც შემიძლია, მაქსიმალურად კარგად გავაკეთო. ბევრი ოპტიმისტურად არის განწყობილი, ბევრი პესიმისტურად, ბევრიც მოლოდინის რეჟიმში - აბა, რა მოხდება.

**- პროდიუსერებიდან კონკრეტულად რომლის იდეა იყო, რომ წამყვანი ყოფილიყავით?**

- წარმოდგენა არ მაქვს, არ მინდა რომელიმე ერთზე გადავტეხო „ჯოხი“. ამიტომ არ ვკითხულობ :)

**- თავის იმედი რომ არ გქონდეთ, არც დათანხმდებოდით.**

- ცოტა ადრენალინია, მეტი პასუხისმგებლობა, შეუძლებელი რეალურად არაფერია. რახან ერთ ადამიანს შეუძლია, სხვაც შეძლებს. გამოწვევა ყოველთვის საინტერესოა. მაყურებელი შეაფასებს.

**- არტისტიზმი გაქვთ?**

- არტისტიზმი მე არ მაქვს. ეს იციან კიდეც. გადასარევად ავუხსენი, რომ არც არტისტიზმი მაქვს, არც მეტყველება მივარგა, ტექსტების დაზეპირებასთანაც ცუდად მაქვს საქმე. უპასუხისმგებლოდ რომ მოვკიდებოდი, ფეხებზე მეკიდებოდა. არ ვარ მიჩვეული კამერაში ყურებას და მიმართვას. ჟიურიში ჯდომის დროსაც საერთოდ არ მაინტერესებდა კამერა სად იყო. გასათვალისწინებელია ინტონაცია, ტემბრი, სიტყვების დაყოფა, აქცენტების გაკეთება...

**- მეტყველების პედაგოგთან არ დადიხართ?**

- რა აზრი ჰქონდა, ორ დღეში გადაღება დავიწყეთ. თვითონ ვმუშაობ თავზე. ერთად უნდა მოვახერხო - სწორად დავდგე და არ ვიყანყალო (ერთ ადგილას გაჩერება რთულია), სწორად მეტყველება, სწორი აქცენტები, სწორი ტემპი, რაც არც ერთხელ ერთად არ გამიკეთებია და რთულია. ორი დღეა ფურცლებით დავდივარ და თავში ვირახუნებ, რომ დავიმახსოვრო. გარდა ამისა, პარტნიორთან ერთად რეპლიკების სროლაც გვჭირდება. თავს იმით ვიმშვიდებ, რომ ჯერჯერობით კასტინგების ჩაწერაა.

**- როგორი წამყვანი იქნებით?**

- წარმოდგენა არ მაქვს. ერთადერთი შემიძლია ვთქვა, რომ ვიქნები ისეთი, როგორიც ვარ. ჩემი ნათესავებისგან განსხვავებით არ ვარ მათსავით მსახიობური ნიჭით დაჯილდოებული. არასდროს მქონია არც სამსახიობოზე ჩაბარების სურვილი, არც თამაშის. არც გამომივა და არც ვაპირებ, რომ ვითამაშო წამყვანი, ან ვიმსახიობო. წესების გათვალისწინებით ბუნებრივი ვიქნები. ვიცი, რომ ბლუყუნი არ უნდა დავიწყო, გაუგებარი სიტყვები არ უნდა ვთქვა, აქცენტები დავსვა, მოხრილმა არ ვიარო, კამერაში ვიყურო.

**- ჟიური გეგასგან განსხვავებით კრიტიკული არ იქნებით...**

- არა, კრიტიკული არ ვიქნები და კარგია. ძალიან „ყრუ“ თუ მოვიდა, ვეტყვი, სიმღერა არ გინდა-მეთქი. წამყვანები მონაწილეების დამცველები ვიქნებით, ნიჭიერი ხალხის მხარეს. უკვე გამოცდილი მაქვს და ჟიური ვერ მომატყუებს.

**- როგორ შოუს ველოდოთ?**

- ხარისხობრივად „ნიჭიერზე“ არაკლებს. დიდი ხნის წინ გვინდოდა მისი გაკეთება. ვემზადებოდით. მიდგომა „პირველია და არ გამოგვივიდა“ ჩვენ არ გვაკმაყოფილებს. ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი და საინტერესო ვოკალური კონკურსია. ამაზე მეტად მაღალი რეიტინგი არ შეიძლებაო, ვამბობთ „ნიჭიერზე“ ყოველ წელს. მაგრამ გამოდის, რომ სულ უფრო და უფრო საოცრებებს აკეთებს. უმეტესად საკუთარ თავს და წინა პროექტებს ვეჭიდავებით. პატივს ვცემთ მაყურებელს და გვინდა უფრო და უფრო კარგი შევთავაზოთ. ვოკალურ კონკურსზე ჩვენ მიმართ უფრო მეტია მოთხოვნა, რადგან „რუსთავი 2“-ზე ბევრი ასეთი კონკურსი აქვთ ნანახი.

**- როგორი იმიჯით გიხილავთ?**

- შორტებით არ გამოვალ, არც საცურაო კოსტიუმით ვირბენ. არ იქნება კარგი სანახავი. თავისუფალ სტილში, კლასიკურ-სოლიდურად ვიქნები ჩაცმული. ფრაკით მეეჭვება გამოვიდე. არც ქართველ დიზაინერებს მივმართავ. მომიწევს ახალი სამოსის შეძენა. ეგრე გათამამებულიც არ ვარ, რომ დიდი გარდერობი მქონდეს და ყველა სიტუაციისთვის მზად ვიყო. მოკლედ, არ იქნება - „ჩემს ჩაცმულობაზე იზრუნა...“



## „შორტებით არ გამოვალ, არც საცურაო კოსტიუმით ვირბენ. არ იქნება კარგი სანახავი. თავისუფალ სტილში, კლასიკურ-სოლიდურად ვიქნები ჩაცმული“

EXCLUSIVE



**„ეს წელი გადასარევად დაიწყო. როგორ გაგრძელდება, ეგ არის მთავარი. მამობა კარგია, წამყვანობა - არ ვიცი, დაძაბული ვარ“**

### ქალიშვილი - მიკაელა

გეგა 10 იანვარს მამა გახდა. ქალიშვილს მიკაელა დაარქვეს, ეს სახელი ერთადერთს ჰქვია საქართველოში.

„დაბადების მოწმობას რომ ვიღებდი, შეცდომა ხომ არ არის, ამ სახელით არავინაა დარეგისტრირებულიო, მითხრეს.

ზუსტად ისეთი აუტანელი და სასაცილოა, როგორსაც წარმოვიდგენდით რომ იქნებოდა. იმედია, მე არ დამემსგავსება და დედისკენ იქნება. მგონი, ბევრი აქვს სათქმელი, ისეთ ბგერებს გამოსცემს. რაღაცას მიხსნის დიდი ხანი. იცის, რა უნდა. ხელში ზუსტად ისე უნდა გეჭიროს, როგორც მას მოსწონს. არც ერთფეროვნება უყვარს, უნდა ისეირნოს და ათვალიეროს. სწრაფად იზრდება, მძიმდება. ორ თვეში ლამის ექვს კილოზე ავიდა. მინიონები მოსწონს, ისინიც ზუსტად ისე ლაპარაკობენ, როგორ ხმასაც მიკაელა გამოსცემს. მაგრამ ხუთ წუთში ბეზრდება. პამპერსის გამოცვლა თავიდანვე ვისწავლე. არ მაბანინებენ, დედა ბანს. კვების გარდა (ბუნებრივზეა) ყველაფერში ვიღებ მონაწილეობას. დღე და ღამე არეული მაქვს. ორი ღამე მეძინება, ერთი არ მეძინება და ასე...

**- მოკლედ, წელი საინტერესოდ დაიწყო.**

- ეს წელი გადასარევად დაიწყო. როგორ გაგრძელდება, ეგ არის მთავარი. მამობა კარგია, წამყვანობა - არ ვიცი, დაძაბული ვარ. ჯგუფი ოპტიმიზმით აღსავსეა და ზოგზოგიერთი აღფრთოვანებულიც კი არის. ექსპერიმენტია, ვნახოთ, რას ვიზამ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# აიდი ბარათების გამო საპრ




## მამა ბასილი ახვლედიანი: „თუ წინა წლის 17 მაისის მაგალითი ვინმესთვის საკმარისი არ იყო და არ ეყო, მაშინ წელს ბევრად უფრო მკაცრ შედეგებზე შეიძლება გავიდეს“



**my View**

ხათუნა მგალობლიშვილი

**„აიდი“ ბარათების მოწინააღმდეგე მოსახლეობამ ხელისუფლებას კონკრეტული ვადა მისცა. საშობაოდ მინიმუმ ასი ათასი ადამიანი მთავრობის, უფრო კონკრეტულად კი იუსტიციის მინისტრის განცხადებას ელოდება. მათ და სასულიერო პირების დიდ ნაწილსაც სჯერა, რომ ხელისუფლება „აიდი“ ბარათების ალტერნატიულ დოკუმენტს ნებადართულად გამოაცხადებს. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ბრძოლის გაგრძელებას აპირებენ.**

„აიდი“ ბარათების პარალელურად ცნობილი ხდება, რომ ეკლესია 17 მაისის აქციის ლეგიტიმაციისთვის პლებისციტის ჩატარებას ითხოვს. მართალია, პლებისციტის შედეგების გათვალისწინება, რეფერენდუმისგან განსხვავებით, სავალდებულო არ არის, მაგრამ მამა გიორგი ისაკაძეს მიაჩნია, რომ შედეგების არგათვალისწინებას ძალიან მძიმე შედეგები მოჰყვება... ხელისუფლება ჯერ მხოლოდ „აიდი“ ბარათებს ეხმიანება და წულუკიანის მეშვეობით აცხადებს, რომ არსებული რეალობა არ ითხოვს დამატებითი საკითხების განხილვას...

„აიდი“ ბარათებთან დაკავშირებით ორი კვლევა არსებობს. ერთი იუსტიციის სამინისტროს მიერ გაკეთებული და მეორე, სატელევიზიო ტოქშოუს მსვლელობისას ჩატარებული. ამ უკანასკნელის შედეგები სრულიად საზოგადოებამ პირდაპირ ეთერში იხილა: კითხვას, მისაღებია თუ არა ID ბარათი, 31 593 ადამიანმა უპასუხა. როგორც მოსალოდნელი იყო 80%-ისთვის, ანუ დიდი უმრავლესობისთვის „აიდი“ ბარათი კატეგორიულად მიუღებელია. სწორედ ამ მონაცემებით სარგებლობს ეკლესია, როდესაც წინასწარ დაბეჭდილ ბუკლეტებს ტაძრებში ქადაგების შემდეგ არიგებს და მრევლს აქციებზე იწვევს. ბროშურებზე სწორედ ტელეკომპანია „იმედის“ ტოქშოუ „რე-აქციის“ შედეგებია დაბეჭდილი და სასულიერო პირებისთვის ეს სრულიად საკმარის მტკიცებულებად ითვლება. სამაგიეროდ კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ იუსტიციის მინისტრის მიერ გაჟღერებულ ვერსიას. თეა წულუკიანის განცხადებით, სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგად 84% თანახმაა, აიღოს „აიდი“ ბარათი, ხოლო 16%-ს გარკვეული წინააღმდეგობა აქვს, თუმცა ამავე 16%-ის 34%-ი მზად არის, აიღოს „აიდი“ ბარათი, იმ შემთხვევაში, თუ ის უფასო იქნება. პრობლემა ის არის, რომ აღნიშნული გამოკითხვა ვერავინ ნახა, თავად წულუკიანის გარდა. სურვილი, რომ იუსტიციის მინისტრს სიტყვაზე ენდონ, არავის აქვს. შესაბამისად, დაინტერესებული პირები მას ეჭვქვეშ აყენებენ და აცხადებენ, რომ წულუკიანი ტყუის, როცა მსგავს შედეგებზე საუბრობს. თავად ხელისუფლებაში კი გაჩნდა ეჭვი, რომ საზოგადოება გაცილებით რადიკალური სწორედ ეკლესიის გააქტიურებამ გახადა. იყო შემთხვევა, როდესაც მოძღვარმა საკუთარი მრევლი „აიდი“ ბარათის აღების გამო ერთწლიანი უზიარებლობით დასაჯა და ბარათების სასწრაფოდ უკან დაბრუნება მოსთხოვა. ასევე, იყო შემთხვევა, როდესაც „აიდი“ ბარათის მფლობელმა ის შუაზე გადატეხა და მოლოდინი გაუცრუვდა, როდესაც იქიდან არც სამი ექვსიანი ამოვარდა და მით უფრო, არც მხეცი ამოხტა. ეს არ არის ხუმრობა. მამა ბასილ ახვლედიანის განცხადებით, მოსახლეობას სწორედ ასეთი მოლოდინები აქვს, რაც თავისთავად გადაჭარბებულია. თუმცა ფაქტია, რომ გარკვეული პროცესები უკვე დაწყებულია, რომელიც, თავის მხრივ, ძალიან ჰგავს შარშანდელ 17 მაისის წინამოსამზადებელ პერიოდს. მაგალითად, ხელმოწერები უკვე შეგროვდა და პარლამენტთან ერთად, პრემიერ-მინისტრს, პრეზიდენტსა და თავად იუსტიციის მინისტრს გადაეგზავნა. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ მთავრობაში „აიდი“ ბარათების მოწინააღმდეგეებს ერთადერთი მხარდამჭერი ჰყავთ. ეს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეა. გედევან ფოფხაძე არც თავად აპირებს „აიდი“ ბარათის აღებას და არც თეა წულუკიანს ურჩევს ირონიული ტონის შენარჩუნებას.

წულუკიანი-ფოფხაძის ისტორია კიდევ ცალკე თემაა. იუსტიციის მინისტრმა „აიდი“ ბარათებზე საუბრისას ხაზგასმით აღნიშნა, რომ ფოფხაძე ერთადერთია, ვინც ვერ დაითანხმეს. სწორედ ამიტომ მან „რა, სად, როდის?“ ცნობილ მოთამაშეს კითხვით პირდაპირ ეთერიდან მიმართა: ყურადღება, კითხვა: რა ზის ID ბარათში? არავინ იცის, რა პასუხს გასცემდა ფოფხაძე, წულუკიანის ნაცვლად, იგივე კითხვა გიორგი მოსიძეს რომ დაესვა, თუმცა ფაქტია, რომ უმრავლესობის წევრი იუსტიციის მინისტრს აიგნორებს და აცხადებს, რომ არავის წინაშე არ აქვს ვალდებულება, საკუთარი არჩევანი გაშიფროს.

**გედევან ფოფხაძე, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი:**

– ჩვენ არ უნდა დავაყენოთ საკითხი ისე, რომ „აიდი“ ბარათი არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად ერთადერთი საშუალებაა. ჯერჯერობით არ წერია კანონში, რომ მაინცდამაინც „აიდი“ ბარათი უნდა გქონდეს, ხმა რომ მისცე. ასე რომ მოხდეს, სრულფასოვან არჩევნებს ვერ ჩავატარებთ. ვერ ვხვდები, რატომ არის აუცილებელი, გამოძალვაა და უნდათ, რომ 35 ლარი წამართვან? მე ისიც არ მესმის, როგორც დეპუტატს, რატომ მაქვს შეღავათი და რატომ შემიძლია, უფასოდ ავიღო „აიდი“ ბარათი, მაშინ როცა ეს სოფელში მცხოვრები მოქალაქისთვის უფრო სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს. სახელმწიფომ უნდა გამონახოს ფორმები და არ დააზარალოს თავისი მოქალაქის უფლებები. მარტივად რომ აგიხსნათ, ვთქვათ, ციხეში ზის სამი მუსლიმანი პატიმარი. მათ რომ ღორის ხორცი შეუტანონ, მათი პოზიცია არ გაითვალისწინონ და უთხრან, მშვენიერი საჭმელია, რას დაეძებ რელიგიასო, არ იქნება სწორი. არიან ადამიანები, რომლებიც ხორცს არ მიირთმევენ, ვეგეტარიანელები არიან, ეშინიათ სიმაღლის, დახურული სივრცის, სხვანაირად აცვიათ, სხვანაირი რელიგია აქვთ, სხვანაირი დამოკიდებულება კონკრეტული საკითხების მიმართ. ამ ადამიანებს თავისებურებების გამო თუ გავრიყავთ, მე ასეთ სახელმწიფოში ცხოვრება აღარ მენდომება. როდესაც იწყებენ განხილვას, რომ ის ადამიანები, ვისაც არ სურს „აიდი“ ბარათების აღება, ბნელები და გაუნათლებლები არიანო, პირადად მე ძალიან მწყინს.

**– იუსტიციის მინისტრმა სწორედ თქვენ გამოგყოთ და განაცხადა, გედევან ფოფხაძის გარდა, ყველა დავითანხმეთო...**

– რამდენად კორექტული იყო იუსტიციის მინისტრის ეს საქციელი, სხვა საკითხია. არის გამოკითხვა და ვნახეთ, რომ უამრავი ადამიანია წინააღმდეგი „აიდი“ ბარათების, ასი ათასმა ადამიანმა ხელი მოაწერა და უარი თქვა „აიდი“ ბარათებზე, ეს ადამიანები ჩათვლიან, რომ იუსტიციის მინისტრმა ისინი უარყო. ფიზიკურად არსებობს ეს ხალხი და ხელისუფლებამ მათი მოსაზრება უნდა გაიზიაროს. ზოგადად, არ მიყვარს, როცა რაღაცას მაიძულებენ. თუ ვიღაცას უნდა, რომ ჩემი პიროვნების დისკრედიტაციით გადაწყვიტოს პრობლემა, ეს არასწორი მიდგომა იქნება. ვთქვათ, შევთანხმდით, რომ გედევან ფოფხაძე არის ბნელი, გონებაშეზღუდული და გაუნათლებელი, მაშინ მე ისედაც აღარ მკითხავს აზრს არაფერზე.

**– რამდენად შეიძლება, რომ ეს საკითხი სერიოზულ პრობლემად გადაიქცეს და ქუჩის აქციების გამართვამაც მასიური ხასიათი მიიღოს?**

– მიმაჩნია, რომ ეს უკვე პრობლემაა. თუ ჩვენ ვამკვიდრებთ კატეგორია „აკრძალვის რეჟიმს“, ეს ადამიანები თავს დაჩაგრულად ჩათვლიან. მე მჩაგვრელსა და დაჩაგრულს შორის ყოველთვის დაჩაგრულის მხარეს დავიჭერ. ჩემთვის მთავარია არა პროგრესი, არამედ სიკეთე, როგორც ღირებულება. პროგრესი არის საშუალება. თუ პროგრესი ითხოვს თუნდაც ერთი ადამიანის მოკვლას, ასეთი პროგრესი საჭირო არ არის. ჩვენ უნდა შევთანხმდეთ, რომ მთავარი ღირებულება არის ადამიანის უფლებები. თუ ვინმეს მიაჩნია, რომ პოლიტიკაში მორალური კატეგორიებით არ უნდა ხელმძღვანელობდე, მე იმ ადამიანებთან საერთო ენას ვერ გამოვნახავ.

პარლამენტის წევრის მიერ „დაჩაგრულებად“ გამოცხადებული მოქალაქეები საკუთარი გეგმით მოქმედებენ. მათ ხელისუფლებას კონკრეტული ვადა მისცეს და ელოდებიან, რომ საბოლოო გადაწყვეტილება, მაქსიმუმ, საშობაოდ უკვე მიღებული იქნება. ზაზა ნანობაშვილი „მართლმადიდებელთა კრებულის“ ხელმძღვანელია. მისი განცხადებით, ბრძოლას ნებისმიერ ეტაპზე ცივილიზებული ფორმა ექნება და არავითარ შემთხვევაში დაპირისპირებაში არ გადაიზრდება.

**ზაზა ნანობაშვილი, „მართლმადიდებელთა კრებულის“ ხელმძღვანელი:**

– არა მგონია, ევროპას მოსწონდეს საქართველოში ძალადობას ასეთ რეკლამას რომ უკეთებენ. „აიდი“ ბარათებსა და ძალადობას დემოკრატიასთან არანაირი კავშირი არ აქვს. ჩვენ აქციების გასამართად, რა თქმა უნდა, ეკლესიური კურთხევაც მივიღეთ. მეუფეები თავად ითხოვენ, რომ ალტერნატიული საბუთი დაშვებული იყოს. ჩვენ მივეცით დრო ხელისუფლებას ცვლილების განსახორციელებლად აღდგომის შემდეგ. ველოდებით, როდის გადაწყდება საკითხი. ჩვენთვის მიუღებელია, იუსტიციის მინისტრი რომ გამოდის და ხალხისთვის შეურაცხმყოფელ განცხადებებს აკეთებს. თურმე სახელმწიფოს სიძლიერე ხალხის მოსმენა კი არა, ხალხის მოსაზრებების უგულებელყოფაა. ამაზე ჯაბა იოსელიანის სიტყვები მახსენდება, როცა ამბობდა, დემოკრატია ლობიოობა კი არ არისო. ეს უკვე ძალიან საშიში ტენდენციაა.

**– წულუკიანმა არ გამორიცხა, რომ საჭიროების შემთხვევაში, მთავრობა ალტერნატიული დოკუმენტის დაშვებაზე იმსჯელებს.**

– თეა წულუკიანი აბსოლუტურად იტყუება, უკვე ბევრჯერ თქვა ტყუილი. როდესაც ამბობს, გამოვიკვლიე, პირადობის მოწმობის შიგნით რა არისო, ეს უკვე სათუო საკითხია. გავაცანით 17 ქვეყნის პრაქტიკა, რომლებიც წლების მანძილზე იკვლევენ და ვერ გაურკვევიათ და წულუკიანმა ორ კვირაში რანაირად ან რა გაარკვია? ხალხს აცდუნებს, შიგნით არაფერი არ არისო. ჩვენ უფრო საპარლამენტო განხილვას ველოდებით.

**– ანუ თქვენ პარლამენტის იმედი გაქვთ?**

– იმედი, სიმართლე გითხრათ, ცოტა ხმამაღალი სიტყვაა.

**– თუ თქვენი მოთხოვნა არ შესრულდება, როგორ მოიქცევით?**

– ეს ხომ არ არის რევოლუციური საკითხი, ეს არის ევოლუციური საკითხი. თუ ჩვენ ავირჩიეთ გზა, რომლის მიხედვითაც გვინდა ევროპული ქვეყნების დადებითი მაგალითები განვახორციელოთ, მაშინ, უბრალოდ ევოლუციურად უნდა გავარკვიოთ, რასთან გვაქვს საქმე. ჩვენ ვიბრძოლებთ მშვიდობიანი ფორმებით: აქციებით, შეხვედრებით, მიმართვებით. როდესაც ადამიანს ქვეყანაში უქმნი პრობლემას, რომ სამსახურში ვერ იმუშაოს, ჯარში ვერ წავიდეს, დიპლომი ვერ აიღოს, არჩევნებში მონაწილეობა ვერ მიიღოს – ეს უკვე ადმინისტრაციული დიქტატურაა. ვფიქრობ, ყველამ უნდა ამოიღოს ხმა.

„აიდი“ ბარათების დარიგება 2011



## გედევან ფოფხაძე: „ვერ ვხვდები, რატომ არის მნიშვნელოვანი, გამოძალვაა და 35 ლარი უნდათ, რომ წამართვან?“



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ოტესტო აქციები იგეგმება



# რა აღმოაჩინა გედევან ფოფხაძემ აიდი ბარათში

წლიდან დაიწყო და დღეისთვის დაახლოებით მილიონამდე მოქალაქეს აქვს აღებული. სინოდმა „აიდი“ ბარათებთან დაკავშირებით ოთხი სხდომა ჩაატარა და ყოველ ჯერზე უარყოფდა, რომ მასში რაიმე მხეცისეული დევს. მიუხედავად ამისა, დამოუკიდებელი ორგანიზაციები, მართლმადიდებლური გაერთიანებები დამოუკიდებლად მართავენ საპროტესტო აქციებს და ყოველ ჯერზე აცხადებენ, რომ კურთხევა საპატრიარქოსგან აქვთ მიღებული. თუმცა ყოველ ჯერზე საპატრიარქო ავრცელებს განცხადებას, რომ აქციებთან საერთო არაფერი აქვთ. ასეთი მაგალითი მრავლად იყო და საპატრიარქოში დღესაც იგივე პასუხს გვეუბნებიან, საპატრიარქოს მიერ არანაირი აქციები არ იმართება და არც შეიძლება გაიმართოს, ეს არის კონკრეტული ადამიანების გადაწყვეტილებები.

„კონკრეტული ადამიანები“ კონკრეტულ ნაბიჯებს დგამენ და მძიმე შედეგებზეც ხმამაღლა საუბრობენ. მაგალითად, მამა ბასილი აცხადებს, რომ ადამიანები არ აიღებენ „აიდი“ ბარათებს, ამის გაკეთებას მათ ვერავინ აიძულებთ, ძალდატანებას კი, არ არის გამორიცხული, სისხლი და მსხვერპლიც კი მოჰყვეს... მამა გიორგის კი მიაჩნია, რომ „აიდი“ ბარათებთან ერთად არანაკლებ შემაშფოთებელია მოახლოებული მაისი და დაგეგმილი „ლგბტ“-ების მორიგი აქცია. ის ითხოვს პლებისციტის ჩატარებას აღნიშნულ საკითხზე და შედეგების გათვალისწინებას.

**მამა დავით ისაკაძე:**

– მე, როგორც სასულიერო პირი, ჩემს მეგობარ მღვდელმსახურებთან ერთად ვლოცულობ, რომ ძალადობა არ მოხდეს. ალბათ, უმჯობესი იქნება, პლებისციტი ჩატარდეს, სადაც ერთსქესიანთა ქორწინებისა და „ლგბტ“ პროპაგანდას თავისი დამოკიდებულება და კანონის ფორმა მიეცემა, რომ ყველაფერი თავის ადგილზე დადგეს. „ლგბტ“ საზოგადოებას, თავისუფალი ცხოვრების საშუალება აქვს, თუ ისინი თავის შეკრებებს განყენებულ ადგილას ჩაატარებენ. ეს ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს, რადგან ვალდებულია, „სექსუალური უმცირესობის“ მოთხოვნების პარალელურად მოსახლეობის პოზიციაც გაითვალისწინოს.

ჯერჯერობით არც „აიდი“ ბარათებთან და არც 17 მაისთან დაკავშირებით მოსახლეობის აზრის გათვალისწინებას არ აპირებენ. წულუკიანმა საკუთარი მოსაზრება უკვე დააფიქსირა და აღნიშნა, რომ მთავრობა „აიდი“ ბარათების ალტერნატივას არ განიხილავს. სამინისტრო აგრძელებს ბარათების პოპულარიზაციასა და მოსახლეობის დარწმუნებას, რომ მასში არაფერი განსაკუთრებული არ არის. ეს კი აშკარად უკურეაქციას იწვევს. თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ მოსახლეობას ის უფრო აღიზიანებს, რომ მათ რაღაცას აძალებენ, რადგან კონკრეტულ კითხვაზე, რისი ან რატომ ეშინიათ ახალი პირადობის მოწმობების, პასუხი ხშირ შემთხვევაში ორაზროვანია...

**თეა წულუკიანი, იუსტიციის მინისტრი:**

– ამ ეტაპზე არ განიხილება ალტერნატიული დოკუმენტის არსებობა, თუმცა თუ მთავრობა გადაწყვეტს, რომ რაიმე გამოსავალი უნდა მოიძებნოს, ეს საკითხი შეიძლება გახდეს მომავლის თემა. ამ ეტაპზე მონაცემები, რაც მე ხელთ მაქვს, მაჩვენებს იმას, რომ, პირველ რიგში, ჩვენ უნდა ვიაროთ ევროპის გზაზე და გავმთლიანდეთ.

მინისტრის პოზიციიდან გამომდინარე, მარტივად შეიძლება ითქვას, რომ







გაზაფხულზე პროტესტი კიდევ უფრო მწვავე ხასიათს მიიღებს, რადგან სასულიერო პირების ნაწილი, საკუთარ მრევლთან ერთად, დარწმუნებულია, რომ საკითხი უკვე მათ სასარგებლოდაა გადაწყვეტილი...

**მამა ბასილი ახვლედიანი:**

– საზოგადოების 80% მომხრეა, არსებობდეს ალტერნატიული დოკუმენტი, შესაბამისად, ჩვენი მოთხოვნაც ლეგიტიმურია. იმდენად ლეგიტიმურია, რომ საერთაშორისო ნორმებს ეფუძნება, აქედან გამომდინარე, დაპირისპირება არ იქნება. ყველა ეთანხმება აზრს, რომ „აიდი“ ბარათის აღება არ უნდა იყოს იძულებითი. ვფიქრობ, ეს გადაწყვეტილი თემაა, უბრალოდ, დროის საკითხია. რაც შეეხება ეკლესიის გავლენას საზოგადოებაზე, ჩვენ დღეს ისეთ პატარა ქვეყანაში ვცხოვრობთ, თანაც ისეთ გეოპოლიტიკურ სივრცეში და ისეთი ისტორია გვაქვს, თვალი რომ გადავავლოთ ყველანაირი ლოგიკით საერთოდ აღარ უნდა ვარსებობდეთ. ჩვენ კი დღეს მთელი მსოფლიო გვიცნობს და ეს სწორედ ეკლესიის დახმარებით მოხდა. ეკლესია, კარგი გაგებით, ყოველთვის ახდენდა ზეგავლენას მოსახლეობაზე. ის, რომ ეკლესია სადარაჯოზე დგას და ფხიზლადაა, ამაში ახალი არაფერია. არ არსებობს ფაქტი ისტორიაში, რომ ეკლესიის ზეგავლენამ ადამიანის საზიანოდ იმოქმედა.

**– თქვენ აცხადებთ, რომ საკითხი გადაწყვეტილია და, უბრალოდ, დროის საქმეა, თუმცა იუსტიციის მინისტრმა განაცხადა, რომ არსებობს სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოკითხვა, რომლის მიხედვითაც სწორედ 80% ემხრობა „აიდი“ ბარათების არსებობას...**

– თუ ეს გამოკითხვა რომელიმე იუსტიციის სახლის შესასვლელში გააკეთეს, ან სულაც თანამშრომლები გამოკითხეს, არ ვიცი, მაგრამ ფაქტი ერთია, რომ გამოკითხულთა 80% მართლაც წინააღმდეგია „აიდი“ ბარათების. სხვათა შორის, ყოფილმა სახალხო დამცველმა, გიორგი ტუღუშმაც აღნიშნა, მაქსიმალურად ვეცადე, პირადად მომეძია იუსტიციის სამინისტროს მიერ ჩატარებული კვლევა, მაგრამ ვერსად ვერ ვნახეო, არც სამინისტროს საიტზე დევს და არც ოფიციალურ გვერდზე. თუ დააკვირდებით, იუსტიციის მინისტრსაც ეტყობა, რომ ორ ცეცხლშუაა. ერთი მხრივ, ის ხედავს მოსახლეობის რეაქციას და წინააღმდეგობას, მეორე მხრივ კი მოთხოვნაა საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და ეგრეთწოდებული თანამეგობრობიდან, რომ მოხდეს საქართველოს აიდიზაციის პროცესი. წულუკიანმა ღიად განაცხადა, რომ საერთაშორისო დონეზე ნებისმიერი შეხვედრა იწყება კითხვით, რა სტადიაზეა ქვეყნის აიდიზაციის პროცესი. საზოგადოებაში არის ნაწილი, რომელიც „აიდი“ ბარათების მოწინააღმდეგეებს ბნელს უწოდებს, თუმცა ვინ უფრო ბნელია – მე, რომელიც ვფიქრობ, რომ არ უნდა შემოვიდეს ქვეყანაში ისეთი რამ, რომელიც ჩემს უფლებას შეზღუდავს, თუ ის, რომელიც არ ფიქრობს უფლებების შეზღუდვაზე და ბრმად ემორჩილება იმას, რასაც ავალებენ?

**– საუბარია, ასევე, 17 მაისთან დაკავშირებით პლებისციტის ჩატარებაზეც. ფიქრობთ, რომ ეს ორი საკითხი სერიოზულ დაპირისპირებამდე მივა?**

– 17 მაისს რაც მოხდა, წელს იგივე ნამდვილად არ გველის, გველის უარესი. ამის პირობა შემიძლია მოგცეთ, რადგან ჩვენ ვცხოვრობთ მართლმადიდებლურ ქვეყანაში და ჩვენი მრწამსით ეს ცოდვა სასიკვდილო ცოდვად ითვლება. იოანე ოქროპირი ამბობს, თუ არსებობს ასეთ ცოდვაში მყოფი ადამიანი, ან ზოგადად ღვთის დამგმობი ადამიანი, ის თავისთვის არსებობდეს, მაგრამ, თუ ის გამოვა მოედანზე, რათა დაგმოს ჩვენი ღმერთი, მიდი და შეაგონეო. თუ ვერ გაიგებს, სცემე და კურთხეულ იყოს შენი მარჯვენაო. ამას გვასწავლის ჩვენი უდიდესი მამა იოანე ოქროპირი, შემდეგ კი ხსნის, რატომ უნდა მოიქცე ასე: ასეთი ადამიანი თუ შემდეგში კიდევ მოინდომებს მოედანზე გამოსვლას ღვთის დასაგმობად, გაიხედ-გამოიხედავს, მართლმადიდებელი სადმე ხომ არ დგასო. აქედან გამომდინარე, მართლმადიდებლობა კი არ ზღუდავს, პირიქით, იცავს ახალგაზრდობას უკეთურებისგან. თუ წინა წლის 17 მაისის მაგალითი ვინმესთვის საკმარისი არ იყო და არ ეყო, მაშინ წელს ბევრად უფრო მკაცრ შედეგებზე შეიძლება გავიდეს. თუმცა აქაც შეიძლება არსებობდეს მრავალწერტილი, რადგან ვიღაცებს შეიძლება ეს მკაცრი შედეგები სწორედ გეგმად ჰქონდეს განსაზღვრული და სცენარიც სწორედ ამ კუთხით ჰქონდეს დაწერილი. მღვდელმთავრები, ალბათ, გადაწყვეტენ, როგორი რეაქცია უნდა ჰქონდეთ ხელმეორედ ასეთი ადამიანების გარეთ გამოსვლაზე.



## ზაზა ნანობაშვილი: „ჩვენ მივეცით დრო ხელისუფლებას ცვლილების განსახორციელებლად აღდგომის შემდეგ. ველოდებით, როდის გადაწყდება საკითხი“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# GT Club-ში მომხდარი ინციდენტის დეტალები

სალომე გოგოხია

**გასულ კვირას ღამის კლუბ GT Club-ის წინ მომხდარი ინციდენტის ამსახველ ვიდეო კადრებს, სოციალურ ქსელებში დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ვიდეოში ჩანს კლუბის წინ მიწაზე გართხმული ახალგაზრდა მამაკაცი, რომელსაც ხელებზე ბორკილები ადევს. იქვე ირევიან პოლიციელები და თვითმხილველები. კადრებში კარგად ისმის ქალბატონების ხმა, რომლებიც ამბობენ, რომ მამაკაცი ჩვიდმეტმა პიროვნებამ სცემა. თავად დაკავებული ისტერიულად ითხოვდა ხელბორკილებისგან გათავისუფლებას.**






„ის ტიპი, ვინც სცემეს, მერე ჩამოვიდა და ცეკვა გააგრძელა“

ვიდეოკადრები, რომელიც „ზონა ნიუსმა“ გაავრცელა, ამით სრულდება და მოვლენების შემდგომი განვითარება მაყურებლისთვის უცნობი დარჩა.

რა მოხდა 9 მარტს გამთენიისას კოსტავას ქუჩაზე, ვინ ვის სცემა და აღიძრა თუ არა სისხლის სამართლის საქმე, ამის გარკვევას „პრაიმტაიმი“ შეეცადა.

შსს-ს პრეს-ცენტრის თანამშრომლის ტატო კუჭავას განცხადებით, ინციდენტი ადგილზე ამოიწურა, მხარეებს ერთმანეთის მიმართ პრეტენზიები არ აქვთ. შესაბამისად, სისხლის სამართლის საქმე არ აღძრეს.

ღამის კლუბი GT საზოგადოებრივი ტელევიზიის პირდაპირ, კოსტავას ქუჩაზე მდებარეობს. ერთ-ერთი ვერსიით, შელაპარაკება მეზობელ მაგიდებთან მსხდომ მამაკაცებს შორის მოხდა, ჩხუბი ქუჩაში გაგრძელდა.

თვითმხილველების განცხადებით, ღამის კლუბში ჩინოვნიკები იმყოფებოდნენ, რომლებიც სასტიკად გაუსწორდნენ ახალგაზრდას(ვინმე ალეკოს). სამწუხაროდ, მისი გვარი ვერ დავადგინეთ, შსს და სასწრაფო სამედიცინო სამსახური დაზარალებულის ვინაობას არ ამხელენ.

ჩხუბს შეესწრო პოლიცია, მათ მხოლოდ ნაცემი ახალგაზრდა დააკავეს. ჩხუბში მონაწილე მეორე მხარე არ ჩანს. უცნობია მათი ადგილსამყოფელი.

ვიდეოკადრებში კარგად ჩანს თუ როგორ ითხოვს დაკავებული ბორკილებისგან გათავისუფლებას, მისი თანმხლები პირი კი ამბობს, რომ ალეკო ცუდად არის და სასწრაფო სამედიცინო სამსახურის გამოძახებას ითხოვს.

როგორც სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურში განაცხადეს, დაზარალებულს ზედაპირული დაზიანებები აღენიშნებოდა, ამიტომ, მისი საავადმყოფოში გადაყვანა საჭიროდ არ მიიჩნიეს. მას დახმარება ადგილზე აღმოუჩინეს.

ოფიციალური სტრუქტურების პასუხების მოსმენის შემდეგ „პრაიმტაიმი“ ღამის კლუბს ეწვია. კლუბთან საღამოს შვიდ საათზე მივედით. კარი დაკეტილი დაგვხვდა.

„კლუბის პერსონალი საღამოს 7 საათზე ან რვის ნახევარზე მოდის. კლუბი დილამდე მუშაობს“, - გვითხრა „სტაიანშიკმა.

წვიმაში დაახლოებით ორმოცი წუთის ლოდინის შემდეგ კლუბის მფლობელი ლოლიტა გამოჩნდა, რომელმაც ჩვენს შეკითხვას თუ რა მოხდა 9 მარტს გამთენიისას, მოკლედ, გვიპასუხა, - „აბსოლუტურად არაფერი, ჩხუბი არ იყო. 80 ქალში 6 კაცი იყო, რა ჩხუბი უნდა მომხდარიყო“?!

გაცილებით ენაწყლიანი გამოდგა კლუბის ერთ-ერთი თანამშრომელი, რომელმაც საღამოს დეტალების შესახებ გვიამბო.

**გიორგი, ბარის ადმინისტრაციის თანამშრომელი:** „8 მარტი იყო, ქალთა დღე. სტუმრების უმრავლესობას ქალები შეადგენდნენ. ჩხუბი გარეთ მოხდა, კლუბში არაფერი მომხდარა. ის ტიპი, ვინც სცემეს, მერე ჩამოვიდა და ცეკვა გააგრძელა. ჩემი ხელით დავბანე პირი. ცემით მოკლეს არა, ის. ჩვეულებრივი, კაცური, ქართული ჩხუბი მოხდა. ვაჟკაცი ბიჭი იყო, შევატყვე, ომზე საუბრობდა. ადმინისტრატორმა რომ დაინახა, ჩხუბი იყო, შეეშინდა, ობიექტში არ შემოსულიყვნენ, ამიტომ დაცვის სამსახური გამოიძახა. დაცვა მოვიდა და პერიმეტრები დაიცვა. მერე მოვიდა პოლიცია. ეს ტიპი ღრიალებდა, რომ ცუდად იყო, ადმინისტრატორმა წყალი მიუტანა. როცა პოლიციამ „ნარუჩნიკები“ დაადო, გადაირია. ფიზიკურად ისეთი ძლიერი იყო, რომ პოლიციას მისი დაკავება მოუწია. ეტყობა, იფიქრა, მიჭერენო და პანიკაში ჩავარდა. ამ ბიჭის მეგობარმა პოლიციას სთხოვა, „ნარუჩნიკები“ მოხსენით, თორემ არ მოისვენებსო. შეხსნეს თუ არა, ბიჭი დაწყნარდა. კლუბის კამერებში ყველაფერი აღბეჭდილია, ჩვენთან ჩხუბი არ ყოფილა. საქმე იმიტომ არ აღიძრა, რომ სუფთა კაცური ჩხუბი იყო. ეს ყველაფერი „ზონანიუსმა“ სასწაულად გადააკეთა, თითქოს ერთი ბიჭი ოცმა კაცმა სცემა. ოცი კაცის ნაცემი მერე როგორ იცეკვებდა? სხვა თუ არაფერი სასწრაფო საავადმყოფოში ხომ წაიყვანდა, ან რომ თქვეს, კლუბში ჩინოვნიკები იყვნენო; ეს არის კლუბი, სადაც მღერიან შანსონს, ქალაქურ სიმღერებს, უსმენენ გიორგი წერეთელს და ლოლიტას. იმ საღამოს გია სურამელაშვილი მღეროდა. ცუდად არ გამიგოთ და რომელი ჩინოვნიკი დადის სურამელაშვილის კონცერტზე. ეს არ არის დისკოთეკის ტიპის კლუბი. აქ მღერიან „მაჯანჯას“, „ულიტაიტე ვორანის“ და ასეთი ტიპის სიმღერებს. ვინც ეს მცდარი ინფორმაცია გაავრცელა, მხოლოდ დაცინვის ღირსია. ასეთი ჩხუბი თბილისში ყოველდღე ხდება“.









არცთუ იშვიათად, ღამის კლუბებსა და ბარებში, ალკოჰოლური თრობა ჩხუბით სრულდება. ოფიციალური სტატისტიკა ამის შესახებ უცნობია. შსს-ს პრეს-ცენტრში განაცხადეს, რომ ამ კუთხით სტატისტიკის შედგენა არ ხდება.

სასწრაფო სამედიცინო სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელძღვანელის ნინო სამადაშვილის თქმით, ანალოგიური სტატისტიკა არც მათ მოეპოვებათ.

„ჩვენთან სტატისტიკის აღრიცხვა ტრავმის სირთულის მიხედვით ხდება. ამიტომ, ასეთი სტატისტიკა არ მოგვეპოვება. თავად განსაჯეთ, თბილისის მასშტაბით დღეში მინიმუმ 2 000-მდე გამოძახებაა. ექიმისთვის მნიშვნელობა არ აქვს რის გამო მიიღო დაზიანება, მთავარია, რომ დახმარება აღმოუჩინოს“, - განაცხადა სამადაშვილმა.

კოსტავაზე მომხდარი ინციდენტის ერთ-ერთი თვითმხილველის თქმით, მოჩხუბრები საკმაოდ ნასვამები იყვნენ და თავს ველარ აკონტროლებდნენ.

„რას სვამენ ასეთს, რომ ორი ჭიქის მერე თავს კარგავენ და თვითონაც არ იციან რას სჩადიან. ამ გადარეულ დროში ხელოვნურად რად იგიჟებენ თავს“?

რა ტიპის სასმელებს ეტანებიან კლიენტები ღამის კლუბებსა თუ ბარებში, ამის გასაგებად „პრაიმტაიმი“ რამდენიმე გამოცდილ ბარმენს ესაუბრა.

ზუზუ, 30 წლის: „ტყუილია, რომ ამბობენ, თითქოს ბარებში რაღაც ისეთს ვურევთ სასმელში, რაც სწრაფ თრობას იწვევს. სხვადასხვა ალკოჰოლის და გაზიანი სასმელის შეზავებით ვიღებით სხვადასხვა გრადუსის სასმელს. სწორედ ეს იწვევს თრობას. ნუ დაგვავიწყდება ქართული მენტალიტეტი და კულტურა, ხშირ შემთხვევაში, ბარში უკვე ზომაზე მეტად შეზარხოშებულები მოდიან და აქაური კოქტეილი ერთგვარ კატალიზატორის როლს ასრულებს. არავინ მოგატყუოთ, რომ სასმელში რამეს ურევენ. ეგ არის კრიმინალი და ამის გამო შარში არც ერთი ბარის მეპატრონე არ გაეხვევა“.

**გუკა, 26 წლის:** „ხალხში არის მოსაზრება, რომ ფალსიფიცირებული არაყი იწვევს თრობას, ადამიანს აგიჟებსო. ლოგიკურად იმსჯელეთ, ფალსიფიცირებული არაყი თრობას კი არ გამოიწვევს, არამედ მოწამვლას. სასმელში კი არ არის პრობლემა, არამედ მათში, ვინც აქ მოსვლამდე ფსიქოტროპული წამლებით და „ექსტაზით“ იჟღინთება. ასეთ მდგომარეობაში მყოფზე მცირეგრადუსიანი კოქტეილიც კი ზღვარგადასულ თრობას იწვევს. პრაქტიკულად, თავს ველარ აკონტროლებენ. მერე ნუ გიკვირთ ერთმანეთს რომ დაერევიან“.

ღამის კლუბების და ბარების ხშირი სტუმრებისთვის უცხო არ არის ე.წ. „ბიონარკოტიკი“, „ტრანსის“ მისაღწევად ბევრი სწორედ ამ ხერხს მიმართავს. სამწუხაროდ, ზოგიერთი ახალგაზრდისთვის ამ ნარკოტიკის მიღება ფატალურად დასრულდა.

სახელმწიფოს ინიციატივით „ბიონარკოტიკის“ გამოყენების მიმართ რეგულაციები მკაცრდება. თუმცა, ღამის ცხოვრების მოყვარულები სხვადასხვა გზით მაინც ახერხებენ სასურველი ნარკოტიკის თუ ფსიქოტროპული ნივთიერების მოპოვებას.


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ინტერვიუ წმინდა ნიკოლოზის გამოსახულების თვითმხილველთან

# „გამოსახულება ორმაგ მინას შორის გამოისახა. ხელი გადავუსვით და არ წაიშალა“



EXCLUSIVE

სალომე გოგოხია

**გასულ კვირას ამსტერდამი-თბილისის რეისის ერთ-ერთმა მგზავრმა სოციალურ ქსელში ფოტო გამოაქვეყნა. „აირზენას“ სამგზავრო თვითმფრინავში მეოცე რიგში გადაღებულმა ფოტომ ინტერნეტსივრცეში დიდი გამოხმაურება ჰპოვა. უმრავლესობამ ფოტოზე წმინდა ნიკოლოზის გამოსახულება ამოიცნო.**

ამსტერდამი-თბილისის რეისი, სადაც ეს სასწაული მოხდა, 10 მარტს შესრულდა. როგორც „პრაიმტაიმს“ ბორტგამცილებელმა ნინო არჩვაძემ უამბო, თვითმფრინავის აფრენიდან მოკლე ხანში ჰოლანდიელმა მგზავრა მოუხმო და ილუმინატორზე არსებულ გამოსახულებაზე მიუთითა.

**ნინო არჩვაძე:** - ძალიან ფაქიზი თემაა და ძალიან ვნერვიულობ. ჩვენ არც ვფიქრობდით ამ თემის გახმაურებაზე, არ გვინდოდა ვინმე ღვთის გმობაში ჩავარდნილიყო. მე თვითონ მორწუნე ვარ. ერთ-ერთმა მგზავრმა ფოტო სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა და ამის შესახებ ყველამ გაიგო. ამსტერდამში მივფრინავდით. აფრენისთანავე მგზავრმა ილუმინატორზე გამოსახულება შეამჩნია. პირველად მე დამიძახა და მითხრა, შეხედეთ, ეს რა არის, რას ნიშნავსო. სიბნელეში გამოსახულება ბაცად ჩანდა. ვიფიქრეთ, რომ ორთქლისგან იყო, გვეჩვენებოდა. შუქი ავანთეთ და გამოსახულება უფრო მკვეთრი გახდა. მთელი ხუთი საათის მანძილზე ილუმინატორიდან გამოსახულება არ გამქრალა. თვითმფრინავი ამსტერდამში ჩაფრინდა, შემდეგ თბილისში დაბრუნდა და ამ დროის განმავლობაში გამოსახულება არ გამქრალა. არამორწმუნეებს შეიძლება გაეცინოთ, გარიჟრაჟზე გამოჩნდა წმინდა ნიკოლოზის გამოსახულება, აშკარად ქართული, მართლმადიდებლური შარავანდედით.

**- თქვენი პირველი ასოციაცია წმინდა ნიკოლოზის გამოსახულების ნახვისას?**

- მე თვითონ მორწმუნე ვარ და პირველი, რაც გავიფიქრე, ეს იყო, რომ წმინდანი გვაფრთხილებდა. რაღაც ხიფათს აგვარიდა. წმინდა ნიკოლოზი ცნობილია, როგორც მგზავრების შემწე და მფარველი. ყოველთვის დიდ სასწაულებს ახდენდა. ვიფიქრეთ, რომ რაღაც ხიფათს გადაგვარჩენდა. ამიტომ, მშვიდად ვიყავით მისი გამოსახულება რომ დავინახეთ. წვიმდა. ცუდი ამინდი იყო. როგორც პილოტებმა აღნიშნეს, ბორტს მიღმა ტემპერატურა -70-72 გრადუსი იყო, როცა სხვა დროს -45 გრადუსია. იმ მომენტში ტურბულენტურ ზონაში ვიყავით, რყევები იყო და კლიმატიც შეიცვალა. 12 წელია, რაც დავფრინავ და მსგავსი რამ არასდროს მომხდარა.

**- გამოსახულება თავიდანვე წმინდა ნიკოლოზს მიამსგავსეთ?**

- თავიდან დავინახე ფრთები, ანგელოზს მივამსგავსე, შემდეგ გამოიკვეთა წმინდა ნიკოლოზი. ერთმა-ერთმა ქართველმა მგზავრმა - მერაბმა, ბოლო მოდელის მობილურით ბევრი ფოტოები გადაუღო. მის მიერ გადაღებულ ფოტოებში წმინდა ნიკოლოზთან ერთად მაცხოვარია გამოსახული. როცა მგზავრი დაბრუნდება ფოტოებს შევკრებთ. ჩვენ ძალიან ცოტა ფოტო გვქონდა, პირადად მე ფოტოაპარატი დამრჩა და ვერ გადავიღე.

**- ამ ფოტოს ნახვის შემდეგ, ზოგიერთმა ინტერნეტმომხმარებელმა თქვა, რომ დახატულიაო...**

- გამოსახულება ორმაგ მინას შორის გამოისახა. ჩვენ არც ვაპირებდით ამის გახმაურებას. მე მამაოსგან კურთხევა ავიღე, ისე კომენტარს არ გავაკეთებდი. პიარი არ გვინდოდა, ამიტომ არ ვახმაურებდით. თუმცა, ერთ-ერთმა მგზავრმა გამოაქვეყნა ფოტო. ეკიპაჟის გარდა გამოსახულებას მგზავრებმაც გადაუსვეს ხელი. არ წაიშალა. ეს იყო არაბუნებრივი.

**- როგორ იყო მგზავრების რეაქცია?**





ნინო არჩვაძე

- მგზავრების უმრავლესობა ქართველები იყო. გაოგნებულები, დაბნეულები უყურებდნენ. პირჯვარს ისახავდნენ. ყველამ ფოტო გადაუღო.

**- რას უკავშირებთ წმინდანის გამოსახვას?**

- ჩვენი ყველა თვითმფრინავი ნაკურთხია. წმინდა ნიკოლოზი მგზავრების მფარველია. ბედნიერები ვართ, რომ ჩვენს თვითმფრინავს, კომპანიას წმინდა ნიკოლოზი მფარველობს და საერთოდ, საქართველოს. ძალიან სასიამოვნო ფაქტია. გამოსახულება 12 საათის განმავლობაში არ გამქრალა. ბორტი დავტოვე, როცა ტექნიკოსებმა და დამლაგებლებმა ჩაიბარეს, აღნიშნეს, რომ გამოსახულება ისევ იყო. ახლა გამახსენდა, რომ ამსტერდამში წმინდა ნიკოლოზის მართლმადიდებლური ეკლესიაა. შესაძლოა, ის მგზავრიც მართლმადიდებელი იყო.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# გადაგდებული პერსონალი

ნატა დვალიშვილი

**რჩება თუ არა ჯანდაცვა საქართველოს ნებისმიერი ხელისუფლების აქილევსის ქუსლად, ამაზე მრავალმხრივი პასუხი არსებობს, რადგან ეს ის სფეროა, სადაც ბოლომდე კმაყოფილი არავინაა, უკმაყოფილო - რამდენიც გაგიხარდებათ. მერამდენე წელია, მერამდენე რეფორმით ხელისუფლება ცდილობს დაარეგულიროს სისტემა ისე, რომ წაგებული არავინ დარჩეს. უდაოა, რომ სოციალურად დაუცველი და გაჭირვებული მოსახლეობისთვის საყოველთაო ჯანდაცვამ ბევრი გააკეთა, ეს კარგია მათთვის და იმ სამედიცინო დაწესებულებებისთვისაც, სადაც ისინი მკურნალობენ. მაგრამ ჩაკეტილი წრიდან ჯერ მაინც ვერ გამოვედით, რადგან სამედიცინო დაწესებულებებს აქვთ მისაღები სოლიდური თანხები სხვადასხვა სადაზღვევო კომპანიებისგან და სახელმწიფოსგანაც, რის გამოც პერსონალს ხელფასებს ვერ უხდიან. უკმაყოფილო პერსონალი, თავისთავად, უხარისხო მომსახურებას ნიშნავს, რაც ისევ პაციენტებზე აისახება.**

დღეს უკიდურესად რთული მდგომარეობაა თბილისის პირველი კლინიკურის მიმღებში, რომელსაც მოსახლეობა „არამიანცის ემერჯენსის“ ან „გიგანის კლინიკის“ სახელით იცნობს. იქაურ მედპერსონალს ხელფასი გასული წლის ნოემბრიდან არ აუღია. კლინიკის ადმინისტრაციას „რკინის არგუმენტი“ აქვს - სახელმწიფოს და კერძო სადაზღვევოებს დავალიანება აქვთ, ჯერ ვერ გვისტუმრებენ, შესაბამისად, თქვენმა ხელფასმაც „ჩაილურის წყალი“ დალიაო... ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით ყველაფერი აქეთ მიდის, ამასობაში კი, როგორც შევიტყვეთ, ექიმებმა გათავისუფლების შესახებ განცხადებები უკვე დაწერეს, და თუ მარტის 20 რიცხვამდე ხელფასები არ დაერიცხებათ, ექთნები და სანიტრებიც არ დაახანებენ... ერთი სიტყვით, დათო გიგანს, როგორც კლინიკის მფლობელს, მარტის ბოლომდე აქვს ვადა - ან დავალიანებას გაისტუმრებს, ან მედპერსონალის გარეშე დარჩება... თუმცა, როგორც წყარო გვიმხელს, ეს არც პირველი იქნება და არც უკანასკნელი - პერსონალი დავალიანების გამო აქამდეც არაერთხელ გამოცვლილა... ამას გარდა, არსებობს მორალური პასუხისმგებლობაც - ნუთუ მედპერსონალს იმდენი არ დაუმსახურებია, ნოემბრიდან მოყოლებული ხელფასს რომ ვერ უხდი და თან ულტიმატუმს უყენებ - აარჩიე რა გირჩევნია, პაციენტისთვის წამალი ვიყიდო თუ შენ გადაგიხადო ხელფასიო - ერთხელ მაინც პირადად უნდა შეხვდე და მოუბოდიშო, რომ დაარღვიე მისი, როგორც დაქირავებულის უფლება?!

შპს „თბილისის პირველი კლინიკურის მიმღების“ თანამშრომლების თვალწინ საყოველთაო დაზღვევის პროგრამით, თუ სხვადასხვა სადაზღვევო კომპანიებიდან მიღებული საგარანტიო წერილების მიხედვით, თანხები ირიცხება, მაგრამ ხელფასებს მაინც არავინ იძლევა. მედპერსონალს უხსნიან, რომ ეს თანხები პირდაპირ ბანკში წავიდა, რადგან კლინიკას, თავისი განვითარებისთვის, თავის დროზე საბანკო კრედიტი აქვს აღებული. სამსახურის დაკარგვის შიშით თანამშრომლებს უწევთ ყოველდღე სიარული და მუშაობა, რისთვისაც ყველა ხარჯს საკუთარი ჯიბიდან იღებენ.

ორი კვირით გაფიცული იყო კლინიკის ნეიროქირურგიული განყოფილებაც, არ ტარდებოდა სერიოზული ოპერაციები. მათ მუშაობა, რამდენიმე დღის წინ, იძულებით გააგრძელეს, რადგან კერძო სადაზღვევოებიდან საგარანტიო წერილები მოვიდა. თუმცა, იმის გარანტია, რომ საგარანტიო წერილში გათვლილ და ინვოისში დაფიქსირებულ ასანაზღაურებელ თანხას ნამდვილად აიღებენ, მედპერსონალს ისევ არ აქვს.

კიდევ რამდენი ხანი შეიძლება შევიდეს დაქირავებული დამქირავებლის მდგომარეობაში, არავინ იცის. ფაქტია, რომ ყველას საკუთარი შრომის საფასურის მიღება უნდა. სად წავა შემოსული თანხა, ბანკის ვალში, საბრუნავ საშუალებებზე თუ კომუნალურ გადასახდებზე, პერსონალს სულ უფრო ნაკლებად აღელვებს. კლინიკაში მოგროვილია ხელმოწერები მოთხოვნით, დარიგდეს ხელფასები თვის ბოლომდე.

რას აპირებს კლინიკის ადმინისტრაცია, რატომ შეიქმნა ეს პრობლემა და სად არის გამოსავალი, ამის გარკვევას „პრაიმტაიმი“ კლინიკის მეპატრონე დავით გიგანთან შეეცადა, მაგრამ მან სატელეფონო ზარს არ უპასუხა. კლინიკის მენეჯერმა ხათუნა ტაბატაძემ სამედიცინო დირექტორთან გიორგი მაღალაშვილთან გადაგვამისამართა. ცნობილი და პრაქტიკოსი ნეიროქირურგი, თავადაც შეწუხებული და აღშფოთებულია კლინიკაში შექმნილი მდგომარეობით და აღნიშნავს ერთს, რომ პრობლემა იმ გაუაზრებელი სადაზღვევო რეფორმის შედეგია, რომელიც წინა ხელისუფლებამ გაატარა:

- ყველაფერი „არქიმედეს“ გაკოტრებასთან არის დაკავშირებული. მათ 320 ათასი ლარი აქვთ ჩვენი ვალი, რომლითაც ორი თვის ხელფასები უნდა გაგვეცა. სანამ გაკოტრდებოდა, არც მაშინ იხდიდა დროულად დავალიანებას. ამჟამად სახელფასო დავალიანება 300 ათასი ლარის ფარგლებში გვაქვს დაგროვილი. ორჯერ და სამჯერ მეტი თანხა მაქვს ქაღალდზე, რომელსაც ველოდებით, რომ მივიღებთ. ახლა, წესით, 950 000 უნდა მქონდეს ანგარიშზე, ქაღალდზე მოგებაში ვარ, გესმით, რაშია საქმე? ორი თვე ერთმა სადაზღვევომ დამიგვიანა ფული, სამი თვე – მეორემ, „არქიმედე“ საერთოდ გაკოტრდა და როდის რა იქნება, არ ვიცი. ეს ყველაფერი ერთმანეთს დაემატა და ორმო გაჩნდა ისეთი, რომელსაც ვერ ვავსებთ. გავგიჟდით უკვე...

**- ამ თანხას მარტო კერძო სადაზღვევო კომპანიებისგან ელოდებით?**

- კი ბატონო, სახელმწიფოსგანაც ველოდებით, მაგრამ იქ მოგვარებულია საქმე. ჩვენ ვიცით, რომ კონტრაქტის მიხედვით, ერთ თვეს ვმუშაობთ და ჩაბარებული სამუშაოდან, 25 დღეში, ანუ თვესა და 25 დღეში თანხას მივიღებთ. ეს ვარიანტი მე მაწყობს, ორი თვეც მაწყობს, მთავარია ვიცოდე, რომ ფული ნამდვილად იქნება.

**- ასეთ გარანტიებს კერძო სადაზღვევო კომპანიები ვერ გაძლევენ?**

- გარანტიებს კი გვაძლევენ, ხელშეკრულებაში კონკრეტული ვადები წერია, მაგრამ არ ასრულებენ. თავიდანვე შეცდომა იყო ის რეფორმა, რაც წინა ხელისუფლებამ გააკეთა, ის ფული, რომლითაც მოქალაქეებს უნდა ემკურნალათ, მისცა კერძო სადაზღვევოებს და მათ რაც გააკეთეს, კარგად ვნახეთ. ამ რეფორმამ დალუპა მედიცინა საქართველოში. სადაზღვევოებს შეეძლოთ დაეგდოთ სამედიცინო მომსახურების ფასი და გაეშვათ პაციენტი იქ, სადაც უფრო იაფად იყო მომსახურება. არადა, თითქმის ყველა კლინიკა ისედაც თვითღირებულებაზე მუშაობს. გამორიცხულია ინვოისში ჩაგვედო მოგება ან განვითარებისთვის საჭირო პროცენტი, მედიცინა ხომ წინ მიდის და ახალი ტექნოლოგიები შემოდის? ხარისხიანი მასალა ხომ უნდა გქონდეს, რომ ხარისხიანი მომსახურება გავწიოთ? პაციენტს არ ჰქონდა არჩევანის საშუალება, უნდა წასულიყო იქ, სადაც სადაზღვევო კომპანია გაუშვებდა. ფული, რომელიც ჩვენთვის უნდა გადაეხადათ, თვეობით არ ირიცხებოდა. მათ თავისუფლად შეეძლოთ ეს ფული სხვა ბიზნესში დაეტრიალებინათ და შემოსავლები გაეზარდათ. ამასობაში აქ ვალი რომ დაგროვდა, ეს არავის აინტერესებს. სად წავიდა ის ფული, რატომ არ გადაგვიხადეს? სანამ სტატიას დაწერთ, გაიკითხეთ, „არქიმედეს“ დირექციის წარმომადგენლები რამდენათასიანი მანქანებით დადიან, ან რესტორანში რამდენს ხარჯავენ დღეში? სადაზღვევოს უფროსს ხელფასი თვეში 15 ათასი ლარი რომ ექნება და თვეში 60 ათას ლარიან პრემიას გამოიწერს თავის თავზე, იმან მე როგორ უნდა გადამიხადოს ფული, გაკოტრდება, აბა რა იქნება?! იკითხეთ, „არქიმედეს“ ღუდუშაურის ან ინგოროყვას კლინიკის რამდენი ვალი აქვს? მილიონებზეა ლაპარაკი... სად რამდენი მილიონი აქვთ გადაქაჩული, მე არ ვიცი. 12 რიცხვში რომ უნდა მიმეღო 300 000 ლარი და ხელფასები გამესტუმრებინა, 8 რიცხვში, 4 დღით ადრე, გამოაცხადეს, გავკოტრდითო. ელდა მეცა, იმის მერე ღამეები არ მძინავს. იცოდნენ, რომ გაკოტრებაზე მიდიოდნენ და ფულები წაიღეს სახლში. კიდევ რა მექანიზმებით გააკეთეს ეს, მე არ ვიცი, მაგრამ ვხედავ მათ ქალაქში, ძალიან კარგ ხასიათზე რომდადიან. სულ არ აწუხებთ ის, რომ მე თანამშრომლებს ხელფასს ვერ ვაძლევ, ღამეები არ მძინავს ნერვიულობით... დღეს ერთმა ექთანმა რაღაც თანხა მთხოვა, გაჭირვებით მოვუკრიბე და მივეცი, რომ კომუნალურები გადაეხადა, უდენოდ და უგაზოდ არ დარჩენილიყო. ასე სათითაოდ მოდიან და მეხვეწებიან, თუ რამე თანხა შემოვიდა ხელზე, ვცდილობ, გავანაწილო. კლინიკაც ხომ კრედიტით არის გაკეთებული, აქ თანხაა ჩადებული. მე ეს კრედიტი თვის ბოლოს უნდა გადავიხადო? თუ დამიგვიანეს ფულის ჩარიცხვა, კრედიტორი გამიყინავს საბანკო ანგარიშს და ხელფასის გაცემის უფლება არ მაქვს, სანამ კრედიტს არ გავისტუმრებ. ბანკს არ ესმის, რომ მე ქაღალდზე ამდენი ფული მაქვს, მას ქაღალდი არ სჭირდება, საფინანსო ორგანიზაციაა და ამაში ვერ დაადანაშაულებ, თავისას გთხოვს. ყველაფერი ერთმანეთზეა გადაბმული, ფულის დროული მოწოდება რომ ყოფილიყო, ეს პრობლემა არ შეიქმნებოდა. კანონმდებლობაშია ცვლილებები შესატანი, კლინიკას უნდა ჰქონდეს უფლება დააკისროს სადაზღვევოს ჯარიმები ყოველ გადაცილებულ დღეზე, თუ ფულის გადახდას უგვიანებს. სადაზღვევომ უნდა იცოდეს, როცა ფულს მიგვიანებს, ეს მისი წაგებაა. ახლა კი ეს მისთვის მოგებაა, იმ ფულს სხვა ბიზნესში დაატრიალებს. ამიტომ არ დავმალავ და ვიტყვი, რომ ვცდილობ, კერძო სადაზღვევო კომპანიებს უკვე არ მოვემსახურო. ისედაც თვითღირებულებაზე გვამუშავებენ, არ იხდიან დროულად, არავინ იცის, როდის გაკოტრდებიან და დარჩება მისაღები თანხა ასე ჰაერში გამოკიდებული.

**- ანუ კონკრეტული დროის თქმა, როდის გაისტუმრებთ დავალიანებას, თქვენ არ შეგიძლიათ. ცნობილია, რომ „არქიმედეს“ ვალების დაფარვა მოხდება იმის მერე, რაც გამკოტრებელი მისი აქტივის რეალიზებას მოახდენს...**

- ეს გავიგე, მაგრამ როდის მოხდება? ჩემი წარმოება ხომ მუშაობს, თვეში 80 000-ის წამალი, მასალები უნდა შემოვიტანო. ეს თუ არ შემოვიტანე, ხელფასი კი არა, სამუშაოც არ იქნება, მაშინ უნდა გავჩერდეთ. თანხა თვეების მერე კი არა, ახლა გვჭირდება, რომ ვიარსებოთ. ისევ სახელმწიფომ აიღო მაგათი ვალები საკუთარ თავზე, ისევ სახელმწიფოს გადასაფარი გახდა უსინდისო ხალხის ნამოქმედარი. ახლა, სახელმწიფოსაც უნდა დრო, რომ ამ ყველაფერში გაერკვეს, დაალაგოს და იმოქმედოს. გვპირდებიან, რომ მომავალ თვეში სახელმწიფო 25%-ს გადაგვიხდის, მაგრამ 25% -ით რას გავისტუმრებთ... დარჩენილ 75%-ს გვეუბნებიან, რომ ნელ-ნელა გაისტუმრებენ. მესმის, სახელმწიფოს არ აქვს იმდენი ფული, რომ ერთიანად აიღოს და ასე გადაყაროს, იმის გამო, რომ ვიღაცამ თავის დროზე იგულავა და დღემდე ძვირადღირებული მანქანებით დასეირნობს.

**- ანუ მხოლოდ სახელმწიფოსგან გაქვთ დახმარების იმედი?**

- კი, ასეა, მაგრამ თუ ასე არ მოხერხდება, ეს კაპიტალიზაციად უნდა ჩავთვალოთ. მეტი რა გითხრათ, როგორ გითხრათ? თანამშრომლებს ველაპარაკე, ვესაუბრე, მგონი რაღაცნაირად ყველამ გაიგო ეს მდგომარეობა. თუ ვინმემ ვერ გაიგო, ის, ალბათ, იჩივლებს სასამართლოში და იქ მოითხოვს საკუთარ ხელფასს. მაგრამ ყველას, ალბათ, ის უფრო უნდა აწყობდეს, რომ დაწესებულება მუშაობდეს, რადგან დღეს სასამართლოთი თუ აიღებს ხელფასს, ხვალ შეიძლება საერთოდ უმუშევარი დარჩეს. მადლობის მეტს ვერაფერს ვიტყვი კოლექტივზე, ძალიან კარგი პერსონალი გვყავს, მაგრამ როდემდე გაუძლებენ ისინიც? ყველას თავისი ოჯახი ჰყავს და საკუთარი პრობლემები აქვთ. უკვე მრცხვენია მათთვის თვალებში შეხედვა, მაგრამ მე ნამდვილად არაფერ შუაში ვარ. ამ ხნის კაცი 24 საათი საოპერაციოდან არ გამოვდივარ, ვმუშაობ, რომ ორი











© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# და გადაგდებული კლინიკები

კაპიკი ზედმეტი შემოვიდეს და ყველა დავაკმაყოფილო, მაგრამ ძირითადად გამოდის ისე, ფული მაინც ქაღალდზეა – ქაღალდს კი ვერავინ შეჭამს!

**- გამოსავალს რაში ხედავთ?**

- ერთადერთი, ვისთანაც პრობლემა არ გვაქვს, ეს საყოველთაო ჯანდაცვაა. სახელმწიფომ მოგვხედა ერთადერთი, დანარჩენს ყველას, ბოდიში გამოთქმაზე, ფეხებზე ჰკიდია ჩვენი მდგომარეობა. საყოველთაო დაზღვევა რომ შემოეღოთ თავის დროზე, დღეს მილიონერები ვიქნებოდით. თუ ეს ყველაფერი მთლიანად სახელმწიფოს ხელში არ გადავიდა, და თუ არ გადავა, ჩვენც მოგვეცეს უფლება ფასი დავაწესოთ, სადაზღვევო კომპანია კი არ მანიპულირებდეს პაციენტებით და კლინიკებით, მანამდე არაფერი გამოვა.

**- იმ თანხებით, რასაც თუნდაც საყოველთაო ჯანდაცვიდან იღებთ, არ არის შესაძლებელი ნაწილობრივ მაინც რომ დაიფაროს სახელფასო დავალიანება?**

- რა თქმა უნდა, რესტრუქტურიზაციის სქემა უკვე გაკეთებული გვაქვს და ნელ-ნელა დავფარავთ, როცა საშუალება იქნება, მაგრამ ჯერჯერობით ამის საშუალება არ არის. ველოდებით სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერას, ვფიქრობთ, რომ თვის ბოლოს თვე-ნახევრის ხელფასს მაინც გავისტუმრებთ.




## ვინ აგებს პასუხს თვეობით გაუცემელ სახელფასო დავალიანებაზე?

„პრაიმტაიმი" სხვა კლინიკების მდგომარეობითაც დაინტერესდა. ის, რომ „არქიმედეს" დავალიანება ბევრ კლინიკაში აქვს, დადასტურებულია. იგივე აღნიშნეს პირველ კლინიკურ საავადმყოფოში, ასევე, ინგოროყვას კლინიკაში, თუმცა იქვე განაცხადეს, რომ სახელფასო დავალიანება მათთან არ არსებობს და პერსონალს ხელფასებს ყოველთვიურად უსტუმრებენ. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით მისაღები თანხაც ახლახან დაერიცხათ, რომლითაც თებერვლის ხელფასებს დაარიგებენ.

თუმცა, ერთი თვის წინ პრეტენზია ჰქონდათ მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების ცენტრის საუნივერსიტეტო კლინიკის (ინგოროყვას კლინიკა) დაცვის სამსახურის პერსონალსაც. საუბარი იყო ორთვიან დავალიანებაზე, რის გამოც დაცვის თანამშრომლებმა სამსახური დატოვეს. ინგოროყვას კლინიკის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის ლელა მანაგაძის თქმით დაცვის სამსახურის წევრები არ არიან მათი კლინიკის თანამშრომლები. სხვადასხვა კერძო დაცვის სამსახურთან სხვადასხვა დროს მათ ჰქონიათ ხელშეკრულებები და კანონით განსაზღვრული წესით, ისინი მომსახურების თანხას კონტრაქტორ ფირმას ურიცხავენ და დაცვის სამსახურის თანამშრომლებზე ხელფასები იქიდან ნაწილდება: „დაცვის სამსახური, რომელზეც თქვენ მეკითხებით, ჩვენ ახლახან შევცვალეთ. თვითონ ამ კომპანიამ დაარღვია კონტრაქტის პირობები. კლინიკას მიადგა მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი, დაიკარგა ინვენტარი, არ ეკიდებოდნენ მეტი პასუხისმგებლობით ჩვენს მატერიალურ ქონებას, მაგალითად, დაიკარგა ეტლები, რითაც ვამოძრავებთ ჩვენს პაციენტებს. ჩვენი კლინიკის იურიდიული სამსახური შეადგენს სათანადო სარჩელს და ალბათ, სასამართლო გადაწყვეტს, ვინ აგვინაზღაურებს ამ ზარალს. რაც შეეხება ხელფასებს, მათ ჩვენ გადავიხდით, რადგან დადებული კონტრაქტი ამას გვავალდებულებს. ყველაფერი მაინც სასამართლოში გაირკვევა. ჩვენი პერსონალის ხელფასების საკითხი დიდი ხანია მოგვარებულია და ყველა თანამშრომელი ყოველი თვის ბოლოს ღებულობს კუთვნილ ხელფასს. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამიდან დავალიანება, როგორც ასეთი, ჩვენ არ გვაქვს. მთავარია, ჩვენ სწორად, ხარვეზების გარეშე წარვუდგინოთ დოკუმენტაცია სამინისტროს. როგორი ოპერატიულობითაც მივაწვდით შესრულებული სამუშაოს შესახებ ინფორმაციას, ისეთივე ოპერატიულობით გვერიცხება თანხები".

„პრაიმტაიმი" საყოველთაო ჯანდაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარეს რუსუდან გოგოლაშვილს დაუკავშირდა, რომელმაც განაცხადა, რომ კლინიკიდან შემოსული განაცხადის დაკმაყოფილება ერთი თვის განმავლობაში ხდება: „საყოველთაო ჯანდაცვიდან თვეების განმავლობაში კლინიკებს მისაღები თანხები არ დაგროვებიათ. იმაზე ადრე ვრიცხავთ თანხებს, ვიდრე კერძო სადაზღვევო კომპანიები. რატომ ხდება გადამისამართება ჩვენსკენ, ეს გაუგებარია. შემიძლია ოფიციალურად დადასტურებული დოკუმენტები გადმოგიგზავნოთ, თუ რომელ კლინიკაში როდის მოხდა ბოლო გადარიცხვა და რომელი თვეა დახურული. რაც შეეხება, „არქიმედეს" დავალიანებებს; კონკრეტულად ვერ გეტყვით, როდის მოხდება ვალის გასტუმრება. ყველამ იცის, რომ „არქიმედეში" შესულია გამკოტრებელი და როცა მოხდება კომპანიის აქტივების გაყიდვა, ის თანხები გადანაწილდება მევალეებზე. ადრეც ითქვა, რომ ყველა თავის დავალიანებას ამით ვერ მიიღებს. ამიტომ ჯანდაცვის სამინისტრო ფინანსთა სამინისტროსთან ერთად ფიქრობს, გამოინახოს დამატებითი თანხები და მოხდეს მევალეებისთვის პროპორციული გადანაწილება. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით არც ერთ კლინიკას დავალიანება არ დაგროვებია და ამაზე სკანდალს ჩვენ ნუ აგვიგორებენ".

წესითა და რიგით, შრომის კოდექსი დამქირავებელსა და დაქირავებულს შორის ურთიერთობას უნდა აწესრიგებდეს, მაგრამ ეს საქართველოში, ალბათ, ერთადერთი კანონია, რომელსაც ბევრად არავინ დაგიდევთ. თავის სიტყვას უნდა ამბობდეს პროფკავშირიც, რომელიც მხარში უნდა ამოუდგეს დასაქმებული ადამიანების შრომითი ინტერესების დაცვას. „პრაიმტაიმმა" მედიცინის მუშაკთა პროფკავშირების თავმჯდომარეს ჯონი ჯანაშიასაც მიმართა კითხვით, ჰქონდა თუ არა ინფორმაცია „თბილისის პირველი კლინიკური მიმღების" თანამშრომელთა პრობლემის შესახებ: „კონკრეტული ინფორმაცია, თუ რა ხდება ამ კლინიკაში მე არ მაქვს, ვინაიდან ისინი არ არიან ჩვენი ორგანიზაციის წევრები. უამრავ კლინიკაში ვარ მისული და შემითავაზებია ჩვენთან თანამშრომლობა, მაგრამ იქ, სადაც ეს არ სურთ, ძალით ხვეწნას ვერავის დავუწყებთ. ზოგადად, მაქვს ინფორმაცია, რომ უამრავ სამედიცინო დაწესებულებაში არის ასეთი პრობლემა, ექიმები მუდმივად ჩივიან ხელფასის სიმცირესა და დაგვიანებაზე. მაგრამ კონკრეტული ციფრები, თუ სად რამდენი ექიმია უკმაყოფილო და სად რამდენთვიანი სახელფასო დავალიანებაა, მე არ მაქვს. ვინც მოგვმართავს, ყველას გამოვუცხადებთ სოლიდარობას და დავეხმარებით ყველა იმ ფორმით, რასაც საქართველოს კონსტიტუცია და შრომითი კანონმდებლობა გვანიჭებს, იქნება ეს გაფიცვა, საპროტესტო აქციები თუ სხვა. ეს მარტო მათი მეშვეობით არ მოხდებოდა, ჩვენს აქტივსაც მივიყვანდით და მხარში ამოვუდგებოდით. სამწუხაროდ, ამ კლინიკას ჩვენთან გაერთიანების სურვილი არ ჰქონია, მაგრამ თუ მოგვმართავენ, გამოინახება რესურსი, რომ გვერდში დავუდგეთ".

ერთი სიტყვით, შედეგი გამძლეობამდეა. იმ ადამიანებს, ვისაც რამდენიმე თვე არ მიუღიათ კუთვნილი ხელფასი, ორი გზა აქვთ: ან გააგრძელონ მუშაობა, დაელოდონ და ნაწილ-ნაწილ აიღონ ხელფასი, ან იჩივლონ სასამართლოში, რომელიც კლინიკას დააკისრებს არსებული დავალიანების დაფარვას, თუმცა შემდეგ რთული სათქმელია, გააგრძელებენ თუ არა ისინი იმავე ადგილზე მუშაობას.

ორ ცეცხლს შუაა კლინიკის დირექციაც: მან უნდა გაუძლოს მედპერსონალის სამართლიან საყვედურებს და ეძებოს გამოსავალი - მგელი შეჭამს თუ მგლისფერი ძაღლი, დიდი სხვაობა მისთვის არაა.

პროფკავშირებს არაფერი შეუძლია, ჯერი სასამართლოზე და ძირითადად, ისევ სახელმწიფოს ნებაზეა. ის, რაც „შეიჭამა" ადრე, დღეს ვიღაცამ უნდა დააბრუნოს. სახელმწიფო რესურსი, ბიუჯეტის ფული, რომლითაც სახელმწიფო ვარაუდობს ამ კონკრეტული შემთხვევის მოგვარებას, ისევ ჩემი, თქვენი, პატიოსანი გადამხდელების მიერ გადახდილი გადასახადებით არის შეგროვილი.







© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რატომ ითხოვს ილია მეორ
# საქართველოს ეკლესიისთვის ი

ქეთი ხატიაშვილი

**საქართველოს მართლმადიდებლურმა ეკლესიამ 2016 წელს დაგეგმილ მსოფლიო საეკლესიო კრებაში შეიძლება მონაწილეობა არ მიიღოს. ყველაფერი დამოკიდებული იქნება იმაზე, რამდენად შესრულდება საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოთხოვნა ეკლესიების იერარქიაში (საეკლესიო დიპტიქში) საქართველოს ეკლესიის კუთვნილი ადგილის დაბრუნების შესახებ.**

**ილია მეორის მიმართვის ტექსტში წერია:**

„ფრიად ვწუხვართ იმის გამო, რომ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას ჯერ კიდევ თავისი კუთვნილი ადგილი არ უკავია კონსტანტინოპოლის ეკლესიის დიპტიქში. თუ ეს არ გამოსწორდება და თუ ყველა თემა არ იქნება შეტანილი მომავალი კრების განსახილველ საკითხთა დღის წესრიგში, ჩვენთვის მასში მონაწილეობა ძალიან რთული იქნება...“

საქართველოს ეკლესიას დიპტიქში მეხუთე ადგილი ეკავა, იერუსალიმის შემდეგ. კონსტანტინოპოლმა საქართველო ოდითგანვე ავტოკეფალიურად აღიარა, სწორედ ამის შედეგია ჩვენი ეკლესიის მეხუთე ადგილიც. საქართველოს ადგილი ამჯერად რუსეთს უკავია. ილია მეორე საქართველოს ეკლესიისთვის ისტორიული ადგილის დაბრუნებას ითხოვს.

ჩვენს ისტორიულ ავტოკეფალიას. ისინი გვეუბნებოდნენ, ჩვენ ვაღიარებთ, რომ თქვენ 1917 წელს მოიპოვეთ ავტოკეფალიაო. ამას ჩვენი ეკლესია არ თანხმდებოდა. განსაკუთრებული, დიდი შრომა და ღვაწლი ამ საქმეს დასდო მისმა უწმინდესობამ და უნეტარესობამ ილია მეორემ, რომელიც ჯერ შემოქმედელი ეპისკოპოსობის ჟამს, 1963 წლიდან, შემდეგ საქართველოს ეკლესიის საგარეო განყოფილების თავმჯდომარეობიდან, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტობის ჟამს, ამ საკითხებით იყო დაინტერესებული. როცა პატრიარქად აირჩიეს, ქართველ მეცნიერებთან, სწავლულებთან ერთად დაიწყო იმ დოკუმენტების მოძიება, რომელიც ჩვენი ეკლესიის ისტორიულ ავტოკეფალიას ადასტურებდა და დიპტიქში ჩვენს მეხუთე ადგილს განსაზღვრავდა. მაგრამ მეხუთე ადგილი უკვე რუსებს ეკავათ. 1990 წლის 4 მარტს კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქომ აღიარა ჩვენი ისტორიული ავტოკეფალია, მაგრამ ჩვენი ეკლესიის დიპტიქის, ანუ მეექვსე ადგილის შესახებ მართლმადიდებელი ეკლესიებისგან აღიარების საკითხი ღიად დარჩა. მართლმადიდებელი სამყაროს ზოგიერთი ეკლესია აღიარებს ჩვენი ეკლესიის მეექვსე ადგილს, ზოგიერთი არ აღიარებს და ეს არის სადავო. მერვე ადგილზე ვართ ზოგიერთი ეკლესიის ჩამონათვალში. სწორედ ამის გამო მისმა უწმინდესობამ ხაზგასმით აღნიშნა,






ისტორიულად, პირველი ავტოკეფალიური ეკლესია რომის ეკლესია იყო, მას მოჰყვა ალექსანდრიის, ანტიოქიის, იერუსალიმის ეკლესიები... თუმცა, მეთერთმეტე საუკუნეში რომის ეკლესიის გაყოფის შემდეგ საეკლესიო იერარქია ასე გამოიყურებოდა: ანტიოქია, ალექსანდრია, იერუსალიმი, კონსტანტინოპოლი და საქართველო.

ასეთი იყო დიპტიქი მეთექვსმეტე საუკუნემდე. ისტორიკოსების განმარტებით, შემდეგ უკვე საქართველო იღებს ავტოკეფალიას და მეხუთე ადგილსაც იკავებს. დასუსტებულ ქვეყანას კი საკუთარი პოზიციების დაცვა აღარ შეეძლო.

**ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი სერგო ვარდოსანიძე მედიასთან განმარტავს:**

– მართლმადიდებელი ეკლესიები, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს მეთაურობით, საერთოდ არ აღიარებდნენ თუ ჩვენი ეკლესიის ისტორიულ ავტოკეფალიას დიპტიქში არ აღიარებენ მართლმადიდებელი ეკლესიები, უპირველეს ყოვლისა, კონსტანტინოპოლის საპატრიარქო, მაშინ სათუო იქნება ჩვენი მონაწილეობა იმ საეკლესიო კრებაში, რომელიც 2016 წელს უნდა გაიმართოს.

ისტორიული ფაქტები: 1811 წელს რუსეთმა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია გააუქმა. საქართველოს ეკლესია 1917 წლამდე რუსეთის სინოდს ექვემდებარება. 1917 წლის 12 მარტს საქართველოს ეკლესიამ ავტოკეფალია აღიდგინა, თუმცა, მართლმადიდებელმა მსოფლიომ ის მხოლოდ მეოცე საუკუნის ბოლოს ცნო.

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ მსოფლიო საეკლესიო კრებას ასეთი გადაწყვეტილების მიღება ძალიან გაუჭირდება.

**თეოლოგ ლევან აბაშიძის განმარტებით:**

– საქართველოს სურს, მსოფლიო პატრიარქების მოხსენიების დროს მეექვსე ადგილზე იყოს, ჩვენ თვითონ ასე ვიხსენიებთ ჩვენს თავს, მაგრამ მეექვსეზე რომ მოგვიხსენიოს მსოფლიოს პატრიარქმა, მაშინ ერთით უნდა გადასწიოს სერბეთიც, ბულგარეთიც და სხვა ეკლესიები. ალბათ, ისინი ამაზე თანახმა არ არიან.

**მეორე პრობლემა, რაც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა დააყენა, ეს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობაა. ილია მეორის მიმართვაში ნათქვამია:**

„მოგეხსენებათ ისიც, რომ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა დარღვეულია და აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი, ეს არის ღია ჭრილობები საქართველოს სხეულზე. ირღვევა საეკლესიო კანონიკური ნორმებიც, როდესაც სხვადასხვა ეკლესიის წარმომადგენლები ჩვენთან შეუთანხმებლად და ჩვენი ნებართვის გარეშე ჩადიან აფხაზეთის ეპარქიაში, რომელიც, ცხინვალის რეგიონთან ერთად, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის იურისდიქციის განუყოფელი ნაწილია.

არ შემიძლია, თქვენ წინაშე არ დავაფიქსირო ის ფაქტი, რომ საქართველოს ამ ორივე ეპარქიიდან 370 000-ზე მეტი ლტოლვილი და იძულებით გადაადგილებული პირია, რომლებიც დღეს ძალიან მძიმე გამოწვევების წინაშე იმყოფებიან, პრობლემურია ადგილზე დარჩენილთა მდგომარეობაც“.

საქმე ის გახლავთ, რომ საქართველოს ეკლესიის იურისდიქცია აფხაზეთსა და ცხინვალის ტერიტორიებზე არ ვრცელდება.

საქართველოს ეკლესია უკმაყოფილო უნდა იყოს იმ ფაქტით, რომ აფხაზეთის

**„თუ ჩვენი ეკლესიის ისტორიულ ავტოკეფალიას დიპტიქში არ აღიარებენ მართლმადიდებელი ეკლესიები, მაშინ სათუო იქნება ჩვენი მონაწილეობა იმ საეკლესიო კრებაში, რომელიც 2016 წელს უნდა გაიმართოს“**




© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ე ეკლესიების იერარქიაში
# სტორიული ადგილის მინიჭებას



ეპარქიაში საქართველოს საპატრიარქოსთან შეუთანხმებლად ჯერ ელადის მართლმადიდებელი ეკლესიის ეპისკოპოსი პროკოპიოს პეტრიდისი გამოჩნდა, ხოლო ცოტა ხნის წინ, კონსტანტინოპოლის პატრიარქმა ბართლომეოს პირველმა, აფხაზეთის ერთ-ერთი სქიზმატური ჯგუფის სასულიერო პირები სტამბულში მიიღო... საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას მსოფლიო საპატრიარქომ ვიზიტის „არაოფიციალურ ხასიათზე" მიუთითა, – ამის შესახებ ტაბულა წერდა.

ანუ აფხაზეთში, რუსული ეკლესიის გარდა, სხვა ეკლესიებიც გამოჩნდნენ. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ საქართველოს ეკლესიამ ოკუპირებულ ტერიტორიებზე ბერძნული ეკლესია უნდა შეუშვას, ან მსოფლიო საპატრიარქო, ან სხვა ეკლესია.

**თეოლოგი ლევან აბაშიძე, „ფორ.ჯი"-სთან საუბარში განმარტავს:**

– არავინ უარყოფს, რომ დამპყრობი სახელმწიფოს, რუსული ეკლესიის მღვდლები შედიან ჩვენს ეკლესიებში, ეს დარღვევაა, მაგრამ შენ რას აკეთებ იმისთვის, რომ ეს ხალხი არ დარჩეს წირვა-ლოცვის გარეშე? მე არ ვამართლებ არავის, ვინც იქ შედის, უბრალოდ, ვამბობ, რომ ჩვენი ეკლესიის პოზიცია კონსტრუქციული უნდა იყოს. ვთქვათ, ათი წელი კიდევ ვერ დავიბრუნეთ აფხაზეთი, იმ ათ წელიწადში იმ ხალხმა რა გააკეთოს? ზიარების გარეშე გარდაიცვალონ იქაური მართლმადიდებლები? სტერილური უნდა იყოს ის ტერიტორია?

რუსეთმა სხვა ეკლესიების აფხაზეთში გამოჩენა, პირადი გავლენების შევიწროებად და პირად ინტერესებზე დარტყმად მიიღო.

მსოფლიო საპატრიარქოსა და რუსეთს შორის დაპირისპირებაზე ექსპერტებიც წერენ: „კონსტანტინოპოლი მიიჩნევს, რომ, როგორც უპირატესი საპატრიარქო, უფლებამოსილია დამწყემსოს ყველა ის მართლმადიდებელი, რომელიც სხვა ეკლესიის იურისდიქციაში არ შედის. რუსეთის საპატრიარქო განსხვავებულად ფიქრობს და მოქმედებს – საკუთარ ეკლესიებს კონსტანტინოპოლის ნებართვის გარეშე აშენებს. იმ ტერიტორიებზეც კი, სადაც ბართლომეოსს თავისი ეპისკოპოსი ჰყავს დადგენილი".

ამიტომაც, ახლა მნიშვნელოვანია ვის პოზიციებს დაიკავებს საქართველოს პატრიარქი.

**პუბლიკაციაში „პატრიარქთა ვნებანი" ვკითხულობთ:** „მსოფლიო საპატრიარქოსთვის თითოეული ეკლესიის პოზიციას რუსეთთან კონკურენციისას დიდი მნიშვნელობა აქვს. რომთან სქიზმის შემდეგ, მართლმადიდებელი ეკლესიების დიპტიქის სათავეში კონსტანტინოპოლი აღმოჩნდა. თუმცა ეს უპირატესობა, რუსეთის აზრით, მხოლოდ სიმბოლური უნდა იყოს და თან არ ახლდეს რეალური პრივილეგიები. ბუნებრივია, კონსტანტინოპოლი ამ აზრს ეწინააღმდეგება და საკუთარი პირველობის დემონსტრირებას ყველანაირად ცდილობს. მსოფლიო პატრიარქის მიერ რუსეთთან დაპირისპირებული აფხაზური სამღვდელოების საკუთარ კარზე მიღება, ამ ომისთვის ახალი ტერიტორიების ათვისებაა და უპირველესად, სწორედ რუსებისთვის ახალი ფრონტის გახსნას ისახავს მიზნად. ამასთანავე, კონსტანტინოპოლი ხედავს, რომ საქართველოს ეკლესია რუსულ პოზიციებს დიდწილად აფხაზეთის დაკარგვის შიშით იკავებს, ამიტომ გადაწყვიტა სასწორზე საკუთარი სიმძიმე შეაგდოს. აფხაზი სქიზმატების მიღება მკაფიო გზავნილია საქართველოს ეკლესიისთვის: „არ დაგავიწყდეთ – 1990 წელს ჩვენ გიბოძეთ ავტოკეფალიის ტომოსი, გაღიარეთ და გცანით, ამიტომ ჩვენი გათვალისწინებაც მოგიწევთ".

ამდენად, 2016 წელს დაგეგმილ მსოფლიო საერთაშორისო კრებაზე მნიშვნელოვანი საკითხები უნდა გადაწყდეს. მათ შორისაა უკრაინის ავტოკეფალიის აღიარების თემაც. რუსეთისთვის ამ თემის წამოწევა მტკივნეული იქნება. ამიტომაც, მან სტამბულში გამართულ მოსამზადებელ კრებაზე გადაწყვეტილების მიღების პროცედურაზე ისაუბრა და ვეტოს უფლებას დაუჭირა მხარი. რუსეთის პოზიცია საქართველოს პატრიარქმაც გაიზიარა. კონსტანტინოპოლის საპატრიარქო ვეტოს უფლების გამოყენების წინააღმდეგი იყო, რადგანაც ეს საკითხების გადაწყვეტას შეაფერხებს. ისინი კრების ისტორიულ გამოცდილებას ეყრდნობოდნენ და აცხადებდნენ, რომ ადრე არ იყო საჭირო თითოეული წევრის თანხმობა საკითხების გადაწყვეტისთვის. თუმცა, ვეტოს უფლება მაინც გავიდა. კრება 2016 წლისთვის არის დაგეგმილი.

**უკვე ცნობილია, რა საკითხებია დღის წესრიგში შეტანილი:**

„მსოფლიო კრებაზე კონსტანტინოპოლის პატრიარქის განცხადებით უნდა დადგეს მართლმადიდებელი ეკლესიის შიგნით არსებული კანონიკური პრობლემები. ავტოკეფალიების მინიჭების წესი, ეკლესიათა ტერიტორიულ იურისდიქციათა მიღმა მცხოვრები მართლმადიდებლების დამწყემსვის უფლებამოსილების საკითხი, სხვა ქრისტიანულ კონფესიებთან და რელიგიებთან ურთიერთობის, ეკუმენიზმისა და სხვა თემები. პატრიარქი ბართლომეოსი მიიჩნევს, რომ მართლმადიდებელმა ეკლესიებმა უნდა იმეტყველონ ერთი პირით და მას შემდეგ, რაც შიდა პრობლემებს გადაჭრიან, მიმართონ თანამედროვე სამყაროს და გამოეხმაურონ უმწვავეს პოლიტიკურ, იდეოლოგიურ, ეკონომიკურ, ეკოლოგიურ და სხვა პრობლემებს, რომელიც კაცობრიობის წინაშე დგას".

როგორც ჩანს, რუსეთი ცდილობს, კონსტანტინოპოლს უფლებებში შეეცილოს და საკუთარი გავლენებისთვის იბრძოლოს.

**მართლმადიდებელი ეკლესიის დიპტიქსი – მსოფლიო ეკლესიების წინამძღვრების მოხსენიების იერარქია.**

**1. მისი ყოვლადუწმინდესობა – არქიეპისკოპოსი კონსტანტინოპოლის – ახალი რომისა და მსოფლიო (ეკუმენური) პატრიარქი – ბართლომეოს I**

**2. მისი უნეტარესობა – პაპი და პატრიარქი დიდი ალექსანდრიის, ლიბიის, პენტაპოლისის (ხუთქალაქის), ეთიოპიის, სრულიად ეგვიპტის და სრულიად აფრიკის, მამათა მამა, მწყემსთა მწყემსი, მღვდელთმთავართა მღვდელთმთავარი, მეცამეტე მოციქული და მსოფლიო მსაჯული – თეოდოროს III**

**3. მისი უნეტარესობა – პატრიარქი ღვთის ქალაქის ანტიოქიის, სირიის, მესოპოტამიის, კალიკიისა და სრულიად აღმოსავლეთის – იგნატიუს IV**

**4. მისი უნეტარესობა – პატრიარქი წმინდა ქალაქ იერუსალემისა და სრულიად პალესტინის, სირიის, იორდანის მიწების, გალილეის კანისა და წმინდა სიონის, მცველი წმინდა საფლავის – თეოფილიოს III**

**5. მისი უწმინდესობა – პატრიარქი მოსკოვისა და სრულიად რუსეთის – კირილე I**

**6. მისი უწმინდესობა და უნეტარესობა – სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი და მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი და ბიჭვინთის და ცხუმ-აფხზეთის მიტროპოლიტი – ილია II**

**7. მისი უწმინდესობა – არქიეპისკოპოსი პეჩის, მიტროპოლიტი ბელგრადისა და კარლოვცის და პატრიარქი სერბეთის – ირინეოსი**

**8. მისი უნეტარესობა – არქიეპისკოპოსი ბუქარესტის, მიტროპოლიტი მუნტენიისა და დობრუჯის, მოსაყდრე კესარია-კაპადოკიის და პატრიარქი რუმინეთის მართლმადიდებლური ეკლესიის – დანიელი**

**9. მისი უწმინდესობა – პატრიარქი ბულგარეთის და მიტროპოლიტი სოფიის, მაქსიმე**

**10. მისი უნეტარესობა – არქიეპისკოპოსი ახალი იუსტინიანასი და სრულიად კვიპროსის – ქრიზოსტომოს II**

**11. მისი უნეტარესობა – არქიეპისკოპოსი ათენის და სრულიად საბერძნეთის (ელადის) იერონიმოს II**

**12. მისი უნეტარესობა – არქიეპისკოპოსი ტირანისა და ალბანეთის და მიტროპოლიტი დურესის და ელბასანის – ანასტასიოსი**

**13. მისი უნეტარესობა – არქიეპისკოპოსი ვარშავის და მიტროპოლიტი სრულიად პოლონეთის – საბა**

**14. მისი უნეტარესობა – მიტროპოლიტი ჩეხეთის და სლოვაკეთის და არქიეპიკსოპოსი პრაღის – ქრისტეფორე (ქრისტოფერი)**

**15. მისი უნეტარესობა – არქიეპისკოპოსი ვაშინგტონის და სრულიად ამერიკის და კანადის მიტროპოლიტი – იონა**

## რა საკითხების დაყენებას აპირებს საქართველო 2016 წელს და რა პოზიციას დაიკავებს საქართველო კონსტანტინოპოლსა და რუსეთს შორის დაპირისპირებაში



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# საქართველოს ბანკმა 176-ბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა დააფინანსა

**საქართველოს ბანკი სამშენებლო სექტორის მხარდაჭერასა და დაფინანსებას აქტიურად განაგრძობს. წამყვანი ბანკის კიდევ ერთ დაფინანსებულ სამშენებლო პროექტს, კონკრეტულად კი მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი ი.აბაშიძის 70-ში მდებარეობს და მას შპს. „გდგ“ აშენებს. რამდენიმე დღის წინ, საქართველოს ბანკის წარმომადგენლობა, მშენებარე საცხოვრებელი კომპლექსი მოინახულეს. საქართველოს ბანკმა შპს. „გდგ“-ს ჯამში 7 მილიონ აშშ დოლარზე მეტი მოცულობის სესხი გამოუყო. როგორც ჟურნალისტებთან საუბარში საქართველოს ბანკის გენერალური დირექტორის მოადგილემ, სულხან გვალიამ განაცხადა, საქართველოს ბანკი განაგრძობს ეკონომიკურად გამართლებული პროექტების დაფინანსებას.**









**სულხან გვალია, „საქართველოს ბანკის“ გენერალური დირექტორის მოადგილე:** „საქართველოს ბანკი განაგრძობს სამშენებლო სექტორის, კერძოდ კი ბანკის კლიენტის სამშენებლო კომპანიების დაფინანსებას. საქართველოს ბანკმა 7 მილიონი აშშ დოლარი საკრედიტო რესურსი გამოუყო კომპანია შპს „გდგ“-ს. აღნიშნული თანხით და კომპანიის მიერ დადებული საკუთარი კაპიტალით, მთლიანად შეიკრა საჭირო დაფინანსება, რაც ამ კომპლექსის დასრულებისთვის არის საჭირო. ეს კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ აღნიშნული პროექტის დაფინანსებით, საქართველოს ბანკი, განაგრძობს ეკონომიკურად გამართლებული პროექტების დაფინანსებას“.

176 ბინა, 206 ავტოსადგომი, 2,052 კვ.მ მოცულობის სავაჭრო და საოფისე ფართი... აბაშიძის 70-ში მდებარე მშენებარე კომპლექსის მთლიანი სასარგებლო ფართის მოცულობა, ჯამში 27,003 კვ.მ-ს შეადგენს (ავტოსადგომების ფართების გარეშე). საცხოვრებელ კომპლექსს ექნება საკუთარი საცურაო აუზი და ფიტნეს კლუბი. ხსენებული საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა აქტიურად მიმდინარეობს და ამ დროისთვის 5 სართული უკვე აშენებულია. შეგახსენებთ, რომ სამშენებლო სამუშაოების 90%-ი მიმდინარე წლის ბოლომდე დასრულდება.

„ჯორჯიან დეველოპმენტ ჯგუფის“, ერთ-ერთი დამფუძნებელის, ბეჟან წაქაძის განცხადებით, საცხოვრებელი კომპლექსი მაღალი დონის სამშენებლო მასალებით შენდება.

**ბეჟან წაქაძე:** „პროექტი დავიწყეთ გასული წლის მაისის თვეში. მოგეხსენებათ მშენებლობა მიმდინარეობს ყოფილ ფინანსთა სამინისტროს შენობის ადგილზე, რომლის ტერიტორიის ფართობი შეადგენს 8 000 კვადრატულ მეტრს, ხოლო შენობის ფართი 1 700 კვადრატული მეტრი იქნება. საცხოვრებელი სახლის ეზოს, რომელიც მთლიანად ჩაკეტილი სივრცე იქნება, ინდივიდუალური შემოსასვლელები ექნება. როგორც ასეთი, სახლს ინდივიდუალური სადარბაზოები არ ექნება, იქნება სასტუმროს ტიპის შესასვლელი 650 კვ.მ. ჰოლით. როგორც ჰოლი, ისევე კიბის უჯრედები, მთლიანად მოპირკეთდება ბერძნული მარმარილოთი. სახლი იქნება მაღალი დონის სამშენებლო მასალებით აშენებული. ასე რომ, თბილისელებს, ძალიან კარგი სახლი ელოდებათ



მომდევნო წლის გაზაფხულის ბოლოს. ბინები იწყება 50 კვ. მეტრიდან და იზრდება. კვ.მ ფასი 1 300 აშშ დოლარიდან ზევით. სახლის წინა პარკინგი, 106 მანქანაზეა გათვლილი. ასევე 215 მანქანაზეა გათვლილი ორდონიანი მიწისქვეშა პარკინგი. სახლი მთლიანად შენდება ქართული კერამიკული აგურით, ხოლო გარეთა ფასადის მოპირკეთება განხორციელდება ბერძნული მარმარილოთი“.

ხსენებული პროექტი, რიგით მესამეა, რომელსაც შპს. „გდგ“ საქართველოს ბანკის მხარდაჭერით ახორციელებს. შპს გდგ-მ, შპს „გიგსი“-სთან ერთად, საქართველოს ბანკის დაფინანსებით უკვე განახორციელა ორი პროექტი თბილისში, ინგოროყვას ქუჩაზე, რისთვისაც ბანკმა ჯამში 10 მილიონ აშშ დოლარზე მეტი მოცულობის სესხი გამოყო. კორპორატიული საბანკო საქმიანობის მიმართულებით წამყვანი, საქართველოს ბანკის კორპორატიული საბანკო სესხების პორტფელი, 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 1.8 მილიარდ ლარს შეადგენს. მათ შორის, სამშენებლო სექტორზე გაცემული სესხები 122 მილიონ ლარამდეა.

Ⓐ

# ირაკლი ღარიბაშვილი: „მოქალაქეებს უნდა ავუხსნათ რას ნიშნავს ხუდონჰესის აშენება სვანებისთვის, ჩვენი ქვეყნისთვის, ჩვენი უსაფრთხოებისთვის“

გიორგი გუგავა

პრემიერი აცხადებს, რომ ხუდონჰესის აშენებით სვანურ კულტურას საფრთხე არ ემუქრება.

ამის შესახებ ირაკლი ღარიბაშვილმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ შეხვედრაზე ერთ-ერთი სტუდენტის კითხვის პასუხად განაცხადა. ღარიბაშვილმა პირობა დადო, რომ კულტურის დამცველი იქნება და სახელმწიფო კულტურულ ძეგლებზე იზრუნებს.

„ვერ დაგეთანხმებით, რომ გიგანტური ჰესი გაანადგურებს სვანურ კულტურას. ჩვენ არ უნდა შევიყვანოთ შეცდომაში საზოგადოება. სვანური კულტურა, რა თქმა უნდა, არ დგას საფრთხის წინაშე. მე ვიქნები პირველი დამცველი სვანური კულტურის და არამხოლოდ. საქართველო არის მრავალფეროვანი კულტურის ქვეყანა და მე ვარ პირველი დამცველი ამ მრავალფეროვნების. არასწორი ინფორმაცია გაქვთ, რომ ამ ჰესის აშენებით, შეიძლება სვანური კულტურა განადგურდეს“, – აღნიშნა პრემიერმა.

მან სტუდენტს განუცხადა, რომ არასწორია შესაბამისი კვლევების გარეშე განცხადებების გაკეთება, რომ ჰესის მშენებლობით გაზრდილი ტენიანობა ფრესკებს დააზიანებს.

„მაქვს შემდეგი პოზიცია, ჩვენ ყველა მოქალაქის პოზიცია და აზრი უნდა გავითვალისწინოთ. პირადად განვაცხადე, რომ არასოდეს სახელმწიფო არ მიიღებს ჩვენი მოქალაქეების საწინააღმდეგო გადაწყვეტილებას. უნდა მოხდეს მათი პოზიციების შეჯერება. ჩვენ მოქალაქეებს უნდა ავუხსნათ რას ნიშნავს ხუდონჰესის აშენება სვანებისთვის, ჩვენი ქვეყნისთვის, ჩვენი უსაფრთხოებისთვის, ჩვენი ენერგოდამოუკიდებლობისთვის... მაგრამ ის არგუმენტები, რაც თქვენ მოიყვანეთ არასწორია და შეცდომაში შეიყვანს მსმენელს. ზოგადი შეფასებები, რომ ტენიანობა მოიმატებს, რომელიმე



ხე არ გაიზრდება და ფრესკები შეიძლება დაზიანდეს, არასწორია. ფრესკებს სჭირდება მოვლა და ეს უნდა განახორციელოს კულტურის სამინისტრომ“, – აღნიშნა პრემიერმა.

მისი თქმით, ყველა კითხვას პასუხი უნდა გასცეს ინვესტორმა და ენერგეტიკის სამინისტრომ, ასევე ყველამ უნდა გაიაზროს ხუდონჰესის მშენებლობის მნიშვნელობა. „ყველა ქვეყანაში ასეა, არჩევანია გასაკეთებელი ეკონომიკას და კულტურულ მემკვიდრეობას შორის და სწორია „ოქროს შუალედის“ მოძებნა. ეს თემა ძალიან მტკივნეულია, მე ადრეც ვთქვი, რომ ჯერ კიდევ არსებობს გარკვეული შეკითხვები. ამ შეკითხვებზე ვალდებულია ინვესტორი კომპანია, ენერგეტიკის სამინისტრო და ჩვენ, ხელისუფლება, რომ გავცეთ პასუხი და პირადად მე ვარ მოტივირებული, თქვენ ნუ გესმით ისე, რომ მე არ მაინტერესებს ეს საკითხი, პირიქით, ძალიან მაინტერესებს, მე არაფერს გავაკეთებ არასოდეს და არც გამიკეთებია სახელმწიფო ინტერესების საწინააღმდეგოდ და ჩვენი მოქალაქეების საწინააღმდეგოდ. ხუდონჰესის ზოგადად მნიშვნელობა მინდა რომ კარგად გაიაზროთ ყველამ. თქვენ უნდა დაეფუძნოთ კვლევებს; გაითვალისწინოთ, რას იტყვიან კომპეტენტური ადამიანები“, - განაცხადა პრემიერმა.

ხალხის, საზოგადოების აზრის მნიშვნელობაზე საუბრობს ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძეც. „გურიანიუსისთვის“ მიცემულ ინტერვიუში მინისტრმა განაცხადა, რომ: „დღეს, ხელისუფლება ისე თანამშრომლობს ხალხთან, როგორც არასდროს. თითოეული ადამიანის ინტერესი საერთაშორისო ნორმების შესაბამისადაა გათვალისწინებული ჩვენი მხრიდან. ჩვენი სახელმწიფო გახდა ცივილური, ძალისმიერი უკანონო მეთოდებით და შიშით ხალხთან ლაპარაკის დრო წარსულს ჩაბარდა. შესაბამისად, მოსახლეობაც მოწოდების სიმაღლეზე უნდა იდგეს და გააცნობიეროს ახალი, მისთვის სასარგებლო და პროდუქტიული ახალი რეალობა. მოსახლეობას აქვს კონსტიტუციური უფლება, გამოხატოს პროტესტი კანონით დაშვებულ ფარგლებში ნებისმიერ საკითხზე. შესაბამისად, სახელმწიფოსაც აქვს უფლება, ნებისმიერი უკანონო ქმედება აღკვეთოს კანონის ფარგლებში. ეს ამდენწლიანი შიშის და უკანონობის დემონსტრირების შემდეგ, ჯერ შეუჩვეველი მოვლენაა და არ გამოვრიცხავ ხალხში შიშის დაძლევის პროცესი ვინმემ თავისი ვიწრო ინტერესების გათვალისწინებით წარმართოს.

მნიშვნელოვანია, რომ მოსახლეობამ იცოდეს - რაც უფრო ახლოს არიან პროექტის განხორციელების არეალთან - მით მეტ სარგებელს მიიღებენ. მაგალითად, მშენებლობის პროცესში ადგილობრივები დასაქმდებიან, რაც მიგრაციის შეჩერების აუცილებელი წინაპირობაა. ინვესტორს მათთვის სამსახური სახლთან მიაქვს, ოჯახის მარჩენალებს აღარ მოუწევთ სახლიდან შორი სამუშაოს ძებნა. ნებისმიერი სახელმწიფოს მნიშვნელობის პროექტის განხორციელებისას ვითარდება მიმდებარე ინფრასტრუქტურა, სოციალური პირობები რეგიონში, ეს მთელს მსოფლიოში ასეა და ვინც ამის საპირისპირო პროპაგანდას ეწევა ხალხში, არის მავნებელი.

მნიშვნელოვანია საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების დამოკიდებულება, მათი მოსაზრებები და გეგმები. EBRD-ი მზად არის მჭიდროდ ითანამშრომლოს სახელმწიფოსთან ჰიდრორესურსების ათვისების და მსხვილი ენერგეტიკული პროექტების განხორციელებისას: „მე და ბატონმა ირაკლი ღარიბაშვილმა ვისაუბრეთ საქართველოსა და EBRD-ს პარტნიორობის გეგმებზე. ჩვენ ძალიან ძლიერი პარტნიორობა გვაკავშირებს. გასულ წელს ჩვენ 13 პროექტი განვახორციელეთ, დაახლოებით 100 მილიონი დოლარის ფარგლებში, და ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ მომდევნო წელს ამ რიცხვს გავაორმაგებთ, ასე რომ, გასაკეთებელი ბევრია. მე ვთვლი, რომ ყველაზე მეტად ჩვენ გვახარებს ჰიდრო სფეროში, ჰიდრო ენერგიის სფეროში მოღვაწეობა. საქართველოს არ აქვს ნავთობი, მაგრამ აქვს წყალი, და მას შეუძლია აწარმოოს ჰიდრო ენერგიის ექსპორტი რეგიონალურ ბაზრებზე, ჩვენ კი გვინდა ამის ხელშეწყობა. ასე რომ, ჩვენ აგრეთვე ვუმიზნებთ ერთი-ორ პროექტს კონკრეტულად ამ სფეროშიც“, - ეს განცხადება ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის პრეზიდენტმა სუმა ჩაკრაბატმა თბილისში სტუმრობისას, საქართველოს პრემიერ-მინისტრთან შეხვედრის შემდეგ გააკეთა.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „ჩემს მაგიდაზე ძალიან ბევრი კონკრეტული და საინტერესო შემოთავაზება დევს“



## გიორგი თარგამაძე: „გულწრფელად გეტყვით, ერთადერთხელ დავესწარი მოლაპარაკებებს, რომელშიც რამდენიმე პოლიტიკური პარტია მონაწილეობდა, მოლაპარაკებებს ესწრებოდა ნინო ბურჯანაძეც“

EXCLUSIVE



**my View**

ხათუნა მგალობლიშვილი

**„ჩემს მაგიდაზე ძალიან ბევრი კონკრეტული და საინტერესო შემოთავაზება დევს“, – გიორგი თარგამაძე სამომავლო გეგმების დალაგებას არ ჩქარობს. თუმცა მინიშნებით შეიძლება მივხვდეთ, რომ მისი სიმპათიები უფრო არასამთავრობო ორგანიზაციებისკენ იხრება. ყოველ შემთხვევაში ამ ეტაპზე თარგამაძე მთლიანად გაეთიშა პოლიტიკას და ყოფილ პარტიას უკვე რჩევების სახით დაეხმარება ხოლმე. არ არის გამორიცხული, თარგამაძესთან ერთად პოლიტიკიდან ლევან ვეფხვაძეც გაუჩინარდეს. თავად თარგამაძე თანაპარტიელის მაგივრად კონკრეტულ პასუხს არ ახმოვანებს, თუმცა ადასტურებს რომ არჩევნებში ვეფხვაძე მონაწილეობას არ მიიღებს.**

**უკვე ყოფილი თავმჯდომარის გარეშე ქრისტიან-დემოკრატიული პარტია აქტიურად აგრძელებს კონსულტაციებს ნინო ბურჯანაძის „დემოკრატიულ მოძრაობასთან“. როგორი დასასრული ექნება მოლაპარაკებებს, ამაზე ხმამაღლა ჯერ არავინ საუბრობს, თუმცა „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ წევრები, ყოფილ თავმჯდომარესთან ერთად, თანხმდებიან – პროდასავლური ორიენტაცია მათთვის შეუცვლელია...**

**გიორგი თარგამაძე:**

– პირადად ჩემთვისაც და იმ მოძრაობისთვისაც, რომელიც ამ კონსულტაციებში მონაწილეობს, პრიორიტეტად რჩება ქვეყნის დასავლური განვითარების გზა და დემოკრატიული პრინციპების უპირატესობა. თუ მაინცდამაინც ნინო ბურჯანაძეზეა საუბარი, მინდა შეგახსენოთ, რომ მასთან პოლიტიკური ურთიერთობის გამოცდილება მაქვს ჯერ კიდევ 1999 წლიდან, იმ პერიოდიდან, როდესაც ის ზურაბ ჟვანიას გუნდს წარმოადგენდა და მე „აღორძინებაში“ ვიყავი. ბურჯანაძეს საკმაოდ დიდი პოლიტიკურ გამოცდილება აქვს. თუ პარტიული დოკუმენტების ენაზე ვისაუბრებთ, სრულიად ცხადი გახდება, რომ „დემოკრატიული მოძრაობა“ ქვეყნის განვითარების დასავლურ კურსს აღიარებს. ტაქტიკურ მოსაზრებებში შეიძლება იყოს განსხვავებები და სწორედ ამიტომაც მიმდინარეობს მოლაპარაკებები და სწორედ ამიტომ გრძელდება ის ამდენ ხანს, რომ მოხდეს დაახლოება და შეჯერება. თუ გავითვალისწინებთ იმას, რამდენად განსხვავებული მოსაზრებებისა და შეხედულებების პოლიტიკური სუბიექტები არიან გაერთიანებული მმართველ კოალიციაში, მაშინ კითხვები მით უფრო არ უნდა გაჩნდეს. ისინი არათუ განსხვავებული, არამედ უხეშად დაპირისპირებულებიც კი იყვნენ. ჩვენსა და ბურჯანაძეს შორის უხეში დაპირისპირება არასოდეს ყოფილა და კორექტულობის ზღვარს არასოდეს გადავცდენილვართ. მით უფრო ჩვენ არასოდეს ვყოფილვართ ისეთი დაპირისპირებულები, როგორც, მაგალითად, რესპუბლიკელები და კონსერვატორები იყვნენ. ახლა ქვეყანაში კვლავ არის მცდელობა პოლიტიკური სივრცის მონოპოლიზების. შესაბამისად, პოლიტიკური ამოცანა ყველა საღად მოაზროვნე პოლიტიკური ძალისთვის ნათელი უნდა იყოს. ამ ეტაპზე მთავარ ამოცანას წარმოადგენს ქვეყანა არ შევიდეს იმავე ჩიხსა და ჭაობში, რომელშიც ბოლო წლების განმავლობაში იყო. ვაღიაროთ, რომ შესაძლებელია, მოხდეს პოლიტიკური სივრცის ხელოვნურად გაყოფა ორი სუბიექტს შორის: „ქართულ ოცნებასა“ და ნაციონალებს შორის. ეს უბრალოდ არასამართლიანია და ამ პროცესის შეჩერება შესაძლებელი იქნება რელევანტური რესურსების მქონე არასაპარლამენტო პოლიტიკური ძალების გაერთიანებით. ქრისტიან-დემოკრატები სწორედ ამისთვის იღვწიან მოლაპარაკებების გზით. მე, მართალია, უკვე აღარ ვმონაწილეობ პოლიტიკურ კონსულტაციებში, მაგრამ მხარს დავუჭერდი პარლამენტსგარეთ დარჩენილი ყველა სერიოზული ძალის ერთ მძლავრ გაერთიანებაში პოლიტიკური, ადამიანური, ფინანსური და თუნდაც საარჩევნო რესურსის კონსოლიდირებას, რომელმაც შეიძლება სერიოზული ალტერნატივის სახე მიიღოს თვითმმართველობის არჩევნებში.

**– თუმცა იმ პოლიტიკოსთან ერთად კოალიციაში ყოფნა, რომელმაც განაცხადა, რომ არ ესმის, პუტინზე რატომ უნდა იყოს გაბრაზებული, არ იქნება წამგებიანი?**

– ამ თემასთან დაკავშირებით თავად ნინო ბურჯანაძეს არაერთხელ გაუკეთებია განცხადება. მე საერთოდ წინააღმდეგი ვარ უაპელაციო ტონის, ზოგადად პოლიტიკაში პრაგმატიზმის მომხრე ვარ და ეს პრაგმატიზმი, უპირველეს ყოვლისა სახელმწიფო სამსახურის ინტერესებში უნდა იყოს. ამ სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, არ მიმაჩნია სწორად ადამიანების გმირებად და მოღალატეებად შერაცხვა პოლიტიკური ტაქტიკის მიხედვით. მართალი გითხრათ, დიდ განსხვავებას ვერ ვხედავ ბურჯანაძესა და მმართველ გუნდს შორის რუსეთის ხელისუფლებისადმი მიდგომაში. დღევანდელ სამთავრობო კოალიციას შინაგანად ძალიან უნდა, თუმცა გამბედაობა არ ჰყოფნის, რომ სერიოზული ნაბიჯი გადადგას რუსეთთან მიმართებაში, ნინო ბურჯანაძის შემთხვევაში კი მე ეს გამბედაობა არაერთხელ შემიმჩნევია. რაც შეეხება რუსეთს, არ მიმაჩნდა და არც ახლა მიმაჩნია სწორად, რომ ქართული ოპოზიციის ლიდერები ხვდებოდნენ საქართველოსადმი მტრულად განწყობილი ქვეყნის ხელმძღვანელებს. თუმცა სრულიად არანორმალურად მიმაჩნია ის პოზა, რომელიც დღევანდელ მთავრობას უკავია, როცა, ერთი მხრივ, არ მალავს თავის ლოიალურ დამოკიდებულებასა და რბილ განწყობებს რუსეთის ხელისუფლებასთან მიმართებაში და მეორე მხრივ, თავს არიდებს პირდაპირ კონტაქტებს, რომლისგანაც ბევრი რამ სწრაფად მაინც გაირკვეოდა. ასე რომ, ეს საკმაოდ სადავო თემაა. დღეს ამ პოლიტიკური ძალების მიმართ საზოგადოებრივი შეკვეთა, მოლოდინი თუ პოლიტიკური ამოცანა გაცილებით ძლიერია, ვიდრე ის განსხვავებები, რომელიც ამ პარტიებს შორის არსებობდა. შეთანხმება ჯერ საბოლოოდ არც არის მიღწეული, თუმცა მე, ბუნებრივია, ვურჩევდი რომ ყველა წონადი, მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფიგურა გამოყენებული იყოს იმისთვის, რომ ძლიერი პოლიტიკური ალტერნატივით წარდგეს თვითმმართველობის არჩევნებზე.

„თუმცა ერთს გეტყვით, თვით-მმართველობის არჩევნებში ლევან ვეფხვაძეს რაიმე კონკრეტულ თანამდებობაზე კენჭისყრის სურვილი არ აქვს“

**– პარტიების კონსოლიდაციაზე საუბრისას ბურჯანაძე პარტიებისგან ითხოვდა საკუთარი პარტიების გაუქმებას და მის სიაში ჩაჯდომას...**

– ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, ამ მოლაპარაკებების დროს მსგავსი საკითხი არ დასმულა. გულწრფელად გეტყვით, ერთადერთხელ დავესწარი მოლაპარაკებებს, რომელშიც რამდენიმე პოლიტიკური პარტია მონაწილეობდა, მოლაპარაკებებს ესწრებოდა ნინო ბურჯანაძეც და ჩემი თანდასწრებით მსგავსი მოთხოვნა მინიშნებითაც კი არ გაჟღერებულა.

**– ითქვა რომ ქრისტიან-დემოკრატიულმა პარტიამ ნინო ბურჯანაძესთან გარიგების სანაცვლოდ 1 მილიონიდან 5 მილიონ ლარამდე აიღო...**

– ავადმყოფურ თავებში ბევრი თეორია შეიძლება მოიხარშოს. უკვე გითხარით, რომ საზოგადოებაში დიდი გაერთიანების დიდი მოლოდინი არსებობს, ექსპერტები, პოლიტიკოსები, ყველა მიიჩნევს, რომ გაერთიანება უნდა შედგეს, ადგილობრივ არჩევნებს რაიმე აზრი მაინც რომ მიეცეს. რა ტიპის ფინანსურ გარიგებაზე შეიძლება იყოს საუბარი, როდესაც სუბიექტების თანამშრომლობაზეა საუბარი? პირიქით, „ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობას“ უწევს საკუთარი რესურსის შეტანა და გაზიარება იმ სავარაუდო პოლიტიკური პარტნიორებისთვის, რომლებიც ამ გაერთიანებაში იქნებიან და მსგავსი რესურსები არ გააჩნიათ. თუკი ქრისტიან-დემოკრატები მიიღებენ გადაწყვეტილებას კოალიციური ერთობა შექმნან, გაერთიანებაში რესურსის შემტანი თუ იქნება ვინმე, ეს სწორედ „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“ იქნება.

**– ბიძინა ივანიშვილის მხრიდან თქვენი პარტიის ნეგატიურმა შეფასებამ რამდენად იმოქმედა პოლიტიკიდან თქვენი წასვლის გადაწყვეტილებაზე?**

– ჩემი გადაწყვეტილება ჯერ კიდევ გასული წლის შემოდგომაზე, საპრეზიდენტო არჩევნების დამთავრებისთანავე იყო მიღებული. უბრალოდ, ამ გადაწყვეტილებამ გარკვეული პროცედურები გაიარა და დრო დასჭირდა. რაც შეეხება ბიძინა ივანიშვილის როლს, თავისთავად ცხადია, არის ერთ-ერთი ფაქტორი, რადგან პოლიტიკური პროცესებების ამგვარად განვითარება სწორედ მისი ქართულ პოლიტიკაში შემოჭრის ფაქტორით არის განპირობებული, თავისი დადებითი და უარყოფითი შედეგებით. მე პირადად არასოდეს მქონია იდეალისტური განწყობა არც ივანიშვილის, არც შევარდნაძის, არც სააკაშვილის ან კიდევ სხვა პოლიტიკური ლიდერების მიმართ. მათ შორის არც იმ ადამიანების მიმართ, რომლებსაც ჩემს მეგობრებად მივიჩნევდი და მივიჩნევ, იქნებოდა ეს ასლან აბაშიძე თუ ბადრი პატარკაციშვილი. თუკი ვინმეს რაიმეს დაუფარავად, მიკიბ-მოკიბვის გარეშე შეეძლო მკაფიო და განსხვავებული აზრის დაფიქსირება, ეს ვიყავი მე. ეს ჩემი მუშაობის სტილია. რამდენად იქონიებს გავლენას ივანიშვილის ფაქტორი ჩემს სამუშაო და სამომავლო გეგმებზე, ამაზე შემიძლია გიპასუხოთ, რომ მე არ მიყვარს წარსულში ჩარჩენა. თუმცა ამაზეც მაქვს პასუხი: წარსულიდან გაცილებით ბევრი სასიამოვნო რამ მაქვს გასახსენებელი, ვიდრე პოლიტიკური განაწყენება. ამიტომ მე თქვენც გარწმუნებთ და „პრაიმტაიმის“ მეშვეობით მთელ ქართულ საზოგადოებასაც, რომ ჩემს ცხოვრებისეულ პრიორიტეტებში და სამომავლო გეგმებში ბიძინა ივანიშვილისთვის რაიმე ფორმით სამაგიეროს გადახდა საერთოდ არ ფიგურირებს.

**– არასაპარლამენტო ოპოზიციაში ყოველთვის აქტუალური იყო გამინუსების თემა, ქრისტიან-დემოკრატებისთვის თუ არის ასეთი სუბიექტი ან თუ იყო ადრე?**

– ჩვენ საკითხი ასე არასოდეს დაგვიყენებია, რომ ვილაც უნდა გამინუსებულიყო. რადგან მე აღარც პარტიის თავმჯდომარე ვარ და აღარც აქტიური პოლიტიკოსი, გეტყვით, რომ გარკვეული პროცესების შემდეგ ქვეყანაში ჯანსაღი პოლიტიკური ბალანსის ჩამოსაყალიბებლად არ გამოვრიცხავ ნაციონალების შედარებით უფრო ჯანსაღ, გაუსვრელ ნაწილთან ცალკეულ საკითხებზე პოლიტიკური მოლაპარაკებები დაიწყოს. ვგულისხმობ ადამიანებს რომლებიც შედარებით ახლები არიან და არ არიან პირდაპირ მხილებულები დანაშაულში. პოლიტიკური პრაგმატიზმისა და დემოკრატიული განვითარების თვალსაზრისითაც ძალიან არასწორი და წამგებიანი მიდგომა იქნება, თუკი ოპოზიცია კონკრეტული ოპოზიციის მარგინალიზაციის პროცესს დაიწყებს, თავის მხრივ კი არასაპარლამენტო ოპოზიცია დაბრაკავს პარტიებს იმის გამო რომ თავის დროზე ნაციონალებთან თანამშრომლობდნენ.

**– ითქვა, რომ ლევან ვეფხვაძემაც შეიძლება დატოვოს პარტია...**

– პარტიის თავმჯდომარის მოვალეობას შეასრულებს გიორგი ახვლედიანი, ლევანი ძალიან აქტიურად მონაწილეობს კონსულტაციებში, ის აქტიურად არის ჩართული პოლიტიკურ საქმიანობაში, ჩვენ არა მარტო ერთი პარტიის წევრები, არამედ მეგობრები ვიყავით, შესაბამისად, ერთმანეთის გეგმები აისახება თითოეულ ჩვენგანზე, ამიტომ ლევანის ნაცვლად პასუხს ვერ გაგცემთ. თუმცა ერთს გეტყვით, თვითმმართველობის არჩევნებში ლევან ვეფხვაძეს რაიმე კონკრეტულ თანამდებობაზე კენჭისყრის სურვილი არ აქვს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რა ხდება უფასო სასადილოებში?

სალომე გოგოხია

**თბილისში დაახლოებით 35 უფასო სასადილოა, სადაც 15 000-მდე შეჭირვებულს დღეში ერთხელ სადილით უმასპინძლდებიან. ამ სასადილოებს ყოველწლიურად უფრო მეტი ადამიანი აკითხავს. შესაბამისად, უფრო ხშირად გაისმის საყვედურები იქ შექმნილი მდგომარეობის გამო.**




„მე უკვე ოთხი წელია, რაც ამ სასადილოში დავდივარ. გაჭირვებას რა ვუთხარი, თორემ.. ეს საჭმელია? ჩახედეთ, რას ჰგავს, შინ მიმაქვს, ცხიმს ვწურავ და ხელახლა ვანელებ მწვანილებით და ზეთით. კერძი ყუათიანი არ არის. მე მოვითმენ, მოხუცი ვარ, მაგრამ ვინც შვილს აპურებს ამ საკვებით, იმან რა ქნას? ხანდახან გამოურევენ ხორცს, ისიც გაყინული ქათმის ბარკლის“, - გვითხრა ერთ-ერთმა ბენეფიციარმა.

ალბათ, გახსოვთ, 100 უფასო სასადილო. პროექტი, რომელიც სოციალურად დაუცველი მოსახლეობის გამოკვებას ისახავდა მიზნად, წინა ხელისუფლების დროს აქტიურად განიხილებოდა. თუმცა, რატომ ვერ ვიხილეთ 100 სასადილო, ამ კითხვაზე პასუხის გაცემა გაჭირდება.

სამაგიეროდ, ზუსტად ვიცით, რომ უფასო სასადილოს მენიუსა და ბენეფიციარების მდგომარეობა არც წინა და არც ამჟამინდელი ხელისუფლების დროს არ გაუმჯობესებულა.

უფასო სასადილოები თბილისის სხვადასხვა უბნებშია განთავსებული.ზოგი სკოლის შენობაშია შეყუჟული, ზოგიერთი მომმარაგებელი ფართს ქირაობს ან იჯარით იღებს. იდეალურ ვარიანტში კი საკუთარი გააჩნია.

მზარეულები კერძების მომზადებას დილის ექვსი საათიდან იწყებენ, რომ 10-11 საათისთვის კერძების გაცემა დაიწყონ.

ბენეფიციარების უმრავლესობას სადილი შინ მიაქვს. თითო სულზე 200-250 გრამი პური და 400-450 გრამი წვნიანი გაიცემა. რძის ნაწარმი, ხილი, ტკბილეული აქაურობისთვის უცხოა. კერძებს ცხიმი ნორმაზე მეტი აქვთ. ამაში თავად დავრწმუნდი, როცა ერთ-ერთმა ბენეფიციარმა ცხიმით ალაპლაპებული კერძი მაჩვენა.





„გული არ მიმდის, რომ შევჭამო. კერძი შინ მიმაქვს, გადავწურავ, რაც დარჩება იმას ჩემს ზეთს ვუკეთებ. შვილო, ჩვენს მოსაწონ სადილებს ვინ მოამზადებს, მაგრამ ისეთი ხომ უნდა გააკეთონ, ჭამა რომ შეგეძლოს?“ - გვითხრა 76 წლის ქალბატონმა გულომ, რომელიც გლდანი-ნაძალადევის რაიონში მდებარე სასადილოში დადის.

ანალოგიური სიტუაციაა თითქმის ყველა სასადილოში. ბენეფიციარები უკმაყოფილებას გამოხატავენ. თუმცა, იქვე დასძენენ, რომ სხვა გზა არ აქვთ და მეორე დღეს კვლავ აქ მოდიან.

**მარიკა, 45 წლის:** „ორი შვილის მყავს. მე ვჭამ აქაურ საჭმელებს, მაგრამ ბავშვებს უჭირთ. კერძი შინ მიმაქვს და შემდეგ ვუმატებთ ცხიმს, მწვანილს. ბევრს ეშინია, სიიდან არ ამომაგდონო, სადილი მაინც მიაქვთ და მერე ძაღლს აჭმევენ. რადგან სასადილოში დავდივართ, ადამიანები არ ვართ? ორი უმაღლესი მაქვს დამთავრებული, მაგრამ ცხოვრებამ მოიტანა ჩემი ასეთი ყოფა. მიჭირს და ამიტომ მოვდივარ“.



ბენეფიციარების მიერ დაწუნებულ კერძებს მათი დაბალი კალორაჟიც ემატება. ამაში თავად დავრწმუნდით, როცა სასადილოს მენიუს გავეცანით. ერთ სულზე პურის დღიური ნორმა 250 გრამს შეადგენს, მაწვნის შეჭამანდი - 450 გრამი, მაკარონის ან ვერმიშელის წვნიანი - 450 , ჭარხლის სალათი - 200, შილაფლავი - 200 გრამი, კომპოტი - 200 გრამი.

სატენდერო პირობებში ნახსენებია, რომ მენიუში შემავალი კერძის ენერგეტიკული ღირებულება არანაკლებ 900 კილოკალორიას უნდა შეადგენდეს.

დიეტოლოგების თქმით, ჯანმრთელმა ადამიანმა დღეში 2 200-2 500 კილოკალორია უნდა მიიღოს. მათივე თქმით, სასადილოებში თითო ბენეფიციარზე გამოყოფილი დღიური ნორმა ძალიან მცირეა. განსაკუთრებით კი ბავშვებისთვის და ხანდაზმულებისთვის.

„ბურღული, ბოსტნეული, დაახლოებით 300-400 გრამი; ხილი 200-300 გრამი; ცხოველური პროდუქტები კვირაში სამჯერ 100-150 გრამი ან თევზი იმავე რაოდენობით; მცენარეული ცხიმები, რძის ნაწარმი: 200 გრამი ხაჭო ან ერთი ჭიქა რძე, ან მაწონი. ეს პროდუქტების მინიმუმია, რომელიც ორგანიზმს ესაჭიროება. ასაკოვნებს 1 500 კილო კალორიამდე შეუძლიათ მიიღონ, რადგან ასაკის მატებასთან ერთად საკვებზე მოთხოვნილება მცირდება. ნებისმიერ შემთხვევაში 900 კილოკალორია საკმარისი არ არის“, - გვითხრა ენდოკრინოლოგ-დიეტოლოგმა თამუნა ზერეკიძემ.

უფასო სასადილოებში მომზადებული კერძების დაბალ კალორაჟზე საუბრობს „უმუშევართა კავშირის“ ხელმძღვანელი თამარ იოვაშვილიც.

„ხელისუფლებას ყველაფრისთვის აქვთ ფული, მაგრამ ამ კატეგორიის

## იოვაშვილი: „ამ მხრივ არაფერი შეცვლილა, მენიუს გადახედეთ, საშინელი სადილია“

ადამიანებისთვის ვერავინ მოიცალა. საარსებო მინიმუმის დათვლის მეთოდიკაში არაფერი შეიცვალა. არავის არ აინტერესებს როგორ უნდა იარსებოს ადამიანმა, რომელიც სოციალურად დაუცველია. ჩვენს ერს ცილოვანი სიკვდილი რომ ემუქრება, ეს არავის აინტერესებს. 2013 წელს სიღარიბის დონე 10%-ით გაიზარდა. გადახედეთ სასადილოების მენიუს. საშინელი სადილი აქვთ. გუფთას ხორცის ნაცვლად სოიოსგან ამზადებენ“, - ამბობს იოვაშვილი.



მისივე თქმით, ფინანსური პრობლემების გამო მათი ორგანიზაცია სოციალურად შეჭირვებულებს დღეში ერთხელ ცხელი სადილით ვეღარ უმასპინძლდება.

„სამწუხაროდ, არ გვაქვს ადგილი და შესაძლებლობა. თუმცა, ამ სასადილოს ამოქმედება ჩემს გეგმაშია და აუცილებლად განვახორციელებ“, - ამბობს იოვაშვილი.

ცხადია, სასადილოს მომმარაგებელი კომპანია ბენეფიციარების მაღალი კალორაჟით უზრუნველყოფას ვერ მოახერხებს, რადგან ტენდერს ძალიან მცირე თანხებით იგებენ.

როგორც ერთ-ერთმა ინდმეწარმემ გიორგი ჭურაძემ გვითხრა, მას ტენდერი ერთ ლარსა და 15 თეთრშიც აქვს მოგებული. პრაქტიკულად, ეს თანხა ბენეფიციარის გამოსაკვებად საკმარისი არ არის.

„სახელმწიფო გეუბნება, რომ ამ თანხით ერთი ბენეფიციარი უნდა გამოკვებო, რაც, რასაკვირველია, საკმარისი არ არის. ტენდერის დროს შენი კონკურენტი უფრო ნაკლებ თანხას გიწერს. შენც იძულებული ხარ, რომ ტენდერის მოსაგებად თანხა დაწიო“, - ამბობს ჩვენი რესპონდენტი.

ცხადია, შეჭირვებული ადამიანისთვის დღეში ერთხელ ერთი თავი კერძი შვებაა. თუმცა, კარგი იქნება თუ სახელმწიფო მეტ ყურადღებას გამოიჩენს ამ ადამიანების მიმართ და მათ პრეტენზიებს გაითვალისწინებს.

უფასო სასადილოები გამგეობის დაქვემდებარებაშია.

რაც შეეხება ბენეფიციარების პრეტენზიებს, ყველა ერთხმად აღიარებს, რომ ერთი ლარი და 15 თეთრი ადამიანის გამოსკვებად საკმარისი არ არის.

**თორნიკე ხუციშვილი, ისნის გამგებელი:** „ჩვენს რაიონში დაახლოებით 2 400 ბენეფიციარია. კვების რაციონის შედგენაში გამგეობა ერთპიროვნულად არ მონაწილეობს. კალორაჟი ჯანდაცვის სამინისტროს უშუალო მონაწილეობით არის შედგენილი. ბუნებრივია, 2 400 ადამიანის გემოვნებას ვერ გაითვალისწინებ. როგორც ასეთი, რომ მასობრივი უკმაყოფილება იყოს, არ მსმენია. სასადილოებში პერიოდულად მონიტორინგს ვახორციელებთ. გარკვეულ შემთხვევებში ჩვენც ვაწყდებით უკმაყოფილებას. სამწუხაროდ, ამ რეალობას ვერ ავცდებით. თუ ობიექტურად მივუდგებით, ერთი ლარი და 15 თეთრი სრულყოფილი კვებისთვის საკმარისი არ არის“.

ნაძალადევის რაიონში უფასო სასადილოებით 5 300 ბენეფიციარი სარგებლობს. ამის გარდა, რეზერვში 500-მდე განაცხადია, რომლებიც პროგრამაში ჩასმას ითხოვენ.

**ვახო ბალავაძე, ნაძალადევის გამგებელი:** „2013 წლის შუა პერიოდში ჩვენს რაიონში სულ ხუთი სასადილო იყო, ახლა ათია. 500-600 განაცხადია შემოსული, ეს ადამიანები გვთხოვენ, რომ სიაში ჩავსვათ. სასადილოებს პერიოდულად ვამოწმებთ. ამ ადამიანებს სტატუსი ხომ არ შეეცვალათ, ან სასადილოთი სარგებლობენ თუ არა. თუ არ სარგებლობენ, მაშინ სიიდან ვრიცხავთ და მათ ადგილზე რეზერვში მყოფთ ვამატებთ. რაც შეეხება რაციონს, გამგეობას მისი შეცვლის უფლება არ აქვს, რადგან ეს უკვე დამტკიცებულია“.




© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რას უწუნებენ პაციენტები საყოველთაო დაზღვევას?

# „ხელწერილი დავტოვეთ, რომ ერთი თვის განმავლობაში თანხას გადავიხდიდით“




სალომე გოგოხია

**66 წლის ჯიმშერ ლემონჯავა საყოველთაო დაზღვევით სარგებლობს. ოთხი თვის წინ სასწრაფო დახმარების ბრიგადამ გულის შეტევის დიაგნოზით ინგოროყვას კლინიკაში მიიყვანა. პაციენტს კორონოგრაფია ჩაუტარეს. მიუხედავად იმისა, რომ გადაუდებელი შემთხვევა იყო, რასაც სახელმწიფო 100%-ით აფინანსებს, ხარჯის გაღება საკუთარი ჯიბიდან მოუწია.**

საქმის მოკვლევა ჯანდაცვის სამინისტროში დღემდე გრძელდება.

„გასული წლის ნოემბერში მამაჩემი გულის შეტევით სასწრაფომ ინგოროყვაში მიიყვანა. ღამის სამი საათი იყო. როგორც კი მიიყვანეს, გვითხრეს, რომ კორონოგრაფია უნდა გავუკეთოთ, შეიძლება შუნტირება ან სტენტირება დასჭირდესო. ღამის სამ საათზე გამოიძახეს სპეციალისტი და გაუკეთეს. საბედნიეროდ, სისხლძარღვები დაზიანებული არ აღმოჩნდა, შუნტირება ან სტენტირება არ დასჭირდა. საავადმყოფოში სამი დღე დატოვეს. ვიცოდით, რომ გადაუდებელ შემთხვევას სახელმწიფო 100%-ით აფინანსებდა, თან სახელმწიფო დაზღვევა ჰქონდა. ამიტომ, მშვიდად ვიყავით. თუმცა, საავადმყოფოდან გამოწერის დღეს ნახევარი საათით ადრე გვითხრეს, რომ დაზღვევა არ ანაზღაურებს და თანხის გადახდა მოგვთხოვეს. ამაზე ერთი ამბავი ავტეხე. საქმეში საავადმყოფოს იურისტიც ჩაერთო, მომსახურების სააგენტოსაც შევატყობინე. ბევრი დავიდარაბის შემდეგ, თანხის გადახდა მაინც ჩვენ მოგვიწია. დარწმუნებულები ვიყავით, რომ სახელმწიფო სრულად დააფინანსებდა, ამიტომ ამხელა თანხა თან არ გვქონდა. ხელწერილი დავტოვეთ, რომ ერთი თვის განმავლობაში თანხას გადავიხდიდით. წინააღმდეგ შემთხვევაში საქმეს სააღმსრულებლოს გადასცემდნენ. 600 ლარამდე დაგვიჯდა. ამის შემდეგ ჯანდაცვის სამინისტროს განცხადებით მივმართეთ, მაინტერესებდა რატომ მომთხოვეს თანხა, როცა გადაუდებელი შემთხვევა იყო. მამაჩემი გულის შეტევის დიაგნოზით ნოემბერში მივიყვანეთ საავადმყოფოში და მას შემდეგ, ჯანდაცვის სამინისტრო დღემდე მოკვლევას აწარმოებს. სასაცილოა ძალიან, ამდენი ხანი რით ვერ დაადგინეს მიზეზი. აი, ასეთი „კარგი დაზღვევა“ გვაქვს“. - გვიამბო პაციენტის შვილმა თამუნა ლემონჯავამ.

საყოველთაო დაზღვევა 2013 წლის 1 ივლისს ამოქმედდა. ამ პაკეტით მოსარგებლე პაციენტებს სახელმწიფო 70%-იანი დაფინანსებას სთავაზობს, 30% ბენეფიციარმა უნდა გაიღოს, თანაც, კლინიკის არჩევანში შეზღუდული არ არის. ამასთან, გადაუდებელ შეთხვევებს სახელმწიფო 100%-ით აფინანსებს.



ერთი შეხედვით პაკეტის პირობები იმდენად დამაკმაყოფილებელი ჩანს, წარმოუდგენელია პაციენტს რაიმე პრობლემა შეექმნას. თუმცა, სანაქებო პაკეტს მიღმა ბევრი პრობლემა იმალება.

მაგალითად, საკუთარი სურვილით პაციენტი გამოკვლევას ვერ ჩაიტარებს, თუ ექიმმა ეს საჭიროდ არ ჩათვალა და მიმართვა არ გამოუწერა.

„მეორე უკიდურესობაა, როცა კლინიკას, სადაც მიწერილი ხარ, მაგალითად, არ აქვს რენტგენის ან კონკრეტული გამოკვლევისთვის საჭირო აპარატურა. ასეთ შემთხვევაში ექიმი სხვა კლინიკაში, სადაც ეს აპარატურა აქვთ, არ გიშვებს, რადგან იქ დაზღვევა არ გაფინანსებს. საკუთარი ჯიბიდან უნდა გადაიხადო. რამდენი ხანია, რაც მუცლის ღრუს ექოსკოპია მინდა გადავიღო, რადგან რაღაც მაწუხებს. იმ კლინიკაში, სადაც აღრიცხვაზე ვარ, შესაბამისი აპარატი არ აქვთ, სხვა კლინიკაში, სადაც აქვთ, ვერ მივდივარ, რადგან საყოველთაო დაზღვევა არ აფინანსებს. მოგეხსენებათ, ნორმალურ ექიმთან კონსულტაცია 50 ლარი ღირს, ამას დამატებული გამოკვლევის, შემდეგ მედიკამენტების ფული, ამის ფული არ მაქვს. ჩვენს ქვეყანაში პაციენტის უფლებები ირღვევა, სამაგიეროდ, დაზღვევის უფლებები დაცულია. კაბალურ პირობებში ვართ. დიპლომი და თეთრი ხალათი კარგ ექიმობას არ ნიშნავს. სამწუხაროდ, ქვეყანაში კარგი სპეციალისტების დეფიციტია“, - ამბობს 45 წლის ნინო გ.

სახელმწიფო წლის ბოლომდე გეგმავს საქართველოს მასშტაბით მოსახლეობის დაზღვევას, თუმცა, რაოდენობის ზრდასთან ერთად რამდენად გაიზრდება სამედიცინო მომსახურების ხარისხი, უცნობია.

საყოველთაო დაზღვევის მიმართ უკმაყოფილებას გამოთქვამენ ისინიც, ვინც კერძო კომპანიაშია დაზღვეული. სამწუხაროდ, კერძო დაზღვევაზე უარის თქმის შემთხვევაში საყოველთაო დაზღვევა პაციენტს მხოლოდ მინიმალურ პაკეტს სთავაზობს.

**ნელი ბენიძე:** „მამაჩემს სამსახურის დაზღვევა ჰქონდა. შაქარი აქვს და მუდმივი მკურნალობის ქვეშ იმყოფება. ჩემი რჩევით ამ დაზღვევაზე უარი თქვა და საყოველთაოში გადაწყვიტა დაზღვევა. პოლიკლინიკაში მივედი და უარი გვითხრეს. აღმოჩნდა, რომ მხოლოდ შარდის და სისხლის საერთო ანალიზებს უფინანსებენ, ერთი სიტყვით, ისეთს, რომელსაც საკუთარი ჯიბიდანაც როგორმე დაფარავ. არც ინსულინი მისცეს, არც გულის წამლები დაუფინანსეს. მე საყოველთაო დაზღვევით ვსარგებლობ. თუმცა, არის ისეთი გამოკვლევები, რომელსაც პოლიკლინიკის ექიმს ვერ ვანდობ და გაცილებით უკეთესი სერვისის და სპეციალისტებით დაკომპლექტებულ კლინიკაში მისვლას ვამჯობინებ, თუმცა, ასეთ შემთხვევებს დაზღვევა არ მიფინანსნებს“.

რამდენად დაცულია პაციენტის უფლებები საყოველთაო დაზღვევის პაკეტით და არღვევენ თუ არა პოლიკლინიკები ბენეფიციარების უფლებებს, როცა მათ შესაბამის გამოკვლევებს არ უტარებენ, რა შემთხვევაში აფინანსებს დაზღვევა პაციენტს 100%-ით, ამის გასაგებად ჯანმრთელობის და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს მივმართეთ.

სამინისტროს საყოველთაო დაზღვევის სამსახურის უფროსი რუსუდან გოგოლაშვილი ამბობს, რომ სახელმწიფო პროგრამაში რამდენიმე ტიპის ბენეფიციარების მომსახურებაა გათვალისწინებული.

მათ შორის, პენსიონერებს, უმწეოებს და 0-დან 5 წლამდე ასაკის ბავშვებს გადაუდებელი შემთხვევების დროს სახელმწიფო 100%-ით აფინანსებს.

„უწინ სახელმწიფო პაციენტებს კერძოში აზღვევდა. ახლა სახელმწიფო აფინანსებს. უმწეოებს, პენსიონერებს და 0-5 წლამდე ასაკის ბავშვებს ლიმიტის გარეშე 100%-ით აფინანსებს. დანარჩენ დაზღვეულებს რაც შეეხება, 473 დაავადების ჩამონათვალი უფინანსდებათ 100%-ით თითო შემთხვევაზე, 15 000 ლარია ლიმიტი. დანარჩენი, რაც გადაუდებელში არ შედის 70%-ით უფინანსდებათ, აქაც ლიმიტი 15 ათასია“, - ამბობს გოგოლაშვილი.

რაც შეეხება პოლიკლინიკებს, სადაც მათ მიერ პაციენტების უფლებების დარღვევა აშკარაა, გოგოლაშვილი ამბობს, რომ თბილისის მასშტაბით სამინისტრო 120 პოლიკლინიკას შეამოწმებს.

„ეს პოლიკლინიკების დანაშაულია, როცა პროგრამაშია, ვადლებულია ის გამოკვლევები ჩაუტაროს, რაც პაციენტს ეკუთვნის. თუ ამას ვერ უზრუნველყოფს, მაშინ ქვეკონტრაქტორი უნდა აიყვანოს. პოლიკლინიკებში მონიტორინგს ვახორციელებთ, რომელი როგორ ემსახურება პაციენტს. ისინი ვალდებულები არიან პაციენტის გამოკვლევის დაფინანსება უზრუნველყონ, რადგან ამ ადამიანზე დაფინანსებას ღებულობენ. ჩვენ ამ დარღვევებს გამოვავლენთ, მაგრამ ყველა შემთხვევის შესწავლას დრო სჭირდება. ასეთ შემთხვევაში პოლიკლინიკას პასუხისმგებლობა დაეკისრება, რადგან სახელწმიფოს პროგრამას არაჯეროვნად ასრულებენ. მონიტორინგის დასრულების შემდეგ შედეგებს გამოვაქვეყნებთ“, - ამბობს გოგოლაშვილი.




მისივე თქმით, პაციენტებს, რომლებიც კერძო დაზღვევაზე უარს ამბობენ, სახელმწიფო მინიმალურ პაკეტს სთავაზობს.

„ვინც კერძო კომპანიაშია დაზღვეული, მას უფლება არ აქვს, რომ საყოველთაო დაზღვევის პროგრამით სრულად ისარგებლოს. თუ რაღაც მიზეზის გამო პოლისს კარგავს, ამ ეტაპზე მინიმალურ პაკეტში ერთვება, რაც გულისხმობს გადაუდებელი შემთხვევების ჩამონათვალს, რომელიც 100%-ით ფინანსდება - ოჯახის ექიმის მომსახურება, სისხლის და შარდის საერთო ანალიზები. ასევე, მიმდინარე წლის 28 იანვრიდან მშობიარობის კომპონენტიც დაემატა. მინიმალურიდან საბაზისოში როდის გადავლენ, ეს განხილვის თემაა“, - აღნიშნა გოგოლაშვილმა.

სანამ სახელმწიფო დაზღვევის პაკეტს, სამედიცინო მომსახურების ხარისხს გააუმჯობესებს, მანამდე დაზღვევით თუ სამედიცინო მომსახურებით უკმაყოფილო პაციენტებს ისღა დარჩენიათ, რომ მედიაციის სამსახურისკენ მიმავალ გზას დაადგნენ.

მედიაციის სამსახური 2012 წლის პირველი ივნისიდან არეგულირებს სადაზღვევოსთან წარმოშობილ პრობლემურ საკითხებს. პაციენტები, როგორც ცხელი ხაზის საშუალებით, ასევე, წერილობით მიმართავენ.

2012 წლის 1 ივნისიდან დღემდე სადაზღვევო ორგანიზაციების მიმართ მედიაციის სამსახურში 18 274 განაცხადი შევიდა. ამასთან, ხშირია დაზღვეულების მომართვიანობა გაწეული სამედიცინო მომსახურების ანაზღაურებასთან დაკავშირებით.

თუმცა, ნუ დაგვავიწყდება, რომ პაციენტების დიდი ნაწილი პრობლემის მოგვარებას ბიუროკრატიული გზის ავლით, საკუთარი ჯიბიდან ცდილობს. ზოგისთვის ერთი უარიც საკმარისია, რომ უკან მობრუნდეს და სამართლებრივი გზით დავა აღარ გააგრძელოს. ამიტომ, რეალური სურათი რამდენია საყოველთაო დაზღვევით თუ სამედიცინო მომსახურებით უკმაყოფილო, ზემოთ მოყვანილი სტატისტიკისგან ბევრად განსხვავებული იქნება.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რესპუბლიკურ საავადმყოფო
# სახიფ

მარიამ ნადირაძე

**...საფრთხე მედპერსონალისგან არ მომდინარეობს, პირიქით, სწორედ მედპერსონალია იმის მიზეზი, რომ 120 პაციენტი ჯერ კიდევ ვერ ელევა ამ საავადმყოფოს ხელოვნური თირკმლის განყოფილებას, მიუხედავად იმისა, რომ მათთვის იქ პროცედურაზე მისვლა ერთ მშვენიერ დღეს საბედისწეროც შეიძლება აღმოჩნდეს.**

ნინო გიორგაძე თბილისის ერთ-ერთ სკოლაში ქართულს ასწავლის. მას და მის მეუღლეს, ორივეს ერთად, ყოველ მეორე დღეს უხდებათ მოსწყდნენ სამსახურს იმის გამო, რომ ნინოს მამა მძიმე ავადმყოფია, ეტლით სარგებლობს, რესპუბლიკური საავადმყოფოს ხელოვნური თირკმლის განყოფილებამდე მისასვლელ პანდუსზე კი ეტლს ერთი ადამიანი ნამდვილად ვერ აიყვანს – პანდუსი დამპალი ფიცრებისგან არის შეკრული და თანაც ალაგ-ალაგ ტყდება. თუმცა ეს არ არის ერთადერთი პრობლემა, რომელიც იქ მისული პაციენტების ჯანმრთელობასა და, გნებავთ, სიცოცხლეს საფრთხეს უქმნის.

**ამის შესახებ „პრაიმტაიმს“ თავად ნინო გიორგაძე ესაუბრება:** „უკვე მეოთხე წელია, აქ დავდივართ. მამაჩემი ეტლით დამყავს. ხელოვნური თირკმლის განყოფილება განთავსებულია რესპუბლიკური საავადმყოფოს ერთ-ერთ ფლიგელში. ეს ის ფლიგელია, რომელიც თვალს არის მოფარებული, არ ჩანს... აქ მძიმე ავადმყოფები დადიან, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, რომლებიც ეტლით სარგებლობენ. ამ კორპუსს აქვს პანდუსი, მაგრამ მას ისეთი დახრილობა აქვს, რომ შეუძლებელია, ერთმა კაცმა მოახერხოს იქ ეტლის აყვანა. მინიმუმ ორი ადამიანი მაინც სჭირდება. ამის გარდა, ეს პანდუსი არის თხელი ფიცრებით შეკრული, რომელიც ზამთარში ლპება და ბუნებრივია, ტყდება. დეკემბერში ჩემს მეუღლეს ჩაუტყდა და ფეხი ჩაუვარდა. ძლივს დავიჭირე მამაჩემის ეტლი... ამ შემთხვევის შემდეგ მივედი საავადმყოფოს გენერალური დირექტორის მოადგილესთან, მითხრა, განცხადება დაწერეო. ამის შედეგი იყო ის, რომ პანდუსს ერთი ფიცარი დააკრეს. წვიმებისა და თოვლის შემდეგ, ისევ იგივე დაემართა. მეორედაც მივედი, ერთი თვის წინ. მითხრა, მე ვერაფერს ვწყვეტ და იქნებ გენერალური დირექტორი ნახოთო. ასეც მოვიქეცი. მან ათასი სისულელე მითხრა, ადრე ვერონიკა ქობალიამ ეს ფლიგელი გადასცა დანიელებსო, ამიტომაც დღემდე სადავოა და მე რატომ გავაკეთოო. ავუხსენი, რომ ამ შემთხვევაში საუბარია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ დამოკიდებულებაზე, მეტი არაფერი... მერე მითხრა, გარშემო ბევრი სადიალიზოა და იქნებ სადმე გადახვიდეთო, თითქოს ჩვენ იქ იმიტომ დავდიოდეთ, რომ საბურთალოზეა... რეალურად მამაჩემის მდგომარეობის მართვა რეალურად მხოლოდ აქ შეძლეს. მამაჩემს რთავს ორად ორი ექთანი, სხვა ვერავინ, იმდენად რთული ფისტულა აქვს. რა ვქნა, ყველამ თავის გზა უნდა ნახოსო, – ასეთი გამოსავალი იპოვა ამ კაცმა იმ დროს, როცა მხოლოდ პანდუსი არ არის ამ სადიალიზოს პრობლემა: აპარატები ყოველ მეორე დღეს გამოდის მწყობრიდან და ფუჭდება. შეიძლება ავადმყოფი მივიდეს და აღმოაჩინოს, რომ აპარატი არ მუშაობს. ძალიან კარგი ინჟინერი ჰყავთ და ეს ქალი ხელით ამუშავებს ამ აპარატს, საოცრებებს აკეთებს. ეს არის სადიალიზო, სადაც ითიშება შუქი და წყდება წყალი იმიტომ, რომ მენეჯმენტმა რაღაც აგრეგატი ვერ გააკეთა... როცა აპარატზეა შეერთებული ავადმყოფი, უცებ წყალი შეწყდება... ამ თვეში ეს მოხდა სამჯერ და ფაქტობრივად, მთელი კვირა დიალიზი არ ჩატარებიათ პაციენტებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ პაციენტი შეიძლება მოკვდეს. ამ სადიალიზოში სავარძლები, სადაც ავადმყოფები წვანან, უნდა იყოს მართვადი, რადგან ავადმყოფებს, პირველ რიგში, წნევა უვარდებათ და აუცილებელია, რომ თავი მაქსიმალურად დაბლა ჩაუწიო, ფეხები კი – მაღლა, რომ სისხლი გადანაწილდეს. ამის საშუალებას იქ მხოლოდ ოთხი სავარძელი იძლევა, დანარჩენი არის გადატეხილი და მერე კუსტარულად გამაგრებული იმიტომ, რომ სავარძლის ფორმა ჰქონდეს – არ აქვს ხელის დასადები და მაგიდას უდგამენ, არ აქვს ფეხების დასადები და ამიტომ პაციენტს ფეხები სკამზე უწყვია. არის რაღაც საწოლები, რომლებიც, ალბათ, სხვა განყოფილებას გადასაყრელად ჰქონდა გამზადებული. მეტიც, დღეს ერთ ოთახში, იმ დროს, როდესაც პაციენტს დიალიზს უტარებდნენ, ჩამოინგრა ბათქაში, საკმაოდ მსხვილი ქვები იყო...“



ნინო გიორგაძე

როგორც აღმოჩნდა, ამ მდგომარეობით თვითონ მედპერსონალიც შეწუხებულია: „დიდი ხანია, რესპუბლიკურში არსებობს ჰემოდიალიზის განყოფილება. პირველი განყოფილებაა, სადაც გაიზარდა ყველა ის ნეფროლოგი, რომლებმაც შემდეგ ახალი კლინიკები გახსნეს. ყველა კლინიკა უმაღლესი ტექნოლოგიური აპარატურით არის აღჭურვილი, გარემონტებული, გასუფთავებული, მუშაობენ ადამიანურ პირობებში, რაც ჩვენ გვაკლია. თუმცა ჩვენ ჩვენთვის არაფერს ვითხოვთ – არც ხელფასებს, არც სამთვიან დაგვიანებაზე გამოვთქვამთ პრეტენზიას, ვითხოვთ მარტო იმას, რომ ავადმყოფებს შეექმნათ ელემენტარული ადამიანური პირობები, სავარძლებიდან არ ცვიოდნენ. არ მინდა თავის ქებასავით გამომივიდეს, მაგრამ აქ დარჩენილი ყველა პაციენტი ამბობს, რომ არ გადადის მხოლოდ და მხოლოდ ჩვენ გამო, ვერ გელევით თქვენო, თორემ მათი არჩევანია – სადაც უნდათ, იქ ჩაიტარებენ დიალიზს. თან წარმოიდგინეთ, 15-16 წელი რომ პაციენტი შენთან არის, მიჩვეულია, იცი იმის შესახებ ყველაფერი, უცებ გადავიდეს სხვა კლინიკაში – მათაც უჭირთ და ჩვენც. სახელმწიფო ასეთი პაციენტების მომსახურებას სრულად აფინანსებს, მასთან პრეტენზია არც პაციენტს აქვს და არც ჩვენ, რადგან წუთი წუთზე ირიცხება თანხები, ეს არის ადგილობრივი პრობლემა, რადგან ამ საავადმყოფოს არასდროს ეღირსა ნორმალური მენეჯმენტი...“ – გაგვიმხილა ერთ-ერთმა თანამშრომელმა.

# „აპარატები ყოველ მეორე დღეს გამოდის მწყობრიდან და ფუჭდება“



**ახლა კი, რაც შეეხება მენეჯმენტს, საავადმყოფოს დირექტორი ხელისუფლებასთან ერთად შეიცვალა. ავთო იმედაძე მეტად გახსნილი აღმოჩნდა ჟურნალისტთან საუბრისთვის, თუმცა რამდენად კომპეტენტური და მართალი – ამას თავად მკითხველი მიხვდება:**

– ეს განყოფილება განთავსებულია ძველ კორპუსში, რომელზეც დავა ჯერ კიდევ არ არის დასრულებული ძველ ინვესტორთან, რომელსაც ძველმა მთავრობამ მიჰყიდა ეს კორპუსი. მის რეაბილიტაციას ამის გამო ვერ ახერხებს სახელმწიფო. სანამ დავა არ დამთავრდება, მის რეაბილიტაციაში ფულის ჩადება მიზანშეწონილი არ არის. თუმცა 12 აპარატის შესყიდვაზე მაინც გამოცხადებული გვაქვს ტენდერი. სახელმწიფო შესყიდვების სამსახური უფლებას არ გვაძლევს, რომ პირდაპირი დაკვეთით გავაკეთოთ რემონტი. ტენდერი ერთხელ ჩაიშალა... ერთი სიტყვით, ამ წვალებაში ვართ.

**– მაშინ გადაიყვანეთ ეს პაციენტები არასადავო ტერიტორიაზე. ბოლოს და ბოლოს, მათი მკურნალობისთვის სახელმწიფო ფულს გიხდით...**

– ის ორმოცი ლარი არასწორად არის გათვლილი, რასაც სახელმწიფო ერთ პაციენტზე ხარჯავს. ისინი ორჯერ მეტ მომსახურებაში ხარჯავენ. წამლები, ანალიზები, დენი, წყალი, გათბობა, დაცვა ამ 40 ლარში არ არის გათვალისწინებული. იქ კიდევ სავარძელია საჭირო, აპარატს 5 წელიწადში ერთხელ გამოცვლა სჭირდება...

**„ჩვენ ვერ გავუშვებთ გარეთ ამ ხალხს და ვერ ვეტყვით, რომ ჩვენთვის ეს პროექტი მომგებიანი არ არის...“**

**– გამოდის, რომ ეს საავადმყოფოსთვის წამგებიანი პროექტია.**

– ასე გამოდის, მაგრამ ჩვენ ვერ გავუშვებთ გარეთ ამ ხალხს და ვერ ვეტყვით, რომ ჩვენთვის ეს პროექტი მომგებიანი არ არის...

**– თქმით თუ არ ეუბნებით, პირობების გამოსწორებას არ აპირებთ და ეს ამბობს თქვენს სათქმელს...**

– პანდუსის გაკეთება არ არის იმდენად პრინციპული... პანდუსი არსებობს, ავადმყოფი ამოდის, ხუთმა ეტლმა რომ გაიაროს, ის არ ჩავარდება. მაგრამ მაინც ვაპირებთ, რომ მივხედოთ...

**– პრობლემის იურიდიული მხარე მესმის, მაგრამ ავადმყოფს, რომელსაც თქვენს საავადმყოფოში ბათქაში აცვივა თავზე ამ მიზეზებზე მოუყვებით?**

– გეთანხმებით, რომ ეს არის არანორმალური, არ შეიძლება, მაგრამ რომ ხედავდეთ, ჩვენ რას ვაკეთებთ ამისთვის. თქვენც იტყვით, მეტი რა ქნან, დღეს თუ არა, ხვალ გაკეთდებაო. მაგრამ ავადმყოფმა ხარისხიანი მომსახურება დღეს უნდა მიიღოს...

**– ჩემს სათქმელს ამბობთ... და იქნებ აქვე გვითხრათ, ვინ უნდა უზრუნველყოს ეს ხარისხიანი მომსახურება?**

– თუ ვლაპარაკობთ გათბობასა და კონდიცირებაზე, მაშინ მთლიანად უნდა წამოვიდეს იმ კორპუსის რეაბილიტაციის საკითხი...

**– მგონი, პაციენტებს პრეტენზიები კონდიცირების არარსებობის გამო არ გამოუთქვამთ. მათ უნდათ ნორმალური პანდუსი, გამართული აპარატურა და სავარძლები, უსაფრთხო ჭერი და უწყვეტი წყალი და დენი, რაც მათთვის**



ავთო იმედაძე



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ფოში დიალიზის გაკეთება ათოა!



სასიცოცხლოდ აუცილებელია...

– ეს ერთიანობაში უნდა გაკეთდეს. დღეს რომ ჩვენ ჭერს გავაკეთებთ, საიდანაც ბათქაში არ ჩამოვარდება, ხვალ დადგება გათბობის პრობლემა, დამიჯერეთ, რა...

**– ამას თქვენ ჰიპოთეტურად ამბობთ. დღეს კი პაციენტებს თქვენს კლინიკაში უსაფრთხოების პრობლემა აქვთ...**

– ამას გლობალური მიხედვა უნდა და მარტო რესპუბლიკური საავადმყოფოს შესაძლებლობები ვერ გაქაჩავს.

**– აბა, ვინ უნდა „გაქაჩოს“? თვითონ პაციენტებმა?**

– არა. სახელმწიფოს მათზე აღებული აქვს მზრუნველობა...

**– მაშინ ასე დაგისვამთ კითხვას: რომელიმე პაციენტს ჩამოთვლილი პრობლემების გამო რამე რომ დაემართოს, თქვენ ამაზე აგებთ პასუხს?**

– ჩემი პასუხისმგებლობის საკითხი დადგება მაშინ, როდესაც მას პროფესიულად დააკლდება რამე. ჩვენ პასუხს ვაგებთ მკურნალობაზე...

**– თქვენი ნამკურნალევი კაცი თქვენსავე დაწესებულებაში რომ დაზიანდეს, ამაზე პასუხს თქვენ არ აგებთ?**

– მერწმუნეთ, მთლად ჭერი რომ ჩამოინგრეს, იმ პაციენტს არაფერი მოუვა, ეს გაზვიადებულია.

**– მგონი, თქვენი ეს იმედი უფრო მეტად გაზვიადებულად გამოიყურება...**

– ეს პრობლემა დღეს არ დაწყებულა და როდესაც ეს პაციენტები ჩვენთან მოვიდნენ სამკურნალოდ, მაშინაც იდგა ეს პრობლემა.

**– ამიტომ თქვენც წინამორბედებივით შთამომავლობას უნდა გადასცეთ?**

– ამის მოგვარება შესაძლებელი იყო, მაგრამ, როგორც უკვე გითხარით, დავა ვერ დამთავრდა.

**– კონკრეტულად გკითხავთ: თქვენ რაში იღებთ სახელმწიფოსგან ფულს?**

– მათ ჩაუტარდეთ სრულყოფილი მკურნალობა. რემონტის ფულს ჩვენ არავინ გვაძლევს.

**– და ეს სრულყოფილი მკურნალობაა, როდესაც, ერთი მხრივ, მკურნალობს, მეორე მხრივ კი კვდება?**

– რატომ უნდა მოკვდეს, მითხარით...

**– დიალიზის აპარატი გამოერთოს, შუქი ჩაუქრეს, წყალი შეუწყდეს, სავარძლიდან გადმოვარდეს, პანდუსი ჩაუტყდეს...**

– აპარატი არ გამოირთვება და შუქი არ ჩაუქრება, ამას ჩვენ უზრუნველვყოფთ. თუმცა იდეალური პირობები რომ არ არის, ამაზე გეთანხმებით...

**– დამეთანხმეთ იმაზეც, რომ არც იდეალურია და არც დამაკმაყოფილებელი...**

– კი, ბატონო... როგორ გითხრათ, ეს დამაკმაყოფილებელი პირობაა-მეთქი? მაგრამ დღეს ჩვენ ჩვენი ფინანსური შესაძლებლობიდან გამომდინარე, რადიკალურ ზომებს ვერ მივიღებთ სიტუაციის გამოსასწორებლად.

**– მაშინ რა უნდა ქნას ამ 120-მა პაციენტმა?**

– რაკი სახელმწიფო აფინანსებს, შეუძლიათ, სხვაგან გადაყვანა მოითხოვონ.

**– მრჩება შთაბეჭდილება, რომ, რაკი ეს პროექტი თქვენთვის წამგებიანია, ეს თქვენ უფრო გაწყობთ, ვიდრე იმ პაციენტებს...**

– მე მაწყობს, რომ დღეს ჩემთან იყოს კარგი პირობები. მე რომ კერძო დაწესებულება ვიყო, ვიცი, რაც უნდა გავაკეთო, მაგრამ ეს სახელმწიფო დაწესებულებაა.

**– ანუ პასუხი ეკონომიკის სამინისტროს მოვთხოვოთ?**

– ...

„პრაიმტაიმმა“ კონკრეტული კითხვებით ჯერ ჯანდაცვის სამინისტროს მიმართა და გაარკვია, რომ ავთო იმედაძე ცრუობს, როცა აცხადებს, რომ სახელმწიფოსგან გადმორიცხული 40 ლარის მიღმა პაციენტების წამლებსა და ლაბორატორიულ გამოკვლევებს საავადმყოფო საკუთარი ხარჯებით ანაზღაურებს. სამინისტროდან მიღებული ოფიციალური პასუხის თანახმად, ის ყველა პაციენტს უნაზღაურებს ნეფროლოგის კონსულტაციას, ლაბორატორიულ გამოკვლევებს, მედიკამენტებით უზრუნველყოფას. რაც შეეხება განყოფილების გამართულობას, სამინისტრო მიგვითითებს საქართველოს მთავრობის 2010 წლის ორ დადგენილებაზე, რომლის მიხედვითაც დიალიზის მიმწოდებელი დაწესებულება უნდა აკმაყოფილებდეს შესაბამის მოთხოვნებს. იურიდიული ნიუანსებითა და ტერმინოლოგიით რომ არ გადავღალოთ მკითხველი, პირდაპირ ვიტყვით, რომ შპს-ს ეს რეგულაციები არ ავალდებულებს რემონტს, თუმცა, საერთო მოთხოვნების ჩამონათვალში მეოთხე ნომრად შავით თეთრზე წერია – პირობები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უსაფრთხო გადაადგილებისთვის...

> **„დღეს ჩვენ ჩვენი ფინანსური შესაძლებლობიდან გამომდინარე, რადიკალურ ზომებს ვერ მივიღებთ სიტუაციის გამოსასწორებლად“**

**„რწყილი და ჭიანჭველასი“ არ იყოს, ეკონომიკის სამინისტროსაც მივადექით. მოდით, ახლა აქ ვითხოვოთ „რკო“ „ბაწრის დასაგრეხად“:**

ეკონომიკის სამინისტროს პასუხი კი სრულიად წარმოუდგენელი რამ არის: „2011 წელს, იმჟამინდელი მთავრობის გადაწყვეტილებით, შპს „ყიფშიძის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკის“ (ყოფ. რესპუბლიკური საავადმყოფო) ქონება საკუთრებაში გადაეცა კანადურ კომპანია InterHealth Canada (Georgia) Limited LLC-ს 2011 წლის 22 სექტემბრის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და InterHealth Canada (Georgia) Limited LLC-ს შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე (პრეზიდენტის 2011 წლის 4 აგვისტოს განკარგულება პირდაპირი მიყიდვის წესით პრივატიზების შესახებ #04/08/03). გარკვეული სამართლებრივი ხარვეზის გამო დღესაც გრძელდება მოლაპარაკება ინვესტორთან, რის გამოც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ვერ ახორციელებს საკუთრების უფლებას და მოკლებულია შესაძლებლობას, განახორციელოს რაიმე სახის ინფრასტრუქტურული პროექტები“.

ამ ყველაფრის შემდეგ თუ მკითხველი რამე მწარეს გაიფიქრებს, ალბათ, ალალი იქნება ადრესატისთვის... თუმცა, ეს ვერაფერი შვებაა იმ 120 ურთულესი პაციენტისთვის, რომელიც სიცოცხლის შესანარჩუნებლად იბრძვის, ბიუროკრატია კი მათ ათასი დადგენილებისა და ბრტყელ-ბრტყელი ფრაზების მოშველიებით ცივ უარს ეუბნება სიცოცხლის უფლების დაცვაზე.



> **„ეს პანდუსი არის თხელი ფიცრებით შეკრული, რომელიც ზამთარში ლპება და ბუნებრივია, ტყდება. დეკემბერში ჩემს მეუღლეს ჩაუტყდა და ფეხი ჩაუვარდა. ძლივს დავიჭირე მამაჩემის ეტლი...“**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# როგორ მიაცემინეს შვილს დედის წინააღმდეგ ჩვენება?



**my View**

**მირიან ბოქოლიშვილი**

**ეს ისტორია არც რიგითი ოჯახური კონფლიქტი გახლავთ, არც მხოლოდ თაღლითობა და არც სახელმწიფოს მიერ კერძო საკუთრების ხელყოფა. როგორც ჩვენი რესპონდენტი ამბობს, ამ ამბავში სამივე ეს მიმართულება ერთმანეთთან კავშირშია. ბევრი თქვენგანისთვის, ალბათ, წარმოუდგენელია, რა მიზეზით შეიძლება მისცეს შვილმა დედის წინააღმდეგ ჩვენება, თუმცა ის, რაც წარმოუდგენელი შეიძლება იყოს თქვენთვის, სრულიად რეალობა აღმოჩნდა 66 წლის იზოლდა გაგნიძისთვის. საქმე ის გახლავთ, რომ მისი ერთ-ერთი ვაჟი, რამაზ გაგნიძე აღმოჩნდა მთავარი მოწმე ბიზნესმენ ვაჟა გორდიაშვილის მიერ პოლიციაში შეტანილ საჩივარში, რითაც ის ინეზა გაგნიძეს თაღლითობაში სდებდა ბრალს. ქალბატონი ციხეში არ მოხვდა, თუმცა შესაძლოა, მალე ის ქუჩაში აღმოჩნდეს, ვინაიდან ბინა და ბიზნესობიექტიც ამჟამად აუქციონზეა გატანილი და დღე-დღეზე, ალბათ, კარზე აღმასრულებელიც მიუკაკუნებს.**

„პრაიმტაიმს" ინეზა გაგნიძის მეორე ვაჟი, ვალ ირელი (რომელიც ამერიკის მოქალაქეა) უყვება, თუ როგორ განვითარდა მოვლენები.

**ვალ ირელი, ინეზა გაგნიძის ვაჟი:**

– ეს თემა ჯერ კიდევ 2008 წლიდან მომდინარეობს, როდესაც ქონების მეპატრონეები იყვნენ დედაჩემი და ჩემი და – იზოლდა და ლიკა გაგნიძეები. მათ დიღომში, დიდგორის #2-ში მდებარე კომერციული ფართი იჯარით გადასცეს ვინმე ვაჟა გორდიაშვილს. შეთანხმებისამებრ, მეიჯარეს ამ ფართის რემონტი უნდა ჩაეტარებინა, რომელიც მაქსიმუმ 6 თვეში დასრულდებოდა. გარდა ამისა, ამ პერიოდში ის გადაიხდიდა 2 ათას დოლარს ქირის სახით, ხოლო როცა უკვე გახსნიდა ობიექტს, ჭაღების მაღაზია „ლაითჰაუსზეა" საუბარი, თვეში 4 ათასი დოლარი, იმ დათქმით, რომ ყოველწლიურად ეს თანხა 1000 დოლარით გაიზრდებოდა. საუბარი იყო სულ 10-წლიან თანამშრომლობაზე. ეს პირობები შეთანხმდა ორივე მხარის მიერ, არანაირი პრეტენზია არ გამოთქმულა, პირიქით. ამ პიროვნებამ რემონტი გაწელა, რომელსაც უკავშირებდა ომით გამოწვეულ ეკონომიკურ კრიზისს. მოკლედ, ობიექტი გაიხსნა 2009 წლის დეკემბერში. სანამ გახსნიდა, ქირა ყოველთვიურად უნდა გადაეხადა, ის ამ თანხას ჩემს ძმას რამაზ გაგნიძეს აძლევდა, მისი მოყვანილი იყო, ჩემი ძმა კი თავადვე იღებდა ამ თანხებს. ხელშეკრულება უნდა გაფორმებულიყო ობიექტის გახსნის შემდეგ უკვე ოფიციალურად, მანამდე ეს პირობები შეთანხმდა ზეპირი საუბრის გზით. ამ პერიოდში ჩემს ძმას ჰქონდა ოჯახური კონფლიქტები. ამით კარგად ისარგებლა ვაჟა გორდიაშვილმა, გაწელა ხელშეკრულების გაფორმების ვადები და საქმე საქმეზე რომ მიდგა, სრულიად სხვა პირობები წამოაყენა, რომელზეც არანაირი შეთანხმება არ გვქონია.

**– და რა პირობები შემოგთავაზათ კონკრეტულად?**




## „დაემუქრნენ, რომ, თუ დედის წინააღმდეგ არ მისცემდა ჩვენებას, თავად დაიჭერდნენ. მოგვიანებით გავარკვიე, რომ გორდიაშვილს ზევიდან ლობირებდნენ"

– 2009 წლის 31 დეკემბერს ჩამოვდივარ ამერიკიდან, მოდის ბატონი ვაჟა გორდიაშვილი, რომელიც წინასწარ იყო მოლაპარაკებული თურმე ჩემს ძმასთან და პირდაპირ, ხისტად ასე შემოგვთავაზა: მტკიცე ფასი 4 ათასი დოლარი, 10 წელი ეს პირობები არ შეიცვლებოდა და ამასთანავე, იტოვებდა ქვეიჯარის აყვანის უფლებას. შემიძლია, ეს ფართი 10 ათასად გავაქირავო და ამაზე თქვენ რეაქცია არ უნდა გქონდეთო. ქვეიჯარის საკითხი პრობლემაც არ იყო, იმ დათქმით, თუ წინა პირობები, რომელზეც შეთანხმებულები ვიყავით, უცვლელი დარჩებოდა. ერთი კვირის შემდეგ კვლავ გვეახლა და შემოგვთავაზა, თუ ყოველწლიურად საიჯარო ქირის გაზრდა გსურთ, მაშინ ეს იყოს ხორბლის ფასის მიხედვითო. სასაცილოა ხომ? თუ მოიმატებდა პურის ფასი, იმის მხიდევით მოიმატებდა იჯარა. მოკლედ, საუბრის გაგრძელებას აზრი არ ჰქონდა. ჩვენგან უარი რომ მიიღო, პირდაპირ გვითხრა: მე რამაზს (ჩემს ძმას) ველაპარაკე, თუ ხელშეკრულებას ხელს არ მოაწერთ, რემონტის თანხას და აქამდე რაც მაქვს გადახდილი, მოვთხოვ რამაზს და როგორ ამოვიღებ მისგან ამ ფულს, ყველა ნახავთო. ანუ ამბობდა, რომ 60 ათასი გადაიხადა რემონტში, პლუს იჯარის გადასახადი და საბოლოო ჯამში, 100 ათასს ითხოვდა. ჩვენ, ცხადია, ამაზე უარი ვუთხარით, რადგან ის საკუთარი სურვილით მოვიდა ჩვენთან, შეთანხმდა პირობები და თუ ამ პირობების დარღვევა სურდა, ეს საერთოდ არაა ჩვენი პრობლემა. ვესაუბრე ადვოკატებსაც და დავრწმუნდი, რომ არანაირი სამართლებრივი შანსი მას არ ჰქონდა.

**– თუკი სამართლებრივი შანსი არ ჰქონდა, პრობლემები როგორღა შეგექმნათ?**

– საქმე ის არის, რომ აქ უკვე ჩაერთო ჩემი ძმა, რომლის ჩვენების საფუძველზეც საბოლოოდ დედაჩემი პოლიციაში დაკითხვაზე ატარეს და თაღლითობაში ადანაშაულებდნენ. გორგიაშვილს რამაზი არწმუნებდა, დედაჩემსა და ჩემს დას არავინ არაფერს ეკითხება, მე ვწყვეტ საკითხს და ბოლომდე დაგიდგები გვერდითო. ჩემი ძმა მითვლიდა მუქარის მესიჯებს, თუ ამ ხელშეკრულებას არ გაუფორმებთ, ნახეთ მე თქვენ რას გიზამთო და ა.შ. 25 აპრილს რეკავს გამომძიებელი, ალეკო ბათიაშვილი და გვატყობინებს, რომ 26-ში, ანუ დედაჩემის დაბადების დღეზე დედაჩემი უნდა გამოცხადდეს საგამოძიებო უწყებაში დაკითხვაზე. აღმოჩნდა, რომ ვაჟა გორდიაშვილმა შეიტანა საჩივარი 62 წლის ქალის წინააღმდეგ, თითქოს მან ჩაადებინა ათასობით ლარი ბიზნესში და გადააგდო. საუბარია ქალზე, რომელმაც, ხელოვნების გარდა, არაფერი იცის, მუსიკოსია დედა. მოვითხოვე, რომ მეც დავეკითხე გამოძიებას მოწმის სახით. განყოფილებაში მაგიდაზე დაგვიდეს ჩემი ძმის დაკითხვის ოქმი, რომელიც დედის წინააღმდეგ იძლევა ჩვენებას, ანუ დედას თაღლითად ასახელებს, ვაჟა გორდიაშვილს კი უმწიკვლო ბიზნესმენად. ეს ჩვენება მიაცემინეს ჩემს ძმას, რომელსაც დაემუქრნენ, რომ, თუ დედის წინააღმდეგ არ მისცემდა ჩვენებას, თავად დაიჭერდნენ. მოგვიანებით გავარკვიე, რომ ამ გორდიაშვილს ზევიდან ლობირებდნენ.

**– კონკრეტულად ვინ ლობირებდა?**

– იმდროინდელი ხელისუფლება, კონკრეტულად ძალოვანი უწყებები იდგნენ გორდიაშვილის უკან. მანამდეც ხშირად ახსენებდა სოდ-ში ახლობლებს. მოკლედ, საბოლოოდ ვაჟა გორდიაშვილი პროკურატურამ დაზარალებულად აღიარა. ისმის კითხვა, რატომ გაკეთდა ეს ყველაფერი? ჩემმა დამ და დედაჩემმა ეს ქონება ჩუქების ხელშეკრულებით გადმომცეს საკუთრებაში, რადგან ადვოკატებთან კონსულტაციებისა და სიტუაციის შეფასების შემდეგ მივედით იმ დასკვნამდე, რომ აპირებდნენ ამ მაქინაციებით საკუთრების ხელში ჩაგდებას. სურდათ, დაზარალებულის სასარგებლოდ დაეყადაღებინათ ობიექტი, გაყალბების გზით შეეფასებინათ ქონება და აუქციონის წესით გაეყიდათ. საბოლოოდ ათასგვარი მაქინაციებით ასეც მოხდა. ამჟამად ქონება სწორედ აუქციონზეა გატანილი, არა მარტო თვითონ ეს ობიექტი, არამედ საცხოვრებელი ბინაც, საიდანაც დღე-დღეზე შესაძლოა, გამოასახლონ დედაჩემი, 86 წლის მოხუცი ბებია და მთელი ოჯახი.

**– როგორ მოახერხეს ეს, თუკი კანონი თქვენს მხარეს იყო?**

– დაიწყეს საბუთების პირდაპირი გაყალბებები. ვითომ ობიექტს წყალი არ მოეწოდებოდა და უწევდა ტონობით წყლის შესყიდვა რემონტის დროს. მაშინ, როცა ხელთ მაქვს „ჯორჯიან უოთერ პაუერის" ორი აქტი, რომლითაც დასტურდება, რომ ეს ადამიანი ამ პერიოდში წყლის გადასახადს იხდიდა და წყალი ჩვეულებრივ მიეწოდებოდა. დადო დამოუკიდებელი ექსპერტის დასკვნა, ვინმე დავით რობაქიძის მიერ, რომ შენობას წყალი არ ჰქონია. არადა ერთხელ არ გასჩენია მესაკუთრეებთან კითხვა, რატომ არ მიეწოდებოდა ობიექტს წყალი, თუკი ეს სიმართლეა. მოიგონა, რომ წყალი რომ არ ჰქონდა, 80 ტონა წყალი იყიდა სადღაც 50 ათას ლარად, მიჩივლა სასამართლოში და უზრუნველსაყოფად ჩაიდო ქონება, გადააყადაღა შემდეგ, ასევე ყადაღა დაადო ანგარიშს. 2011 წლიდან საქმეში კვლავ ჩაერთო ჩემი ძმა, გააყალბა ხელშეკრულება, რომ 50 პროცენტი, თითქოს წლების წინათ მას გადასცა ოჯახმა და, შესაბამისად, ითხოვდა იმ ჩუქების ხელშეკრულებების გაუქმებას, რომელიც ჩემსა და მესაკუთრეებს შორის გაფორმდა. ამჟამად 6 სასამართლო პროცესი გამართეს. მთელი ჩვენი ქონება დაყადაღებული აქვთ. ქონება გადაცემულია აუქციონზე და სახლიდანაც გვასახლებენ. ახლა დარჩა ერთი სასამართლო, რომელიც სწორედ იმ 50 პროცენტს უკავშირდება, რომელიც გაყალბებული ექსპერტიზით (სადაც კვლავ ექსპერტი დავით რობაქიძე ფიგურირებს) ითხოვს.

**– და თქვენ რას აპირებთ?**

– მოვითხოვ, ამ საქმით დაინტერესდნენ შესაბამისი უწყებები. მივმართე იუსტიციის მინისტრსაც, პროკურორსაც და პრემიერ-მინისტრსაც. საქმის კურსში ჩავაყენებ დიპლომატიურ კორპუსს და საერთაშორისო ორგანიზაციებს. ბოლომდე ვიბრძოლებ ჩემი სიმართლის გასატანად, ქვეყნის შიგნით, ან გარეთ.

თავად ვაჟა გორდიაშვილი ვალ ირელის ბრალდებებს კატეგორიულად უარყოფს. მისი ადვოკატი ნუგზარ გაზდელიანი ამბობს, რომ გორდაშვილს აქეთ ედავებოდნენ გარკვეული თანხის გადახდას, რომელიც მას არ ეკუთვნოდა.

ნუგზარ გაზდელიანი, ადვოკატი:

„ვალ ირელი გორდიაშვილს ედავებოდა 74 ათას დოლარს, თითქოს ვალის გადაუხდელობის გამო. მან მოიარა სასამართლოები, უზენაესის ჩათვლით, და საბოლოოდ დადგინდა, რომ არც ერთი კაპიკი ვაჟა გორდიაშვილს გადასახდელი არ აქვს. ამ პერიოდში ვალ ირელი აბონენტადაც კი არ ფიქსირდება წყლის მიმწოდებელ კომპანიაში. შენობას წყალი არ მიეწოდებოდა და ვაჟა გორდიაშვილი იძულებული იყო, თავის თანამშრომლებთან ერთად ეყიდა წყალი".

რაც შეეხება თავად რამაზ გაგნიძეს, ის ამტკიცებს, რომ ის ქონების კანონიერი თანამესაკუთრეა და ოჯახმა მისი საქმიდან გაყვანა მოინდომა.

„მოილაპარაკეს დედა-შვილმა და მე გამწირეს გვერდზე. ეს იყო შიდა ხელშეკრულება ჩვენი ოჯახის წევრებს შორის, სადაც ეწერა, რომ 50 პროცენტი არის ჩემი, რამაზ გაგნიძის და არა ის, როგორც თავად ამბობენ, თითქოს 100 პროცენტი ჩვენია და რამაზს არაფერი ეკუთვნისო".



**„განყოფილებაში მაგიდაზე დაგვიდეს ჩემი ძმის დაკითხვის ოქმი, რომელიც დედის წინააღმდეგ იძლევა ჩვენებას, ანუ დედას თაღლითად ასახელებს, ვაჟა გორდიაშვილს კი – უმწიკვლო ბიზნესმენად"**



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# განიხილავს თუ არა პარლამენტი მურმან დუმბაძისთვის იმუნიტეტის ჩამორთმევის საკითხს



ხათუნა მგალობლიშვილი

**აჭარის მოსახლეობა მურმან დუმბაძისთვის იმუნიტეტის შეჩერებას ითხოვს. დროებით მაინც. თუ გავითვალისწინებთ დეპუტატის წარსულსა და მთავრობის ცალკეულ წევრებთან დაპირისპირებების ისტორიებს ნამდვილად არ არის გამორიცხული, დუმბაძე სამუდამოდ თუ არა, დროებით მაინც „გააჩუმონ“. ყოველ შემთხვევაში ფაქტია, რომ აჭარის მაჟორიტარი უკვე ბევრჯერ გაეხვია სხვადასხვა სახის სკანდალებში და, როგორც ჩანს, არც უკანასკნელი შემთხვევა იქნება დასასრული. თუმცა ამჯერად მურმან დუმბაძე კონსტიტუციის წინააღმდეგ გამოდის და ღიად აცხადებს, რომ არასოდეს უკან არ დაიხევს, თუ მის ღირსებას როდისმე ვინმე პირადად შეეხება.**

## მურმან დუმბაძე: „საკანონმდებლო ხარვეზია, დედის შეგინებას პასუხი უნდა გაეცეს, კანონი ღირსებამდე უნდა მივიდეს. არ შეიძლება მხოლოდ ისე მოვიქცეთ, როგორც კანონი ამბობს“

# EXCLUSIVE

**მურმან დუმბაძე, პარლამენტის წევრი:**

– დედა პატივი და ღირსებაა ადამიანისთვის და გინება საქართველოში არ მოსულა. საკანონმდებლო ხარვეზია, დედის შეგინებას პასუხი უნდა გაეცეს, კანონი ღირსებამდე უნდა მივიდეს. არ შეიძლება მხოლოდ ისე მოვიქცეთ, როგორც კანონი ამბობს, ისე უნდა მოვიქცეთ, როგორც ღირსება გვკარნახობს. ეს საკანონმდებლო ხარვეზი გვაქვს და ვიმუშავებ, რომ ეს გამოსწორდეს. მორალი უფრო დიდია ჩემთვის, ვიდრე კონსტიტუციური კანონები. მორალი არის ღირსება. ტრადიციების შენარჩუნება – ესეც მორალია. ამის იქით თუ გავდივართ, წიხლი ვკარი კონსტიტუციას. მე ვარ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე. ეს არის ძალიან დიდი პოლიტიკური თანამდებობა საქართველოში. ამის მიღწევას უნდა 20-25 წელი. ამ პრობლემას მოვაგვარებ 15 წუთში და მე ამაში არც საზოგადოების მხარდაჭერა მაკლია.

მოგვარებაში მურმან დუმბაძე, სავარაუდოდ, საკანონმდებლო „ხარვეზის“ გამოსწორებას გულისხმობდა. დაპირისპირება პოლიტიკოსებს შორის სკანდალში მას შემდეგ გადაიზარდა, როდესაც საპარლამენტო უმრავლესობის წევრსა და „თავისუფალი საქართველოს“ აჭარის წარმომადგენელ მერაბ ღოღობერიძეს შორის ინტერნეტდაპირისპირება ქუჩურ გარჩევაში გადაიზარდა. მართალია, ფიზიკურ ანგარიშსწორებაში დეპუტატი პირადად არ მონაწილეობდა, მაგრამ, როგორც ამბობენ, ის ფაქტის შემსწრე და, სავარაუდოდ, ინიციატორი იყო.

ბუნებრივია, ორივე მხარე საკუთარი უდანაშაულობის დამტკიცებას ცდილობს. მურმან დუმბაძე აცხადებს, რომ ადგილობრივ სამართალდამცავებს დიდი ხნით ადრე სთხოვდა მერაბ ღოღობერიძისგან დაცვას, რადგან, მისივე განცხადებით, „თავისუფალი საქართველოს“ წევრი მის შესახებ შეურაცხმყოფელ განცხადებებს ავრცელებდა და საწინააღმდეგო ქმედებებს სჩადიოდა.

**მურმან დუმბაძე:**

– ქალაქში გავრცელდა ინფექცია, ავადმყოფია კაცი და ვითხოვ, რომ მომაცილოთ. კაცი ჩემი უფლებამოსილების განხორციელებაში მიშლის ხელს. შეუძლია, მოვიდეს მაჟორიტარულ ბიუროში და მინას ესროლოს კვერცხები.

აბსოლუტურად საპირისპიროს ირწმუნება თავად ღოღობერიძე ჩხუბის დეტალების გახსენებისას. თუმცა ფაქტია, რომ პოლიტიკური დაპირისპირება სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე მივიდა. გამოძიება შეტყობინების საფუძველზე 125-ე მუხლით არის დაწყებული. აღნიშნული მუხლი ცემას გულისხმობს. მიუხედავად ამისა, დუმბაძე აცხადებს, რომ თმენის ვალდებულებას ყოველთვის ვერ შეასრულებს.





აჭარის მაჟორიტარის ირგვლივ უკმაყოფილება ჯერ კიდევ დიდი ხნის წინ დაიწყო, როდესაც ნაციონალები დუმბაძის ნეპოტიზმზე ალაპარაკდნენ. რიგით მეორე სკანდალში დუმბაძე აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, ავთანდილ ბერიძესთან ერთად გაეხვია. ზამთრის პერიოდში, როდესაც აჭარის მოსახლეობას გაზისა და დენის პრობლემები შეექმნა, ცნობილი გახდა, რომ ავთანდილ ბერიძე საკმაოდ ძვირადღირებული ჯიპის ყიდვას გეგმავდა ბიუჯეტის სახსრებით. მაშინ დუმბაძე ბერიძეს მხარდაჭერას უცხადებდა და მის გამართლებას ცდილობდა. შედეგად კი ვიცე-პრემიერისგან, კახა კალაძისგან „რჩევა“ დაიმსახურა, ამდენ სისულელეზე საუბარს სჯობია, სულ გაჩუმდეო... სხვათა შორის, დუმბაძის მიმართ მოხშირებულ შენიშვნებს იმასაც უკავშირებენ, რომ კოალიციას დუმბაძისგან დისტანცირება სურს. მით უფრო წინასაარჩევნოდ, როდესაც საარჩევნო შტაბების, სიების შედგენის, კვოტების გადანაწილებისა და პარტიის ადგილობრივი თავმჯდომარეების არჩევის დრო დგება... როგორც ჩანს, მმართველ ძალას ცენტრალური ოფისიდან რეგიონების მართვა მაინც უჭირს. სწორედ ამიტომაც ადგილზე მათ ბევრად ძლიერი ლიდერები სჭირდებათ. მოკლედ „ოცნებას“ დუმბაძის ჩასანაცვლებლად ბევრი მიზეზი აქვს. ამბობენ, რომ დუმბაძის ოჯახს აჭარაში ზუთხსაშენი აქვს, რომლის ხელახალი ამუშავებისთვის დეპუტატი საბანკო სესხის აღებას დიდი ხნის განმავლობაში ცდილობდა, თუმცა ბევრმა ბანკმა მას უარი უთხრა და საბოლოოდ, როგორც ამბობენ, სესხი თურქულმა ბანკმა დაუმტკიცა. ადგილობრივების განცხადებით, დეპუტატის ძმა ერთ-ერთი ძლიერი კრუინგული კომპანიის მფლობელია. ბიზნესები, ნეპოტიზმი და კიდევ ბევრი ინფორმაციების გამო დუმბაძე ადგილობრივი მოსახლეობის გაღიზიანებას იწვევს. მის მიმართ ძირითადად უარყოფითი შეფასებები ვრცელდება. როგორც ამბობენ, მმართველმა გუნდმა შესაძლოა, აღძრული სისხლის სამართლის საქმე სათავისოდ გამოიყენოს და სწორედ ამ მიზეზით მოახდინოს დეპუტატის უმრავლესობისგან დისტანცირება. ყოველ შემთხვევაში, როგორც კულუარებში ამბობენ, დიდი შანსია, პარლამენტმა დუმბაძისთვის იმუნიტეტის ჩამორთმევის საკითხზე იმსჯელოს. მით უფრო, რომ ამ ნაბიჯით დავით უსუფაშვილი საკუთარი გუნდის წევრებსაც გაფრთხილებას მისცემს, რადგან ბოლო პერიოდში პარლამენტის სხდომათა დარბაზიდან საკმაოდ ხშირად ისმის როგორც სიტყვიერი შეურაცხყოფები, ასევე, თავმჯდომარის მოწოდებები ჩხუბის დაუყოვნებლივ შეწყვეტის შესახებ. ფაქტების გასახსენებლად შორეულ წარსულში გადანაცვლება ნამდვილად არ დაგვჭირდება. ბოლო ორი შემთხვევის შეხსენებაც საკმარისი იქნება: სოსო ჯაჭვლიანი-გია ბარამიძის დაპირისპირება, სადაც პროვოცირება უმრავლესობის მხრიდან იყო და მეორე – გია ცაგარეიშვილი-აკაკი ბობოხიძის შემთხვევა, სადაც უმრავლესობის წევრმა დეპუტატს წყლით სავსე ბოთლი ესროლა. სხვათა შორის, ამ უკანასკნელი ფაქტის განხილვისას პარლამენტში მოგვიანებით ხუმრობდნენ კიდეც, მინერალური წყლის კომპანიამ ცაგარეიშვილს რეკლამირებისთვის პრემია უნდა მისცესო...



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „ამ ფულს მალე ამეიღებ ბიძია“ - ვინ

მაგდა კლდიაშვილი

**„აი, ახლა ვუყურებ ამ გადაცემას და მრცხვენია. მრცხვენია, რომ მეც ამ ორგანიზმის წევრი ვარ. ჩემს თავთან ვგრძნობ პასუხისმგებლობას და მრცხვენია. ყველაფერზე ვილაპარაკეთ და მთავარი არ თქმულა. ორი სიტყვით ვერაფერს ვერ გირჩევთ. იცით, რა უნდა გითხრათ, - „ამ ფულს მალე ამეიღებ ბიძია“ - ეს ტექსტები იქნებ ვინმეს ეცნობოდეს“, - ეს განცხადება თბილისის „ლოკომოტივისა“ ასაკობრივი ნაკრების ერთ-ერთმა მწვრთნელმა, გიორგი დევდარიანმა ტელეკომპანია „იმედზე“, თეა სიჭინავას გადაცემაში - „პოლიტიკის დრო“, გააკეთა. გადაცემაში საუბარი ფეხბურთზე, ქუთაისში, „ტორპედო“-„დინამოს“ შორის მომხდარ ინციდენტზე მიდიოდა. რას გულისხმობდა „ორგანიზმში“ გიორგი დევდარიანი და რატომ არ დააკონკრეტა ის ადამიანი, ვისაც გულისხმობდა.**

რამდენად პარადოქსულიც არ უნდა იყოს, თბილისის „დინამოს“, გორის „დილას“ და საქართველოს საფეხბურთო ასაკობრივი ნაკრებების საკმაოდ წარმატებული მწვრთნელი, დღეს თბილსის „ლოკომოტივში“ ვასილ მაისურაძის ასისტენტია.

იმის გამო, რომ დევდარიანმა გადაცემაში აზრის დასრულება ვერ შეძლო, „პრაიმტაიმი“ ახალგაზრდა სპეციალისტს დაუკავშირდა და მასთან ექსკლუზიური ინტერვიუ ჩაწერა. გულისხმობდა თუ არა ფულთან დაკავშირებით, გორის „დილას“ ყოფილ სპორტულ მენეჯერსა და რუსულ საფეხბურთო წრეებში „რუხ კარდინალად“ წოდებულ მამუკა ჯუღელს, რომელსაც, უშუალოდ თავის ფეხბურთელები მიჰყავდა „დილაში“ და შეთავაზების შემდეგ სხვა გუნდებში გადაჰყავდა. ვინ გამოუშვა „დილადან“ და ვინ იყო გიორგი დევდარიანის ადრესატი იმ კონკრეტულ განცხადებაში - „პრაიმტაიმის“ ექსკლუზიური ინტერვიუ ახალგაზრდა მწვრთნელთან.

**- გორის „დილადან“ წამოსვლაზე გკითხავთ. კულუარებში საუბრობდნენ, რომ მამუკა ჯუღელმა საკუთარი ფეხბურთელები ააჯანყა გუნდში, რადგან გიორგი ილურიძის ტრანსფერი „ჰაიდუკში“, მისი გვერდის ავლით მოხდა და სწორედ ამის გამო ჰქონდა წარუმატებლობები „დილას“. შეესაბამება თუ არა ეს სიმართლეს?**

- სიმართლე გითხრათ, ეს პირველად მესმის თქვენგან. რამდენადაც ვიცი, ჩემი გორიდან გამოშვება თავად გორელების მხრიდან მოხდა, მათი გადაწყვეტილებით. მე ასე ვიცი, ყოველ შემთხვევაში, სიმართლე ვერ გავარკვიე. ეს პასუხი არავის უთქვამს და მამუკა ჯუღელს ნამდვილად ვერ დავდებ ბრალს, ამ საკითხში არ ვარ დარწმუნებული, რომ ასე იყო. რამდენადაც ვიცი, ჩემი გაშვების გადაწყვეტილება მას არ მიუღია.

**- „დილას“ მეორე მენეჯერმა, ლევან სილაგაძემ, როგორც ვიცი, ბევრჯერ გთხოვათ კლუბში დარჩენა, ვის გულისხმობთ გორელებში?**




## „ჩემი გორიდან გამოშვება თავად გორელების მხრიდან მოხდა, მათი გადაწყვეტილებით. მე ასე ვიცი, ყოველ შემთხვევაში, სიმართლე ვერ გავარკვიე“

- ლევან სილაგაძე და მამუკა ჯუღელი თანამოაზრეები იყვნენ იმ დროს, თუ ლევან სილაგაძე მთხოვდა დარჩენას, მამუკა ჯუღელიც მთხოვდა. დარწმუნებით შემიძლია გითხრათ ეს.

**- გორის „დილაში“ ფეხბურთელები ჩემ მიერ ნახსენებ აგენტებს მოჰყავდათ. როდესაც ისინი საკუთარ მოთამაშეებს სხვა კლუბებს გამოუნახავდნენ, იქ მიჰყავდათ. სწორედ ამის გამო, გორის „დილაში“, უკანასკნელი 3-4 წლის განმავლობაში შემადგენლობის როტაცია ძალიან ხშირად ხდებოდა. გასულ წელს, თქვენთვის ევროსეზონის დასრულების შემდეგ, გუნდი რამდენიმე წამყვანმა მოთამაშემ დატოვა, აზარალებს თუ არა ასეთი მიდგომა კლუბს და აზრი მაინც თუ გკითხათ ვინმემ?**

**„რადგან არ მომეცა აზრის დასრულების საშუალება და ისე გამოვიდა, რომ ბევრი კითხვის ნიშანი დავტოვე. ბოლომდე გაუცემელმა პასუხმა ბევრ ადამიანს მოსცხო ჩირქი და მე არ ვარ ის პიროვნება, ასე გავატარო და ასე დავტოვო“**

- იცით, როგორ იყო? - მანამ, სანამ გორის „დილაში“ დამნიშნავდნენ, ვიცოდი, რომ იყვნენ გარკვეული ფეხბურთელები, რომლებიც ევროპის ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპიდან გამორთვის შემდეგ, ჩვენ რიგებს დატოვებდნენ. არამარტო ილურიძე და გვალია, მათ რიცხვში შეიძლებოდა აღმოჩენილიყო თომაშვილი და სხვებიც. ზუსტად არ ვიცოდი, ეს როდის მოხდებოდა, მაგრამ ველოდებოდი მათ წასვლას. როდესაც „დილაზე“ შემოთავაზება მივიღე, გამაფრთხილეს, ფეხბურთელები წავლენ გუნდიდან, თუ გაწყობს ასე, წამობრძანდი და იმუშავეო. ვინაიდან, მაისამდე მქონდა თავისუფალი დრო, მაწყობდა. ახალი არ იქნებოდა ჩემთვის, რომ ფეხბურთელებს შეიძლება „დილა“ დაეტოვებინათ. რაც შეეხება იმას, აზარალებს თუ არა გუნდს ასეთი მიდგომა, რა თქმა უნდა, აზარალებს. ასეთ გუნდებს განვითარება არ აქვთ.



**- გორის „დილადან“ გაყიდული ფეხბურთელებიდან შემოსული სატრანსფერო თანხა, უხეშად რომ ვთქვათ, აგენტების ჯიბეში მიდის და არა - გუნდის ბიუჯეტში. თქვენი განცხადება - „ამეილებ ფულს“, სწორედ ამ თემას და კონკრეტულად, მამუკა ჯუღელს ხომ არ უკავშირდებოდა?**

- პირდაპირ გეტყვით, რომ ტელევიზიაში, ჩემს მიერ გაკეთებულ განცხადებასთან დაკავშირებით, თავს უხერხულად ვგრძნობ, რადგან არ მომეცა აზრის დასრულების საშუალება და ისე გამოვიდა, რომ ბევრი კითხვის ნიშანი დავტოვე. ბოლომდე გაუცემელმა პასუხმა ბევრ ადამიანს მოსცხო ჩირქი და მე არ ვარ ის პიროვნება, ასე გავატარო და ასე დავტოვო. თავადაც არ მომწონს ეს საქმე, ჩემს სატელევიზიო გამოსვლაში რისი თქმაც მინდოდა, ძალიან დაწვრილებით დავდებ ჩემი „ფეისბუქის“ გვერდზე. ბოდიშს გიხდით ამისთვის, ძალიან ბევრი ჟურნალისტი მირეკავს და ყველა სხვადასხვა ინტერპრეტაციას აძლევს ჩემს ნათქვამს, ამიტომ მირჩევნია, ჩამოვაყალიბო აზრი და რისი თქმაც მინდა, ჩემივე სახელით დავდო, რომელიც ყველასთვის ხელმისაწვდომი იქნება. დაუსრულებელ აზრთან დაკავშირებით წარმოშობილ ყველა კითხვას გავცემ პასუხს.

**- იმ სატელევიზიო გამოსვლაში, ასევე ახსენეთ, რომ გრცხვენია „იმ ორგანიზმის“ ნაწილი რომ ხართ. მხოლოდ ქუთაისში, „ტორპედო“-„დინამოს“ მატჩისას მომხდარ ინციდენტს გულისხმობდით თუ იმ გარიგებულ თამაშებს, რომელზეც თუნდაც, იმავე ტურში იყო საუბარი?**

- ზოგადად, პრობლემა რომ არის, არ უნდა ამას ლაპარაკი და დიდი დაკვირვება. ვინ რას აკეთებს და როგორ, მაგის დამტკიცება თუ არ შეგიძლია, არც უნდა ილაპარაკო, მეც გამიგია და ვიცი, რომ ცუდი ფაქტები ხდება, მაგრამ ეგ იმან თუ არ თქვა, ვინც აკეთებს, ვერ დაუმტკიცებ, სხვა ორგანოების გამოსაძიებელი საქმეა. მე უფრო სხვა სიღრმეებში ვიხედები და მრცხვენია. სხვაგან ვართ, მინდა კიდევ უფრო ღრმად ჩავიხედო და ვუთხრა ყველას ის დარდი, რაც მაწუხებს. ეს ალებ-მიცემობაა და პირველ ლიგაში ძალიან შემოადგა ფეხი ტოტალიზატორებმა და მოჩალიჩე ტიპებმა. არც ჩემთვისა







© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# იყო გიორგი დევდარიანის ადრესატი

**„ჩემდა საუბედუროდ, საქართველოში, თუ არ ჩავთვლით გია გეგუჩაძეს („ზესტაფონის“ მთავარი მწვრთნელი. ავ.) ბევრი მწვრთნელი არ არის, ვის გვერდშიც დამხმარედ ვიმუშავებდი. მუშაობაში იმას ვგულისხმობ, რომ იმისგან რამე წამოვიღო, ცოდნა გავიმდიდრო, მივუტანო ისევ იმ ბავშვებს“**




## გიორგი დევდარიანი: „ტელევიზიაში, ჩემ მიერ გაკეთებულ განცხადებასთან დაკავშირებით, თავს უხერხულად ვგრძნობ“

და არც თქვენთვის, ახალი არ არის, მაგრამ ასე დაზუსტებით და კონკრეტულად, ვერაფერს გეტყვით, ვინ მიიღო მონაწილეობა და ვინ რა გააკეთა. რაც არ იცი, არ უნდა ილაპარაკო. ძალიან ცუდი რაღაცები ხდება და უფრო ღრმად შესწავლას, გამოძიებას საჭიროებას. ზერელედ სალაპარაკო არ არის.

**- როდესაც „ლოკომოტივში“ვასილ მაისურაძის დამხმარე მწვრთნელად დაინიშნეთ, პარადოქსად შეფასდა. თქვენ საკმაოდ წარმატებული იყავით ასაკობრივ ნაკრებებში და იგივე შეიძლება ითქვას „დილაზეც“, არ არის სირცხვილი, ის, რომ გიორგი დევდარიანი ახლა დამხმარე მწვრთნელია, რატომ არ გამოიძებნა უმაღლეს ლიგაში თქვენთვის ადგილი?**

- იმის გარდა, რომ პირველ ლიგაში დამხმარე მწვრთნელი ვარ, ძალიან საპასუხისმგებლო საქმე მაბარია. 1996 წელს დაბადებულ ფეხბურთელებს, ევროპის ჩემპიონატზე მე უნდა ვუხელმძღვანელო. 1995-წლიანები, ხომ თამაშობენ ელიტ-რაუნდს ვასილ მაისურაძის ხელმძღვანელობით. ოქტომბერში კი ჩემი ასაკობრივი ნაკრების შესარჩევი იწყება და არ ვთვლი, რომ ეს არასერიოზული საქმეა. პირიქით, ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა. მას შემდეგ, რაც ფეხბურთში დავიწყე მუშაობა, არასდროს ვყოფილვარ დამხმარე მწვრთნელი და ვთვლი, რომ არასდროს მომცემია საშუალება, შედარებით ცივი გონებით დავკვირვებოდი იმ პროცესებს, რაც ფეხბურთშია. ვასილ მაისურაძესთან მუშაობა, პირდაპირ გეტყვით, რომ ჩემთვის ძალიან დიდ სიამოვნება და კომფორტია, რადგან ის უწესიერესი კაცია და მის გვერდში ყოფნა ჩემთვის დიდი პატივია. მეორე - მინდა ჩავიხედო და ჩავწვდე უფრო ახლოდან, რის ხარჯზე ახერხებს ეს წესიერი და ნამუსიანი კაცი მოგებებს. შემდეგ, იქიდან წამოღებულ გამოცდილებას სხვა ბავშვებს გავუზიარებ. ჩემთვის სასიამოვნო და კარგია და ვთვლი, რომ განვითარებისთვის ბევრის მომცემი საქმეა. ჩემდა საუბედუროდ, საქართველოში, თუ არ ჩავთვლით გია გეგუჩაძეს („ზესტაფონის“ მთავარი მწვრთნელი. ავ.) ბევრი მწვრთნელი არ არის, ვის გვერდშიც დამხმარედ ვიმუშავებდი. მუშაობაში იმას ვგულისხმობ, რომ იმისგან რამე წამოვიღო, ცოდნა გავიმდიდრო, მივუტანო ისევ იმ ბავშვებს. ამ ეტაპზე ძალიან მინდოდა, ამის გაკეთება, თუმცა იმასაც არ დაგიმალავთ, რომ არავისგან სურვილი არ დამინახავს უმაღლესი ლიგიდან და ეს მათ უნდა ჰკითხოთ, რატომ არ არის ჩემი ადგილი მათ შორის. ახლა, გპასუხობთ, რომ ბედნიერი ვარ, სადაც ვარ და კომფორტულად ვგრძნობ თავს.

**„მარტო ჩემი ტვინი და გამოცდილება არ ჰყოფნის იმას, გავიგო, რა ხდება ამ ფეხბურთელებში მას შემდეგ, როდესაც ესენი ფულს შოულობენ. ეს საგანი ღრმად შესასწავლია“**

**- ამ თემას გავაგრძელებ - თქვენი თბილისის „დინამოში“ ყოფნისას, წამოსვლამდე ცოტა ხნით ადრე, საუბრობდნენ, რომ ფეხბურთელების მხრიდან იყო გარკვეული შეთქმულება მწვრთნელის წინააღმდეგ. რა განსხვავებაა იმ ახალგაზრდა თაობასთან მუშაობაში, რომელიც ჯერ არ არის გასვრილი ქართული ფეხბურთის სიბინძურეში, არის თუ არა კომფორტი მათთან მუშაობა?**

- ძალიან დიდი კომფორტია. აქ ღრმა შესწავლაა საჭირო, მარტო ჩემი ტვინი და გამოცდილება არ ჰყოფნის იმას, გავიგო, რა ხდება ამ ფეხბურთელებში მას შემდეგ, როდესაც ესენი ფულს შოულობენ. ეს საგანი ღრმად შესასწავლია. თუ არ გავიგეთ, სად არის მიზეზი, ჩვენი მოთამაშეების მკვეთრი ცვლილებისა, მას შემდეგ, რაც ისინი იწყებენ დამოუკიდებელ ცხოვრებას და აქვთ შეხება დიდ ფულთან, მანამდე ამ დღეში ვიქნებით. რა თქმა უნდა, დიდი სიამოვნებაა ამ ყოვლად გაუსვრელ, სუფთა და პატიოსან ბავშვებთან მუშაობა. მოსალოდნელია, რომ მათაც იგივე ბედი გაიმეორონ. იმისთვის, რომ ეს არ მოხდეს, მათ ერთმანეთის ლანძღვაგინება, ერთმანეთზე ჩასაფრებულობა და შური კი არ უნდა დავანახოთ, ერთად ყოფნით მაგალითი უნდა მივცეთ. ვინც ვმუშაობთ ფეხბურთში, ჩვენი ამოცანა უნდა იყოს, გავიგოთ, რა ხდება ფეხბურთელებში, რომლებიც იცვლებიან კარდინალურად მას შემდეგ, რაც პირველი შეხება აქვთ ფულთან.

**- „ლოკომოტივს“ ასაკობრივ ნაკრებებში ბევრი ფეხბურთელი ჰყავს და პირველ გუნდში, სწორედ 19-წლამდელების ძირითადი შემადგენლობა თამაშობს. ამ გადასახედიდან, გაქვთ თუ არა იმედი, რომ ეს თაობა იქნება ყველაზე წარმატებულ ეროვნულ ნაკრებში?**

- ვერ ვიტყვი, რომ ყველაზე იმედისმომცემი თაობაა, იმიტომ, რომ 1992 წელს დაბადებული ბავშვები, ანანიძე, ოქრიაშვილი, ძალამიძე და ძალიან ბევრი, ნიჭიერი თაობაა.

**- თუმცა მათაც მოუწიათ ფულთან შეხება და ზოგიერთ თქვენს მიერ ნახსენებ ფეხბურთელზე, მათი კლუბების ხელმძღვანელები საუბრობდნენ, რომ უდისციპლინოდ იქცევიან და გართობას გადაყვნენ.**

- იგივეს გეტყვით, 1993-წლიანებზე, რომლებთანაც ვიმუშავე და ვთვლი, რომ დიდი სამუშაო გავწიე. ყაზაიშვილი, ჭანტურია, სხირტლაძე, პარუნაშვილი, არაფრით ნაკლები თაობა არ იყო და იმავეს ვიტყვი 1996-წლიანებზე, რომლებთან მუშაობის ბედნიერებაც მქონდა და კიდევ უფრო ბედნიერი ვარ, რომ 1995-წლიანების გუნდში ისინი ძირითად შემადგენლობაში ხვდებიან და მოკრძალებული წვლილი შეიტანეს ნაკრების წარმატებაში, მაგრამ ამ თაობასაც ხომ მოუწევს ადრე თუ გვიან ფულთან შეხება. არ ვარ დარწმუნებული და ძალიან მინდა, ისე, როგორც საკუთარი შვილების ბედნიერებას ვინატრებდი, რომ მათ ეს არ შეეხოთ. თუმცა, დარწმუნებით, ვერაფერს ვიტყვი. დაცულები არ არიან ამისგან. გუნდს დიდი პოტენციალი აქვს და სურვილი დიდია, ბევრი მათგანი მოხვდეს ეროვნულ ნაკრებში. დარწმუნებით მაშინ გეტყვით მაგას, როდესაც ეს ფეხბურთელები წავლენ დიდ კლუბებში, იქნებიან წარმატებულნი, ექნებათ შედეგი. მაშინ ვილაპარაკოთ ამაზე, დღეს კი, საშიშროება, რაზეც მე გელაპარაკეთ, არსებობს და არ მინდა, ეს საშიშროება რეალობად იქცეს.



**„ამ თაობასაც ხომ მოუწევს ადრე თუ გვიან ფულთან შეხება. არ ვარ დარწმუნებული და ძალიან მინდა, ისე, როგორც საკუთარი შვილების ბედნიერებას ვინატრებდი, რომ მათ ეს არ შეეხოთ“**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# დასავლეთი პუტინსა და ჰიტლერს შორის პარალელებს ავლებს













ქეთი ხატიაშვილი

**ჰილარი კლინტონი პირველი იყო, ვინც ვლადიმერ პუტინი ჰიტლერს შეადარა:**

**„ეს არის ის, რასაც ნაცისტები წარსულში, 30-იან წლებში აკეთებდნენ... ყველა ეთნიკურ გერმანელზე, რომლებიც ისეთ ქვეყნებში ცხოვრობდნენ, როგორიც იყო მაშინ ჩეხოსლოვაკია, რუმინეთი და სხვა, ჰიტლერი ამბობდა, რომ მათ არასწორად ეპყრობოდნენ, და თავისი ხალხის დასაცავად უნდა წასულიყო. ეს არის ის, რაც ყველას გვანერვიულებს“, – განაცხადა ერთ-ერთ შეხვედრაზე კლინტონმა.**

**მედიაში კი მაშინვე დაიწყეს პარალელების გავლება:**

– ჰიტლერი პირველი მსოფლიო ომის დროს გერმანიის ჯარში მსახურობდა;

– პუტინი ცივი ომის დროს КГБ СССР-ში მსახურობდა.

ორივე მათგანი ბედის ანაბარა დარჩა, როცა ის იმპერიები დაეცა, რომელთა სამსახურშიც ისინი იდგნენ.

ჰიტლერი მაშინ წერდა: თვალთ დამიბნელდა, როცა გავიგე, რომ ჩემმა ქვეყანამ პირველი მსოფლიო ომის დროს კაპიტულაცია გამოაცხადა.

პუტინმა კი СССР-ის დაშლას მეოცე საუკუნის უმსხვილესი კატასტროფა უწოდა რუსი ხალხისთვის.

შესაბამისად, ორივე მათგანმა, ჰიტლერმა გერმანიაში და პუტინმა რუსეთში, ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ქვეყანაში ეკონომიკის აღდგენა და არმიის მშენებლობა წამოიწყო.

The Washington Post-ის მიმომხილველი ჩარლზ ლეინი პარალელების გავლებისას თითოეული მათგანის მოტივებზეც საუბრობს და ასკვნის, რომ: ჰიტლერი იყო ქარიზმატული ფიგურა, პუტინი კი მაფიოზად ჩამოყალიბდა.

პარალელებს თუ გავყვებით, ჰიტლერმა ახალი იმპერიის ფორმირებისთვის მეორე მსოფლიო ომი წამოიწყო, საბჭოთა კავშირის აღსადგენად კი ახლა პუტინმა დაგვაყენა მესამე მსოფლიო ომის პირას. თუმცა, ახლა რუსეთი, მაშინდელი გერმანიისგან განსხვავებით, ატომურ იარაღს ფლობს.

ჰილარის შემდეგ პუტინსა და ჰიტლერს შორის პარალელები სხვა ევროპელმა პოლიტიკოსებმაც გაავლეს.

ასე რომ, ახლა ევროპისა და დასავლეთის გადასაწყვეტია, შეუწყობს თუ არა ხელს ახალი დიქტატურის დაბადებას.

ყირიმის კრიზისზეა ახლა დამოკიდებული, პუტინის ოცნება ახდება და საბჭოთა კავშირი აღდგება, თუ დანარჩენი სამყარო უსაფრთხოდ და თავისუფლად იცხოვრებს.

დიქტატურის დაბადებამ პუტინის პატრიოტებიც იმდენად დააფიქრა, რომ კრემლს მხარს ლუკაშენკო და ნაზარბაევიც აღარ უჭერენ. ბელორუსისა და ყაზახეთის პრეზიდენტებმა მხარი უკრაინასა და მაიდანს დაუჭირეს კრემლის საწინააღმდეგოდ. ეს ის ქვეყნებია, რომლებიც პუტინის ნებას დაჰყვნენ და საბაჟო კავშირში გაერთიანდნენ. ყირიმის კრიზისმა მათ ნათლად დაანახა, რომ, თუ პუტინმა ეს ნახევარკუნძული ხელში ჩაიგდო, მაშინ ნებისმიერი სხვა სახელმწიფო ნებისმიერ დროს პუტინის ნებისმიერი კაპრიზით შეიძლება სერიოზული დარტყმის ქვეშ აღმოჩნდეს.

ახლა ყველასთვის მნიშვნელოვანი გახდა რუსეთის შეჩერება. 2008 წელს რომ ასეთივე რეაქციები ყოფილიყო დასავლეთის მხრიდან, ყირიმის კრიზისი არ დადგებოდა, ამიტომაც ახლა ბალტიის, მოლდოვას ან ევროპის სხვა ქვეყნის რიგი რომ არ დადგეს, რუსეთი უნდა შეაჩერონ. პროცესი მძიმედ მიდის და რთულად.

შემთხვევითი არ არის, რომ დასავლეთის წამყვანი მედიასაშუალებების პირველი გვერდები სწორედ პუტინის ჰიტლერიზაციას ეთმობა. რა თქმა უნდა, ეს უკვე სიგნალია, იმის სიგნალი, რომ დასავლეთი ისეთივე რბილი არ იქნება, როგორც 2008 წელს იყო.





















© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# გიორგი ვაშაძე ნაციონალებს დატოვებს?

ქეთი ხატიაშვილი

**თუკი ორი პოლიტიკოსი ამბობს, რომ ისინი მეგობრები არიან, ესე იგი მათ შორის ურთიერთობა იმდენად დაძაბულია, რომ პიარი დასჭირდათ. მეგობრობას პოლიტიკაში ხშირ შემთხვევაში სწორედ პიარის დანიშნულება აქვს. ასეთი გამოცდილებაა ქართულ პოლიტიკაში.**

ახლა კიდევ ერთი გამოცდილებით „გავმდიდრდით“. ჯერ გიორგი ვაშაძემ თქვა, ნიკა მელია ჩემი მეგობარიაო და შემდეგ იგივე გაიმეორა მელიამ უკვე ვაშაძის მისამართით. მანამდე მათ არ დასჭირვებიათ ერთმანეთის მეგობრებად მოხსენიება. არც მაშინ, როცა ნაციონალების ყრილობაზე მერობის კანდიდატებად დარეგისტრირდნენ. მაშინ მათ აქცენტი უფრო საკუთარ პროგრამასა და შეხედულებებზე გააკეთეს.

**გიორგი ვაშაძე:** „მჯერა, რომ შეგვიძლია, თბილისში ახალი სერვისები დავნერგოთ, როგორც ეს იუსტიციის სახლში მოხდა. ეს გააძლიერებს ბიზნესს. თბილისში მინიმალიზდება სოციალური პრობლემები“.

**ნიკა მელია:** „თუ სოციალურად დაუცველი ადამიანი წამალს ვერ ყიდულობს, ეს არის ჩვენი მარცხი. სამსახურს რომ ეძებენ და ვერ პოულობენ, ესეც ჩვენი მარცხია. მერობა მინდა, რომ მქონდეს მეტი საშუალება, მივიდე ამ ოჯახებში და ეს მარცხი გამარჯვებად ვაქციო“.

თუმცა, პრაიმერისამდე რამდენიმე დღით ადრე გიორგი ვაშაძემ მოულოდნელად კანდიდატურა მოხსნა. სწორედ მაშინ დასჭირდათ მათ სიტყვა მეგობრის გამოყენება ერთმანეთის მიმართ. ის ჩემი მეგობარია, – ამ ფრაზას ისინი ხშირად იმეორებდნენ.

**გიორგი ვაშაძე:**

– შიდა კონკურენციამ გამოკვეთა ახალი ლიდერები, მათ შორის ნიკა მელია, ჩემი მეგობარი, რომელთან ერთადაც რამდენიმე წელია მოვდივარ. ამიტომ გუნდთან ერთად მივიღე გადაწყვეტილება, რომ კანდიდატურა მოვხსნა მის სასარგებლოდ და ჩვენ დავიწყოთ ახალი ფაზა ცვლილებების.

**ნიკა მელია:**

– გიორგის რომ გავლენა აქვს ამ პოლიტიკურ გაერთიანებაში, მსგავსი გავლენა ბევრს არ აქვს. ამიტომ ეს გამორიცხულია... ჩვენ ვართ დიდი ხნის მეგობრები, ჩვენს შორის რაიმე დაპირისპირება გამორიცხულია.




## რა კითხვები გააჩინა პრაიმერისის ჩაშლამ

მოკლედ, ვაშაძემ პრაიმერისი ჩაშალა და „მეგობრობამ“ გაიმარჯვა.

პოლიტიკაში დიდი ხანია ასეთი გულუბრყვილო არავინაა. ამიტომაც, ასეთმა მეგობრობამ კითხვები და ეჭვები გააჩინა.

გიორგი ვაშაძე რამდენადაც ახალგაზრდა და ენერგიულია, იმდენად ამბიციურიცაა. ის პარტიაში სიახლეებისა და რადიკალური ცვლილებების იდეებით გამოდიოდა. შესაძლოა, ეს ლოგიკური ჩანდა, თუმცა საქმე ის გახლავთ, რომ სიახლეებიცა და რადიკალური ცვლილებებიც მას ესმოდა როგორც საკუთარი თავის გალიდერების შანსი.

როგორც ჩანს, პრაიმერისიც ტრამპლინად წარმოედგინა ამ გზაზე.

**გიორგი ვაშაძე:**

– მომხრე ვარ „ნაციონალური მოძრაობაში“ ცვლილებებისა. ვიწყებთ ამ ცვლილებების მესამე ფაზას. აქამდე რაც გავაკეთეთ, მან მოგვცა შედეგი: გააცოცხლა პარტია, ძალიან ბევრი ადამიანი გაწევრიანდა პარტიაში, ბევრი ახალი სახე ჩაერთო პროცესებში. ვფიქრობ, ახლა ის დროა, მთელ საქართველოში ვიარო და ყველა ამომრჩევლამდე მივიტანო ეს ცვლილებები... მომხრე ვარ პარტიაში რადიკალური ცვლილებებისა, აზრთა სხვადასხვაობა ცვლილებებთან დაკავშირებით, რა თქმა უნდა, იყო. მსჯელობა იყო იმაზეც, თანდათანობით განგვეხორციელებინა ცვლილება, თუ რადიკალური ზომები მიგველო. მესმის, რომ ამ პოლიტიკურ გარემოში რადიკალურ ცვლილებებს გარკვეული საფრთხე ახლავს...

ვაშაძე არავის ასახელებს, თუმცა, როგორც ჩანს, ის მაინც ძველ ლიდერშიფს გულისხმობს.

გიორგისთვის პრაიმერისში გიგი უგულავასთან დადგომა, რა თქმა უნდა, მეტი პრესტიჟი იყო და ის ნამდვილად დაფიქსირდებოდა ლიდერად. თუმცა, როცა უგულავამ გადაიფიქრა და გადაწყვიტა საარჩევნო სიას ჩაუდგეს სათავეში (ასეთია წინასწარი ინფორმაცია), გიორგი ვაშაძეს ნიკა მელიასთან შერკინება დიდად არ გახარებია. მით უფრო, რომ პარტიაში მელიას უფრო ჰყავს მომხრეები, ვიდრე ვაშაძეს. ეს შესაძლოა, ვაშაძეს ძალიან კარგად ეგრძნო. ამიტომაც დამარცხებას გვერდზე გადგომა არჩია. ასეთია ვაშაძე და პოლიტიკაც ასე ესმის. ანუ გარანტირებულად უნდა გაიმარჯვოს ან მეგობრულად ჩრდილიდან უყუროს პროცესებს.

თუმცა, ვაშაძე ისეთი ამბიციურია, რომ ჩრდილში დიდხანს არ იდგება. გასაქანი თუ ნაციონალებში არ მიეცა, მაშინ სხვა რამეს აუცილებლად იპოვის. მისი ნაციონალებიდან წასვლა თითქოს უკვე დრიოს საკითხია.

პირადად მე, როცა ვაშაძე მელიას წინააღმდეგ დარეგისტრირდა პრაიმერისში, ვიფიქრე, რომ ის ნაციონალებიდან წამოსვლის მიზეზს ეძებდა. მელიასთან წაგება სხვას არაფერს ნიშნავდა. ამ შემთხვევაში ის აუცილებლად წავიდოდა პარტიიდან და თან აუცილებლად იტყოდა: მე ცვლილებებისა და განახლების მომხრე ვიყავი, მაგრამ არ გამოვიდაო.



როგორც ჩანს, ვაშაძემ ჩათვალა, რომ წასვლა ჯერ ადრეა. პოლიტიკურ ჰორიზონტზე სერიოზული და საინტერესო ჯერ არავინ ჩანს. ირაკლი ალასანია იყო ერთი და ისიც გაჩუმებულია. შორიდან თუ ზვერავენ ერთმანეთს, არ ვიცი, მაგრამ არც კოალიციის დატოვებას ფიქრობს ამ ეტაპზე ირაკლი.

ისე, საერთო მათ ბევრი აქვთ. ორივე, ირაკლი ალასანიაცა და გიორგი ვაშაძეც, ამბიციური პოლიტიკოსია. საინტერესოა, შეძლებენ თუ არა ერთად რაიმეს გაკეთებას?




© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ვაშაკიძის სკანდალი გრძელდება - რატომ ვერ ერკვევიან ფეხბურ

მაგდა კლდიაშვილი

**თბილისის „დინამოს“ სპორტული მენეჯერის, ირაკლი ვაშაკიძის მიერ ფიფას რეგულაციების დარღვევაზე, „პრაიმტაიმმა“ სულ ცოტა ხნის წინ დაწერა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაც ჩააყენა საქმის კურსში, რომ აღნიშნულზე რეაგირება მოეხდინა. „პრაიმტაიმისადმი“ სფფ-ს მიერ მოწერილ წერილში „განმარტებულია“, რომ ვაშაკიძეს იმ პერიოდში, სანამ ლიცენზია შეჩერებული არ ჰქონდა, ტრანსფერები არ განუხორციელებია და ამის გამო, თვლის, რომ პრობლემა არ არსებობს, მაგრამ ამავდროულად, სფფ-ს გენერალური სამდივნოს უფროსი, რევაზ შენგელია „პრაიმტაიმთან“ საუბარში განმარტავს, რომ ვაშაკიძისთვის ლიცენზიის შეჩერება პირველ იანვარს იმის გამო მოხდა, რომ პირველიდან ცხრა იანვრის ჩათვლით, მას რაიმე ტრანსფერში არ მიეღო მონაწილეობა და „დაზღვევა“ გაუკეთეს. ტელეფონით დატუქსული ვაშაკიძე და ტელეფონში მიცემული საყვედური - ეს არის ის „სანქცია“, რითაც საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ვაშაკიძის მიმართ შემოიფარგლა. რატომ ვერ ერკვევიან ფეხბურთის ფედერაციაში ფიფას რეგულაციასა და საკუთარ წესდებაში?! ირაკლი ვაშაკიძის სკანდალის გაგრძელება „პრაიმტაიმში“ - სერია 2.**

„პრაიმტაიმმა“ თბილისის „დინამოს“ სპორტული მენეჯერი, ირაკლი ვაშაკიძე, არც ისე დიდი ხნის წინ, ფიფიას რეგულაციების დარღვევაში „გამოიჭირა“ და აღნიშნულ საკითხზე რეაგირება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასაც სთხოვა.

როგორც „პრაიმტაიმმა“ გამოძიებით დაამტკიცა, რასაც თან თავად ვაშაკიძის ინტერვიუ ერთვოდა, მან ფიფას ფეხბურთელთა აგენტის ლიცენზიის შესაჩერებლად, ფეხბურთის ფედერაციას სინამდვილეში 9 იანვარს მიმართა და არა 2013 წლის პირველ ნოემბერს, როგორც თავად ამბობდა ინტერვიუში, რაც ფიფას რეგულაციების უხეში დარღვევაა და სანქციებიც აღნიშნულ შემთხვევებზე, მის დარღვევაზე თავად რეგულაციაშია გაწერილი.

**თავი 3. მუხლი 6.**

ლიცენზიის მფლობელი, ნებისმიერ მოცემულ სიტუაციაში, არ უნდა იყოს ფიფას, კონფედერაციის, ასოციაციის, ლიგის, კლუბის ან რომელიმე ორგანიზაციის, რომელიც დაკავშირებულია მსგავსს ორგანიზაციებსა თუ უწყებებთან, ოფოციალური მოხელე, თანამშრომელი და ა.შ.

მომხდარი FIFA-ს რეგულაციების უხეში დარღვევაა და ითვალისწინებს შემდეგ სანქციებს:

**თავი VIII. მუხლი 31. სანქციები ფეხბურთელთა აგენტებზე**

ამ წესებისა და მათი დანართების დარღვევისთვის ფეხბურთელთა აგენტებზე შეიძლება დაწესდეს შემდეგი სანქციები ფიფას სადისციპლინო კოდექსის თანახმად:

- საყვედური ან გაფრთხილება;
- ჯარიმა, სულ ცოტა 5 ათასი შვეიცარიული ფრანკის ოდენობით;
- ლიცენზიის შეჩერება 12 თვემდე;
- ლიცენზიის ჩამორთმევა;
- ნებისმიერ ფეხბურთელთან დაკავშირებულ საქმიანობაში მონაწილეობის მიღების აკრძალვა.

სანქციები შეიძლება დაწესდეს ცალ-ცალკე ან კომბინირებულად.





საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია | GEORGIAN FOOTBALL FEDERATION

ჭავჭავაძის გამზ. 76. 0179 თბილისი საქართველო
ტელ: 995 32 291 26 50, 995 32 291 26 70
ფაქსი: 995 32 291 59 95, ელ-ფოსტა: gff@gff.ge www.gff.ge

76 Chavchavadze ave. 0179 Tbilisi Georgia
Tel: 995 32 291 26 50, 995 32 291 26 70
Fax: 995 32 291 59 95. E-Mail: gff@gff.ge www.gff.ge

03/95
19.02.2014

„პრაიმ ტაიმის“ ჟურნალისტს
მაგდა კლდიაშვილს

თქვენი განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ ირაკლი ვაშაკიძემ ფეხბურთელთა აგენტის ლიცენზიის შეჩერებაზე წერილობით მოგვმართა 2014 წლის 9 იანვარს და მას დროებით შეუჩერდა ლიცენზია 2014 წლის 1 იანვრიდან, ვინაიდან, როგორც მისი განცხადებიდან გაირკვა თბილისის „დინამოში“ მას მუშაობა დაუწყია უფრო ადრე ვიდრე ჩვენ მოგვმართა განცხადებით.

რევაზ შენგელია
გენერალური სამდივნოს უფროსი

> თქვენი განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ ირაკლი ვაშაკიძემ ფეხბურთელთა აგენტის ლიცენზიის შეჩერებაზე წერილობით მოგვმართა 2014 წლის 9 იანვარს და მას დროებით შეუჩერდა ლიცენზია 2014 წლის 1 იანვრიდან, ვინაიდან, როგორც მისი განცხადებიდან გაირკვა თბილისის „დინამოში“ მას მუშაობა დაუწყია უფრო ადრე ვიდრე ჩვენ მოგვმართა განცხადებით.
>
> რევაზ შენგელია
> გენერალური სამდივნოს უფროსი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ „პრაიმტაიმს“ პასუხი რამდენიმე დღის წინ დაუბრუნა და „განმარტებაც“ მოაყოლა იმ საკითხებზე, რომლითაც ვიყავით დაინტერესებული.

„თუ ფიფა-უეფას ან სფფ-ს იურისდიქციის ფარგლებში რაიმე ირღვევა, ამის გარკვევა ხდება იურიდიულად დადგენილი წესით, შესაბამისი მაკონტროლებელი და გადაწყვეტილების მიმღები ორგანოების მონაწილეობით. არსებული რეგულაციები აღნიშნულ იურიდიულ სივრცეში ყველა დაინტერესებულ მხარეს აძლევს უფლებას, დაიცვას საკუთრი უფლებები ეროვნულ თუ საერთაშორისო დონეზე.

რაც შეეხება უშუალოდ თქვენი განცხადების შინაარს, ს.კ. „დინამო თბილისის“ თანამშრომელ ი. ვაშაკიძესთან დაკავშირებით, პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ როგორც კი სფფ-სთვის ცნობილი გახდა დარღვევის შესახებ, მან დაუყოვნებლივ მოახდინა რეაგირება ი.ვაშაკიძის განცხადებაზე და ამ უკანასკნელს შეუჩერა ლიცენზია და გააფრთხილა იგი, ვინაიდან მან დაარღვია ვალდებულება დაუყოვნებლივ ეცნობებინა სფფ-სთვის დამოუკიდებლობის სტატუსის ცვლილების შესახებ. სფფ-მ ასევე დაუყოვნებლივ ჩააყენა საქმის კურსში მაკონტროლებელი ორგანო - ფიფა.

განცხადებაში, ასევე გაინტერესებთ, გაიგოთ, „როგორ გაატარა სფფ-ს სამდივნომ 9 იანვარს მიღებული განცხადება 1 იანვრის თარიღით, რაც არ შეესაბამება სინამდვილეს, სფფ-მ 9 იანვარს მიღებული განცხადება გაატარა იმავე დღეს, რაც აღნიშნულია სფფ-ს რეგისტრაციის დამღაზე, უბრალოდ, პირველი იანვრიდან მოხდა ლიცენზიის შეჩერება, შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით:

1) ი. ვაშაკიძემ, როგორც მისივე განცხადებიდან და სხვა დოკუმენტური დადასრტურებებიდან ირკვევა, ს.კ. „დინამო თბილისში“ მუშაობა დაიწყო 2013 წლის 1 ნოემბრიდან. შესაბამისად, მას არ შეეძლო აგენტის ფუნქციების შესრულება კლუბთან დადებული შრომითი ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ.

2) სფფ-სთვის, როგორც ტრანსფერების მარეგისტრირებელ-მაკონტროლებელი ორგანოსთვის ცნობილი იყო, რომ 2013წ. 1 ნოემბრიდან 31 დეკემბრამდე ი. ვაშაკიძეს ფაქტიურად არ განუხორციელებია საქმიანობა აგენტის სტატუსით, წინააღმდეგ შემთხვევაში, სფფ-ში ამ პერიოდში უნდა დარეგისტრირებულიყო ისეთი სატრანფერო ხელშეკრულება, რომელშიც აგენტაც მოხსენიებული იქნებოდა ი. ვაშაკიძე. შეგახსენებთ, რომ სატრანსფერო ხელშეკრულების სფფ-ში რეგისტრაციის გარეშე ფეხბურთელი ვერ რეგისტრირდება ახალ კლუბში და შესაბამისად, ვერ იღებს მონაწილეობას მატჩებში. აქედან გამომდინარე, 2013 წლის 1 ნოემბრიდან ლიცენზიის შეჩერება იქნებოდა მხოლოდ ფორმალობა, ვინაიდან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ი. ვაშაკიძეს ფაქტიურად არ განუხორციელებია საქმიანობა აგენტის სტატუსით.

3) ვინაიდან, იანვრის დასაწყისში სფფ-ში ყველა ქვედანაყოფი არ მუშაობდა და სრულფასოვანი მუშაობა აღსდგა 8 იანვრიდან, დაზღვევის მიზნით, სფფ-მ ი. ვაშაკიძის აგენტის ლიცენზია შეუჩერა ა/წ 1 იანვრიდან, რაც იმას ნიშნავს, რომ ძალადაკარგულად ჩაითვლება ა/წ 1 იანვრიდან გაფორმებული ყველა ხელშეკრულება, რომელშიც ი. ვაშაკიძე მონაწილეობდა აგენტის სტატუსით და რომელიც სფფ-ს ვერ მიეწოდებოდა უქმე დღეებში.

ამას გარდა, მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, თუ სფფ-ს შემდგომში მიეწოდება 2013 წლის 1 ნოემბრიდან 31 დეკემბრამდე განხორციელებული რომელიმე სატრანსფერო ხელშეკრულება, რომელშიც ი. ვაშკიძე აგენტად იქნება მოხსენიებული და რომლის შესახებ დროულად (ანუ 2013 წლის 31 დეკემბრამდე) არ ეცნობა სფფ-ს, ეს უკანასკნელი უფლებას იტოვებს ექსკლუზიურად განიხილოს ასეთი შემთხვევები და მიიღოს შესაბამისი ზომები“, - ნათქვამია სფფ-ს გენერალური სამდივნოს უფროსის, რევაზ შენგელიას წერილში, რომელიც „პრაიმტაიმს“ გამოუგზავნა მისი წერილის პასუხად.

ის, რომ ფეხბურთის ფედერაცია იმ დებულებაში ვერ ერკვევა, რომელიც მისმა მაკონტროლებელმა ორგანომ, ამ შემთხვევაში ფიფამ, შეიმუშავა, მათი განცხადებიდანაც ნათლად ჩანს. ირაკლი ვაშაკიძე, ფეხბურთელთა აგენტის ლიცენზიით თბილისის „დინამოს“ სპორტული მენეჯერის პოსტზე სამი თვის განმავლობაში მუშაობდა, როდესაც მას ამ პოსტზე მუშაობის უფლებას თავად ის ორგანო უკრძალავს, რომლის მიერაც აქვს მიღებული ფეხბურთელთა აგენტის ლიცენზია. ცვლის თუ არა ის ფაქტობრივი გარემოება რამეს, თუკი ირაკლი ვაშაკიძეს აგენტის სტატუსით ტრანსფერები არ განუხორციელებია, „პრაიმტაიმი“ ადვოკატ იმედა დვალიძეს ესაუბრა, რომელიც განმარტავს, რომ ეს არის ინტერესთა კონფლიქტი და სწორედ ამის მაკონტროლებლად აქვს ფიფას ჩადებული რეგულაციაში ის მუხლი, რომლითაც ლიცენზირებულ აგენტს კლუბში, ფეხბურთის ასოციაციაში და მსგავს ორგანოში მუშაობის უფლება არ აქვს, თუკი ლიცენზიას არ შეიჩერებს.

„მთავარი ის კი არ არის, თბილისის „დინამომ“ ტრანსფერი განახორციელა თუ არა და იმ ტრანსფერს ახორციელებდა თუ არა კონკრეტული აგენტი. ფიფას ლიცენზირებული აგენტი იყო კონკრეტულად კლუბის თანამშრომელი ნებისმიერი ფორმით და იმთავითვე ეს არის ფიფას 2008 წლის რეგულაციის დარღვევა. მეექვსე მუხლი უკავშირდება ამ საკითხს. რეგულაცია ამბობს, რომ საფეხბურთო აგენტს, სანამ მას აქვს ლიცენზია, მოქმედი, არ აქვს უფლება იყოს დასაქმებული, დაქირავებული, კლუბში, ფედერაციაში, ნებისმიერ სტრუქტურაში, გინდა ეს ფიფა-უეფა იყოს. ეს არის აკრძალვა, რომელიც ფიფამ დაადგინა გარკვეულ გარემოებათა გამო. მიუხედავად იმისა, თუ კლუბში მუშაობ და ასრულებ სხვა ფუნქციებს, რა ფუნქციაც არ უნდა მქონდეს, იმ დროს თუკი მოქმედ ლიცენზიას ვფლობ საფეხბურთო აგენტისასას, რეგულაცია მიკრძალავს მე კლუბში ყოფნას და არჩევანი უნდა გავაკეთო - ან კლუბი, ან ლიცენზია შევიჩერო ერთი წლით, შემდეგ ის უქმდება, ან უნდა დავრჩე აგენტად“, - აცხადებს იმედა დვალიძე.

ადვოკატის განმარტებით, საფეხბურთო აგენტის სტატუსის მატარებელ ადამიანს, რომელსაც აქვს ლიცენზია და არ აქვს ის შეჩერებული დადგენილი წესით და არის კლუბის კონკრეტული თანამშრომელი, ეს პირდაპირ ნიშნავს იმას, რომ არღვევს ფიფას მიერ დაწესებულ რეგულაციას. ახორციელებს თუ არა ის საფეხბურთო აგენტისთვის განსაზღვრულ საქმიანობას, მეორე საკითხია და არანაირი მნიშვნელობა არ აქვს ამას.

„არაფერს არ ნიშნავს ფაქტობრივად ახორციელებ თუ არ ახორციელებ. როგორც კი წარმომექმნება შეუთავსებლობის მომენტი, როგორც საქართველოს, ისე საერთაშორისო კანონმდებლობით და ეს მეორე პუნქტი, მეექვსე მუხლი, ადგენს შეუთავსებლობას კლუბში დასაქმებასა და აგენტის სტატუსს შორის, შენ ახორციელებ თუ არ ახორციელებ აგენტის უფლებამოსილებას, არღვევ პირდაპირ რეგულაციას. მაგალითისთვის გეტყვით, რომ მე ადვოკატი ვარ, როდესაც დავიკავებ ამ საქმიანობასთან შეუთავსებელ პოსტს, „კორუფციის შესახებ საქართველოს კანონის“ მეორე მუხლი, უნდა შემიწყდეს ადვოკატის უფლებამოსილება. ამ პერიოდში რომ გავიმართლო თავი იმით, რომ არ ვიწყვეტ, მაგრამ არც ვახორციელებ საადვოკატო საქმიანობას, ეს ხომ არ ნიშნავს, რომ არ ვარღვევ? ჩემი უმოქმედობით და არკეთებით ამ კონკრეტული ფუნქციის განხორციელება გამორიცხულია? - რა თქმა უნდა, არ არის გამორიცხული. საფეხბურთო აგენტის ლიცენზიის შეჩერება დადგენილი პროცედურაა. შენ უნდა შეიჩერო, არავინ ინტერესდება, არც ფიფას რეგულაციები ითვალისწინებს იმას, რომ შენ თუ არ ახორციელებ ფაქტობრივად, შეგიძლია კლუბში იმუშაო, ორი-სამი წელი, ლიცენზია არ შეიჩერო და არც პრობლემა გექმნება?




- რა თქმა უნდა, ეს რეგულაციის დარღვევაა და ლიცენზია უნდა შეიჩერო“, - განმარტავს ადვოკატი.

როგორც სფფ-ს მიერ გამოგზავნილ მეორე წერილში ირკვევა, რომელზე საუბარიც „პრაიმტაიმის“ 257-ე ნომერში იყო საუბარი, ირაკლი ვაშაკიძემ ფეხბურთის ფედერაციას აგენტის ლიცენზიის შესაჩერებლად 9 იანვარს მიმართა, ფედერაციამ კი მისი მოთხოვნა პირველი იანვრის თარიღით დააკმაყოფილა და სწორედ ამ დღეს შეუჩერდა ლიცენზია ვაშაკიძეს. თბილისის „დინამოს“ ოფიციალურ ვებ-გვერდზე კი რვა იანვრის თარიღით, რამდენიმე ტრანსფერის შესახებ არის გაკეთებული განცხადება. თუკი ფეხბურთის ფედერაციის წერილს დავეყრდნობით, ირაკლი ვაშაკიძე 9 იანვარს ჯერ კიდევ ფიფას ლიცენზირებული აგენტი იყო და ბოლო წერილშიც, ნათლად არის ახსნილი, რომ ფედერაციამ „თავი დაიზღვია“ (თუ ვაშაკიძე დააზღვია, არავინ იცის), რომელიმე დოკუმენტში „დინამოს“ მიერ დასარეგისტრირებლად გაგზავნილ ტრანსფერებში, ვაშაკიძის სახელი არ გაჟღერებულიყო, თუმცა, ფედერაცია არც ისეთი გულუბრყვილო უნდა იყოს, რომ „დინამოში“ ვაშაკიძე პირველი ნოემბრიდან სპორტული მენეჯერის პოსტს იკავებდა და მას ფეხბურთელთა აგენტად არავინ მოიხსენიებდა არც ერთ სატრანსფერო დოკუმენტში. კიდევ ერთი რამეა გაუგებარი, თუკი ვაშაკიძე „ფაქტიურად“ არ ახორციელებდა ტრანსფერებს, რომლითაც საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია თავს იმართლებს, საერთოდ რა მნიშვნელობა ჰქონდა, მის მიერ 9 იანვარს გაკეთებულ განცხადებას, ლიცენზიის შეჩერების თაობაზე, რომელ რიცხვში დაკმაყოფილდებოდა - 9, 1 თუ 15 იანვარს. ჟარგონის ენაზე რომ ვთქვათ, სფფ-მ დამაჯერებლად ვერ „გააპრავა“ ეს საკითხი.

არ ესმის ეს იმედა დვალიძესაც. ადვოკატის თქმით, თუკი ფედერაციისთვის ცნობილი იყო კლუბებში დასაქმებული პირების ინფორმაცია და იცის კონკრეტული საფეხბურთო აგენტის შესახებ, რომელიც თბილისის „დინამოშია“ დასაქმებული, უნდა აღმოეფხვრა ეს წინააღმდეგობა.

„ჩემთვის წერილის დარეგისტრირებისა და ლიცენზიის შეჩერების თარიღს, ამ კონკრეტულ საკითხთან, არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. განხორციელდა თუ არა ტრანსფერი, ეს „დინამომაც“ იცის და სფფ-მაც და იციან, რომ ეს ადამიანი, არის ლიცენზიის მფლობელი და არ შეუძლია, იმუშაოს კლუბში რაიმე სახის თანამდებობაზე. როდის შევიდა განცხადება და როდის შეჩერდა, პრობლემის შინაარსისთვის, არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. პირველსა და ცხრა იანვარს შორის რამე იცვლება? მანამდეც ხომ მუშაობდა კლუბში. აზრი ვერ გავიგე საერთოდ, რადგან პირველში შეუჩერეს ლიცენზია, რვა იანვარს განხორციელებული ტრანსფერები აღარ იქნებოდა პრობლემური? რვაში ირაკლი ვაშაკიძე აღარ იქნებოდა ფიფას ლიცენზირებული აგენტი და ამით ამოიწურებოდა? ძალიან ბავშვური არგუმენტია. თანამდებობრივ შეუთავსებლობასთან გვაქვს საქმე და არ აქვს აზრი, ახორციელებდა თუ არა ის აგენტისთვის განსაზღვრულ საქმიანობას“, - აცხადებს იმედა დვალიძე.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური სამდივნოს უფროსი რევაზ შენგელიას „პრაიმტაიმმა“ დამატებითი განმარტება სთხოვა გამოგზავნილ წერილთან დაკავშირებით:

**- თქვენს წერილში ნათქვამია, რომ რადგან ირაკლი ვაშაკიძეს 1 ნოემბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით არ განუხორციელებია ტრანსფერები, როგორც აგენტს, მას არ დაურღვევია ფიფას რეგულაცია. თუმცა, როგორც იურისტი განმარტავს, სამართლებრივი მხარე ფაქტობრივ გარემოებებს არ ცნობს.**

- დარღვევა რომ არ ყოფილიყო, ვაშაკიძეს არც გავაფრთხილებდით, მაგრამ ჩვენ მაშინვე ვაცნობეთ ფიფას და შევუჩერეთ უფლებამოსილება.

**- როდის გააფრთხილეთ ვაშაკიძე?**

- ეს იანვარშივე მოხდა. ჩვენთან განცხადება 9 იანვარს არის გატარებული. პირველი იანვრიდან კი შევუჩერეთ. დავინახეთ, რომ ადრე ჰქონდა დაწყებული მუშაობა „დინამოში“, მაგრამ არანაირი კონტრაქტი არ შემოსულა ჩვენთან, რომელიც მას ფეხბურთელთან ჰქონდა გაფორმებული, როგორც აგენტს და არც რომელიმე ტრანსფერში იყო მოხსენიებული აგენტად.

**- იურისტის განმარტებითვე, ის, რომ მას ფაქტობრივად არ განუხორციელებია ტრანსფერები, არ ნიშნავს, იმას, რომ კლუბში მუშაობის უფლება ჰქონდა, ეს პირდაპირ წერია ფიფას რეგულაციაში, მეექვსე მუხლში, რომ თუკი**





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ...თის ფედერაციაში ფიფას რეგულაციასა და საკუთარ წესდებაში

**„9 იანვარს იმიტომ არ მოხდა, რომ არ ვიცოდი, პირველიდან ცხრა იანვრამდე შეიძლებოდა, ეწარმოებინა აგენტის საქმიანობა. ამიტომ შევუჩერეთ პირველ იანვარს. ამ პერიოდში რომ განეხორციელებინა, შეექმნებოდა პრობლემა“**



**„მთავარი ის კი არ არის, თბილისის „დინამომ“ ტრანსფერი განახორციელა თუ არა და იმ ტრანსფერს ახორციელებდა თუ არა კონკრეტული აგენტი. ფიფას ლიცენზირებული აგენტი იყო კონკრეტულად კლუბის თანამშრომელი ნებისმიერი ფორმით და იმთავითვე ეს არის ფიფას 2008 წლის რეგულაციის დარღვევა“**

**EXCLUSIVE**

**ლიცენზიას არ შეიჩერებ, ნებისმიერი სახით გეკრძალება მუშაობა კლუბში და მსგავს სტრუქტურაში. თუკი ის, როგორც თქვენ ამბობთ, ფაქტობრივად არ ახორციელებდა ტრანფერებს, მაშინ, 9 იანვარს შემოსული განცხადება, 9 იანვრის თარიღით დაგეკმაყოფილებინათ და არა პირველი იანვრის, რას ცვლიდა თქვენთვის, თქვენ პრობლემას ვერ ხედავთ მაინც?**

- 9 იანვარს იმიტომ არ მოხდა, რომ არ ვიცოდი, პირველიდან ცხრა იანვრამდე შეიძლებოდა, ეწარმოებინა აგენტის საქმიანობა. ამიტომ შევუჩერეთ პირველ იანვარს. ამ პერიოდში რომ განეხორციელებინა, შეექმნებოდა პრობლემა.

**- თბილისის „დინამოს“ ოფიციალურ ვებ-გვერდზე, რვა იანვარს ტრანსფერების შესახებ განცხადება გაკეთდა. სფფ-მ განცხადება ვაშაკიძის, 9 იანვარს მიიღო, რვა იანვარს, ისე ჯერ კიდევ ფიფას ფეხბურთელთა ლიცენზირებული აგენტი იყო. იმ ტრანსფერებში, რომელიც ფედერაციაში დარეგისტრირდა, აგენტად იქნებოდა მოხსენებული ვაშაკიძე? აქვს თუ არა ფედერაციას იმის გარანტია, რომ ის არ მოატყუეს?**

- კი, ასე იყო. ამ დარღვევაზე შეგვიძლია გაფრთხილება მივცეთ, შეიძლება შევუჩეროთ ლიცენზია და შევუჩერეთ კიდეც. დახვრეტით ვერ დავხვრეტთ ახლა. დარღვევა არის ცალსახად და ის იქნა გაფრთხილებული ამაზე.

**- როდის გააფრთხილეთ ირაკლი ვაშაკიძე?**

- მის მიერ, განცხადების შემოტანის დღიდანვე.

**- ფიფას რეგულაციებით ფეხბურთის ფედერაცია ვალდებულია, რომ მის ტერიტორიაზე არსებული ლიცენზირებული აგენტები აკონტროლოს, სფფ-ში არ იცით, რამდენი ლიცენზირებული აგენტი გყავთ?**

- მე რა ვიცოდი, ის „დინამოში“ რომ მუშაობდა.

**- თავის დროზე, პირველ წერილში, "პრაიმტაიმმა" გთხოვათ, ვაშაკიძის კონტრაქტის რეგისტრირების ვადა, რომელზეც განაცხადეთ, რომ სფფ არ ითხოვს მსგავსი სახის კონტრაქტების რეგისტრირებას. ამ დოკუმენტს რომ ითხოვდეთ, უფრო მარტივი არ იქნება მსგავსი პრობლემების თავიდან აცილება?**

- სპორტული დირექტორის კონტრაქტს არ არეგისტრირებს ფედერაცია. სფფ მხოლოდ მათ კონტრაქტებს არეგისტრირებს, რომლებიც გუნდის შემადგენლობაში არიან და სხდებიან სათადარიგოთა სკამზე. დანარჩენებს არ ვითხოვთ. პასუხისმგებელი, ამ დროს, ის პირი თავად არის, რომელიც ლიცენზიის მფლობელია და სხვაგან იწყებს მუშაობას. ვალდებულია, გვაცნობოს, რომ ეს აქვს დარღვეული. მას არ უწარმოებია ტრანსფერი. ნებისმიერი აგენტი, რომელიც ხელშეკრულებას აფორმებს ფეხბურთელთან, ჩვენთან უნდა დარეგისტრირდეს. სფფ-ში არ დარეგისტრირებულა ამ პერიოდში არც ერთი კონტრაქტი, არც ფეხბურთელთან და არც კლუბის, სადაც ვაშაკიძე აგენტად იქნებოდა მოხსენებული.

**„ვაშაკიძე ტელეფონზე გავაფრთხილე, როგორც კი წერილი შემოვიდა, მაშინვე დავურეკე და ვუთხარი, რატომ დროზე არ მაცნობე-მეთქი“**

**- რადგან ვაშაკიძე აგენტად მოხსენებული არ არის, თქვენი აზრით, დარღვევა არ ყოფილა?**

- დარღვევა არის ცალსახად, ამაზე ორი აზრი არ არსებობს. სწორედ ამის გამო მიეცა გაფრთხილება.


საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია
GEORGIAN FOOTBALL FEDERATION
GFF
76 Chavchavadze ave. 0179 Tbilisi Georgia
Tel: 995 32 291 26 50, 995 32 291 26 70
Fax: 995 32 291 59 95, E-Mail: gff@gff.ge www.gff.ge
03/166
13.03.2014
SOCAR
General Sponsor

**- ამბობთ, რომ გააფრთხილეთ, მაგრამ ამის შესახებ ცნობილი არაფერია. რა ფორმით და როდის გააფრთხილეთ?**

- როგორც კი წერილი შემოვიდა, მაშინვე დავურეკე და ვუთხარი, რატომ დროზე არ მაცნობე-მეთქი.

**- თქვენ მას ტელეფონზე უსაყვედურეთ?**

- კი, ეს იყო სიტყვიერი გაფრთხილება.

**- ფიფას რეგულაციები, მისი დარღვევის დროს სპეციალურ სანქციებს ითვალისწინებს, მათ შორის საყვედურსა და გაფრთხილებას, თუმცა მას ოფიციალური სახე უნდა მიეცეს. რატომ არ მიეცით წერილობითი გაფრთხილება?**

- არ ჩავთვალეთ საჭიროდ.

ასეთია სფფ-ს გენერალური სამდივნოს ხელმძღვანელის პოზიცია. შენგელიას კომენტარიდან ირკვევა, რომ თავად ფეხბურთის ფედერაციაში ძალიან ცუდად ერკვევიან იმ საქმეში, რასაც ემსახურებიან და რისი კონტროლიც ავალიათ. ასევე, ჩნდება ეჭვი, რომ სფფ-ს იურისტი არ ჰყავს, რომელიც ბატონ შენგელიას აუხსნიდა, რომ ფაქტობრივად არგანხორციელებული ტრანსფერი არ ცვლის ამ სიტუაციაში არაფერს. ფიფას რეგულაცია დაირღვა და ფეხბურთის ფედერაცია, გენერალური სამდივნოს უფროსის სატელეფონო საყვედურს დასჯერდა, როდესაც მისი უშუალო ვალია, ამ ქმედების კონტროლი და მისი აღმოფხვრა.

კიდევ ერთი უცნაურობას და გაურკვევლობას ის იწვევს, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, საკუთარი წესდებით, უფლებას აძლევს, ნებისმიერი კლუბის სპორტულ დირექტორსა და მენეჯერს, თამაშის დროს, სათადარიგოთა სკამზე დაჯდეს. შენგელიას განმარტებიდან ჩნდება კითხვა - თუკი სფფ არ ითხოვს კლუბებისგან სპორტული დირექტორების კონტრაქტების რეგისტრაციას, მაშინ როგორ არკვევს, სპორტული დირექტორი ზის სკამზე თუ სხვა ვინმე. მაგალითისთვის „ზესტაფონი“-„დინამოს“ მატჩს გავიხსენებ, თბილისის „დინამოს“ სპორტული მენეჯერი ჯერ კიდევ ბუბა ტყავაძე იყო და შეხვედრა, რომელიც საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერით გადაიცემოდა და სტადიონზე მყოფმა ქომაგმაც, მაყურებელთან ერთად, კარგად დაინახა, რომ ტყავაძე სათადარიგოთა სკამზე იჯდა. საინტერესოა, თუკი ფედერაციას, ვაშაკიძის მსგავსად, არ ჰქონდა ინფორმაცია, რომ ტყავაძე გუნდის სპორტული მენეჯერი იყო და არც მისი კონტრაქტი დარეგისტრირებულა სფფ-ში, როგორ მიეცა სათადარიგოთა სკამზე ჯდომის უფლება და როგორ აძლევს ამის საშუალებას ფედერაცია სპორტულ დირექტორებს, როდესაც მათ კონტრაქტებს არ ითხოვს, თუმცა ამავდროულად, აცხადებს, რომ მათთან მხოლოდ იმ ადამიანების კონტრაქტები რეგისტრირდება, რომლებიც მოედანზე, სათადარიგოთა სკამზე სხდებიან.

შენგელიას განცხადება აშკარად ტოვებს იმის სურვილს, რომ ფეხბურთის ფედერაციაში, წესდების შემდგენები და ავტორები, უკეთესად გაერკვიონ იმაში, რასაც წერენ, თორემ სახეზე აშკარა ინტერესთა კვეთაა. თანაც იმ ქვეყანაში, სადაც უმაღლეს ლიგაში სულ 12 კლუბი თამაშობს, სადაც თბილისის „დინამო“ ქვეყნის საფეხბურთო ფლაგმანია, ქვეყანაში, სადაც სფფ-ში იციან (ან უნდა იცოდნენ მინიმუმ), რომ ლიცენზირებული აგენტების რაოდენობა 20-ს არ აჭარბებს, სადაც უბრალო ქომაგმაც კი იცის, ვინ, რა თანამდებობაზე მუშაობს კლუბში, შენგელიას განცხადება, რომ არ იცოდა, ვაშაკიძე რა თანამდებობას იკავებდა „დინამოში“, არასერიოზულია.

ცნობისთვის, „დინამო 2“-ში, გიორგი კულუა, სწორედ ირაკლი ვაშაკიძემ მიიყვანა, იმავე „დინამო 2“-ში, უკრაინელი ფეხბურთელი სინჯებზე, სწორედ ვაშაკიძემ ჩამოიყვანა. რევაზ შენგელიას საყურადღებოდ, ვაშაკიძე იმ დროს ფეხბურთელთა ლიცენზიის მქონე სპორტული დირექტორი იყო.

რასაკვირველია, სისხლის სამართლის დანაშაულთან საქმე არ გვაქვს, მაგრამ ყველამ იმ საქმეს უნდა სცეს პატივი, რასაც ემსახურება. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში კარგად უნდა წაიკითხონ, რას ავალებს ის უმაღლესი საფეხბურთო ორგანო, რომლის წევრებიც არიან, თავად ვაშაკიძემ, ძალიან კარგად იცოდა, რომ არ შეეძლო ფეხბურთელთა ლიცენზიით კლუბში რაიმე სახის პოსტის დაკავება, მაგრამ სამი თვე დრო „მოიგო“.

როგორც ჩანს, ფეხბურთის ფედერაციას საერთოდ არ ანაღვლებს მსგავსი სახის დარღვევები, ვაშაკიძის „ბავშვური“ დატუქსვა თუ უშველის ქართულ ფეხბურთს და მასში არსებულ პრობლემებს, გააგრძელოს სფფ-მ ასე მუშაობა. ამ ამბების ატეხვის პასუხად, სფფ-ს მინიმუმ, „ვალი უნდა მოეხადა“ და წერილობითი საყვედური ან გაფრთხილება მიეცა ვაშაკიძისთვის და ეს საკითხიც მოექცეოდა ფიფას სადისციპლინო კოდექსის ფარგლებში.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# როგორი შემადგენლობის იქნება ახალი საკრებულო



**my View**

ხათუნა მგალობლიშვილი

**როგორი იქნება ახალი საკრებულო? ამ საკითხზე მსჯელობა ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, სანამ გიორგი მარგველაშვილი არჩევნების თარიღს გამოაცხადებდა. დედაქალაქის ბიუჯეტის დამტკიცებამდე საკრებულოს მოქმედი თავმჯდომარე თავს სწორედ ერთადერთი მიზეზით იმართლებდა, რატომ ფიქრობთ, რომ საკუთარი უწყების დაშლის სურვილი მაქვსო. პრინციპში, შიხიაშვილი აქ, ალბათ, ყველაზე გულწრფელი იყო, რადგან დიდი ალბათობით ის ახალ საკრებულოში ველარ მოხვდება, ისევე როგორც ზაზა გაბუნია, ჯაბა სამუშია და ნაციონალებიდან დაპორტირებული კიდევ რამდენიმე პოლიტიკოსი. ამის შესახებ კულუარებში დიდი ხნის წინათ საუბრობდნენ და დღეს უკვე ხმამაღლაც აღარ ერიდებათ ამის თქმა. სწორედ ამავე პერიოდში გავრცელდა ინფორმაცია, რომ შიხიაშვილი რამდენიმე თვეში ამერიკაში აპირებს დროებით წასვლას. ეს რამდენიმე თვე, სავარაუდოდ, ზაფხულს დაემთხვევა, ანუ საარჩევნო პერიოდს. საკრებულოს თავმჯდომარე საკუთარ გეგმებზე ხმამაღლა არ საუბრობს და ყველანაირ ინფორმაციას ავტომატურად პოლიტიკურ მტრებს უკავშირებს.**





ირაკლი შიხიაშვილი

# „ჩემს დისკრედიტებას ნაციონალები ცდილობენ. კიდევ კარგი, რომ მათ აღარავინ უსმენს“

**ირაკლი შიხიაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე:**

**– როგორ ფიქრობთ, ახალ საკრებულოში იქნებით?**

– მაგას ახლა რა მნიშვნელობა აქვს? თუ პარტია გადაწყვეტს, რომ მე უნდა ვიყო მომავალ საკრებულოში, ვიქნები. წინასწარ ასეთ თემებზე რატომ უნდა ვისაუბროთ? თუ მე მექნება რეიტინგი, შანსი და პარტიას – სურვილი, მე წარმოვადგენდე მას, ასეთ შემთხვევაში ვიყრი კენჭს და, დიდი ალბათობით, გავიმარჯვებ კიდეც.

**– თუმცა თქვენ მიმართ ბევრი კრიტიკა და ბრალდებაც არსებობს...**

– ჩემს დისკრედიტებას ნაციონალები ცდილობენ. კიდევ კარგი, რომ მათ აღარავინ უსმენს. თუმცა ეს ბინძური მეთოდები მათი სტილია. რასაც ამბობენ, ყოველთვის ტყუილია, ოღონდ ამ ტყუილს ფუთავენ და მიზანი აქვთ, რომ საზოგადოება შეცდომაში შეიყვანონ. ისინი ჩემში საფრთხეს ხედავენ, რადგან ერთ-ერთი მთავარი ხელისშემშლელი პერსონა ვარ, ვინც მათ მზაკვრულ გეგმებს ეწინააღმდეგება. ვნახოთ, რა გამოუვათ.

ნაციონალები აცხადებენ, რომ შიხიაშვილზე ფიქრისთვის დრო ნამდვილად არ რჩებათ, რადგან საკუთარი გეგმები აქვთ და დროს ასეთ წვრილმანებზე არ კარგავენ.

როგორც ამბობენ, „ნაციონალურ მოძრაობას“ მთელი ქალაქის მასშტაბით უკვე გადანაწილებული ჰყავს მაჟორიტარობის სავარაუდო კანდიდატები. ნაწილის ვინაობა უკვე გადაწყვეტილია, ნაწილს კი შიდა პრაიმერისის საშუალებით გამოავლენენ 29 მარტს.

„პრაიმტაიმის“ ინფორმაციით, „ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარების სია, სავარაუდოდ, ასე გადანაწილდა: ვაზისუბანი – გიორგი ონიანი, ავლაბარი – ბესო კვიციანი, სამგორი – გია როინიშვილი, სანზონა – მამუკა გუგეშაშვილი, ლოტკინი – შოთა ქურდაძე, თემქა – ვახო ცაგარეიშვილი, ნაძალადევი – ავთო ფავლენიშვილი, გლდანი – ნოდარ სანდუხაძე, წყნეთი – ბაჩო დოლიძე...

ვაზისუბანში პირველ ეტაპზე, ონიანთან ერთად, ისნის მოქმედი გამგებლის, თორნიკე ხუციშვილის კანდიდატურაც განიხილებოდა. თუმცა საბოლოოდ არჩევანი გუნდმა სწორედ ონიანზე შეაჩერა. თავად ხუციშვილი აცხადებს, რომ არჩევნებს გამოეთიშა და მისი კანდიდატურა სხვა უბანზე არ განიხილება.

**გოგა ონიანი, მაჟორიტარობის კანდიდატი:**

– სავარაუდოდ, ჩემს სასარგებლოდ გადაწყდა იმიტომ, რომ ვარ ვაზისუბნელი ვარ, დავიბადე და გავიზარდე ვაზისუბანში, ძალიან კარგად ვიცი ყველა პრობლემა, რომელიც ადგილობრივებს აწუხებთ, ასევე ვიცი, ის პრიორიტეტები, რასაც ყურადღება უნდა მიექცეს. თავიდანვე, როცა საუბარი იყო ჩემს მონაწილეობაზე, მაშინვე ვთქვი, რომ, თუ მონაწილეობას გადავწყვეტდი, აუცილებლად ვაზისუბანში ვიყრიდი კენჭს, რადგან არა მგონია, არათუ ჩემს გუნდში, არამედ სხვა პარტიაშიც არსებობდეს ადამიანი, რომელიც უკეთ იცნობს ვაზისუბნის პრობლემებს. მე ყველასთან დავასაბუთე, რატომ იქნებოდა უკეთესი ჩემი კანდიდატურის დაყენება.

**– თქვენი დაკავება სწორედ არჩევნებში მონაწილეობას დაუკავშირეთ, კიდევ ხომ არ ელოდებით გარკვეულ ექსცესებს?**

– რა თქმა უნდა, ველოდები, რამდენიმე დღის წინაც დამიბარეს პროკურატურაში და ერთ კითხვას მისვამდნენ, რომელზეც პასუხი რომც მქონოდა, არ გავცემდი ადვოკატის ეთიკის კოდექსიდან გამომდინარე. მე ვიცავ ბაჩო ახალაიას და ვის გაუგია, რომ თან ადამიანს იცავდე და თან აღნიშნულ საქმეზე ჩვენებას აძლევდე? სრულიად გაუგებარია და ბუნებრივია, რომ ეს იყო მხოლოდ და მხოლოდ შავი პიარი. ეს პროცესი, სავარაუდოდ, გაგრძელდება.

**– დაკავებას გამორიცხავთ?**

– დაკავებას კი არა, არაფერს არ გამოვრიცხავ ამათ ხელში...

**– იცით, ვინ იქნება თქვენი კონკურენტი „ოცნებიდან“?**

– არა, არ მაქვს ინფორმაცია.

როგორც ირკვევა, „ოცნებამ“ ვაზისუბანში კანდიდატურის დაყენება „იუმორინას“ აქტიურ მონაწილეს, დავით როსტომაშვილს შესთავაზა, თუმცა თავად მსახიობი აცხადებს, რომ მსგავსი შეთავაზება არ ყოფილა...

ნაციონალების მორიგ შეთავაზებაზე კომენტარის გაკეთება არც გია როინიშვილს სურს. როინიშვილმა დეტალურად აგვიხსნა, როგორი დაკავებულია სპექტაკლებით, თუმცა აპირებს თუ არა პოლიტიკაში დაბრუნებას, ამაზე პასუხი მაინც არ გაგვცა. თავის დროზე როინიშვილი პარლამენტში სწორედ ნაციონალებთან ერთად იყო, თუმცა ის სიაში ნინო ბურჯანაძის კვოტით მოხვდა. სწორედ ამიტომ, მოგვიანებით, მის სახელსა და გვარს ბურჯანაძეს უკავშირებდნენ, თუმცა როინიშვილი ყოველ ეტაპზე საკმაოდ მკაცრად აკრიტიკებდა „დემოკრატიულ მოძრაობას“ და აცხადებდა, რომ ბურჯანაძის პოლიტიკურ შემოთავაზებას არასოდეს დასთანხმდებოდა...

ნაციონალების რიგებში რჩება ბაჩო დოლიძეც, რომელმაც საკუთარი აქტიური მოღვაწეობა მერიაში პრესსპიკერის სტატუსით დაიწყო. „ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ბაჩო დოლიძე მაშინდელმა მერმა, გიგი უგულავამ მოსახლეობას პირადად წარუდგინა, როგორც ვაკის რაიონის ახალი გამგებელი. დოლიძე ვაკის გამგებლად 2013 წლის მარტიდან მუშაობს. ახლა კი ის კენჭს წყნეთის მაჟორიტარად იყრის.

ბაჩო დოლიძით პროკურატურა ერთხელ უკვე დაინტერესდა. საკითხი 26 მაისს ეხებოდა. მისი დაკითხვა ისანი-სამგორის პოლიციის სამმართველოში ერთი საათის განმავლობაში გაგრძელდა და დაკითხვიდან გამოსულმა დოლიძემ განაცხადა, რომ გამოძიება მომიტინგეებთან მაშინდელი პრესსპიკერის შეხვედრის დეტალებით დაინტერესდა.

**ბაჩო დოლიძე:**

– დაინტერესდნენ ეპიზოდით, როდესაც მომიტინგეებთან გავედი და აქციის გასამართად ალტერნატიული ტერიტორია შევთავაზე. აინტერესებდათ, როდის იყო განაცხადი შემოტანილი მერიაში, როდემდე იყო მანიფესტაციის ჩატარების ვადა და სხვა დეტალები.

თუმცა არ არის გამორიცხული, დოლიძით პროკურატურა კვლავ დაინტერესდეს, რადგან თბილისის საკრებულოში შექმნილი სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის, მიხეილ ქავთარაძის განცხადებით, კომისიამ ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობის ფინანსურ დოკუმენტაციებში დარღვევები აღმოაჩინა. მართალია, დოლიძე ირწმუნებოდა, რომ „დარღვევები“ რეალურად მხოლოდ ბიუჯეტის ჩაგდების გადაფარვით იყო გამოწვეული, მაგრამ ბრალდებები თანხების მითვისებასა და „გადაუდებელი აუცილებლობისთვის“ გამოყოფილ ფინანსებს ეხებოდა.

იგივე პრობლემები სარევიზიო კომისიამ გლდანი-ნაძალადევის გამგეობაშიც აღმოაჩინა და მისი ხელმძღვანელის, მიხეილ ქავთარაძის განცხადებით, შემოწმების შედეგები შემდგომი რეაგირებისთვის სამართალდამცავ უწყებებს გადაეგზავნა. პრობლემების მიუხედავად, ნაციონალების გადაწყვეტილებით, ნოდარ სანდუხაძე კენჭს იმავე რაიონში იყრის.

რაც შეეხება სანზონას, ლოტკინს, თემქასა და ნაძალადევს, მათ კანდიდატებზე საბოლოო გადაწყვეტილებას 29 მარტს მიიღებენ, როდესაც პარტიაში პრაიმერისი ჩატარდება. სწორედ ამიტომ მაჟორიტარობის კანდიდატები თავს იკავებენ კომენტარისგან. ისინი აცხადებენ, რომ საკუთარ პოზიციებს მხოლოდ საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ დააფიქსირებენ. მათთვის, ასევე, მნიშვნელოვანია, ვინ ეყოლებათ კონკურენტებად მოწინააღმდეგე პარტიიდან. „ოცნებაში“ კი კონკრეტიკაზე ჯერჯერობით არ საუბრობენ. მმართველ გუნდში შიდა პარტიული განხილვები, ბუნებრივია, მიმდინარეობს, თუმცა შეთანხმებულები არიან, რომ ხმამაღლა ჯერჯერობით არ ისაუბრონ.




გოგა ონიანი



ბაჩო დოლიძე



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „არის კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც ჩემთვის ძალიან მტკივნეულია...“



**my View**

ხათუნა მგალობლიშვილი

როგორ ხდება „ოცნებაში“ გადაწყვეტილებების მიღება – ეს არის საკითხი, რომლის მიმართაც ინტერესი არ იკარგება კოალიციის შექმნის პირველი დღიდან. ამაზე, როგორც წესი, ძალიან ცოტას ან საერთოდ არ საუბრობენ. ერთობის წამყვანი ძალები ამბობენ, რომ ყველაფერი დემოკრატიული წესებით ლაგდება, თუმცა კოალიციის პირველი გამინუსებული კობა დავითაშვილი სწორედ ამ პრობლემის გამო განუდგა გუნდს. დავითაშვილი გამუდმებით წუწუნებდა, რომ მას აზრს არ ეკითხებოდნენ, არ უსმენდნენ და არც გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ახედებდნენ. „პოსლეზე“ მიღებული საბოლოო შედეგები კი თამაშის მონაწილეს არ აკმაყოფილებდა. მაშინ ითქვა, რომ ეს კობას პოლიტიკური ტიკია – გაიმარჯვო პოლიტიკურ ძალასთან ერთად და შემდეგ მიატოვო. გედევან ფოფხაძე ირწმუნება, რომ არ აპირებს, დავითაშვილის გზა გაიმეოროს, თუმცა სურვილი აქვს, რომ „ოცნების“ გუნდურობის ხარისხი ბევრად გაიზარდოს... მით უფრო არჩევნების წინ, როდესაც ჯერ კიდევ მთავარ კონკურენტს ასეთი წესებით თამაში სჩვევია...




**გედევან ფოფხაძე, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი:**

**– შეგიძლიათ, გვითხრათ, ამომრჩეველმა ახალ ხელისუფლებას რა შეიძლება წინასაარჩევნოდ შეცდომად ჩაუთვალოს?**

– შეცდომა იყო ის, რომ ვერ ჩამოვყალიბდით ხარვეზების კომისიაზე, შეცდომა იყო ასევე ისიც, რომ იპოთეკარებთან მიმართებაში სახელმწიფომ არ განსაზღვრა მკაფიო პოზიცია. ჩემთვის მიუღებელი იყო იუსტიციის საბჭოს ფორმირების წესი. ის იყო პოლიტიკურ კონიუნქტურაზე მორგებული და ვფიქრობ, ნაციონალების სასარგებლოდ გაკეთებული. ამ თემაზე იყო კამათი, ის, ვინც ამის წინააღმდეგი ვიყავით, შევეცადეთ, საკუთარი სიმართლე დაგვემტკიცებინა, თუმცა ვერ გავიტანეთ. არის კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც ჩემთვის ძალიან მტკივნეულია – ეს არის პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება. ხანდახან გადაწყვეტილებები მოწყვეტილია პოლიტიკურ სივრცეს და სად ვიღებთ ამ გადაწყვეტილებებს, საერთოდ ვერ ვიგებთ. გუნდურობის უფრო მაღალი ხარისხია საჭირო. „ნაციონალური მოძრაობის“ გუნდურობას ჩვენ ხანდახან ვხედავთ. ისინი ხანდახან როგორც ერთიანი გუნდი, ისე იქცევიან ჩვენს თვალწინ. თუმცა მათ სწორი ღირებულებები არ აქვთ. მათგან განსხვავებით, ჩვენ სწორი ღირებულებები გვაქვს, მაგრამ გუნდურობა უფრო დაბალი ხარისხისაა.

**– ანუ გადაწყვეტილებებს დამოუკიდებლად იღებს რამდენიმე ადამიანი და თქვენ მხოლოდ ამის შემდეგ იგებთ?**

– ხანდახან ვერ ვიგებთ, რა ფორმით არის მიღებული გადაწყვეტილება. ხანდახან არის, რომ ზემოდან მოდის გადაწყვეტილება და ჩვენ მას არ განვიხილავთ, არ ვაყენებთ კრიტიკული ანალიზის ქვეშ. ნაციონალებისთვის პროგრესი იყო მთავარი დეკლარირებული ნება. რამდენად პროგრესირებადი იყო ეს ძალა, საზოგადოების შესაფასებელია, მაგრამ ხშირად ამ პროგრესის ნებას ეწირებოდა ადამიანების უფლებები და ხდებოდა ადამიანების ჩაგვრა. ჩვენ ახლავე, ამ ეტაპზევე უნდა დავიზღვიოთ თავი ამისგან და მიმაჩნია, რომ ადამიანის უფლებების დარღვევის, ადამიანის დაჩაგვრისგან თავის დაზღვევის საუკეთესო საშუალებაა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში უფრო მეტი ადამიანის, პოლიტიკური რესურსის მონაწილეობა.

**– გადაწყვეტილებების მიღების როგორი მექანიზმია კოალიციაში?**

– ვთქვათ, მიღებულია კონკრეტული გადაწყვეტილება და ის უმრავლესობის ნაწილისთვის მიუღებელია, ან მის მიმართ არის კრიტიკულად განწყობილი. ამ შემთხვევაში უნდა მოხდეს არგუმენტების მოსმენა და შეთავაზება.

**– ეს არ ხდება?**

– სამწუხაროდ, ასეთი სქემა ჯერ არ არსებობს. იმედი მაქვს, რომ ეს დროთა განმავლობაში შეიქმნება. ჩვენ ფორსირებულად გვიწევს გადაწყვეტილებების რეალიზება. როგორც წესი, დროში ძალიან შეზღუდულები ვართ ხოლმე და თუ განსხვავებული მოსაზრება გვაქვს, უნდა შეგვეძლოს ამის მიხედვით კონკრეტული საკითხის დახვეწა. მე ამას იმიტომ ვამბობ, რომ ასეთი კრიტიკული ხედვებით ჩვენი გუნდი უფრო დაიხვეწება. ჩვენი უპირატესობა სწორედ ის არის, რომ მსგავს პრობლემებზე ხმამაღლა ვსაუბრობთ.

**– თავი დროზე კობა დავითაშვილმაც სწორედ ამ პრობლემის გამო დატოვა უმრავლესობა, ის ფიქრობდა, რომ მის ინიციატივებს, მის მოსაზრებებს კოალიციაში არ იზიარებდნენ.**

**„ხანდახან გადაწყვეტილებები მოწყვეტილია პოლიტიკურ სივრცეს და სად ვიღებთ ამ გადაწყვეტილებებს, საერთოდ ვერ ვიგებთ. გუნდურობის უფრო მაღალი ხარისხია საჭირო“**

– კი, ასე იყო. მიმაჩნია, რომ კობა დავითაშვილის პრეტენზია სამართლიანი და სწორი იყო და ამაზე უნდა გვემუშავა გუნდის შიგნით. ეს არ უნდა გამხდარიყო გუნდის დატოვების მიზეზი. თუმცა, ბუნებრივია, ძნელია ასი კაცის მოსაზრების მოსმენა. ასეთ დროს შეიძლება საერთოდ ვერ მოხდეს გადაწყვეტილების მიღება აზრთა სხვადასხვაობის გამო. ესეც არ სჭირდება საზოგადოებას. საზოგადოება ვილაცისგან ელოდება ოპერატიულ გადაწყვეტილებებს. სწორედ ამისთვის არის ინსტიტუცია: პრეზიდენტი, პრემიერი და უფლებაგადანაწილებული ხელისუფლება, ვილაც გადაწყვეტილებებს იღებს და ვილაც ამ გადაწყვეტილებების ოპერატიულობას ზრდის. თუმცა არის საკითხები, რომელზეც უმჯობესია, დაიკარგოს ერთი კვირით მეტი და მოხდეს სწორი გადაწყვეტილების მიღება. ბუნებრივია, არ ვიქნები მართალი, ვთქვა, რომ კოალიციაში განხილვები არ არის, რა თქმა უნდა, საკითხებს განვიხილავთ, მაგრამ ვისურვებდი, უფრო მაღალ ხარისხს და ყველა განსხვავებული აზრის სწორად აღქმას.

**– უმრავლესობაში ამბობენ, რომ ნაციონალების შანსები ბევრად შემცირდება, თუ არასაპარლამენტო ოპოზიცია გაერთიანებას ვერ მოახერხებს...**

– „ნაციონალური მოძრაობა“ აქამდე არანაირ პრაიმერისსა და გამოკითხვას არ ატარებდა ხოლმე. მიმაჩნია, რომ შიდაპარტიული დემოკრატიის დამკვიდრების პროცესი არის გზავნილი საზოგადოებისადმი, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ იცვლის თავის პოლიტიკურ შიგთავსს თუ გარეკანსაც და ახალ პოლიტიკურ ძალად ყალიბდება. რეალურად „ნაციონალური მოძრაობა“ ხმებით შეზღუდულია არჩევნებში. არის საზოგადოების გარკვეული ნაწილი და ეს ნაწილი, ცალსახად, უმრავლესობაა. ისინი ნაციონალებს მხარს არავითარ შემთხვევაში არ დაუჭერენ, ვინც არ უნდა წარმოადგინონ მათ. თუმცა ვფიქრობ, „ნაციონალურ მოძრაობას“ მეორე ადგილის პრეტენზია ჯერჯერობით ისევ აქვს და თუ არასაპარლამენტო ოპოზიცია ვერ მოახერხებს გაერთიანებას, ისინი ნაციონალებს ოპონირებას ვერ გაუწევენ. უნდა ვაღიაროთ, რომ არის ამომრჩევლის საკმაოდ დიდი რაოდენობა, რომელიც ახალი ხელისუფლებით უკმაყოფილოა. თუმცა ასეთი ამომრჩეველი ვერ პოულობს თავის მოსაწონ ახალ პოლიტიკურ ძალას და ხშირ შემთხვევაში ისინი არჩევნებზე მისვლისგან თავს იკავებენ ხოლმე. საზოგადოების მხრიდან ხელისუფლების მისამართით არსებული კრიტიკული შეფასებები აბსოლუტურად სწორი და ბუნებრივი დამოკიდებულებაა. საზოგადოება უნდა იყოს კრიტიკული, თუმცა ჩვენზე განაწყენებული ამომრჩეველი ნაციონალებს ნამდვილად არ მისცემს ხმას. არსებულ მოცემულობაში „ოცნება“ არის საუკეთესო პოლიტიკური ძალა.

**– როგორ ფიქრობთ, არასაპარლამენტო ოპოზიციას შანსები ექნება?**

– საზოგადოებამ უნდა დაინახოს დიდი ერთიანი პოლიტიკური ძალა, პოლიტიკური სუბიექტებით კონსოლიდირებული, რომელიც იქნება ნაციონალებისა და ხელისუფლების ალტერნატივა. თუ საზოგადოება დაინახავს, რომ ასეთი ალტერნატიული ძალა სთავაზობს რაიმე ისეთს, რომელსაც ხელისუფლება ვერ ახორციელებს, მაშინ ეს გახდება მოტივაცია, ამომრჩეველი მივიდეს არჩევნებზე და ხმა მისცეს ახალ ერთობას. ბუნებრივია, მნიშვნელობა აქვს, როგორი საგარეო ორიენტირები და პრიორიტეტები ექნება ამ ძალას, თუმცა მე ასე ცალსახად არ დავარქმევდი პოლიტიკურ ძალებს პრორუსულსა და პროდასავლურს. ვამბობ, რომ დიდ პოლიტიკურ გაერთიანებას მოტივაციის შექმნა შეუძლია. ის ნაწილი, რომელიც სამართლიანობის აღდგენით უკმაყოფილოა და ნაციონალების მკაცრად დასჯას ითხოვდა, დაელოდება ხელისუფლებაში უფრო მკაცრი, ულტრარადიკალური მთავრობის მოსვლას, რომელიც უფრო შეურიგებელი იქნება ყოფილი სახელისუფლებო გუნდის მიმართ.

**– ბურჯანაძეზე საუბრობთ...**

– ბურჯანაძემ დამოუკიდებლად სცადა საკუთარი ძალების დემონსტრირება საპრეზიდენტო არჩევნებზე, მაგრამ შედეგი ყველამ ვნახეთ, მათ შორის თავადაც. მგონია, რომ ცალ-ცალკე ასეთი ოპოზიციური ძალებისთვის ძნელი იქნება არჩევნებზე გამოსვლა. თუ ჯონდი ბაღათურია, ნინო ბურჯანაძე, კახა კუკავა ცალ-ცალკე იქნებიან, მაშინ ამომრჩეველს ექნება არჩევანი ერთიან ძალებს შორის და ასეთ შემთხვევაში შეიძლება არჩევანი საერთოდაც ვერ გააკეთოს.

**– ეს ძალები მიიჩნევენ, რომ მაინც არათანაბარ წინასაარჩევნო პირობებში იმყოფებიან, თქვენც ასე ფიქრობთ?**

– თუ ოპოზიცია თავის პლუსებს კარგად გამოიყენებს, ასეთ შემთხვევაში ვერ ვიტყვით, რომ ცუდი წინასაარჩევნო გარემოა. მე რომ ახლა ოპოზიციაში ვიყო, ჩემთვის, როგორც ოპოზიციონერისთვის, ბევრად უფრო კარგი გარემო იქნებოდა, ვიდრე 2006 ან 2010 წელს. 2006 წელს, როდესაც არჩევნებში ვმონაწილეობდი ბორჯომში, 17-კაციანი საარჩევნო სია შევიტანე საარჩევნო ოლქში და 17 კაციდან სამ დღეში ცხრა კაცამდე შემცირდა ჩემი სია. მაშინ ვისხედით შტაბში და ველოდებოდით, ვის დაიჭერდნენ, ვის გალახავდნენ, ვის დაკითხვაზე დაიბარებდნენ. ეს არ იყო საარჩევნო გარემო. დღეს მსგავსი არაფერი ხდება.

**„ბურჯანაძემ დამოუკიდებლად სცადა საკუთარი ძალების დემონსტრირება საპრეზიდენტო არჩევნებზე, მაგრამ შედეგი ყველამ ვნახეთ, მათ შორის თავადაც“**

**– თუმცა ოპონენტები პოლიტიკური ნიშნით დევნაში გადანაშაულებენ...**

– საზოგადოებას აქვს განცდა, რომ ვილაც მათ ფულს წლების განმავლობაში იპარავდა, ამაზე სახელმწიფომ არ შეიძლება, რეაგირება არ მოახდინოს. რეაგირება რომ არ მოხდეს, მერე ნახეთ თქვენ არასაპარლამენტო ოპოზიციის, როგორც კოალიციის, ჩამოყალიბება. არ არის სწორი, როდესაც ხელისუფლებაში ყოფნის დროს მოიპარავ 200 მილიონს და მერე, როდესაც ოპოზიციაში გადახვალ, იტყვი, მოდით, ამ რაღაც 200 მილიონს ნუ წამომაძახებთო. ასეთი ლოგიკა აბსურდია. არავის უთქვამს, რომ ოპოზიციაში გადასვლით კონკრეტული პოლიტიკოსები სუფთა ფურცლიდან დაიწყებდნენ პოლიტიკურ მოღვაწეობას. ხელისუფლების ვალდებულებაა, არც ერთი დამნაშავე არ დარჩეს დაუსჯელი. თუ ამ პოზიტიურ ვალდებულებას ხელისუფლება ვერ შეასრულებს, ეს იქნება ძალიან ცუდი საარჩევნო კონიუნქტურისთვის, რადგან ამომრჩეველი ხელისუფლებას უნიათოდ ჩათვლის. ხელისუფლებამ საერთოდ რომ არ აწარმოოს ბრძოლა, გარკვეულ დონეზე მაინც, კორუფციულ სქემებთან და კორუფციულ დანაშაულებთან, ამას საზოგადოება ვერანაირად ვერ გაიგებს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ვინ გახდება თბილისის „მესამე მერი“

## არა-საპარლამენტო ოპოზიცია ერთმანეთს ებრძვის



**ქეთი ხატიაშვილი**

„ქდმ“-მ, შეიძლება ითქვას, ყველა რეკორდი მოხსნა და თითქმის უკვე დალაგებული კარტები იმდენად აჭრა, რომ არასაპარლამენტო ოპოზიციას თავიდან მოუწევს გადალაგება. დალაგებული არც ყოფილა, მაგრამ რაღაც კონტურები მაინც ჩანდა. ნინო ბურჯანაძესთან შერწყმის შემდეგ, პირველ რიგში, კახა კუკავას გამოეცალა პარტნიორი კოალიციაში. თითქოს დაგეგმილი იყო ნინო ბურჯანაძის მარტო დატოვება, მაგრამ დიდი რისკია, რომ თავად „თავისუფალი პარტია“ დარჩეს მარტო არჩევნებში. ან ერთი დიდი გაერთიანება უნდა შემდგარიყო, ნინო ბურჯანაძის ლიდერობით, საარჩევნო სიაში და, ამ შემთხვევაში, კახა კუკავა მერობის კანდიდატი გახდებოდა, ანდა ორი მთავარი კოალიცია გაკეთდებოდა ნინო ბურჯანაძე ირაკლი ბათიაშვილის დუეტით ერთ მხარეს და ლევან ვეფხვაძე (საარჩევნო სიაში)-კახა კუკავა (მერობის კანდიდატი) მეორე მხარეს. ამას დამატებული ახლები. ფრონტის ხაზიც სწორედ მათ შორის გაივლიდა. კახა კუკავას სამიზნე ამ შემთხვევაში სწორედ ნინო ბურჯანაძის წინააღმდეგ იქნებოდა მიმართული. რა თქმა უნდა, ცალკე და საპატიო ადგილს დაიკავებდა შალვა ნათელაშვილი. თუმცა, ამ ადგილს ის ახლაც დაიკავებს. არანაირ კონსულტაციებში ნათელაშვილი ჩართული არ არის. „ქდმ“-ს ბურჯანაძესთან გადაბარგებამ კახა კუკავას კოალიციას დაარტყა. ახლა შესაძლოა, ახლებიც დაფიქრდნენ, ულირთ მათ ამ კოალიციაში დარჩენა, თუ თავის კანდიდატურას დაუჭერენ მხარს. მსურველი კი, როგორც ცნობილია, ბევრია. ახლები ამ დრომდე აცხადებენ, რომ „ქდმ“-ს მსგავსად არ აპირებენ პარტიის გაუქმებას და ბურჯანაძესთან შესვლას. პირობა კი ბურჯანაძემ სწორედ ასეთი დააყენა. მერე გაუგებრობები რომ არ მოხდეს და გამარჯვებით მიღებული ფული რომ არავის გაუყოს, ნინომ პირობა წამოაყენა – ვინც პარტიას გააუქმებთ და ჩემთან შემოხვალთ, საარჩევნო სიაში ჩაგსვამთო. „ქდმ“-მ გააუქმა. ბურჯანაძეს ფულის გაყოფა რომ არ უყვარს, ეს ცნობილია, თუმცა, ერთ რამეში ნინო ნამდვილად მართალია: პარტიების უმრავლესობა ერთი კაცის პარტიებია, შესაბამისად, ისინი საკუთარ პარტიებს ხშირად ბიზნესისთვის, ანუ ფულის შოვნისთვის უფრო იყენებენ, იდეოლოგია კი არ გააჩნიათ. ნინოს ფული უყვარს, მაგრამ იდეოლოგიაც აქვს, მართალია თავისებური, მაგრამ მაინც. მისი იდეოლოგიაც უკვე ცნობილია – რატომ უნდა ვიყო პუტინზე გაბრაზებული? ამ იდეოლოგიას ახლა „ქდმ“-ც შეუერთდა. ახლა იმაზე მსჯელობენ, რამდენი დაუჯდებოდა ეს გარიგება ბურჯანაძეს. მილიონი ძალიან ცოტაა, 5 მილიონი – უფრო რეალური. ეს შავი ბაზრის ციფრებია, რომელსაც თავად გიორგი თარგამაძე ავადმყოფური ტვინის ფანტაზიას უწოდებს.



პოლიტიკა დატოვეს გიორგი თარგამაძემ და ლევან ვეფხვაძემ. ანუ ვეფხვაძემ „ბრძოლა“ წააგო, პარტიაში მაინც მიიღეს იდეოლოგია – რატომ უნდა ვიყო პუტინზე გაბრაზებული? ვეფხვაძე, ერთ-ერთი ინფორმაციით, პარტიის შეერთების წინააღმდეგი იყო და უფრო კუკავასკენ იხრებოდა. თუმცა, პარტიები ამტკიცებენ რომ ეს ადგილობრივი არჩევნებია და პუტინის იდეოლოგიამდე საქმე არ დადის, ახლა მთავარია, გადარჩე და არჩევნებმა არ ჩაგრეცხოს. თუმცა, რამდენად არის პარტიის გაუქმება გამოსავალი, ძნელი სათქმელია. ასეა თუ ისე, ყველაზე ადვილად პარტიის გაუქმების გადაწყვეტილებას სწორედ „ქდმ“ მიიღებდა. ეს პარტია მხოლოდ რამდენიმე წელს ითვლის. განსხვავებით, მაგალითად, ახლებისგან ან ედპ-სგან. იგივე ედპ-ს შემთხვევაში აქ საქმე ბაჩუკი ქარდავას არ ეხება. ეს პარტია ლამის ერთ საუკუნეს ითვლის და ახლა მისი გაუქმება, უბრალოდ, დანაშაულია. ისევე, როგორც თავის დროზე ასეთი გადაწყვეტილება რესპუბლიკელებმა ვერ მიიღეს, როცა „ალიანსი“ ალასანიამ დაშალა. სხვათა შორის, მაშინ ახლები პარტიის გაუქმებისთვის მზად იყვნენ. მაგრამ ნინო ბურჯანაძე სხვა ისტორიაა. როგორც ჩანს, არასაპარლამენტო ოპოზიციაში რამდენიმე კოალიცია შეიქმნება და ძირითადი ბრძოლა მაინც თბილისისთვის გაიმართება. ვინ იქნება თბილისში „მესამე მერი“, ანუ ვინ დაიკავებს „ქოცებისა“ და „ნაცების“ შემდეგ საპატიო ადგილს?



ოთხეულის მოლაპარაკებები გრძელდება და დღე-დღეზე გაირკვევა კახა კუკავას კანდიდატურას ბურჯანაძე დასთანხმდება თუ ის ახლებთან ერთად დარჩება.

ამ კვირაში ახალი კოალიციაც გამოვა საკუთარი მერობის კანდიდატით.

ასე რომ, მესამისთვის ბრძოლა მოსაწყენი არ იქნება.











© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ქალ ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების ფეხბურთელები ზვიად სიჭინავას უპირისპირდებიან




მაგდა კლდიაშვილი

**ქალთა ფეხბურთი საქართველოში მოწოდების სიმაღლეზე რომ არ არის, ეს გასაკვირი არავისთვისაა, რადგან არც კაცთა ფეხბურთშია საქმე დალაგებულად. საქართველოს ქალ ფეხბურთელთა ეროვნულმა ნაკრებმა ბოლო ოფიციალური შეხვედრა ერთი წლის წინ ჩაატარა და ასეთი შუალედებით უწევთ მათ ასპარეზობა. რეალურად რა პრობლემებია ქალთა ფეხბურთში და სად მიდის, მათთვის გამოყოფილი თანხები, დღემდე ეს ცნობილი არავისთვის არის, თუმცა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, ზვიად სიჭინავა პერიოდულად განმარტავს, რომ სახელმწიფო აუდიტი მათ აუდიტს უტარებს ამ საკითხთან დაკავშირებით. სამდღიანი შეკრება, დაუბანელი და მშიერი ქალი ფეხბურთელები, რა რეალობაა დღეს ქალთა ფეხბურთში და რატომ არ ინტერესდება ფეხბურთის ფედერაცია მდედრობითი სქესის მოთამაშეებით. რატომ აღარ ატარებს ქალთა ჩემპიონატს სფფ და რატომ არ შეხვედრია აქამდე ერთხელაც კი სიჭინავა ეროვნული ნაკრების ფეხბურთელებს. ქალ ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების წევრი, სალომე ხუბულური, ექსკლუზიურად, „პრაიმტაიმს“არსებულ პრობლემებზე ესაუბრა.**

**- რა პირობებში უწევთ დღეს ქალ ფეხბურთელებს ვარჯიში და თუ გაქვთ საერთოდ სავარჯიშო მოედანი?**

- დავიწყებ იქიდან, რომ რაც ზვიად სიჭინავა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი გახდა, ეროვნული ჩემპიონატი არ ჩატარებულა. ოთხ წელიწადზე მეტია. ნოდარ ახალკაცის დროს ტარდებოდა ჩემპიონატი და სწორედ ამის საშუალებით, ეროვნულმა ნაკრებმა ბევრი ახალგაზრდა ფეხბურთელი იპოვნა. რაჭის გუნდი იღებდა მაშინ მონაწილეობას ჩემპიონატში და სწორედ მათ რიგებში აღმოაჩინეს ნინო სუთიძე, რომელიც სამი წელია უკვე, თურქეთში, იზმირში თამაშობს და საკმაოდ წარმატებული ფეხბურთელია. სწორედ ამ ჩემპიონატმა აღმოაჩინა ეს ფეხბურთელი.

**- მაშინ სად ვარჯიშობდით?**

- ნაკრები, ჩამოყალიბების პროცესში, „ავაზაზე“ იკრიბებოდა, ახლა „ნორჩი დინამოს“ გუნდი ვართ ექვსი წელია. ვინც თბილისში ვცხოვრობთ, ჯაფარიძე გვავარჯიშებდა. მამუკა სვანაძის ხელმძღვანელობის დროსაც, ამ მოედანზე ვვარჯიშობდით. წლებია, ეს გუნდი, სრულიად უსასყიდლოდ გვითმობს სტადიონს, ვარჯიშის საშუალებას გვაძლევს და ბურთებსაც თავად გვათხოვებს. როდესაც ნაკრებს კრებდნენ, 160 გოგონა ვიყავით, ახლა კი, როდესაც გვიძახებენ, 24-25 ადამიანი გროვდება მხოლოდ. ეს იმის ბრალია, რომ არ ტარდებოდა ჩემპიონატი და დაინტერესება არ არის.

**- როდის ითამაშა ეროვნულმა ნაკრებმა ბოლოს ამხანაგური მატჩი?**

- საერთოდ ვერ ვხედავთ, ვერავინ, თუ მუშაობს ქალთა ფეხბურთზე და მის პრობლემებზე ვინმე. ბოლოს, ლატვიაში, ერთი წლის წინ ვითამაშეთ ოფიციალური მატჩი, ამხანაგური შეხვედრა კი ორი წლის წინ გვქონდა უკანასკნელად. თურქეთში ვიყავით, სადაც მოვატყუეთ, რომ ჩვენც მივიღებდით, მაგრამ დღემდე არ ჩატარებულა ის თამაში. ლიტვაში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე ვიყავით.

**- ლიტვაში მოგებით დაიწყეთ, თუმცა შემდეგ ძალიან კარგი შანსი გაუშვით ხელიდან. რა მოხდა რეალურად იქ?**

- წასვლამდე, მხოლოდ იმაზე ვლაპარაკობდით, რომ გრძელვადიანი შეკრება გაგვევლო. გვქონდა ინფორმაცია, რომ ჯგუფში არსებული ოთხი გუნდიდან, სამი ძალიან სერიოზულად ემზადებოდა ამ ტურნირისთვის და ყველას თანაბარი შანსი ჰქონდა ჯგუფიდან გასვლისა. გვინდოდა ხანგრძლივის შეკრება. ჩვენ კი მხოლოდ ხუთი დღე ვიყავით შეკრებაზე სასტუმრო „ვარაზში“. სასაცილო იყო ის ფაქტი, რომ ავტობუსს დღეში ორჯერ არ გვაძლევდნენ და მხოლოდ ერთხელ ვვარჯიშობდით, ისიც საათნახევარი. როგორც გავიგეთ, მონტენეგროს გუნდი, სამი თვე ემზადებოდა საკვალიფიკაციო ეტაპამდე და 12 ტესტ-მატჩიც გამართა. ტურნირამდე, ყველაზე ძლიერად ჯგუფში საქართველო და ლიტვა ითვლებოდნენ, ჯგუფიდან კი მონტენეგრო და ფარერები გავიდნენ. პირველად იყო, რომ ქვეჯგუფიდან ორ გუნდს ჰქონდა გასვლის შანსი და ხელიდან გავუშვით.

## სალომე ხუბულური: „მას შემდეგ, რაც ზვიად სიჭინავა სფფ-ს პრეზიდენტი გახდა, ეროვნული ჩემპიონატი არ ჩატარებულა“

**- საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა თქვენ მატყუარები გიწოდათ და განაცხადა, რომ ქალთა ფეხბურთი პრიორიტეტული არ არის. გქონდათ თუ არა უფრო უარესი შეკრებებიც, ვიდრე ეს „ვარაზში“ იყო?**

- თუ ჩვენ ვიტყუებით, რატომ ერთხელ არ შეგხვდა ამ ხნის განმავლობაში, რაც ის პრეზიდენტია? არც ცალკე, არც ჟურნალისტებთან ერთად, რატომ ერთხელ არ გამოთქვა სურვილი და დაინტერესება, დაგველაპარაკოს. ინტერვიუ წავიკითხე მისი, ქალთა ფეხბურთის ანგარიშებს, აუდიტი წელიწადში ორჯერ ამოწმებსო. ვინ ამოწმებს ან რას, ჩვენ გვკითხონ, საერთოდ რა იხარჯება ჩვენთვის. ყველაზე სამარცხვინო, რაც ფეხბურთს ვთამაშობ, ის იყო, რომ ნაკრების ტექნიკურ ბაზაზე, „ბასაზე“ გაგვიშვეს. მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი უნდა გვეთამაშა დანიაში. სამი დღით ვიყავით ბაზაზე. სრული სერიოზულობით ვაცხადებ, რომ ამ სამი დღის განმავლობაში ვიბანავეთ და ვჭამეთ ერთხელ. სიჭინავა ექვსი თვის მოსული იყო და ფინანსურად ცუდი სიტუაცია იყო. საწვავი არ იყო, რომ ჩვენთვის წყალი ჩაერთოთ დასაბანად და საჭმელი არ გვქონდა, ფული არ არისო. ბოლოს, ქალთა ფეხბურთის მიმართულების ხელმძღვანელმა, ნინო სორდიამ, დამეხოცებიან ბავშვები შიმშილითო და საკუთარი მაღაზიიდან მოგვიტანა საკვები. დანიაში ჩავფრინდით, საქართველოს დროით, დაახლოებით 5 საათი იქნებოდა. სასტუმროში მისვლისას გვითხრეს, ვიცით, რომ აქ უნდა დარჩეთ, მაგრამ ფული არ არის გადმორიცხული და სანამ არ დაჯდება ანგარიშზე, მანამდე ნომრებში ვერ შეგიშვებთო. ამხელა ეროვნული ნაკრები ერთი საათის განმავლობაში, ფოეში ვისხედით და ველოდებოდით, როდის გადმორიცხავდა სფფ ფულს, რომ ნომრებში შევსულიყავით და წყალი გადაგვევლო, რადგან საქართველოში სამი დღე დაუბანლები ვიყავით. ის თამაში 15:0 წავაგეთ და ყველა იცინოდა, მანამდე რა იყო, არავინ დაინტერესებულა. დანიასთან თამაშის შემდეგ, მესამე დღეს შოტლანდიასთან უნდა გვეთამაშა. დანიიდან საქართველოში დაგვაბრუნეს, ერთი ღამე გავატარეთ სახლში და მეორე დილით გავფრინდით. შოტლანდიაში ყველა გვეკითხებოდა, ხუმრობთ, მართლა საქართველოდან ჩამოფრინდითო? დანიიდან პირდაპირ შოტლანდიაში რომ გავფრენილიყავით, მეტი დასვენებისა და მომზადების დრო გვექნებოდა. იქ 3:1 წავაგეთ და ეს იყო სენსაცია - ამ სიძლიერის ნაკრებთან მცირე ანგარიშით რომ წავაგეთ. შოტლანდიაში სულ 16 კაცი ვიყავით წასული და არ გვყავდა ექიმი. ექიმის გარეშე ვიყავით ეროვნული ნაკრები ლიტვაშიც წასული. თამაშამდე, ვამბობდი კიდეც, უექიმოდ წასვლას, სულ არ წავიდეთ-მეთქი.

**- ნაკრების ექიმთან დაკავშირებით ბევრი კურიოზი მსმენია, მართალია, რასაც ჰყვებიან?**

- ადრე იყო ეს. ბევრს ვხუმრობთ მას შემდეგ ამაზე. ნაკრების ფეხბურთელს კოჭი გადაუბრუნდა და ექიმს ეკითხება, რა ვქნაო. მან კი უთხრა, ნიორის „კაკალი“ უნდა ჩაღეჭო შენივე კბილებით და დაიდო ნატკენზე. ვკითხეთ, სხვამ რომ ჩაგიღეჭოსო? - არ ექნება ეფექტიო, გვიპასუხა. ლიტვაში, წარუმატებლობის ერთ-ერთი მიზეზი ეგეც იყო. პირველი თამაშის შემდეგ 6 ფეხბურთელი იყო დამტვრეული.

**- მამუკა სვანაძე ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტიდან დაითხოვეს. რა გახდა მისი გათავისუფლების მიზეზი და როდის გაიგეთ ეს ნაკრების წევრებმა?**

- მთავარი მწვრთნელი ახლა გერა ნაჭყებიაა. მანამდე ეროვნული ნაკრების მწვრთნელი მამუკა სვანაძე იყო, მეორე - ნაჭყებია, 19-წლამდელთა ნაკრებში ეს პირიქით იყო და მხოლოდ საქართველოში შეიძლება მოხდეს მსგავსი რაღაცები. თუ იმიტომ გაათავისუფლეს სვანაძე, რომ მას შედეგი არ ჰქონდა, მაშინ მასთან ერთად მთელი სამწვრთნელო შტაბი უნდა გაეშვათ. ახლა სვანაძე აღარც ეროვნულშია და არც 19-წლამდელებში. ჩვენ საერთოდ ვინ რას გვეკითხება - არასდროს არავინ არაფერს. თავიანთი ინიციატივით ხსნიან, გვიშვებენ, დაგვცინიან. მარტო იმას აკეთებენ, რაც თავად უნდათ. არ მივტირით სვანაძეს და არც სხვა ვინმეს. მთავარია, იყოს კვალიფიციური მწვრთნელი, რომელიც ჩაატარებს ვარჯიშებს წესიერად, რომლის ხელშიც გვექნება შედეგი. დიდი ხანია, ვიცნობთ სვანაძეს, ვვარჯიშობთ და რეალურად, ეს არის უკანგადადგმული ნაბიჯი ამ ფაზაში. ბატონი გერა მუშაობდა მეორე მწვრთნელად, ვიცნობთ, ის კარგი ადამიანია, პირადული პრობლემა არ გვაქვს, მაგრამ მას არ შეუძლია ეროვნული ნაკრებს რამე ასწავლოს. დაახლოებით ორი თვის წინ გაუთავისუფლებიათ. როგორც ხდება ხოლმე, ასეთ ამბებს, გაზეთებიდან იგებ ან რეკავენ, მაგრამ ჩვენზე გაზეთშიც არაფერს წერენ. სვანაძემ შემთხვევით გაიგო მისი გათავისუფლების ამბავი და გვითხრა, თურმე თქვენი მწვრთნელი აღარ ვარ დიდი ხანიაო. ჩვენი ცალკე ვარჯიში, მართალია, სვანაძეს არ ეხებოდა, მაგრამ საქართველოში დარჩენილ ნაკრების ფეხბურთელებს, ფორმაში რომ ვყოფილიყავით, გვავარჯიშებდა. ახლა რა ქნას, ისიც არ იცის. საერთოდ არ ვვარჯიშობთ და მხოლოდ დავრბივართ ინდივიდუალურად, ტონუსში რომ ვიყოთ.



**- რა პერსპექტივა აქვს ქალთა ფეხბურთს და თუ არის იმის რესურსი, რომ ეროვნული ჩემპიონატი ჩატარდეს?**

- ამხანაგურ თამაშებზე არც კი ვოცნებობთ, ვიცით, რომ არ იქნება. ბევრი შემოთავაზებაა, გვეუბნებიან, მხოლოდ გზის ფული გადაიხადეთ, დანარჩენი ჩვენია, მაგრამ ესეც არ აინტერესებთ. მწვრთნელი შეგვიცვალეს და ისიც არ გაგვაგებინეს, მიგვიყვანონ, გაგვაცნონ, ეს თქვენი ახალი მწვრთნელია, აი, ეს ერთწლიანი პროგრამაა გაწერილი თქვენთვის. თუ რაიმე ოფიციალური ტურნირი არ მოვა, არ გვკრიბავენ. სამი-ოთხი დღე შეგვიყვანენ შეკრებაზე, წავალთ, რაღაცას ვიზამთ და დაგვცინიან მერე, თქვენ არანაირი შედეგი არ გაქვთ, გეგონება, რამეს აკეთებდნენ იმისთვის, რომ შედეგი გვქონდეს. რესურსს რაც შეეხება, ფუტსალის ასოციაცია ქალთა ტურნირს ატარებს, სადაც ძალიან ბევრი ფეხბურთელი თამაშობს, არც მეგონა, თუ ამდენი პროფესიონალი იქნებოდა. რეალურად, იმის რესურსი, რომ რვაგუნდიანი ჩემპიონატი ჩატარდეს, არსებობს. ჩემპიონატი დაგვეხმარებოდა, მუდმივად ფორმაში ვყოფილიყავით.

**- არის ნაკრების ფეხბურთელების მოთხოვნა სვანაძის გუნდში დაბრუნება?**

- საერთოდ, ფეხბურთელის პრეროგატივა არ არის მწვრთნელის დანიშვნა და დაბრუნება. ჩვენ იმას ვამბობთ, რომ თუკი შედეგების გამო მოხსნეს სვანაძე, მაშინ მისი სამწვრთნელო შტაბი უნდა გათავისუფლებულიყო. რა პირობა ჰქონდა სვანაძეს იმისთვის, რომ შედეგი დაედო? ჩვენი ჯანმრთელობის და ენთუზიაზმის ხარჯზე კეთდებოდა ის, რაც იყო. ჩვენ არ ვითხოვთ მის დაბრუნებას. გვჭირდება კვალიფიციური მწვრთნელი, რომელიც სერიოზულად მიუდგება საქმეს, გოგონებს მიხედავს და შედეგს დადებს. არ გვჭირდება ისეთი მწვრთნელი, რომელიც მხოლოდ ჭამაზე, ძილზე და ხელფასზე ფიქრობს, დანარჩენი კი არ აინტერესებს. როდესაც აჩიკო ჩხაბერიძე და მამუკა სვანაძე მუშაობდნენ ნაკრებში ერთად, ძალიან კარგი შედეგები გვქონდა, რადგან ჩხაბერიძე თავის საქმის პროფესიონალია. ლიტვაში ისე შევეცოდეთ, უპატრონოდ რომ ვიყავით, ექიმი მოგვამაგრეს. ნაკრების კაპიტანს, ტატა მატვეევას ფეხზე ჰემატომები ჰქონდა და მაღალი სიცხე, არც ვიცოდით, შეძლებდა თუ არა თამაშს. ექიმი არ გვყავს და ჩვენი ხარჯებით ვყიდულობთ იმ საჭირო ნივთებსა და მედიკამენტებს, რაც შეიძლება, დაგვჭირდეს. რომელ შედეგზე უნდა ილაპარაკო, როდესაც სპორტსმენს სამი დღე არ დაბან, არ აჭმევ. სასაცილოდ აქვთ აგდებული ქალთა ფეხბურთი.

**- დღეს რომ ასეთი მდგომარეობაა ქალთა ფეხბურთში, ზვიად სიჭინავას ბრალია?**

- თამამად შემიძლია ვთქვა, რომ - კი. ახალკაცის დროს, მაია ჯაფარიძე ჩხუბით და ყველა ხერხით ახერხებდა, რომ გვქონოდა ყველაფერი. „დიადორას“ ეკიპირება მაშინ დაგვირიგეს და დღემდე გვაქვს შემონახული. ნუგზარ ბოკერია ზრუნავდა ამაზე. დანიაში რომ მივდიოდით, აეროპორტში მოგვიტანეს 19-წლამდელ ჭაბუკთა გუნდის მაისურები, ჩამოსვლისას, ისევ აეროპორტში გაგვხადეს, რადგან ბიჭები სხვაგან მიდიოდნენ და შოტლანდიაში წასვლის დროსაც, ისევ აეროპორტში გამოვიცვალეთ, ჩამოვიდნენ და მოგვცეს მაისურები ისევ. ბოლო ტურნირზე, ძლივს მოგვცეს ფორმები, თუმცა ისიც ბიჭების ნაცვამი, ახალს ჩვენ არავინ ჩაგვაცმევს. როდესაც სპორტულ ფირმასთან კონტრაქტს დებ, ქალებისა და კაცების პარტია ეკიპირების ცალ-ცალკე იგზავნება, თუმცა ჩვენ არაფერი შეგხვედრია იქიდან.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ელიტარული „კაი ბიჭობა“

სალი კიპაროიძე

**ქვეყანაში, სადაც განვითარება და პროგრესულობა თითქოსდა ყველას გვინდა და შიშითა და ძრწოლვით ვიხსენებთ ბნელ 90-იანებს, ისე ვართ მიჩვეულები ამ „განვითარებად“ ცხოვრებას, რომ ვეღარ ვახერხებთ გათენდეს, განათდეს და საკუთარი პატარ-პატარა ნაკლები ყველამ დავინახოთ. თუმცა მიჩვეულები ვართ ასეთ ყოფას, სწორედ იმიტომ, რომ ჩვენ ასე ყველაზე უკეთ ვხედავთ სხვის ფიზიკურ, ფსიქიკურ და სხვა ნაკლოვანებებს. ინსტიტუტი, რომელზეც ახლა ვისაუბრებთ ბნელი 90-იანების ხანის ყველაზე დიდი გადმონაშთია. ბოლო პერიოდში ჩვენს ქალაქში თითქოს „ტაბუ“ აქვს დადებული „ქურდული მენტალიტეტის ყოველგვარ გამოვლინებას. მიუხედავად იმისა, რომ ყველა ერთად ცდილობდა ცეცხლითა და მახვილით აღმოეფხვრათ მოზარდებში „კაი ბიჭობის“ ინსტიტუტი და დღეს უკვე უბნებშიც შედარებით ნაკლებად ვხვდებით ე.წ. „ბირჟავიკებსა და ბესპრეძელებს“ და ერთი შეხედვით ამ ინსტიტუტის არსებობაც ნელ-ნელა ანაქრონიზმად იქცა, საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ ისევ მოდის „კაი“ გაგების მოზარდების მთელი ნაკადი. ნაკადი, რომელიც საკუთარ თავში ცდილობს ჩაატიოს „კაი ბიჭობის“ მათთვის ხელსაყრელი გაგება, მათ ნაკლებად იციან, რომ ეს „კაი ბიჭობა“ თურმე ძალიან რთულია.**









ქურდული ცხოვრების ისტორია ათვლას იწყებს მეოცე საუკუნის დასაწყისიდან. გადმოცემის მიხედვით, საბჭოთა კავშირის დროს ციხეებში ჰყავდათ გარკვეული ავტორიტეტის მქონე ხალხი, რომლებიც „უყურებდნენ“ სიტუაციას ციხეში, ასე და ამ რიგად მთავრობაც დიდად აღარ იწუხებდა თავს ციხეში სიტუაციის კონტროლით... ასეთი მენტალობის ჩამოყალიბებაზე, მისი იდეოლოგიის სწორად გაგებაზე და ზოგადად მის ყოფნა-არყოფნაზე ლაპარაკი შორს წაგვიყვანს. თუმცა ფაქტია, რომ დღევანდელი ელიტარული და პრესტიჟული „კაი ბიჭობა“ ძალიან ბევრ კონფლიქტს იწვევს. ასეთი ტიპის საზოგადოება „სასტავებად“ და „კუტოკებადაა“ დაყოფილი. დაყოფის მიუხედავად, ამ ჯგუფებში ერთნაირი იდეოლოგიისა და შეხედულებების მქონე ადამიანები ერთიანდებიან.

დღევანდელ „კაი ბიჭებს“ დროის უმეტესი ნაწილი ქუჩაში, თავიანთი უბნის „ბირჟებზე“ დგომით გაჰყავთ, ძირითადად იმოსებიან შავი სამოსით და დღის ნებისმიერ მონაკვეთში გამოირჩევიან მკაცრი და აგრესიული მზერით. აუცილებელია, გადაფურთხება 5 წუთში ერთხელ მაინც, გამოირჩევიან საუბრის განსაკუთრებული მანერით, ცხვირში ლაპარაკითა და სიტყვების „ხრინწით“ გამოთქმით. აუცილებლად ატარებს დანას „4 თითზე“ (უფრო დიდ დანაზე „სროკია“). ახასიათებს ჯანმრთელობის რამდენიმე მავნე ჩვევა, განსაკუთრებით მოწევა და დალევა. ხშირად არის დაკავებულიც, რადგან უბანში ხშირია ქუჩური გარჩევები. თუმცა ყოველგვარი კონფლიქტი „ძაღლების“ ჩარევის გარეშე გვარდება. უსმენს რეპს და მისი ყველა დროის საყვარელი ფილმებია „Scarface“ და „Godfather“. „კაი ბიჭისთვის“ დაუშვებელია მანდილოსანთან უწმაწური სიტყვების გამოყენება, მაგრამ, როგორც კი ეს მანდილოსანი თვალს მიეფარება... თუმცა იმაზე არავინ დაობს, რომ „კაი ბიჭის“ და კი ხელუხლებელია, „კაი ბიჭის“ დედაც(რა თქმა უნდა). იქმნება შთაბეჭდილება, რომ თითქოს, ეს რამე ცალკე ეთნოსია. დღევანდელი „კაი ბიჭები“, 90-იანების „კაი“ და „ძველი ბიჭებისგან“ განსხვავებით, ზედმიწევნითაც ვეღარ ერკვევიან „ფუნდამენტური ქურდული ტრადიციების ნიუანსებში“, ერთი სიტყვით, დღეს „კაი ბიჭობა“, „ძველბიჭური“ მანერები და ემოციების გამოხატვა ძარღვების „გასკდომამდე“, სხვა არაფერია თუ არა დროის კარგვა, დისკრიმინაციისა და უკანონობის მხარდაჭერა და უპერსპექტივობა. ცუდი ადამიანი არ არსებობს და ეს თითქოსდა „ცუდი ბიჭებიც“ კარგები არიან, თუმცა, სამწუხაროდ, ეს ყველაფერი ჯერ კიდევ მოდაშია.



პრეისტორიული კაი ბიჭი.

# პროექტი „წიგნები მაღალმთიან სოფლებს“

სალი კიპაროიძე

**პროექტი, რომელიც მაღალმთიანი სოფლების სკოლების წიგნებით აღჭურვასა და მათი ბიბლიოთეკების არსებობისთვის საჭირო სხვადასხვა ინვენტარით მომარაგებას ითვალისწინებს, ახალგაზრდული საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელობით თებერვლის პირველი რიცხვებიდან უკვე დაწყებულია და დღემდე აქტიურად მიმდინარეობს.**



უკვე წლებია, რაც მიგრაცია საქართველოსთვის ერთ-ერთი უპირველესი და გადაუჭრელი პრობლემაა, ეს არავისთვის ახალ ამბავს აღარ წარმოადგენს, თუმცა არც შიდა მიგრაციის მხრივ გვაქვს სახარბიელო მდგომარეობა, რომელმაც ბოლო წლებში საგრძნობლად იმატა. მაღალმთიანი სოფლებიდან მოსახლეობა საცხოვრებლად ბარში გადადის და მაღალმთიანი რაიონები ნელ-ნელა უკაცრიელდება. ამ ფაქტს მრავალი მიზეზი აქვს, თუმცა მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი განათლების მიღებაა. განათლების მიღება კი პიროვნების თვითრეალიზაციის უპირობო ლიდერია, ცალკეული ადამიანების განათლება კი თავის მხრივ ქვეყნის განვითარების საფუძველია. ასე რომ, განათლების მიღება სავალდებულოა, შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო დაწესებულებებში სწავლისთვის ხელსაყრელი პირობები იყოს შექმნილი. საქართველოს ბარის რაიონების სკოლებში, ასეა თუ ისე, ეს პრობლემები მოგვარებულია, თუმცა მაღალმთიან რაიონებში სავალალო მდგომარეობაა.

ასეთ მდგომარეობაში საქართველოს მაღალმთიანი სოფლების უამრავი სკოლაა. ამ პრობლემების გამო ბავშვები ძალიან ზარალდებიან, ბევრი ნიჭიერი მოსწავლე ვერ ახდენს საკუთარი თავის რეალიზაციას სრულყოფილად, დიდი სურვილის მიუხედავად, ვერ ივითარებს ზოგადი განათლებისთვის საჭირო უნარებს, რადგან მას არ აქვს განათლების მიღების შესაძლებლობა, არ აქვს წიგნები... სწორედ იმიტომ, რომ ეს არაა მხოლოდ ქვეყნის მთავრობის პრობლემა და მისი გადაჭრა თითოეული ჩვენგანის საფიქრალსაც უნდა წარმოადგენდეს, საინიციატივო ჯგუფმა საზოგადოებას მოგვცა შესაძლებლობა დავეხმაროთ წიგნებით მაღალმთიან სოფლებს. პროექტის იდეის ავტორი თეატრალური უნივერსიტეტის სტუდენტი თეკლა ქველაძეა, მასთან ერთად ამ პროექტს რამდენიმე კაცისგან შემდგარი ჯგუფი ახორციელებს. კონკრეტულად კი ჟურნალისტები ქეთი ქოჩლაძე და შოთა დიმიტრიშვილი, რეჟისორი თეონა მესტუმრე, ხელოვნებათმცოდნე მაიკო მესტუმრე და მხატვარი დავით კორომშინაძე. მათი ორგანიზებით მოხერხდა სხვადასხვა გამომცემლებთან თანამშრომლობა, რომლებმაც მაღალმთიან სოფლებს სხვადასხვა წიგნები აჩუქეს. პროექტის ფარგლებში პირველად ხევსურეთის რაიონის პირაქეთას, კერძოდ კი სოფელ ბარისახოს სკოლა მომარაგდება, სადაც 54 ბავშვი სწავლობს. მათ არც სამკითხველო დარბაზი აქვთ, ამ პრობლემის გადაჭრაში ჯგუფს „თიბისი“ ბანკი ეხმარება და ბარისახოს სკოლას სამკითხველო დარბაზს ურემონტებს. იმაზე თუ საიდან დაიბადა ეს იდეა, პროექტის ავტორი თეკლა ქველაძე გვესაუბრა.

**თეკლა ქველაძე:**

„ესე ერთ დღეს არ „გავსხივოსნებულვარ“. (იცინის). დიდი ხანია მაწუხებს მაღალმთიან რაიონებისა და იქ დარჩენილი ადამიანების პრობლემა. სტატისტიკურ მონაცემებს თუ გადავხედავთ ვნახავთ, 2002 წლის საყოველთაო აღწერით, მთელი ქვეყნის მასშტაბით, 164 სოფელია გაუკაცრიელებული. ხშირად ვყვები ერთ ისტორიას, როგორ განვიცადე როცა ხევსურეთში, სოფელ ხახმატში ერთი ჩემთვის ძალიან საყვარელი ბებოს სახლის ადგილას ნასახლარი და ნანგრევი დამხვდა. ამით იმის თქმა მინდა, რომ მთას არამცთუ ახალგაზრდები მოხუცებიც კი ტოვებენ, ძალიან რთულია იმ პირობებში ცხოვრება რაც მთაშია. უკანასკნელი სტატისტიკური მონაცემებით ამ რეგიონში 600-მდე ადამიანი ცხოვრობს, ეს არის ხევსურეთის დაცლის სერიოზული საშიშროება, მით უმეტეს, რომ არის საზღვრისპირა რაიონი და როცა ქვეყანაში არის ორი ოკუპირებული რეგიონი, ამ კუთხის განვითარება უნდა იყოს ქვეყნის პირველი პრიორიტეტი, ისევე ქვეყნის უსაფრთხოებისთვის. ამ ამბავს თითქოს არანაირი კავშირი არ აქვს პროექტთან, მაგრამ ვთვლი, რომ პირიქით არის, მიმაჩნია, რომ წიგნები არის საწინდარი განათლებული, ინტელექტუალი და პროგრესულად მოაზროვნე თაობისა, რაც თავისთავად გულისხმობს ამ რაიონების სიძლიერეზე. წიგნი და განათლება არის პირველი საწინდარი იმისა, რომ არ მოხდეს საქართველოს მთის დაცლა. მგონია, რომ განათლებული ადამიანი არასდროს მიატოვებს საკუთარ კერას და უფრო მეტად იზრუნებს თავის კუთხის განვითარებაზე. იქ მცხოვრები მოზარდებისთვის ახალგაზრდებისთვის უმეტეს შემთხვევაში არ არის ხელმისაწვდომი ის, რაც ჩვენთვის ყოველდღიურობაა, მოწყვეტილნი არიან ქვეყნის კულტურულ ცხოვრებას. ამ პროექტით და თანამედროვე ლიტერატურის ჩატანით მგონია, რომ მაღალმთიანი სოფლებში მცხოვრებ ადამიანებს ცოტათი მაინც გავუადვილებთ ყოფას“.

როგორც პროექტის ერთ-ერთმა თანაავტორმა, ჟურნალისტმა ქეთო ქოჩლაძემ გვითხრა, აღნიშნული პროექტი არ არის ერთჯერადი, ესაა პირველი გასვლა, თუმცა ამის შემდეგ წიგნებით, კიდევ ბევრი მაღალმთიანი რაიონების სკოლები მომარაგდება და პროექტი სისტემატურ ხასიათს მიიღებს.

**- თქვენი პროექტის სოციალური გვერდი უკვე ბევრმა ადამიანმა მოიწონა, „YOUTUBE“-ზე კი გაჩნდა ვიდეო მიმართვები.**

**ქეთო ქოჩლაძე:**

„დიახ, პროექტთან დაკავშირებით ინტერნეტსივრცეში გაჩნდა იმ ადამიანების მიმართვები, რომლებიც ასევე ძალიან გვეხმარებიან იდეის განხორციელებაში. ესენი არიან ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი გიორგი კეკელიძე, პოეტები სალომე ბენიძე და ალექსანდრე ლორთქიფანიძე, ასევე მწერალი ნატო დავითაშვილი, ჟურნალისტი ნატო სამადაშვილი, რეჟისორი მიშა ჩარკვიანი და მოაზროვნე სოსო ბერიკაშვილი. ისინი ჩვენთან ერთად მოუწოდებენ საზოგადოებას დაგვეხმარონ იდეის განხორციელებაში და სხვადასხვა გამომცემლებთან ერთად წვლილი შეიტანონ ამ პრობლემის ნაწილობრივ აღმოფხვრაში. მაღაზია „BOOK CITY“-ში და ბარ „არსად“-ში დგას ჩვენი ყუთები. იქ ყველას შეუძლია, მიიტანოს სხვადასხვა წიგნები, რომლებსაც მერე ჩვენ, ორგანიზატორები, მხატვრულ ლიტერატურაში გადავცვლით და მაღალმთიან სოფლებს მოვამარაგებთ“.

**- ვინ გაწვდით ინფორმაციას წიგნებით მოსამარაგებელი მაღალმთიანი რაიონების სკოლების შესახებ და დაახლოებით როდისთვის იგეგმება პირველი ეტაპის დამთავრება, როდის შეეძლებათ ბარისახოს სკოლის მოსწავლეებს ახალი წიგნებით სარგებლობა?**

„ინფორმაციას, სამწუხაროდ არავინ გვაწვდის, ჩვენივე გზებით ვცდილობთ შევიტყოთ სავალალო მდგომარეობაში მყოფი სკოლების შესახებ, ინტერნეტით, ნაცნობებით, მეგობრებით და ასე შემდეგ. ამჟამად ბარისახოს სკოლაში მიმდინარეობს სამკითხველო დარბაზის რემონტი, ჩვენ კი კვლავ საზოგადოებისა და გამომცემლების მოწყალების იმედით ვუგროვებთ წიგნებს იმ 54 ბავშვს, რომლებსაც ასე ძალიან უნდათ განათლების მიღება. იგეგმება ასევე პატარ-პატარა ლექციების ჩატარება ბავშვებისთვის სხვადასხვა საინტერესო თემებზეც, თუ ყველაფერი კარგად გაგრძელდა, მარტის ბოლოს პროექტის პირველი ეტაპი წარმატებით დამთავრდება და ლექცია-პრეზენტაციას ბარისახოს სკოლის მოსწავლეებისთვის ერთ-ერთი ორგანიზატორი დავით კორომშინაძე გააკეთებს. მინდა გითხრათ, რომ ეს არ იქნება პირველი და უკანასკნელი სკოლა, რადგან პროექტის ფარგლებში ვაპირებთ, რომ მთლიანად მოვიცვათ საქართველოს მთიანეთი“.

ასე რომ, ნუ ვამყოფებთ მთის სკოლის მოსწავლეებს ინფორმაციულ იზოლაციაში. ამ პროექტის დახმარებით, გვაქვს საშუალება ვისაც როგორ შეგვიძლია, დავეხმაროთ. ახალი თაობის ზოგადი განათლების მიღების შესაძლებლობაში საზოგადოების თითოეული წევრი უნდა ჩავერთოთ. ამ მცირედი დახმარებითაც კი საქართველოს მთიანეთი შეიძლება გაუკაცრიელებული სოფლების რაოდენობის ზრდისგან გადავარჩინოთ, შევინარჩუნოთ სოფლები და შესაბამისად, კულტურა, შევუნარჩუნოთ მომავალ თაობას სოფლად ცხოვრების სურვილი და მივცეთ მათ საკუთარი თავის თვითრეალიზაციის საშუალება. ახალგაზრდა თაობის განათლების დონე ხომ ქვეყნის განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საფუძველია.







© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ჭორაობა, ჭორაობა და ისევ ჭორაობა

**სალი კიპაროიძე**





თბილისში, რომ ყველა ყველას საქმეში ერევა ეს ახალი ამბავი არავისთვის აღარაა. ამ პატარა ქალაქში ჭორაობა საზოგადოების ძირითადი ნაწილის მთავარი საქმიანობაა. ჩვენთან პირადი ცხოვრება ხელშეუხებელი ნამდვილად არაა. ხშირად ზოგიერთმა ადამიანმა იმდენი არ იცის საკუთარ თავზე, რამდენიც მისმა მეზობელმა, ჯგუფელმა, კოლეგამ, ან სრულიად უცხო ადამიანმა. ამ „ჭორიკანა“ საზოგადოების თითოეული წევრის ყოველი ნაბიჯი აქტიურად განიხილება: რომელ საათზე გავიდა სახლიდან, რომელზე დაბრუნდა, ვისთან ერთად იყო, რა ეცვა, ეწევა თუ არა, თუ ეწევა რა სიგარეტს ეწევა, რა ზომა მკერდი აქვს, რამდენი შეყვარებული ჰყოლია, აქედან რომელი იყო უბრალოდ ფლირტი, ან რომელი სერიოზული და ასე უსასრულოდ. როცა ჭორს ახსენებ, ადამიანების უმრავლესობას მხოლოდ უარყოფითი ინტერპრეტაცია უჩნდება, მაგრამ, რეალურად, ეს კომუნიკაციის ძალიან მნიშვნელოვანი ფორმაა და რაც არ უნდა გასაკვირად მოგვეჩვენოს, ან უარვყოთ, ეს არის ის, რასაც ჩვენ, ყველა ვაკეთებთ ცხოვრების თითქმის ყველა ასპექტში. ჭორაობის სურვილს ადამიანში მხოლოდ გარკვეული სოციალური გარემოებები არ განაპირობებს და დამკვიდრებული დოგმა, რომ ამას მხოლოდ და მხოლოდ სხვისი კარგი ცხოვრებისადმი შური განაპირობებს, სრული აბსურდია. ჭორაობა თურმე მთელ მსოფლიოში გართობისა და რელაქსაციის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. მიუხედავად იმისა, რომ რელაქსაციის ამ ფორმას მამაკაცებიც ხშირად მიმართავენ, ამ საქმიანობაში უფრო გამოცდილები მაინც ქალები ვართ. სამეცნიერო კვლევების თანახმად, ქალები მამაკაცებზე სამჯერ მეტს ვლაპარაკობთ. ქალი დღეში საშუალოდ 20 ათას სიტყვას ამბობს. ეს ჩვენი აკვიატება სულაც არ არის და მასთან ბრძოლა პრაქტიკულად შეუძლებელია, რადგან ამერიკელი ფსიქოლოგები აცხადებენ, რომ მამაკაცებთან შედარებით ქალების ტვინში ბევრად უფრო მეტი უჯრედია, რომლებიც ლაპარაკზე აგებენ პასუხს. დადგენილია, რომ როდესაც ქალი ლაპარაკობს, იგი ჭეშმარიტ სიამოვნებას იღებს, რადგან თურმე ამ დროს სისხლში ბედნიერების ჰორმონები იწყებს გადასვლას. გარდა ამისა, დამტკიცებულია, რომ ადამიანი, რომელსაც თავისი პერსონის გარდა, სხვაზე ლაპარაკი არ უყვარს, ყველას მიმართ გულგრილია. ასე რომ, ზოგ შემთხვევაში ჭორაობა სრულიადაც არ ყოფილა უარყოფითი მოვლენა. პირიქით, ადამიანს იგი ფსიქოლოგიურად აწონასწორებს, აშორებს ჭარბ პესიმიზმს და კონფლიქტებისა და უმიზეზო რისხვისაგან იცავს.

ერთი სიტყვით, ყველა ჩვენგანს გაგვიჭორავს ვინმე და ცხოვრებაში ერთხელ მაინც ჩვენც გავმხდარვართ სხვისი ცხელ-ცხელი ჭორების მსხვერპლი. თავისთავად, რაც უფრო ცნობილი და მოთხოვნადია ადამიანი, ჭორაობის გავრცელების არეალი და მისი რაოდენობაც უფრო მეტია და ეს გასაკვირი სულაც არაა, რაც უფრო მეტი ადამიანი გიცნობს, მით უფრო ბევრი ლაპარაკობს შენზე. მსოფლიოს სხვა დანარჩენ ქალაქებთან შედარებით კი ჩვენს ქალაქში, მაინც უფრო შესაშური ენთუზიაზმით შეუძლიათ ადამიანებს ერთმანეთზე საუბარი.

## ანუ რაზე ჭორაობს თბილისი დღეს?!



დღესდღეობით მსოფლიოს მთავარი პრობლემა უკრაინაში არეულობაა. მიუხედავად იმისა, რომ ამ თემას ჩვენთანაც თვალზეცრემლმორეული განიხილავს საზოგადოების უმეტესობა და ჩვენს მეზობელ ქვეყანას მხარდაჭერას სოციალური ქსელის უკრაინის დროშის ფერებით აჭრელებით ვუცხადებთ, დღეს ჩვენთან მთავარ განხილვის საგანს მაინც, ლეონარდო დი კაპრიოს უოსკარობა და ორალური სექსის ავკარგიანობა წარმოადგენს.

ლეონარდო დი კაპრიოს ოსკარის გარეშე დარჩენით, გამოწვეული ისტერიკა მხოლოდ საქართველოში არ ყოფილა, თუმცა ამ ფაქტს თბილისში საოცრად დიდი მონდომებით განიხილავდნენ. რატომ გახდა ეს მაინცდამაინც წელს ასეთი პრობლემა, გაუგებარია, რადგან, ჯერ კიდევ 1998 წელს, როდესაც „ტიტანიკი“ 11 ნომინაციაზე წარადგინეს, ფილმმა ფაქტობრივად ყველაფერში აიღო ჯილდო, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ამ ფილმიდან ლამის „ზვიგენებიც“ იყვნენ ნომინირებულები, ლეონარდო დი კაპრიო, ჯეკ დოუსონის როლით, ნომინირებულიც კი არ ყოფილა. ამ ბრწყინვალე მსახიობმა საოცარი როლებით დაამახსოვრა საზოგადოებას თავი, თუმცა აღსანიშნავია ძლიერი კონკურენცია, რომელიც მას ყოველ წელს ხელს უშლის გამარჯვებაში. ეს კონკურენცია კი წელსაც არსებობდა მეთიუ მაკ კონაჰის სახით, რომელმაც „დალასის მყიდველთა კლუბში“ ტრიუმფალური ოსტატობა უჩვენა საზოგადოებას.

ბოლო პერიოდში თბილისელების მთავარი საჭორაო თემა მსახიობი თინა მახარაძე გახდა. მან „მძიმე კაცთან“ თავისი სკანდალური ინტერვიუს საშუალებით ქალაქი აალაპარაკა. საქართველოში მცხოვრები პროგრესულად მოაზროვნე ადამიანების 2%-ის ღირსეულმა წარმომადგენელმა ტელეეკრანიდან დიდი მონდომებით „დაგვმოძღვრა“. ინგლისურ ენაში ერთი შესანიშნავი სიტყვა არსებობს – „Patronizing“, სამწუხაროდ, ამ სიტყვის ზუსტი ქართული შესატყვისი არ გვაქვს, მაგრამ დაახლოებით, რომ ვთარგმნოთ ეს ისეთი ქცევაა, როდესაც ერთი კონკრეტული პიროვნება, (რომელსაც საკუთარი თავი სხვებზე გამოცდილი და ჭკვიანი ჰგონია) არიგებს დანარჩენებს, თითქოს მათზე ზრუნავდეს. ვინაიდან და რადგანაც ჩვენი უმრავლესობა, მსოფლმხედველურად პროტესტანტი მსახიობის მეგობრები არ ვართ, აბსოლუტურად გასაგები უნდა იყოს, რომ ბნელ 98%-ს არანაირი მორალური უფლება არ გვაქვს შევედაოთ მას. მიუხედავად ამისა, ბევრმა ადამიანმა გაბედა და კრიტიკის ქარცეცხლში გაახვია თინა მახარაძე. დანამდვილებით არავინ იცის ამ განათლებულმა გოგომ, ზუსტად როდის და სად გაარკვია ის, თუ ვინ რამდენად ბნელია და ვინ რამდენად რაფინირებული, მაგრამ ერთი რამის თქმა ზუსტად შეგვიძლია – ნაკლებად სახიფათოა ის ადამიანი, რომელიც საკუთარ სიბნელეს აღიქვამს, ვიდრე ბნელი ადამიანი, რომელიც საკუთარ სიბნელეს ვერ აცნობიერებს. ქვეყანაში მცირერიცხოვანი, პროგრესული ადამიანების არსებობა ძალიან სასიამოვნო და აუცილებელიც კია, მაგრამ ასე აშკარად ნუ დავმოძღვრავთ საზოგადოებას ტელეეკრანებიდან. თანაც პროგრესულობა ერთია და საზოგადოებაში თვითდამკვიდრება ფრაზებით „ქრისტე კაი ტიპია“, (ასეთმა ჭკვიანმა გოგომ ზუსტად იცოდა, რომ ჩვენ „ბნელ და ჩამორჩენილ“ საზოგადოებას გააღიზიანებდა) „სამი წლიდან წიგნს ვკითხულობ“ (საზოგადოებისთვის სრულიად გაუგებარი და ძნელი წარმოსადგენია როგორ) და აქტიურ სასაუბრო ლექსიკონში სიტყვა „სექსისა და ბოზის“, ასევე სიტყვა „პონტის“ ხმარება კი მეორე (მით უმეტეს, როცა სიტყვები „პროსტა და „ვაბშე“ გაღიზიანებს). უფრო მარტივად, რომ ვთქვათ, ესაა პარიზიდან ახალი დაბრუნებული, ნიჭიერი მსახიობის „ერთი მსახიობის თეატრი“, შავი პიარი, რომელიც არაფერს მიანიშნებს სხვას, თუ არა მცდელობას ამ პატარა ჭორიკანა ქალაქში თავად გახდეს „კაი ტიპი“, მცდელობამ შედეგი გამოიღო და ასეთმა ვითომდა ლიბერალურმა აზროვნებამ საზოგადოებაში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია, თუმცა მის ტაშის დამკვრელებს საგრძნობლად აღემატება ის „ბნელი“ საზოგადოება, რომელმაც, მისი ინტერვიუ „გაბედა“ და კრიტიკისა და აგრესიის ქარცეცხლში გაახვია. ორალური სექსის ავკარგიანობის განხილვა და ამის აფიშირება კი 21-ე საუკუნის საქართველოში, სადაც ადრინდელი საბჭოთა კავშირისგან განსხვავებით სექსი ნამდვილად არის, ცოტა არ იყოს სასაცილოა. ის რაც შენია, განსაკუთრებით ლოგინი, რომელიც ასე ინტიმურია, მგონი ჯობს ყველა ადამიანმა თავისთვის დაიტოვოს, (რა თქმა უნდა. თუ ეს, თქვენი კეთილი ნება და სურვილი არ იქნება და პიარისთვის არ დაგჭირდებათ), რადგან „ჭორიკანა“ ხალხს რა გამოლევს, გახსოვდეთ, რომ ადამიანები სხვებზე ყოველთვის დიდი ენთუზიაზმით ლაპარაკობენ, მით უმეტეს თუ მათ ასე დააინტრიგებთ და სალაპარაკო თემას მისცემთ, თორემ ყველამ კარგად ვიცით, რომ არამარტო თბილისში, მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქებში, უამრავი ღამე თენდება დაუსრულებელი „ჭორაობითა“ და სხვისი ცხოვრების აქტიურად განხილვით. „მსხვერპლადაც“ ნუ შევეწირებით ერის „კარმის“ გახსნასა და ამ „ბნელ“ საზოგადოებას, შეირგეთ თავისუფლება და სილაღე, რათა „მავანმა და მავანმა“ , განსაკუთრებით მათ, ვისაც „შარავანდედის ბრწყინვალება“ აწუხებთ, კარგად იციან ფრაზა, რომ „მორალს ყველაზე ამორალური ადამიანები კითხულობენ“.








**P.S. ინგლისელი მწერალი ჰენრი ფილდინგი კი ამბობდა, რომ „ჩაისა და ყავას ყველაზე მეტად ჭორისა და სიყვარულის მიტანება უხდება“.**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ნიკო გომელაურის პოეზია პერსონაჟებად

**my View**
**თამარ გონგაძე**

**ნიკო გომელაური 12 ივლისს 44 წლის გახდებოდა. 13 აპრილს კი (გარდაცვალების დღეს) ქუთაისში ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრში მისი ალბომის პრეზენტაციაა დაგეგმილი. როგორც მისი მეუღლე, ნინა ჩოდრიშვილი ამბობს, იქ გამორჩეულად უყვართ ნიკო. „ნიკოც თვლიდა, რომ ისეთი მაყურებელი, როგორიც ქუთაისშია, არსად არ მინახავსო. ის კი ბევრ ქვეყანაში იყო ნამყოფი. ერთ-ერთ სკოლაში მოვყევი - ნიკოს დისკზე ვმუშაობ-მეთქი და ჩვენთან არ გააკეთებთო? - მთხოვეს და ამიტომაც გადავწყვიტე, მისი გარდაცვალების დღეს ალბომის პრეზენტაცია იქ მოვაწყო“, - ამბობს ნინა.**

ალბომი სახელწოდებით „ნიკო“ ორი დისკისგან შედგება. ერთში გომელაური საკუთარ 200-მდე ლექსს კითხულობს, მეორეში კი კლასიკოსების - ილიას, აკაკის, ვაჟას, გალაკტიონის ლექსებს.

ნინამ ნიკოს ხმა ტელეფონიდან, ვიდეოკამერებიდან, ახლობლებისგან, მეგობრებისგან შეაგროვა. ზოგი საგრიმიოროშია ჩაწერილი, ზოგი სახლში და სხვადასხვა ადგილას. „რადიომ მომაწოდა უსასყიდლოდ. საქართველოს სხვადასხვა ქალაქებიდან გამომიგზავნეს ნიკოს ჩანაწერები. გამომიგზავნეს საზღვარგარეთიდანაც - სალონიკიდან, მოსკოვიდან. ნიკო ლექსს კითხულობს, იხსენებს ამბებს, მაგრამ მუსიკალური ფონის გარეშე, სუფთა ხმაა. მადლობა ყველას მოწოდებული მასალისთვის. მადლობა მიშა მაღალაშვილს“.

ნიკოს ხსოვნას რუსთაველის თეატრის ექსპერიმენტულ სცენაზე მსახიობებმა სპექტაკლად ქცეული მისივე პოეზია მიუძღვნეს. „მალე მოვალ წვიმად“ - ამ სათაურის ქვეშ გააერთიანა დათო საყვარელიძემ ნიკო გომელაურის ლექსები, რომლებსაც დადგმაში ათი მსახიობი კითხულობს. ერთი დრამატურგიული ხაზი არ ვითარდება, სხვადასხვა ემოციის, ჟანრის, ტიპის ლექსებს მსახიობები სხვადასხვა ტიპაჟების ჩარჩოთი კითხულობენ. ერთი დედაა, ერთი კოლორიტული თბილისელი, ერთი შეყვარებული ქალია, ერთი პირობითად ცოლი, ერთი მარტოსული ადამიანია, ერთი კითხვებით სავსე მამაკაცი, ერთი ცინიკოსი, ხუმარა... ყველა პერსონაჟი ნიკოა, მაგრამ სხვადასხვანაირი, სხვადასხვა სურნელითა და შეფერილობით, სხვადასხვა განწყობითა და ცხოვრებისეული დამოკიდებულებით. ვუსმენდი ემოციებმოწოლილ მსახიობებს და ვფიქრობდი, იქ, მარადიულ სამყოფელში, ნიკოს სული ხარობს-მეთქი. არ მომკვდარა, რადგან მუდმივად ახსენებენ, მისი ლექსებით სულს კვებავენ. ეს გარდაცვალებაა - რეჟიმის შეცვლა, დროისა და სივრცის გამოცვლა.



**დათო საყვარელიძე: „სხვადასხვა ჟანრის ლექსები არ ვიცოდით როგორ გაგვეერთიანებინა. მერე მსახიობებთან ერთად განვიხილე და კითხვისას პერსონაჟები დაიბადნენ, სხვადასხვა ადამიანები გაჩნდნენ“**

**ნინა ჩოდრიშვილი: „დღემდე დიდი მოთხოვნაა ნიკოს ლექსებზე, რომელსაც ნიკო პოეზიას არ ეძახდა, ამიტომ მეც „სიტყვას“ ვუწოდებ. ამ სიტყვას ძალა აღმოაჩნდა. ოთხი წელია მისი წიგნი ბესთსელერია“**

**ნინო კასრაძე: „რაც დავაკელი, როგორც პიროვნებას, პოეტსა და მოაზროვნეს, ამ გზით ვუძღვნი ჩემს დაგვიანებულ დამოკიდებულებას“**



**თემიკო ჭიჭინაძე: „მისი ლექსებით თავიდან აღმოვაჩინეთ“**



გელა ჩარკვიანის ნათქვამი მაგონდება, ინტერვიუს დროს მითხრა, ირაკლი რომ მენატრება, მის საფლავზე კი არ მივდივარ, მის სიმღერას ვუსმენ, მის ლექსს ან წიგნს ვკითხულობო. ნიკოც ახლობლების გულების გარდა მის ლექსებშია. ამიტომაც ეძებენ მუდმივად და გაუნელებელი წყურვილით.

**ნინა ჩოდრიშვილი:** „პრეზენტაციის ფორმას ვეძებდი. დათო საყვარელიძემ თქვა, სპექტაკლს გავაკეთებო. სპექტაკლი მომწონს, აქტუალურია, მსახიობებს კარგად მოაქვთ ემოცია, პერსონაჟებს აცოცხლებენ. მსახიობებმა პერსონაჟები თვითონ ამოარჩიეს. ვისაც რა სათქმელი აქვს, იმას ამბობს ნიკოს სიტყვების მოშველიებით“.

დათო საყვარელიძემ ერთ თვეში დადგა სპექტაკლი. მუსიკალურადაც მისი გაფორმებულია.

**დათო საყვარელიძე:** - არ ვიცოდით სხვადასხვა ჟანრის ლექსები როგორ გაგვეერთიანებინა. მერე მსახიობებთან ერთად განვიხილე და კითხვისას პერსონაჟები დაიბადნენ, სხვადასხვა ადამიანები გაჩნდნენ, ერთმანეთისგან განსხვავებულნი - ბავშვი, შეყვარებული, უბნელი, დედა... სპექტაკლიც ამ პრინციპით წავიყვანეთ. ჩვენ ისინი მის ცხოვრებაში, მის გარშემო დავინახეთ. ეს მსახიობები მისი მეგობრები არიან, ჩვენ ყველანი ერთად ვსწავლობდით. ფორმა, დამოკიდებულება ნიკოსა და მისი პოეზიის მიმართ, მაინც ემოციურია. ნიკოს პოეზია ღრმაა, ტკივილით სავსე. არის ლექსები, რომლებიც საუკუნეებს გაუძლებს.

**- თვითონ რას იტყოდა ამ სპექტაკლზე?**

- ალბათ, დაგვცინებდა, ეს რა არისო, გვეტყოდა.

დათო გოცირიძემ მარტოსული, თავში ჩაკეტილი, ღმერთთან სიახლოვის სურვილით აღტკინებული ახალგაზრდა კაცის სახე შექმნა. ემოციური იყო ის ლექსები, რომელიც მან წაიკითხა.

**დათო გოცირიძე:** - მე ნიკოს პირადად არ ვიცნობდი და ახლა მომეცა საშუალება, რომ მისი პოეზიით გამეცნო. ძალიან გამიხარდა და აქედან მადლობას ვუხდი მას. თავი შემაყვარა.

**ნინუცა მაყაშვილი:** - მე შეყვარებულს ვასახიერებ. როდესაც შეყვარებული ხარ, ყველაფერს სხვანაირად ხედავ. ფერადია ყველაფერი, თითქოს აფრიკულ სტილში, მზე ზღვა, ფერადოვნება.

ნინოს პერსონაჟი დედაა, სხვადასხვა ასაკში, ძალიან საინტერესო და ემოციური.

**ნინო კასრაძე:** - მე და ნიკო კურსელები ვიყავით, არანორმალურად მიყვარდა, ვგრძნობდი, რომ მასაც ვუყვარდი, მაგრამ ჩვენ მეგობრობა არ გვაკავშირებდა. რაც დავაკელი, როგორც პიროვნებას, პოეტსა და მოაზროვნეს, ამ გზით ვუძღვნი ჩემს დაგვიანებულ დამოკიდებულებას. ბევრი ლექსი წავიკითხე, ვიფიქრე, დედა მის ლექსებში ასეთი უნდა ყოფილიყო.

**ნინო თარხან-მოურავი:** - ჩვენ ვამხანაგობდით. ერთად გვითამაშია თეატრშიც, კინოშიც. გვინდოდა დადგმა არატრადიციული გზით გაგვეკეთებინა. სულ მისმიერ







წაკითხული ლექსები მაქვს ყურში. ჩვენთვის ძვირფასი საღამოა.

**თემიკო ჭიჭინაძე:** - ჩვენ ყველამ მის ხსოვნას მივუძღვენით ეს სპექტაკლი. პირობითი სახეები შევქმენით და წარმოვიდგინეთ, როგორი შეიძლებოდა ყოფილიყო მისი ლექსების გმირები. როგორიც იყო, მისი პოეზიიდან შეიტყობთ. საოცარი ნიჭის პატრონი იყო. მისი ლექსებით თავიდან აღმოვაჩინეთ. ამ დადგმას იუმორით შეხედავდა, მგონია, რომ გაუხარდებოდა.

**ლანა ღოღობერიძე**: - ძალიან საინტერესო დადგმა იყო, კარგი გადაწყვეტით, წინა პლანზე იუმორით. გენიალური პოეტია, ღრმა.

**ეკა ნიჟარაძე:** - მე არაობიექტური ვარ, ძალიან ვღელავ, ვერაფერს გეტყვით. ჩემზე ძალიან იმოქმედა.

**მარინა ჯანაშია:** - დიდმა ემოციამ ნიკოს სამყაროში გამაქანა და გადამკარგა. ცრემლებით ვიხრჩობი და ძლივს გელაპარაკებით. ძალიან კარგი საღამო იყო, მადლობის მეტი არაფერი მეთქმის. მე მაქვს კრებული, რომელიც მან მაჩუქა წარწერით - ქალბატონო მარინა, მიყვარხართ, თქვენი ნიკო. მისი ლექსები ერთი მთლიანობაა. მე ვარ ბედნიერი, რომ მასთან ერთად სცენაზე ვიდექი. ჩვენ ერთად ვითამაშეთ სპექტაკლ „ჯინსების თაობაში“.

**ნინა ჩოდრიშვილი:** - დღემდე დიდი მოთხოვნაა ნიკოს ლექსებზე, რომელსაც ნიკო პოეზიას არ ეძახდა, ამიტომ მეც „სიტყვას“ ვუწოდებ. ამ სიტყვას ძალა აღმოაჩნდა. ოთხი წელია მისი წიგნი ბესთსელერია. უდიდეს სიყვარულს ვხედავ. ეს სიყვარული არ ნელდება, პირიქით, გორდება. მასალა რის საშუალებასაც მაძლევს, ვცდილობ გამოვცე. დიდხანს, ალბათ, ვერ გავაკეთებ, მასალა ცოტაა, ის ხომ 39 წლის ასაკში წავიდა აქედან... ამდენად ეს არ არის ჩემი აქტიურობის შედეგი. თუმცა ამ აქტიურობით გამოვირჩევი. ხალხი მთხოვს და მინდა საქართველოს მასშტაბით რამე გავაკეთო...













© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# გიორგი ლიფონავა და სოფია სებისკვერაძე დაშორდნენ





EXCLUSIVE

## გიორგი ლიფონავა: „თავისუფლება ძალიან მნიშვნელოვანია ჩემთვის. ოჯახი მოძველებული და ირეალური თემაა. ქორწინება ყოფილა ჩემს ცხოვრებაში, მაგრამ მის გარეშე უფრო კარგად ვგრძნობ თავს“







## სოფია სებისკვერაძე: „ერთად ვიქნებით თუ არა, არ ვიცი. ალბათ, რაღაც დონეზე გვექნება ურთიერთობა, ვიმეგობრებთ. საერთოდ, მე არაფერს გამოვრიცხავ“

**my View**
თამარ გონგაძე

**გიორგი ლიფონავა და სოფია სებისკვერაძე ერთმანეთს დაშორდნენ. რეჟისორისა და მსახიობის ოთხწლიანი სიყვარულის ისტორია მედიისთვის მაინცდამაინც აფიშირებული არ ყოფილა. გიორგის პირადზე საუბარი არ უყვარს, ინტერვიუებზეც არ გიჟდება. სოფიამ შარშან მოგვცა ინტერვიუ და ძალიან ბედნიერიც ჩანდა. ახლახან კი ახმეტელის თეატრში სპექტაკლ „ტრუსებში“ სოფია მხოლოდ ტრუსების ამარა გამოვიდა სცენაზე. თეატრის ადმინისტრაციამ გადაწყვეტილება მიიღო, რომ ამ სკანდალურად წოდებულ სპექტაკლზე არასრულწლოვანები არ დაეშვათ. სოფიას გარდა ამ როლის შესრულებას არც ერთი მსახიობი არ დათანხმდა. პრესრელიზში ეწერა, რომ ნინას როლზე მხოლოდ „ქართველ მერლინ მონროდ“ წოდებული სებისკვერაძე დაიყოლიეს. მსახიობს ვკითხე, ნახა თუ არა ამ სპექტაკლში გიორგიმ? არ ვიცი, მგონი არ უნახავსო, მიპასუხა. პასუხმა ლოგიკური კითხვა დაბადა - ერთად აღარ ხართ? რამდენიმე თვეა, - გვითხრა სოფიამ.**

როგორც მოსალოდნელი იყო, რეჟისორმა ამ თემაზე კომენტარის გაკეთება არ ისურვა.

**- გიორგი, სოფიაზე მინდა გკითხოთ.**

**გიორგი ლიფონავა:** - არა, არ მსურს ამ თემაზე ლაპარაკი. საერთოდ არ ვლაპარაკობ. უკაცრავად.

წყვილი ერთმანეთს პირველი ოჯახის დანგრევის შემდეგ შეხვდა. სოფიას პირველი ქორწინებიდან ქალიშვილი ჰყავს. ერთმანეთი კი „ჩიფსების თაობის“ გადაღების დროს გაიცნეს.

**სოფია სებისკვერაძე:** - ნელ-ნელა დავახლოვდით. ძალიან საინტერესო ტიპია გიორგი. ძლიერი ადამიანია, სხვათა შორის, ფეთქებადიც და რაც მთავარია, ძალიან მოსიყვარულეც. შემიყვარდა ისეთი, როგორიც არის. თავისი ცუდი და კარგი თვისებებით. ჩვენზე ცუდი ხმები და ჭორაობა არასოდეს მსმენია, რაც, ალბათ, უნდა მიკვირდეს კიდეც, თუმცა ფაქტია, უბრალოდ, ჩვენი ერთად ყოფნა ვილაცებს უხაროდათ ან არ უხაროდათ, ეგ იყო სულ. ან შეიძლება იმიტომაც არ გამიგია, რომ არ მაინტერესებდა. ზოგადად, ალბათ, უფრო კარგი რეჟისორია, ვიდრე ქალებისთვის სასურველი მამაკაცი. მე არ ვამბობ, ჩემთვის კონკრეტულად. ასე ვფიქრობ, რადგან შეიძლება სხვისთვის არ იყოს იდეალური ადამიანი გიორგი, ჩემთვის, ალბათ, ასეა. ან შეიძლება არც არის იდეალური, უბრალოდ, ამ ეტაპზე, მომწონს და მსიამოვნებს მასთან ურთიერთობა. გიორგისთან ურთიერთობამ ეჭვიანი გამხადა. მინდა, ის მარტო მე მეკუთვნოდეს.

ასე ახასიათებდა საყვარელ მამაკაცს სოფია დაახლოებით ერთი წლის წინ. გიორგი კი პრესაში თვისი ხასიათის შტრიხებს ამ კუთხით აცნობდა მკითხველს.

**გიორგი ლიფონავა:** - „ჩემი ცოლის დაქალებში“ იდეალური ქართველი ქმრის სახე შევქმენით. მე ასეთი ტიპაჟი ვერასოდეს ვიქნები. თავისუფლება ძალიან მნიშვნელოვანია ჩემთვის. ოჯახი მოძველებული და ირეალური თემაა. მგონია, რომ ოჯახი სიცრუესა და საკუთარი პრინციპების საწინააღმდეგოდ წასვლას მოითხოვს. თუმცა, მეორე მხრივ, იმდენად დადებითი მხარე აქვს, რომ შეიძლება ეს პრობლემები გადაფაროს კიდეც. ჩემ შემთხვევაში ეს კომპრომისები არ დავუშვი. ქორწინება ყოფილა ჩემს ცხოვრებაში, მაგრამ მის გარეშე უფრო კარგად ვგრძნობ თავს. ჩემი საქმე მიყვარს. ოჯახური ცხოვრება კი, მგონია, რომ საქმეში მაჩერებს. მაინც ყველაფერში თავისუფლებასთან მივდივართ. ახლა კი ამას ყველაზე მეტად ვაფასებ. თუ თავისუფალი არ ვარ, ვერ განვვითარდები.

დაქორწინებას არ ვჩქარობთ და არ ვგეგმავთო, ამბობდა სოფია ინტერვიუებში. ამის არ სურვილი გიორგის ამ კომენტარშიც კარგად ჩანს.



**სოფია სებისკვერაძე:** - გულწრფელობა მთავარია ჩვენს ურთიერთობაში, ტყუილი არ უნდა ითქვას. როდესაც ტყუილის თქმის სურვილი გაჩნდება, ჩვენი ურთიერთობაც აღარ იქნება. ჩვენ კარგი მეგობრები ვართ, ამიტომ ვცდილობთ, ერთმანეთი ტყუილებით არ დავამძიმოთ. პირიქით, მთავარია, ერთმანეთს სიამოვნება მივანიჭოთ და არ „დავგრუზოთ“. საერთოდ, ჩემთვის გიორგი ყველაზე საინტერესო მამაკაცია, ვისაც კი ოდესმე შევხვედრივარ. ყველაზე თავისუფალი და განთავისუფლებული კომპლექსებისგან, ვისაც კი დედამიწის ზურგზე ვიცნობ. ამას წინათ ვხუმრობდი, მთელი თინეიჯერობა ზეადამიანს ვეძებდი, მგონი, ვიპოვე და ახლა რაღა უნდა მოვძებნო-მეთქი.

## სოფია სებისკვერაძე: „ამ ეტაპზე ასე გვირჩევნია ორივეს. ტრაგედიას არც მე ვქმნი და არც გიორგი. მაინც ხშირად ვნახულობთ ერთმანეთს. უბრალოდ, გადავწყვიტეთ, რომ არ ვიყოთ ერთად“



ესეც შარშანდელი განწყობაა. ახლა კი სოფია ექსკლუზიურად აცხადებს, რომ ამ ზეადამიანს დაშორდა.

**სოფია სებისკვერაძე:** - მე და გიორგი რამდენიმე თვეა ერთად აღარ ვართ. ისე, ვმეგობრობთ. ბევრი საერთო მეგობარი გვყავს. ხშირად ვხედავთ ერთმანეთს.

**- რატომ დაშორდით ერთამანეთს?**

- ამის მიზეზი არ არსებობს.

**- ამოწურეთ ერთმანეთი?**

- ასეც ვერ ვიტყოდი. ამ ეტაპზე ასე გვირჩევნია ორივეს.

**- ანუ დროებითი გათიშვის პერიოდი გაქვთ?**

- არ ვიცი, ალბათ. ამ ეტაპზე ერთმანეთის პირადი ცხოვრებით არ ვინტერესდებით.

**- მესამე ხომ არ გახდა დაშორების მიზეზი?**

- არა, სხვათა შორის. ჩვენდა უნებურად მოვლენები ასე განვითარდა.

**- როგორ ფიქრობ, შერიგდებით?**

- ნაჩხუბრები არ ვართ. არც ვემდურით. ერთად ვიქნებით თუ არა, არ ვიცი. ალბათ, რაღაც დონეზე გვექნება ურთიერთობა, ვიმეგობრებთ. საერთოდ, მე არაფერს გამოვრიცხავ. ტრაგედიას არც მე ვქმნი და არც გიორგი. მაინც ხშირად ვნახულობთ ერთმანეთს. უბრალოდ, გადავწყვიტეთ, რომ არ ვიყოთ ერთად.

**- გნახა სპექტაკლ „ტრუსებში“?**

- დამირეკავდა და მეტყოდა. ალბათ, მაგისთვის არ სცალია.

**- მოწყენილი მეჩვენები...**

- არა, გაციებული ვარ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ორჰან ფამუქი წარმოსახ



**my View**

**თამარ გონგაძე**

**დავეთანხმები ორჰან ფამუქს, ის ნამდვილად ვიზუალური მწერალია, კინემატოგრაფიული ხედვით. მან ასეთ კატეგორიას თავად მიაკუთვნა თავი. ის ფერმწერი მწერალია. „უმანკოების მუზეუმის“ კითხვისას ნამდვილად ვხედავდი ფუსუნის კაბების ფერს, საყურეებისა და თმის სარჭების თვლებსა თუ კომშის საფცქვნელის დეტალებს, მცემდა ზღვის სანაპიროზე მდებარე თევზის რესტორნიდან წამოსული მლაშე სუნს შერეული შეწვარი სკუმბრიის სუნი. ასეთივე განცდა გეუფლებათ რომანის - „მე წითელი მქვია“ კითხვისას. ფერები აღმოსავლური სილაღითა და სიჭრელით გეჭრებათ წარმოსახვაში. ძნელად მახსენდება მწერალი, რომელიც ისე ავიზუალურებს თავის რომანს, რომ მას მუზეუმს უძღვნიდეს. „უმანკოების მუზეუმის“ მკითხველს შეუძლია რომანის გმირების ოთახებს, ნივთებს, მთელ ისტორიას შეეხოს მუზეუმში, რომელიც სტამბულშია. „სურათები და სიტყვები“- ფამუქის განმარტებით არის კვლევა, მხატვრობასა და ლიტერატურას შორის არსებულ ისტორიულ კავშირზე, რომელსაც ის სტუდენტებს კოლუმბიის უნივერსიტეტში უკითხავს. ხატავს და ასეთ ზეგავლენას ამიტომაც ახდენს მის მიერ დაწერილი წიგნები. ორჰანი რომ მხატვარია მისი რომანების სათაურებში ჩანს. ის ფერებს იყენებს - „თეთრი ციხესიმაგრე“, „შავი წიგნი“, „მე წითელი მქვია“. თბილისში ჩამოსულმა აღნიშნა, რომ უყვარს ფიროსმანი. აღნიშნა კიდეც აღფრთოვანებულმა, რომ აპირებს ფიროსმანზე დაწეროს. მისი სახით დიდი საგანძური გაქვთო. აღნიშნა, რომ ძველი თბილისის არქიტექტურამ მოხიბლა, ქალაქი ისეთივე პოეტური დახვდა, როგორი წარმოდგენაც მასზე ჰქონდა. მწერალს თბილისი რომანში „თოვლი“ ნახსენები აქვს. „მიხარია, რომ ნანახი დაემთხვა ჩემს წარმოსახვას თბილისზე“ - გვითხრა ფამუქმა.**

ძალიან უშუალო, გახსნილი, მართალი ადამიანის შთაბეჭდილება დატოვა. გულწრფელობით ჰყვებოდა ამბებს თავისი ცხოვრებიდან. იუმორი, თვითირონია, არტისტულობა, აზარტულობა - ისე ზომიერად აქვს, თავს არ გაბეზრებს. გულიანად იცინოდა და თავის განწყობას დარბაზს ადვილად გადასცემდა. ბუნებრივია, გრძნობდა დარბაზიდან მისკენ მიმართულ ენერგეტიკას და იმიტომაც გაიხსნა ასე.







„თბილისი ყოველთვის ძალიან პოეტურ ქალაქად წარმომედგინა. რომანში „თოვლი“ გმირი სიზმარში ნახულობს თოვლიან თბილისს. მე თბილისში თოვლი არ მინახავს, მაგრამ ძალიან გამახარა იმან, რომ ამ წარმოდგენამ გაამართლა და თბილისი ძალიან პოეტური, ისტორიული, მელანქოლიური განწყობის ქალაქია“

### თბილისი

რუსთაველის თეატრში მისული ჯერ ჟურნალისტებს შეგვხვდა.

**- როგორ ფიქრობთ, რატომ ხართ საქართველოში პოპულარული?**

- არ ვიცი, მე ვწერ იმაზე, რაზეც მსურს. ჩემს შინაგან ხმას, ინტუიციას, გამოცდილებას მივყვები. ალბათ, იმიტომ რომ ჩემი გმირებიც ჩვენნაირი ადამიანები არიან, ჩვენ მსგავსად ცხოვრობენ, უყვართ, განიცდიან, ექვიანობენ...

**- თბილისზე რა შთაბეჭდილება დაგრჩათ?**

- ქუჩებში ვისეირნე, ძველი უბნები ვნახე, დავათვალიერე ეკლესიები, მეჩეთი, მინარეთი, მდინარის სანაპირო, სახლები. მომეწონა არქიტექტურა, ღვინის სახლები. თბილისი მდიდარია თავისი კულტურით. ბედნიერი ვარ, რომ ასეთი ძლიერი კულტურის ქალაქში მოვხვდი სტუმრად. თბილისი ყოველთვის ძალიან პოეტურ ქალაქად წარმომედგინა. რომანში „თოვლი“ გმირი სიზმარში ნახულობს თოვლიან თბილისს. მე თბილისში თოვლი არ მინახავს, მაგრამ ძალიან გამახარა იმან, რომ ამ წარმოდგენამ გაამართლა და თბილისი ძალიან პოეტური, ისტორიული, მელანქოლიური განწყობის ქალაქია, განსაკუთრებით ძველი თბილისი. არაფერია იმაზე კარგი, რომ ნანახი წინასწარ შექმნილ აზრს გაამართლებს.

ფოტოხელოვანმა გოგა ჩანადირმა თურქ მწერალს სხვადასხვა ადგილას ფოტოები გადაუღო და ფოტოკოლაჟი მოგვაწოდა.

### „რთულია იყო თურქი მწერალი, ქართველიც“

თურქი ნობელისტი მწერალი თბილისში „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობისა“ და თავისუფალი და აგრარული უნივერსიტეტების მოწვევით ჩამოვიდა. გამომცემლობა სამომავლოდ ძალიან ცნობილი მწერლების ჩამოყვანას გეგმავს.

ფამუქს რუსთაველის თეატრის დარბაზი თბილად შეხვდა. მწერალიც კარგი განწყობით ავიდა სცენაზე, ფოტო გადაუღო დარბაზს, რომელიც ემოციასა და რეაქციას არ უგვიანებდა თურქ მწერალს.

**ორჰან ფამუქი:** „რთულია იყო თურქი მწერალი, ქართველიც. დასავლეთში არ იციან არც ქართული და არც თურქული. არც მეგობრები მყავს გამომცემლობაში. არის დიდი იმედგაცრუება, ბრაზი, მაგრამ როგორც კი ერთხელ რომელიმე ენაზე ითარგმნება შენი ნაწარმოები, შემდეგ უკვე ჯაჭვური რეაქციით მიდის შენი შემოქმედების გაცნობა.

40 წლის წინ, პირველი წიგნი რომ ვერ დავბეჭდე, უბედური არ ვიყავი, არ განმიცდია, რადგან ზუსტად ვიცოდი, რომ 40 წლის შემდეგ თბილისში ასე კეთილგანწყობილ, წიგნიერ ქართველებთან აღმოვჩნდებოდი და მათ ვესაუბრებოდი ჩემზე, ისინი კი ყურადღებით მომისმენდნენ“.

### პოეტი

„17-დან 23 წლამდე, ისე, როგორც ყველა თურქი ბიჭი, მეც ვწერდი ლექსებს. მხატვრობასავით, რალაც პერიოდი, პოეზიაც მიტაცებდა. საერთოდაც წერა პოეზიით დავიწყე. ლექსის წერისას ბევრი რამ უნდა გაითვალისწინო. პოეტს აღიქვამდნენ, როგორც უფლისგან კურთხეულს. თითქოს მეტაფიზიკური, ღვთაებრივი ძალა აწერინებდა პოეტს. საქართველოში პოეზიის დიდი გამოცდილება გაქვთ. ჯერ უნდა იყო პოეტი, რომ მერე დაიმკვიდრო ადგილი, იყო ცნობილი, ბიუროკრატიას მიეკუთვნებოდე. მე არ ვიყავი იმდენად იღბლიანი, რომ ღმერთს ჩემთვის ყურში ჩაეჩურჩულებინა - რა დამეწერა. მე წარმოვიდგინე, რა შეიძლებოდა ჩემთვის ღმერთს ეთქვა და სწორედ ეს გადავიტანე ფურცელზე. მივხვდი, რომ ცუდი პოეტი ვიყავი და შევეშვი“.



„დედაჩემმა თქვა, „მე წითელი მქვია“ მთლიანად ჩემზეაო. იქ ჩემი ურთიერთობაა დედაჩემთან, ჩემს ძმასთან. ხშირად ვხუმრობ, ეს წიგნი ჩემი ოჯახის ქრონიკაა 1950 წლიდან მოყოლებული-მეთქი“

### ქრონიკები

„2002 წლიდან რომან „სტამბულის“ შესახებ დაწერილი სტატიების ერთად თავმოყრა გადავწყვიტე. გამომცემლებმაც წამაქეზეს. ჰოდა, მეც გადავწყვიტე დამეწერა წიგნი, რომელიც ავტობიოგრაფიულიც იქნებოდა და თან სტამბულის ქრონიკაც. მაშინ დავფიქრდი, რამდენად ბევრი რამ გვახსოვს ადამიანებს ჩვენი ცხოვრებიდან. მოგონებები მწუხარების, ბედნიერების, სევდის, ექვიანობის, იმედგაცრიების შესახებ - ეს ყველაფერი გროვდება ჩვენში. ყველაფერი ვერ ჩაეტეოდა 300 გვერდიან წიგნში. ამიტომ შევკვეცე“.

### ოჯახის წევრები რომანებში

ძალიან გადამდები იყო ფამუქის მონათხრობით გამოწვეული ემოცია მის ოჯახის წევრებზე. ხუმრობდა, თუ როგორ დაუჩემა ბიძამ, გინდა თუ არა, ჩემზე წერ რომანშიო.

**ორჰან ფამუქი:** „მოვიდა ბიძაჩემი და მეუბნება, ეს გმირი მე არ მგავს, როდის მაქვს ლურჯი თვალები? მე ინჟინერი ვარ? რატომ გამომიყვანე ასე ცუდად? არ ხარ შენ ამ გმირში-მეთქი ვუთხარი. არა, ვარ!!!“

**- „მდუმარე სახლში“ არიან თქვენი ოჯახის წევრების პროტოტიპები?**

- ეს წიგნი მართლაც მთლიანად ეძღვნება ჩემს ორ ბებიას. მათ თავიანთ ქმრებზე 30 წლით მეტი იცხოვრეს, ცხოვრების დიდი ნაწილი მარტოობაში გაატარეს. მამის დედას მზარეული ჰყავდა, რომელთან ურთიერთობაც წიგნში მთლიანად გადმოტანილია. როდესაც მამიდამ წაიკითხა პირველი სამი გვერდი, მაშინვე ამოიცნო გმირები და თქვა, მე ამ წიგნს აღარ წავიკითხავო. დედაჩემმა თქვა, „მე წითელი მქვია“ მთლიანად ჩემზეაო. იქ ჩემი ურთიერთობაა დედაჩემთან, ჩემს ძმასთან. ხშირად ვხუმრობ, ეს წიგნი ჩემი ოჯახის ქრონიკაა 1950 წლიდან მოყოლებული-მეთქი“.

### კალმით

„რომანებს ხელით ვწერ, კომპიუტერს არ ვეკარები, არც მეილს ვამოწმებ, არც ახალ ამბებს ვუსმენ ტელევიზორში. კალამი და ფურცელი, სულ ესაა რაც მჭირდება და, რა თქმა უნდა, სიჩუმე ოთახში. კალამი მე სულ თან მაქვს. წინასწარ ვემზადები რომანის დასაწერად. თავები წინასწარ მაქვს ხოლმე გაწერილი. თუ სადღაც გავიჭედე და ვერ ვწერ, ვწყვეტ და შემდეგ თავზე გადავდივარ. ტილოს რომ ვხატავ, ერთი კუთხე თუ არ გამომდის, მეორე კუთხის ხატვას ვაგრძელებ. 1978 წლიდან 1980 წლამდე სამასგვერდიანი პოლიტიკური ნაწარმოები მაქვს დაწერილი. მემარცხენე ანარქისტი მდიდარი მეგობრები მყავდა. წიგნში აღვწერე სა-





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ვით პოეტურ თბილისში

EXCLUSIVE







ფოტორეპორტაჟი: გიგა ჩანადირი

**„40 წლის წინ პირველი წიგნი რომ ვერ დავბეჭდე, უბედური არ ვიყავი, არ განმიცდია, რადგან ზუსტად ვიცოდი, რომ 40 წლის შემდეგ თბილისში ასე კეთილგანწყობილ, წიგნიერ ქართველებთან აღმოვჩნდებოდი და მათ ვესაუბრებოდი ჩემზე, ისინი კი ყურადღებით მომისმენდნენ“**

ზაფხულო ვილებზე მოყოლილი პოლიტიკის შესახებ. წიგნი ნოსტალგიურია. მაგრამ 80-იან წლებში მეგობრებისგან იყო ზეწოლა, არ გამოაქვეყნოო. ახლა მინდა დავამთავრო ეს წიგნი. შესავალში მივუთითებ, რომელი თავებია 35 წლის წინ დაწერილი და რომელი ახლა. ასაკის მატებასთან ერთად განწყობა იცვლება. ჩემს ძველ მეგობრებს, რა თქმა უნდა, ისეთივე თვალით ვერ აღვიქვამ, როგორც იმ წლებში“.

### ფერმწერი მწერალი

ორჰანმა მოგვიყვა, რომ ადრეულ წლებში სულ ხატავდა. ოჯახის წევრები სულ ინჟინრები ჰყავდა და მაგალითების გამოყვანაში ამეცადინებდნენ. მწერალმა გაიხსენა, თუ როგორ ეკითხებოდა ბიძა მუდმივად რაღაც ამოცანას. ხატავ? შენ შეგიძლია არქიტექტორი გამოხვიდეო, უთხრეს. ისწავლა კიდეც არქიტექტურის ფაკულტეტზე. მაგრამ, როგორც ამბობს, მიხვდა, რომ არც არქიტექტურა აინტერესებდა და არც მაინცდამაინც მხატვრობა, ის მწერალი უნდა ყოფილიყო.

**- მხატვარზე არაფერს წერთ?**

- ამას ხშირად მეკითხებიან და გადავწყვიტე დამეწერა თურქ მხატვარზე და მომეთხრო, რა განცდაა ხატვის პროცესი. როდესაც ვხატავ, უფრო ბედნიერი ვარ, მაგრამ შემოქმედი ნაკლებად. თითქოს თავისით უსვამს ფუნჯი ტილოზე ფერებს, წერის დროს უბედური ვარ, სამაგიეროდ გაცილებით შემოქმედი. კოლუმბიის უნივერსიტეტში ვასწავლი და ვკითხულობ ლექციას ისტორიული ურთიერთქმედება ფერწერასა და ლიტერატურას შორის. ეს არის ორი ის სფერო, რომელიც ერთსა და იმავე ეფექტს ახდენს ადამიანზე. მხატვრობამ მე ვიზუალურ მწერლად მაქცია. ლიტერატურა სურათებად აღიქმება. სტუდენტებთან ექსპერიმენტი ჩავატარე, ვთხოვე - თვალები დახუჭეთ და დაფიქრდით რამეზე. გაახილეთ და მოყევით რამ გაგირბინათ გონებაში-მეთქი. აღმოჩნდა, რომ კადრებად ფიქრობენ ადამიანები. ჩვენ ვფიქრობთ, როგორც სიტყვებით, ისე გამოსახულებებით. წიგნის კითხვის დროსაც ასეა. მე რომანისტი ვარ და ამ მხრივ უფრო დაინტერესებული ვარ. კითხვისას ინფორმაცია შემოდის სიტყვების და ვიზუალური სურათების სახით. მე ორ კატეგორიად ვმიჯნავ მწერლებს. ზოგი მწერალი სიტყვებით მოქმედებს ჩვენს წარმოსახვაზე, ზოგი ვიზუალურად. მაგალითად, დოსტოევსკი სიტყვების მწერალია, ტოლსტოი ვიზუალური. ის ისე წერს, რომ ყველაფერს ხედავ, რა ფერის ავეჯია, რა სამოსი აცვიათ გმირებს... დოსტოევსკისთან კი გმირზე კითხვისას ზოგადად წარმოვიდგენთ ქალს და მამაკაცს. მე მიმაჩნია, რომ ვიზუალური მწერლების რიცხვს მივეკუთვნები.

### „შავი წიგნი“

„თურქეთში ამ წიგნს საკმაოდ დიდი მოყვარულები ჰყავს. ხშირად ცუდად მეხუმრებიან, ბატონო ფამუქ, რაღატომ წერთ, ამაზე უკეთესს ხომ ვერაფერს დაწერთო? ეს წიგნი ჩემთვის ძალიან ძვირფასია, თითქოს ჩემი ხმა ვიპოვე, გავაჟღერე. ანალოგიურის თქმა შემიძლია „უმანკოების მუზეუმზე“ და „მე წითელი მქვია“. საერთოდ, ყველა რომანი მცდელობაა, გაეცეს პასუხი რაღაც კითხვას. წიგნში „მე წითელი მქვია“ მთავარი მოტივი არის ის, თუ რა გრძნობას განიცდი როდესაც უყურებ თურქულ და დასავლურ ფერწერულ ნამუშევარს. „უმანკოების მუზეუმში“ კი მთავარი კითხვაა - რა გვემართება როდესაც გვიყვარდება? ყველას გამოცდილი გვაქვს, რაც არის სიყვარული. ტკიბილია, კარგია, აგვამაღლებს, მაგრამ რთული რამაა. ხუთი წელი წიგნი არ დამიწერია და შემოდგომაზე მინდა გამოვუშვა.

### ფამუქზე

**ნიკა რურუა:** - პიროვნულად ისე მომეწონა და იმდენად საინტერესო კაცი აღმოჩნდა, რომ აუცილებლად ჩავუჯდები ყველაფერს და წავიკითხავ. ახლა ინგლისურად ვკითხულობ მის „თეთრ ციხესიმაგრეს“, რომლითაც ცნობილი გახდა. თავმდაბალი ადამიანია, განათლებული, ჭკვიანი ხელოვანია. ცხოვრებაზე მისი დაკვირვება, ხედვა მომეწონა. წერის დისციპლინა მოჰყვა, სახელოსნოდან გამოტანილი სურათები გვაჩვენა. მომეწონა, რომ ჩამოვიდა და იგრძნო საქართველოს კულტურა. როგორც ამბობს, ვიზუალური მწერალია, კინემატოგრაფიული თვალი აქვს. ძალიან კარგი იქნება, თუ მის ნაწარმოებებში საქართველოც გაიელვებს.

**მანანა დუმბაძე:** - რომ ვუსმენდი, მეგონა, მამაჩემი ლაპარაკობდა და სახლში ვიყავი. გახსნილი ადამიანია. იცის თავისი ქალაქის ყველა გოჯი და თქვა, იმაზე არ ვწერ, რაც არ ვიციო. გენიალური, ღრმა მწერალია. 1994 წელს ერთად აღმოვჩნდით კრუიზში. სამი ზღვის - ბალტიის, შავი ზღვის და ეგეოსის ზღვის მწერლების შეკრება და კრუიზი მოეწყო. 400 მწერალს მოუყარეს გემზე თავი, მათ შორის ოთხი ნობელიანტი იყო. ფამუქი თურქეთის დელეგაციის ერთ-ერთი წევრი, ახალგაზრდა ბიჭი იყო, სიმპათიური. საქართველოდან მე, მიშა ქვლივიძე და ზაზა გაჩეჩილაძე ვიყავით. აი, ეს ამ კრუიზის ამსახველი წიგნი მაქვს ახლა მოტანილი და თუ მოვახერხე მინდა ავტოგრაფი ვთხოვო.

**თეონა დოლენჯაშვილი:** - ძალიან ცოცხალი ადამიანია. ამ შეხვედრაზეც ვიზუალური მწერალი იყო. სულ მოგონებებს გვიყვებოდა, ემოციური და თბილი იყო. ჩემი მოლოდინი გაამართლა. ძალიან არ მომწონს ფამუქის „კოელიოზაცია“ ანუ „გაპაპსავიკება“ რომ ხდება თბილისში. ვისაც ასეთი წარმოდგენა აქვს, ვურჩევ წაიკითხოს ერთიც და მეორეც, ფამუქი სხვა წონის მწერალია.

**მაია ფანჯიკიძე:** - ჩემი საყვარელი წიგნია „უმანკოების მუზეუმი“. ძალიან კარგი მთხრობელია, ძალიან გახსნილი პიროვნება ჩანს. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, დადებითი ადამიანი ჩანს.

**მაკა მახარაძე:** - არ მეყო, კიდევ დიდხანს მოვუსმენდი. ძალიან დადებითი ადამიანია. ახლა მის მესამე წიგნს ვკითხულობ, „სტამბულს“.

**ნანა ჯანელიძე:** - გაცილებით კვიმატი და დიდი იუმორის ადამიანია, ვიდრე წიგნში ჩანს. თვითირონია აქვს, ამას არ ველოდი, ეშმაკი და სასიამოვნო ადამიანია.

ლაშა ბუღაძემ ბევრი იცინა ფამუქის ხუმრობებზე. „რა საყვარელი კაციაო“ გადაულაპარაკა მხლებელს.

**ლაშა ბუღაძე:** - დიდი იუმორი აქვს. ისეთი აღმოჩნდა, როგორიც მის წიგნებშია და ზუსტად ასეთი წარმომედგინა.

**გიორგი ბაქრაძე:** - შთამბეჭდავი მწერალია. ყველაზე მეტად მომეწონა „მე მქვია წითელი“. სილამაზის აღქმაა საინტერესოდ. დიდი მწერალია და დიდი მოვლენაა მისი აქ სტუმრობა.



**„როდესაც ვხატავ, უფრო ბედნიერი ვარ, მაგრამ შემოქმედი ნაკლებად. თითქოს თავისით უსვამს ფუნჯი ტილოზე ფერებს, წერის დროს უბედური ვარ, სამაგიეროდ გაცილებით შემოქმედი“**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

PRIME Time
N10 (260) ორშაბათი, 17 მარტი, 2014 წ.
ყოველკვირეული გაზეთი
ფასი 2 ლარი
www.ptpress.ge




# ორჰან ფამუქი წარმოსახვით პოეტურ თბილისში

## „ამ ფულს მალე ამეიღებ ბიძია“ - ვინ იყო გიორგი დევდარიანის ადრესატი



**გიორგი დევდარიანი:** „ტელევიზიაში, ჩემ მიერ გაკეთებულ განცხადებასთან დაკავშირებით, თავს უხერხულად ვგრძნობ“

**EXCLUSIVE**

## ქალ ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების ფეხბურთელები ზვიად სიჭინავას უპირისპირდებიან



**სალომე ხუბულური:** „მას შემდეგ, რაც ზვიად სიჭინავა სფფ-ს პრეზიდენტი გახდა, ეროვნული ჩემპიონატი არ ჩატარებულა“

**EXCLUSIVE**

## ვაშაკიძის სკანდალი გრძელდება - რატომ ვერ ერკვევიან ფეხბურთის ფედერაციაში ფიფას რეგულაციასა და საკუთარ წესდებაში






**გიორგი ლიფონავა:** „თავისუფლება ძალიან მნიშვნელოვანია ჩემთვის. ოჯახი მოძველებული და ირეალური თემაა. ქორწინება ყოფილა ჩემს ცხოვრებაში, მაგრამ მის გარეშე უფრო კარგად ვგრძნობ თავს“

# გიორგი ლიფონავა და სოფია სებისკვერაძე დაშორდნენ








# ნიკო გომელაურის პოეზია პერსონაჟებად

ISSN 1987-7404



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება